



განათლების
კერძო სექტორის
განვითარების
ეროვნული
აგენტი

მასწავლებლის წიგნი

მე – მასწავლებელი

ინა იმედაშვილი

თამარ გეგეშიძე

თამთა დოლიძე

თემო სუყაშვილი

ლადო აფხაზავა

ლელა კოტორაშვილი

მაკა სახურია

მანანა კავშივიძე

მანანა სენიაშვილი

ნათია უჩავა

დიანა ანფიშიაძე

ნათია ფურცელაძე

ნინო ლომიძე

ნესტან რატიანი

ნინია სადღობელაშვილი

ნინო აბულაძე

გურამ მებრელიშვილი

ანი კოკალიანი

გაბელ ჩხეიძე

დათო გორგილაძე

თეონა ბეშიშვილი

ზვიად კვარაცხელია

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ირმა თაველიძე

მანია მენაბდე

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2019

„შენ, რომელმაც ახლა კითხვა დაიწყო, მიიდა გითხრა, რომ ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელი ბედნიერებითა და თავს დატეხილი სიურპრიზებით. თუ მასწავლებელი ხარ და ეს შენი ცხოვრების წესია, ნუ გამოიხივხვები მას რეალური ცხოვრებისგან და შენს მოსწავლეებს დაანახე, რომ ცხოვრება სევდიანიც შეიძლება იყოს, მხიარულიც, უცნაურიც, იდუმალიც; რომ ის ჭრელია და მთავარია, ამ სიტყვებში ჩვენი ფერის პოვნა შევძლოთ; რომ თუ არ დავცვიტოთ, ვერ ავდგებით, ამიტომ დაცემა ზოგჯერ საჭიროც კია.

ნუ დაუმაღავ, რომ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში დგება განსაკუთრებული და მტკივნეული მომენტები, როდესაც ცრემლები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი ხდება, როდესაც სამყაროსგან განდგომა ყველაფერს გვირჩევნია, ვიკრებთ უკანასკნელ ძალებს, უკან ვიბრუნებთ ცრემლებს, ტკივილს გულში ვიქცავებთ, ვდგებით და მივდივართ.

მივდივართ მათთან, რადგან გვახსოვს, რომ ისინი გველოდებიან. იმიტომ, რომ ჩვენ მასწავლებლები ვართ“ (ეს ნაწყვეტი ამონარიდია ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორის მონათხრობიდან).

სწორედ მასწავლებლის პროფესიის იდუმალ, საინტერესო, რთულ და ჯადოსნურ ამბავზეა ეს წიგნი და პირველი მცდელობაა მასწავლებლებმა თავად ისაუბრონ პროფესიაზე, მათ გზაზე ამ პროფესიაში, ისაუბრონ მასწავლებლებზე, ვინც ცხოვრება გაუადვილა, შეუცვალა და მთავარი ღირებულებების შესახებ გაუხილა.

რედაქტორები:

ნათო ინგოროყვა
მანანა ბოჭორიშვილი

სტილის რედაქტორი:

ნანა მატავარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-8-1563-8

© 2019, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

ინა იმედაშვილი	
ხანდახან მასწავლებლებიც ტირიან	7
იქნებ დროის მანქანაც გამოიგონონ	10
თამარ გიგეშიძე	
მე მასწავლებელი (მასწავლებლის ცხოვრების ერთი კვირა)	16
თამთა დოლიძე	
მასწავლებლის დღიური	26
თემო სუყაშვილი	
მასწავლებლობიდან-მასწავლებლობამდე	39
ლადო აფხაზავა	
ჩემი მასწავლებლობის ისტორია	48
ლელა კოთორაშვილი	
როცა გული ადამიანის სიყვარულს ეჩვევა	58
მაკა სახურია	
აღმოდებული კოშკიდან ბავშვების გამოპარება	64
მანანა კაპითივაძე	
ჩემი პროფესია ჩემი სიცოცხლეა	72
მანანა სუხნიაშვილი	
სიყვარულის ამბები გეოგრაფიის გაკვეთილზე	79
ნათია უჩავა	
მე მასწავლებელი	82
ნათია ფურცელაძე	
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი	86
ნინო ლომიძე	
მე მასწავლებელი	97
ნესტან რატიანი	
სიბრძნე სიცრუისა	106

ნინია სადღობელაშვილი	
იყავი მასწავლებელი	119
ნინო აბულაძე	
ჩემი პირველი ნაბიჯები სკოლაში	122
გურამ მებრელიძე	
გამარჯობა მე თქვენი მასწავლებელი ვარ	131
$ax^2+bx+c=$ გადაუხადე სხვას	138
ანი კოპალიანი	
You Need Education! Your Teacher	142
დავისავით ემოციური, ბაზასავით თავშეკავებული, ნათიასავით შრომისმოყვარე	145
მკვდარი პოეტი უილ ჰანთილგი მონა ლიზას ღიმილით	150
ზაალ ჩხეიძე	
ორი ამბავი მასწავლებლის პროფესიაზე უფრო გულწრფელად, ვიდრე სხვა დროს	154
მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, ანუ სასიკვდილო ჩვენ ვართ მხოლოდ	159
დათო გორგილაძე	
პროფესორი იმნაიშვილი	162
მკვდარი პოეტების საზოგადოება	166
ყველაფერი დედაჩემის მეგობრის შესახებ	169
თეონა ბეშიშვილი	
ჩემი მარინა მასწავლებელი	172
დიანა ანფიშიაძი	
მარადისობა და ერთი დღე მასწავლებლის ცხოვრებიდან	177
ზვიად კვარაცხელია	
ჩემი პირველი მასწავლებელი	182
მასწავლებელი სოფლის სკოლისა	185
ალექსანდრე ლორთქიფანიძე	
ჩემი ქართულის მასწავლებლები	188
ელიზბარ ელიზბარაშვილი	
სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება	193
ირმა ტაყეიძე	
მასწავლებლობის აჩრდილი	196
მანია მენაბდე	
მასწავლებლობის უპირატესობანი	199

ხანდახან მასწავლებლებიც ტირიან

შენ, რომელმაც ახლა კითხვა დაიწყო, მინდა გითხრა, რომ ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელი ბედნიერებებითა და თავს დატეხილი სიურპრიზებით, რომ თუ კი მასწავლებელი ხარ და ეს შენი ცხოვრების წესია, ნუ გამიჯნავ მას რეალური ცხოვრებისგან და შენს მოსწავლეებს დაანახე, რომ ცხოვრება სევდიანიც შეიძლება იყოს, მხიარულიც, უცნაურიც და იდუმალიც, რომ ცხოვრება ჭრელია და მთავარია, ამ სიტყვლეში ჩვენი ფერის პოვნა შევძლოთ, რომ დაცემის გარეშე ვერ ავდგებით, ამიტომ დაცემა ზოგჯერ საჭიროც კია.

ნუ დაუმალავ იმას, რომ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში დგება რაღაც ძალიან განსაკუთრებული და მტკივნეული მომენტები, როდესაც ჩვენთვის ცრემლები ყოველდღიურობის ნაწილი ხდება, როდესაც სამყაროსგან განდგომა ყველაფერს გვირჩევნია, ვიკრებთ უკანსაკნელ ძალებს, უკან ვიბრუნებთ ცრემლებს, ტკივილს გულში ვიქვაავებთ, ვდგებით და მივდივართ.

მივდივართ მათთან, რადგან გვახსოვს, რომ ისინი ჩვენ გველოდებიან.

იმიტომ რომ ჩვენ მასწავლებლები ვართ.

ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ბავშვები ჩვენი ფანტაზიით ვიგონებდით სათამაშოებს და შემდეგ ვქმნიდით, რომ როგორმე გაგვეყვანა ბაფხულის გრძელი და შემოდგომის ყვითელი დღეები, ფოთლებისგან და სიმინდის გამხმარი ღეროებისგან თოჯინები შეგვექმნა, ბუმბულებით მოგვეერთო და ბებიების ახალგაზრდობის საკაბე ნაჭრების ნაკუწებით ფრიალა და ჭრელი, კოპლებიანი კაბები გვეკერა, მაშინ როდესაც ჭიაკოკონობის ცეცხლი ცას წვდებოდა და სკოლებში გაყინულ ხელებს ნედლი, სველი შეშით მბჟუტავ, მხრჩოლავ ლუმელზე ძლივს ვითბობდით და სათითაოდ მოგროვილ გირჩებს ვიზოგავდით გასახურებლად, მაშინ დავიწყე ოცნება, რომ მასწავლებელი გამოვსულიყავი.

არა მომღერალი, არა მოცეკვავე, არც მსახიობი, არც მაშინ ასე პოპულარული და მოდაში შემოსული მოდეელი, არც ასე პრესტიჟული ექიმი ან იურისტი, არამედ უხელფასო, თმაშეუღებავი, ოდნავ ნაღვლიანი, თვალბზალამე-

ბული მასწავლებელი, რომლის ერთადერთ სასწავლო რესურსს ცარცი და დაფა წარმოადგენდა.

სკოლიდან დაბრუნებული, როდესაც ყველა დავალებას შევასრულებდი, ჩემს დიდ ეზოს მივაშურებდი, რომ გადამეჩქეჟა კოცონის ადგილი, სადაც ან თათარა მოეხარშათ ან არაყი გამოეხადათ, ან უბრალოდ წყალი აედუღებინათ ბავშვების დასაბანად, სარეცხის დასარეცხად. კოცონის ნარჩენების ქექვისას ყველაზე დიდ ნახშირებს ვპოულობდი, ვიწყობდი ჯიბეებში და უკანა ეზოს ღობეს მივაშურებდი, რომელზეც ნახშირით შესანიშნავად იხატებოდა და იწერებოდა.

იწყებოდა ჩემი წარმოსახვითი გაკვეთილები, წარმოსახვითი მოსწავლეებით, ნამდვილი ჟურნალებით და „არებით“ (ჟურნალს წინასწარ თავადვე ვამზადებდი, შიგ კი ჩემი კლასელების გვარ-სახელები მეწერა).

ამ ამბებს იმიტომ ვყვები, ნათელი რომ იყოს ის, რაც ასე უცებ არ ჩნდება-მასწავლებლობის სურვილი წლების განმავლობაში ყალიბდება, რაღაცნაირად შიგნიდან გლრღნის, იქამდე, სანამ არ ასრულდება და ფრთებს არ შეისხამს.

მასწავლებლობა ისეთი რამეა, რომ არა ეს ფრთები, რომ არა ძლიერი ფრთები, შეიძლება პირველივე კვირას ჩამოვარდე და სკოლისკენ გახედვა აღარ მოგინდეს.

მასწავლებლობა პროფესია არ არის, მასწავლებლობა შინაგანი მდგომარეობა და მოწოდებაა – ეს კიდევ ერთხელ ძალიან კარგად მაშინ გავაცნობიერე, როდესაც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე, ყველაზე უბედურების ჟამს, ყველაზე სასოწარკვეთილ და სევდიან პერიოდში, ჩემს მიტოვებულ მოსწავლეებზე რომ მეფიქრებოდა.

ჩვენ ხომ მხოლოდ საგნის წამკითხველი მოწყობილობები ან მექანიკური არსებები არ ვართ, რომლებიც იქეჩებიან ფურცლებში, ადგენენ გეგმებს, წერენ ნიშნებს, იმახსოვრებენ ინფორმაციებს და ყველა შემთხვევაში მშვიდად არიან, სულ ბედნიერები და სულ მომლიმარები. არა, ჩვენ ადამიანები ვართ, ადამიანებს კი ხანდახან ემართებათ ისეთი რაღაცები, რაც არ დაიძალაბა ან ვერ დაიძალაბა, ძალიანაც რომ ვეცადოთ.

განსაკუთრებით დღეს, ამ გაუცხოვებულ, სოციალური ქსელებითა და ინტერნეტით დამძიმებული მოზარდებისთვის მასწავლებლის ემოციების ჩვენება მნიშვნელოვანია. ცოცხალი და რეალური განცდები უფრო უკეთ მუშაობს და მოქმედებს მათზე, ვიდრე წაკითხული ტექსტები – რაც არ უნდა ნამდვილთან მიახლოებული იყოს.

ჩვენ ისეთი გზა ავირჩიეთ, რომ საკუთარი ტკივილი და ცრემლები რესურსად უნდა ვაქციოთ, რომ ბავშვები თანაგრძნობაზე დავაფიქროთ და პრაქტიკულად ამის განხორციელება კი ჩვენ მიმართ აპათიით დაიწყონ.

ერთ დღეს ჩემს მოსწავლეებს ვთხოვე, ჩემთვის წერილები მოეწერათ, ისეთი წერილები, რომლებითაც იმას მეტყვოდნენ, რისი თქმაც ასე ხმამაღლა და პირდაპირ არ შეეძლოთ. შევპირდი, რომ ზეპირ კომენტარსაც კი არ გავუკეთებდი და არც კი შევიმჩნევდი, უბრალოდ მეცოდინებოდა და დავფიქრდებოდი და თუ ოდესმე თავად მოუნდებოდა ამის შესახებ საუბარი, მე მუდამ მზად ვიქნებოდი.

ზოგიერთმა საკმაოდ პირადული ამბები მომწერა, განცდები და შიშები, ოცნებები და მოლოდინები. მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი ემოციების ზღვა იყო.

გადავწყვიტე, თითოეული მათგანისთვის მეც მიმეწერა წერილი. აი, ასე ინდივიდუალურად და ძალიან პირადულად, სადაც ჩემს განცდებზე და გრძობებზეც ვისაუბრებდი, ასევე ჩემს შიშებზე და ემოციურ მდგომარეობაზე.

თავადაც წარმოიდგენთ, ბავშვებისთვის რამხელა რამეს ნიშნავს მასწავლებლის მხრიდან ამგვარი ნდობა. ეს იყო ყველაზე დიდი გულახდილობისა და გულაჩუყების დღეები, როდესაც ჩემი ემოციები მათ პატარა გულებში ბინას პოულობდა.

რალა თქმა უნდა, მოსაწვლევები არ დამიმძიმებია, უბრალოდ მინდოდა, რომ მასწავლებელი სიმბოლური კვარცხლბეკიდან ჩამომეყვანა და ჩვეულებრივ ადამიანად წარმომეჩინა – სისუსტეებითა და შიშებით. ამდაგვარ მიმოწერას ახალ კლასთან და პირველივე კვირას ვერ გააჩაღებ, ჯერ ნდობის და ცოტაოდენი სიყვარულის მოპოვებაა საჭირო.

გავა წლები და ვინ იცის, შენ ან შენმა რომელიმე მოსწავლემ გამომხეუროს თქვენი ძალიან ნამდვილი და გულწრფელი მიმოწერა, აკინძოს წინად, წიგნს კი დაარქვას: „შენს წერილებს ლეიბის ქვეშ ვინახავ“, და მოყვეს იმაზე, როგორ გაუმართლა, შენნაირი მასწავლებელი რომ ჰყავდა, ან მოყვე იმაზე შენმა მოსწავლეებმა რამდენი რამ გასწავლეს, რომ მძიმე დღეები გაგიფერადეს და რომ დღეს რაც ხარ, მათი დამსახურებით ხარ.

ვინ იცის, იქნებ ერთხელ, შორეულ მომავალში, რობოტების და მანქანების ხანაში აღმოაჩინონ ეს მიმოწერა და გაკვირვებულეებმა წამოიძახონ: „თურმე მასწავლებლებსაც უტირიათ“.

იქნებ დროის მანქანაც გამოიგონონ...

როგორ დაიწყო, რაც დაიწყო

ხშირად ისეც ხდება, რომ ცხოვრებაში მთელი რიგი მოვლენების წყება საბოლოოდ გარკვეულ გზაზე დადგომისკენ გვიბიძგებენ ხოლმე. ადამიანი გარკვეული წლოვანებისა რომ გახდება, საკუთარ არჩევანზე დაფიქრდება და განვლილ წლებს გადახედავს, მოგონებების სკივრიდან თავისთავად ტივტივდებიან ის მომენტები, რომლებიც შემდეგ ერთად იკვრება და შენს არჩევანს განსაზღვრავს.

შენი არჩევანი კი თავად შენ ხარ, მთელი თავისი სევდითა და სიკეთებით, წარუმატებლობებითა და დამსხვრეული იმედებით, ნაპოვნი ბედნიერებებითა და გაფრენილი დღეებით, წლებით, საათებითა და წუთებით.

დროის მანქანა რომ არსებობდეს, მომინდებოდა საკუთარი თავისთვის სულ რამდენიმე წუთით შემეხედა, მაშინ როდესაც 2000 წლის ზაფხულს, ახმეტაში, საღამო ხანს, სასიამოვნო ნიავის ფონზე, მთელი ჩემი ოჯახობა ბებერი ლეღვის ხის ქვეშ შეკრებილიყო და ჩემს მომავალზე ბჭობდნენ. თან პიტნის ჩაის წრუპავდნენ და დედაჩემის გამომცხვარ ცხელ-ცხელ ალუბლის ღვეზელს მიირთმევდნენ.

მას შემდეგ ცხრამეტი წელი გავიდა, ჩემი უძვირფასესი პაპა-ბებია ამ ქვეყნიდან წავიდნენ, მაშინ კი, იმ საოცარ დროს, ყველაზე აქტიურად სწორედ ისინი ჩართულიყვნენ ამ ბჭობაში. იმ ღვეზელის და ჩაის გემო დღემდე მომყვება და ზუსტად ვიცი, რომ არჩევანს გემო რომ ჰქონდეს, ჩემს პროფესიულ არჩევანს სწორედ პიტნის, ალუბლის გემო ექნებოდა, ხმა რომ ჰქონდეს – ჩემი არჩევანი ზაფხულის ნიავივით ჩუმად იშრიალებდა, საუბარი რომ შეეძლოს – ამ წერილის თითოეულ სიტყვას დაიხურჩულებდა.

ამ ოჯახურ შეკრებაზე ბევრი არც არაფერი გადაწყვეტილა, გამომდინარე იქიდან, რომ პერიოდი იყო ისეთი, თავად ვერ გადაწყვეტიდი შენს მომავალს, გარემოებები გიწყვეტდნენ, რალაცნაირად ხდებოდა, თავისთავად, შენგან დამოუკიდებლად. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სწორედ ამ მომენტმა განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ, ჰოდა, ოდესმე თუ გამოიგონებენ

დროის მანქანას, სიამოვნებით გადავამოწმებდი და თექვსმეტი წლის ინას მოვინახულებდი, შეიძლება თვალის ჩამეკრა და გამემხნეებინა, მიდი, მიდი, ნუ გეშინია, შენი 35 წლის თავი ცუდი გოგო სულაც არ არის, ერთს კი გავაფრთხილებდი, რომ ბევრი შრომა მოუწევდა, ბევრი წყენის ატანაც, და პირადი ტკივილების გაძლებაც. გავაფრთხილებდი, რომ ცრემლები შემოენახა და სტუდენტობისას რადიო „საქართველოს ხმის“ სევდიანი ჰიტების მოსმენისას არ დაეხარჯა, ოცნებებს არ შეშვებოდა, იმიტომ რომ ასე თუ ისე, ოცნებები აუხდა. ყველაზე მთავარი, ბავშვობის ოცნებაც კი: რომ მასწავლებელი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის იმ შეკრებაზე, პატარა ინას მასწავლებლობა არ გადაწყვეტილა, სულ პირიქით, ამის გაგონება ოჯახის არც ერთ წევრს არ სურდა, არც კი განიხილებოდა. დედას – ექიმობა სურდა, მამას – ინფორმატიკის სპეციალისტი, პაპას – იურისტი, მამიდას – ჟურნალისტი, ბებიის დედის აზრს იზიარებდა და ექიმობას უჭერდა მხარს.

მოკლედ, დიდი გაუგებრობა იყო, მაგრამ ძალიან სასიამოვნო გაუგებრობა, იმ თექვსმეტი წლის ინამ ახედა ზაფხულის ვარსკვლავებიან ცას და გაუგზავნა თავისი ბავშვური, ძალიან წრფელი სურვილი – რომ უნდოდა მასწავლებელი გამხდარიყო.

და ასე დაიწყო ყველაფერი, მაგრამ თავიდან დავიწყოთ, რომ გავიგოთ, ასე რა დაიწყო.

ჩემი მასწავლებლები ნამდვილი მასწავლებლები იყვნენ. ნამდვილობაში იმას ვგულისხმობ, რომ ისინი ცხოვრებას გვასწავლიდნენ, არა საგნებითა და თეორიებით, არა ლექციებით, საკუთარი თავებითაც. ისინი ისეთები იყვნენ, როგორც იმ დროს ცხოვრება იყო: რალაცნაირად გაცრეცილები, გახუნებულები. ძველი კაბებით, შეუღებავი თმებით, ჩაცვნილი თვალებითა და გაყინული ხელებით, ისევე როგორც ჩვენ ყველა, ისინიც გადარჩენისთვის იბრძოდნენ და ამ გადარჩენის გზაზე შევხდით ერთმანეთს და ჩვენ ერთმანეთს ვასწავლიდით, როგორ გვეცხოვრა.

სწორედ ამ დროს, სადღაც მეოთხე კლასის დასასრულს, მომინდა, მეც მესწავლებინა. მეც შემეღება ჩემს მასწავლებლებთან ერთად ბათქაშამონგრეული, საღებავგადაცლილი კედლები, ყოველ გაზაფხულზე, ბავშვებთან ერთად მეც მევლო იების მოსაძებნად და სიბ ქვებზე ჩვენი სახელების ამოსაკვეთად, მეც მომეგროვებინა გამხმარი გირჩები ზამთრის ლუმელის ასანთებად, მეც მინდოდა მქონოდა, შავი, დამსკდარი პატარა ჩანთა, სადაც აკურატულად მექნებოდა ჩაკეცილი მაქმანიანი ცხვირსახოცი და სათვალე, რომ ჩემი ისტო-

რიის მასწავლებელივით გრაციოზულად შემესწორებინა კეფაზე დამაგრებული ცეცხლივით წითელი თმა და სულისშემძვრელი ისტორიები მომეყოლა ჩვენი წარსულიდან.

და დავიწყე ოცნება, დავიწყე ფიქრი და თამაში. მასწავლებლობას თამაში, სადაც მე მასწავლებელი ვიყავი – წარმოსახვითი ბავშვები კი მოსწავლეები.

ვოცნებობდი, ერთი ძალიან ღარიბი, ძალიან „ოროსანი“, იდაყვებამდე დამოკლებული ძველი სასკოლო ფორმა რომ ეცვა ზამთარ-ზაფხულ და მუდამ შშიერი კლასელი რომ მყავდა, მისი მასწავლებელი ვყოფილიყავი, მასთან მივსულიყავი სახლში და წიგნები წამეკითხა, სადილი მომემზადებინა, ტანსაცმელი მეჩუქებინა – ოღონდ აუცილებლად მასწავლებელი უნდა ვყოფილიყავი, სხვაგვარად ვერ წარმომედგინა. ჩემი მასწავლებლები შესაძლოა, ეხმარებოდნენ კიდევ, შესაძლოა, ამის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ საშუალება არა – მაგრამ მე, როგორც მეოცნებემ და ფანტაზიორმა ისტორიების შეთხზვაც კი დავიწყე გონებაში, როგორ ვეხმარებოდი ამ ბიჭს, მერე როგორ უკვირდა ყველას და როგორი წარმატებული ადამიანი დგებოდა, მე კი ვალმოხდილს რამხელა სიამაყე მავსებდა.

როგორც ფაზლებისგან იწყობა დიდი სურათი, ასე აეწყო ჩემი მასწავლებლობაც სხვადასხვა ამბისგან, რომლებიც ცალ-ცალკე ფაზლის ნაჭრებია, ერთად აღებულს კი თამამად შეიძლება ვუწოდოთ: მე მასწავლებელი გამოვედი.

მასწავლებლობანა

მაშინ, იმ ყბადაღებულ ოთხმოცდაათიანებში, თოჯინებით კი ვიყავი განებივრებული (მოგვეცებოდა ოთხმოცდაათიანებიდან), მაგრამ არ მყოფნიდა, და ისეთები არ იყვნენ როგორებიც მე მჭირდებოდა. მაგალითად, როდესაც სავარცხლით თმის დავარცხნას ვცდილობდი, თმა ებურდებოდათ და ძვრებოდათ, ძალიან მძულდა ეს პროცესი, მაგრამ აბა როგორ მეთამაშა თოჯინით, თუ თმას არ დავვარცხნიდი. ამიტომ გადავწყვიტე ძაფის თმები დამემაგრებინა მათთვის. ბებიჩემი კაბებს და ჯემპრებს გვიქსოვდა, ამიტომ ფერად-ფერადი მონარჩენი ძაფები მე მრჩებოდა ხოლმე. ექსპერიმენტისთვის, ერთ თმაგაწეწილ თოჯინას, მთლიანად მოვაძრე საკუთარი ოქროსფერი თმა, ავიღე უზარმაზარი მახათი, მწვანე ძაფი ავაგე და დავიწყე ძაფის თმების შექმნა. უმაგრესი შეგრძნება იყო, სიგრძესაც მე განვსაზღვრავდი და სისქესაც. მოკლედ, იმდენად გამიტაცა ამ საქმიანობამ, რომ საბოლოოდ ყველა ჩემი თოჯინა როცა დავამშვენე ხელნაკეთი თმებით, სიმინდის ღეროებზე გადავედი. სი-

მინდის ღეროს სახეს ვახატავდი კალმით, თავზე კი თმების ნაცვლად ქათმის ბუმბულებს ვარჭობდი, ამ ბუმბულებს საქათმეში ვპოულობდი, ფუმფუმებს და ჭრელებს. ამ ჩემს სიმინდის გოგონებს კაბებსაც ვუკერავდი, ფერადებს და ყვავილიანებს. ამდენს იმიტომ ვწერ, რომ წარმოიდგინოთ ჩემი პირველი აუდიტორია, ჩემი პირველი მოსწავლეები.

თითოეულ ჩემს თოჯინას საკუთარი სახელი ერქვა, ძირითადად კლასელების სახელები და წიგნების პერსონაჟები.

ჯიბეები სახსე მექონდა ნახშირით და ნატეხი აგურით, თუ კი ცარცსაც ვიშოვიდი სიხარულით დაფორინავდი. ჩემი უზარმაზარი ეზო მეზობლის ეზოსგან ღობით იყო გამოყოფილი, ეს ღობე ისეთი მასალისგან იყო აშენებული, რომ მასზე იდეალურად იხატებოდა და იწერებოდა. ღობის წინ გამწკრივებდი ჩემს „მოსწავლეებს“, მოვიმარჯვებდი ჟურნალს და ვიწყებდი სიის ამოკითხვას: თამუნა, ნათია, გიორგი, ტომი, პეპი, მანანა, ნიკოლოზი და თოჯინა-ბავშვებიც მპასუხობდნენ, მიყვებოდნენ, მამბობდნენ, თამაშობდნენ.

წარმოიდგინეთ, გვიანი შემოდგომის საღამო, გარშემო ნისლი და ბურუსია, წინწკლავს, აქა-იქ ცეცხლმოკიდებული ფოთლები ხრჩოლავს, ძალიან ცივა, ამ რაღაცნაირ მობუზულ, ნაცრისფერ საღამოს, ღობესთან მიმდგარა ცხვირ გაწითლებული, თითებგაყინული გოგონა და მთელი სულითა და გულით გაკვეთილს ხსნის, ხან განტოლებას, ხან მოთხრობიდან ნაწყვეტს კითხულობს და ბავშვებს სთხოვს, გაიმეორონ, დგას ასე ჯიუტად, შეუდრეკლად, სცივა, მაგრამ არ იმჩნევს, სველი, გათოშილი თითებით წითელი აგურის ნატეხით ულამაზესი ქართული ასოები გამოჰყავს. ქალაქის ბიბლიოთეკიდან წამოღებული უცნობი პოეტების ლექსების წიგნიდან, ერთი ბოსნიელი პოეტის ლექსის ფრაზა მოსწონებია და აუკვიატებია:

*„ისევ შემოდგომაა, საყოველთაო შემოდგომა...
ელეგიების კლასიკური დრო,
სადგურზე წავალ ცოტა ხნით,
რომ განშორებას მივაჩვიო თავი...“*

დროის მანქანა რომ ხელთ ჩამაგდებინა, ამ მეხუთე-მეექვსეკლასელი ინას ნახვაც მომინდებოდა, თვალეში ჩახედავდი და ვკითხავდი: რა იცოდი, რომ განშორების სევდა შენი მუდმივი თანამგზავრი გახდებოდა. რატომ გიბიდავდა მუდამ სადგურები და ელეგიები.

ასე იქმნებოდა ბავშვებისგან მასწავლებლები – წვიმაში, სიცივეში, შიშებით, მოლოდინებითა და ოცნებებით.

ნატო

თუ კი ოდესმე ჩემს თავზე რამეს მოგყვები, ეს ადამიანი აუცილებლად უნდა ვახსენო.

ნატო ქართულის მასწავლებელი იყო, მაგრამ სკოლაში აღარ ასწავლიდა. სოფელ ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობდა. ბებიაჩემმა მასთან იმიტომ მიმიყვანა, რომ წერა მიყვარდა და წიგნებსაც ვკითხულობდი, თვლიდა, კარგი იქნებოდა, თუ ჩემს გატაცებას პროფესიად ვაქცევდი.

და დაიწყო პოეზიის დღეები და ღამეები, გაცოცხლებული სიტყვები და მოზღვავებული გრძნობები.

მისი სახლიც მუზეუმს გავდა, ნატო ვაჩნაძის ულამაზესი, უზარმაზარი პორტრეტი ფარავდა მთლიან კედელს, მისი სევდიანი გამოხედვა მუდმივ თანამგზავრად ექცა ჩვენს შეხვედრებს და ლიტერატურულ განხილვებს. ირგვლივ უამრავი წიგნი იყო, წიგნების მთები გარს გვეკრა. ყაისნალით ნაქსოვი მაქმანიანი გადასაფარებლები მაგიდაზე და სკამებზე, ცაცხვის ჩაისთან ერთად რაღაცნაირ მისტიკურ განწყობას ქმნიდა.

მეც მინდოდა ასეთი ცხოვრება, მინდოდა ასეთი სიმყუდროვე, ასეთი სიმშვიდე. მინდოდა მეც ასე მომენუსხა ჩემი მსმენელი ან მოსწავლე, როგორც ნატო მნუსხავდა საკუთარი ამბებითა და საკუთარი ლექსებით. ძალიან მინდოდა. და სწორედ მაშინ გადავწყვიტე ქართულის მასწავლებელი გამოვსულიყავი.

ადამიანები ჩემს გზაზე

ფილოლოგიურზე არ ჩამიბარებია, ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე. არ მომწონდა, არ მიყვარდა და არც ვსწავლობდი. ვგრძნობდი, რომ საკუთარ თავს ვკარგავდი.

გავიდა წლები. მოულოდნელად ჩემი უსაყვარლესი ბებია გარდაიცვალა. თავს უზარმაზარი ტკივილი დამატყდა, ძალიან გამიჭირდა. მჭირდებოდა რაღაც ისეთი, რაც ამ ყველაფერს გადამატანინებდა. ჰოდა, ამ დროს ამოტივტივდა ჩემი ბავშვობის ოცნებაც – ოცნება მასწავლებლობაზე. გადავწყვიტე მეცადა.

ისევ ახმეტაში ვიყავი, გადავწყვიტე თავად გავმკლავებოდი ქართული ლიტერატურის პროგრამას, მაგრამ ვერ შევძელი. ჩემს ცხოვრებაში ამ დროს გამოჩნდა თამილა მასწავლებელი – ერთ თვეში შეუძლებელი შევძელით,

გამოცდა ჩავაბარე. საგზლად კი ერთად გატარებული საღამოები გამოიყვა, ლიტერატურული დისკუსიები, განხილვები.

მასწავლებლობა ისევ მინდოდა.

მერე იყო მაგისტრატურა, იქაც ადამიანები, არაჩვეულებრივები.

შემდეგ ადამიანები სკოლაში, ადამიანები ჩემს გზაზე, ოცნებების ახდენის, საკუთარი თავის დაბრუნების გზაზე.

მე დღეს მასწავლებელი ვარ.

ძალიან გამიჭირდა, დღესაც მიჭირს.

მასწავლებლობა პროფესია არ არის, ის შინაგანი მდგომარეობაა და თუ ეს მდგომარეობა არსებობს, შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც მიხვალ იქამდე, რომ ერთხელაც მოიმარჯვებ ქათქათა ცარცს და შავ დაფაზე დაწერ შენს საყვარელ ლექსს, ბავშვებს კი, ოღონდ ნამდვილებსა და ცოცხლებს, სთხოვ, რომ ეს შენი ლექსი მათ გააგრძელონ.

გააგრძელონ შენი ოცნებებიც და შენი ამბებიც.

და შენი ამბები მათ ამბებს შეერწყმება. მათი ამბავი შენი გახდება, შენი კი მათი. და მერე იქნებ დროის მანქანაც გამოიგონონ.

მე – მასწავლებელი

(მასწავლებლის ცხოვრების ერთი კვირა)

კვირა

ხანდახან, როცა მავიწყდება, რომ მასწავლებელი ვარ, ვიცვამ კედებს, გაცრეცილ ჯინსებს, ვიკეთებ ყურსასმენებს და მივდივარ ველოსიპედით სასეირნოდ. მხიარული და ბედნიერი თავდავიწყებით მივქრევარ ტბისპირა ბილიკზე, ვილიმი და ვფიქრობ ათას სასიამოვნო რამეზე, მაგალითად, ზაფხულზე, მოგზაურობაზე, წაუკითხავ წიგნებზე... მაგრამ მერე, მოულოდნელად ეს ყველაფერი აზრს კარგავს, რადგან მახსენდება, რომ სადღაც, რომელიღაც კლასში, ლიტერატურის რვეულების მეორე ნაწილი გასასწორებელი დამრჩა. მახსენდება ტესტირების კითხვარის მეათე შეკითხვა, სადაც რთული წინადადების შუა ნაწილში მძიმე გამომრჩა, მახსენდება ხელმოტეხილი მოსწავლე, რომლისთვისაც ნიშნის დაწერა ვერ მოვასწარი მანამ, სანამ ხელს მოიტეხდა და მისი კლასელი, რომელმაც მითხრა, რომ საშინლად არ უყვარს ქართული გრამატიკა. მე კი თბილად გავუღიმე და ვუპასუხე, რომ არა უშავს, რამეს მოვიფიქრებ, არადა ეს ამბავი ლამის პირად შეურაცხყოფად მივიღე. გონებაში ამომიტივტივდება რომელიღაც საშინაო დავალების რვეულში ამოკითხული ჩახლართულ-ჩაკვანძულ-ჩაკირული წინადადება, ყურში კი ჩამემისის წკრი-ალა ხმა: მას, გუშინ ველოსიპედით დაგინახეთ! ვჩერდები და ოდნავ შემკრთალი ვიყურები აქეთ-იქით. მე მასწავლებელი ვარ და კიდევ ერთხელ ვხვდები, რომ ამის დავიწყება შეუძლებელია!

არადა ამ პროფესიაზე არასოდეს მიოცნებია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად ვუყურებდი წიგნებში, რვეულებსა და მოსწავლეებში ჩაფლულ დედასა და მამას, რომლებიც მუდმივად ფუსფუსებდნენ, წერდნენ, კითხულობდნენ და გეგმავდნენ. ხანდახან მომინდებოდა და დედას გაკვეთილებს ვესწრებოდი, არ მიშლიდა, რვეულებში ქექვის უფლებასაც მაძლევდა. ვისმენდი მის მძივივით ასხმულ წინადადებებს, ისტორიებს, უცხო სახელებსა და გვარებს, მაგრამ სინამდვილეში ის მაინტერესებდა, როგორც ლაპარაკობდნენ, ისევე თუ წერდნენ. მამასთან ყველაფერი სხვაგვარად იყო, მისი გაკვეთი-

ლები მამხიარულებდა და მართობდა იმიტომ, რომ იშვიათად შევხვედრივარ ისტორიული ამბების ისეთ მთხრობელს, როგორც ის იყო. მისი ენთუზიამში, განწყობა და შელამაზებული ამბები მოსწავლეებს ხან დიოსკურიამი გადაისვრიდა და ხანაც – კრწანისის ველზე. დღესაც არ ვიცი, მართალი იყო თუ არა ყველაფერი, რასაც გვიყვებოდა, საიდან იცოდა ის დეტალები, როგორ ახერხებდა მეფეების პერსონაჟებად ქცევას.

არა, ეს საჩემო საქმე არაა, ვფიქრობდი მაშინ, ჯობს, ისე მოცეკვავე გავხდე! ავიღებდი ხელში რომელიმე სქელტანიან წიგნს და საგარძელზე მოვკალათდებოდი.

ორშაბათი

ორშაბათი მასწავლებლისთვის მძიმე დღეა! უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კვირის ყველა გაკვეთილი წინაა და არავინ იცის, როგორ ჩაივლის თითოეული მათგანი. ახსნის დროს რომელიმე ნიკა ან რომელიმე სანდრო დაღლილი ხომ არ იქნება, გაკვეთილის დასასრულს, სიტყვა შეჯამებაზე ვინმეს გეოგრაფიის შემაჯამებელი წერა ხომ არ გაახსენდება და უნებურად ხმამალა ხომ არ წამოიძახებს, დაწერს თუ არა დახასიათებას უკანა მერხზე მჯდომი ნუცა, რომელმაც წინა ღამით ვერ გამოიძინა და ახლა აქეთ-იქით ირწევა?! ყოველი კვირის ორშაბათს ასეთ ფიქრებს თავიდან ვიშორებ!

დილით ვდგები და უკვე მერამდენედ ვდგები დილეშის წინაშე: რა ჩავიცვა – დიდუბეებიანი ფართე შარვალი თუ დიდუბეებიანი ტყრელი ქვედაბოლო?! ზოგადად, მასწავლებლის გარდერობი შემდეგი ნივთებისგან შედგება: რამდენიმე პერანგი, მოკრძალებული ქვედაბოლოები, ერთი-ორი განიერი შარვალი და რაც შეიძლება მეტი დაბალძირიანი ფეხსაცმელი. რა თქმა უნდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმასაც არავინ გიშლის, მასწავლებლის ეთიკური ნორმაც გაძლევს ამის უფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, თუ სკოლის დერეფანში ბუფეტისკენ თავდავიწყებით მქროლავი რომელიმე მეექვსეკლასელის არ გეშინია. ხოლო თუ მიიჩნევ, რომ გარეგნობისა და ფერადი ტანსაცმლის გამო ისე ძალიანაც არ გავხარ მასწავლებელს, როგორც თავი მოგაქვს და შენთვის წყნარად, აუღელვებლად სიარულს ამჯობინებ, მაშინ დაბალძირიან ფეხსაცმელს აირჩევ. სწორედ ამიტომ ჩემი ერთადერთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ნელ-ნელა იფარება სქელი, ბოროტი მტვრით.

ჩემი გარეგნობის მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებლის ჩანთაც. ცხადია, შემოძლია, მაღაზიაში წავიდე და ჩანთა საკუთარი გემოვნებით შევარჩიო

– განიერი, ვიწრო, ბალთებიანი თუ ნამდვილი ტყავი, მაგრამ იმ ზომის, რომ შიგ ჩაეტიოს სკოლიდან სახლისკენ და პირიქით მიმავალი ყველა რვეული, ორი-სამი სახელმძღვანელო, ბლოკნოტი პირადი ჩანაწერებისთვის, წითელი თუ ლურჯი კალმები, ფანქრები, საშლელები, სანიშნეები, ფურცლები, ტესტები, ხელსახოცები და კიდევ ათასი ხარახურა. როგორც ნამდვილ პედაგოგს, მეც მაქვს ამგვარი კარადასავით დიდი და მოუქნელი ჩანთა, ამიტომ თავაწეული გამოვდივარ სახლიდან.

სკოლისკენ მე და ჩემი მეგობარი ერთად მოვდივართ. ისიც მასწავლებელია და ორშაბათი, ალბათ, მასაც ჩემსავით აფრთხობს. ყოველ დილით პირობას ვდებთ, რომ გზაში სკოლაზე არ ვილაპარაკებთ, ვცვებით შვილებზე, ფილმებზე, ბავშვობაზე. მე პირადად ძალიან მიყვარდა მეფე მათიუში, ვამბობ გულწრფელად, ჩემს მეშვიდეკლასელებსაც მოეწონათ, მარიამმა, ორჯერ ვიტირეო, ნიკამ ოთხ დღეში დაასრულა, დაჩიმ მეორე ნაწილის კითხვა დაიწყო. მშვენიერია, უკვირს ჩემს მეგობარს, არადა რთული ტექსტია! აპირებს, მეორე სემესტრში დაიწყო. პირობა ისევ დავარღვიეთ! ყველა ნაცნობი სახელი ერთდროულად აწყდება ჩემს გონებას, სახელებს სახეები მოჰყვება, სახეებს – პროტოტიპები. მაგალითად, გიორგი – ბოლოდან მეორე მერხზე მჯდომი მაღალი, გამხდარი ბიჭი, ძალიან ცუდი კალიგრაფია აქვს, მისი ასოები ხისგან გამოიხორკნულ ფიგურებს ჰგავს, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე ემოციურად შეუძლია პერსონაჟებზე საუბარი. ნინო – ლამაზი და ჭრელთვალება, ყველაზე მეტად მითოლოგია და ფენტეზი მოსწონს, დანარჩენს კი ვიცი, ხათრით სწავლობს. ნიკა – გაკვეთილებზე ცელქობს, ვერ ისვენებს, საუბრობს და რვეულიდან ამოხეული ფურცლებით ქალაქის ბურთებს აკეთებს, მაგრამ სამაგიეროდ კარგი ადამიანია, შევესწარი, მუხლებზე დაჩოქილი როგორ ეძებდა ლიზის სათვალეს, რომ მას არ ენერვიულა.

სინამდვილეში ყველაზე რთული დაწყებაა – საუბრის, ურთიერთობების, გაკვეთილების, კვირის, თორემ მერე ყველაფერი მარტივდება და თავის ადგილს პოულობს. ყველაფერი ასე ხდება: შედიხარ გაკვეთილზე უცხო ადამიანებთან, რომლებიც ეჭვის თვალთ გიყურებენ, არ გენდობიან, გცდიან, მზად არიან, ნებისმიერი მათთვის მიუღებელი წინადადების გამო აჯანყდნენ. შენ კი ამ ყველაფერს უძლებ, არ ეწინააღმდეგები, თვალს უსწორებ, იღიმი, შენკენ ექაჩები. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათას გამომცდელ მზერას გაუძლებ, მოლოდინის ქარცეცხლში გაივლი და ცოდნის ხიდზე წონასწორობას შეინარჩუნებ, ნელ-ნელა მშვიდდებიან, მოეშვებიან, გადაჯვარედინებულ ხელებს ჩა-

მოუშვებენ, თვალეში სითბო ჩაუდგებათ, მერე და მერე კბილებსაც გამოაჩენენ და გუნება-განწყობილებასაც და ბოლოს ხომ უკვე ყველას იცნობ, იცნობ კი არა, თითქოს, მთელი ცხოვრება იცნობდი, იცოდი, ვის რა აწუხებდა და რა უხაროდა, ვინ მორცხვი იყო და ვინ – სერიოზული, ვინ როდის როგორ მოიქცეოდა თუ მოიქცევა, ყველა „შენიანია“ და შენ კი – „მათიანი“.

დერეფანში მივაბიჯებ და უცებ ვიღაც ძლიერად მეჯახება. აღშფოთებული ვარ, მინდა, ვუსაყვედურო და ვუთხრა, რომ ასეთი სისწრაფით არ უნდა მობოდეს და თუ მობობს, უფროსს გვერდი აუაროს. დარცხვენილი და აწითლებული ბიჭი თავს მაღლა სწევს:

– საბა, შენ ხარ? – ვამბობ მე, – ფრთხილად იარე, შეიძლება, რამე იტკინო! ჩემიანია!

სამშაბათი

დღეს საკლასო ოთახში შესვლისას მივხვდი, რომ ჩემი, როგორც პედაგოგის, პროფესიული აღმასვლა გრძელდება. ჯერ იყო და შესასვლელში ისე მოხერხებულად ავერიდე მოძიძგილავე ბიჭებს, არათუ მხარი, ჩანთაც კი არ გამიკრავს. მერე ღიმილითვე მივესალმე ხატაპურებითა და ფუნთუშებით გამოტენილ მომღიმარ პირებს და დავეთანხმე ყველა ჩემთან მოსულს, თხოვნით: თუ შეიძლება, პირველი მე ჩაგაბარებთ, რა! ან: თუ შეიძლება, დღეს არ ჩაგაბარებთ, რა! უნდა ვალიარო, რომ ხანდახან სიტყვას ვტეხ და ზოგჯერ ამგვარ თხოვნებს არ ვასრულებ, ან საერთოდ არ ვასრულებ იმიტომ, რომ გაკვეთილი სხვაგვარად მაქვს დაგეგმილი.

– ხუთ ჯგუფად ვიყოფით, სტროფებს ვინაწილებთ, ვიწყებთ კითხვას! – ვაცხადებ ხმამაღლა და ვიცი, რომ მინიმუმ ხუთი წუთის განმავლობაში, სანამ ყველა ადგილს იპოვის და ნივთებს გადაილაგებს, წარმოუდგენელ ქაოსს გამოვიწვევ.

ვერაფერს გავხდები, გაკვეთილის გეგმა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია! წესით, გაკვეთილზე ყველა ნაბიჯი დაგეგმილი უნდა იყოს, ყველა მოძრაობა, თავის მიხრა-მოხრა, გულის კუნთების რიტმული კუმშვა, ამრის გაღვება და ფურცლების შრიალიც, საკლასო ოთახში ფეხის შედგმიდან, გამოსვლისას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე (სწორედ ამას გვასწავლის „მასწავლებლის კოდექსი“). გეგმა პირველი: თემის წარდგენა, მასალის ასხნა, კითხვებზე პასუხი, შეჯამება, დავალება... გეგმა მეორე: შესვლა, მისაღმება, ჩანთის ამოლაგება ბავშვობისდროინდელ, ანუ ცეკვის კონცერტებზე ფორმების გამოც-

ვლის ტემპში, ერთი მოქნილი მოძრაობით ცარცის დატაცება და დაფის წინასწარ აჭრელება, ამასთანავე, პარალელურ რეჟიმში, მოსწავლეების სულ რაღაც ათიოდ კითხვაზე პასუხის გაცემა და ემოციების გაზიარ-გამოზიარება, მაგალითად, ამ ტიპის: მას, თქვენ რომ წიგნის წაკითხვა დაგვავალეთ, იმაზე მინდოდა მეკითხა, მაგრამ ჯერ ვერ ვიშოვე, მაგრამ ვიშოვი და მერე წავიკითხავ და მერე გკითხავთ. – კარგი, აუცილებლად მკითხე! მას, ეს თქვენი ბუნებრივი თმაა თუ დახვეული? შეიძლება, ხელი მოვკიდო? – ჩემი თმაა, კი, მოკიდე! მას, გინდათ, ჩემს უცნაურ კამფეტს მოგცემთ, ოღონდ ან კარამელის გემო ექნება, ან მკვდარი თევზის. წინასწარ არავინ იცის, გამოცანაა. – მმმმ, კააარგი, მომეცი! მთელი კლასი შემომყურებს. გადავრჩი, აშკარად კარამელის გემო აქვს! ზარი ირეკება, ჩვენს ადგილებს ვიკავებთ. დაფისკენ ვიყურები. რაც მთავარია, გეგმა ადგილები – მტკიცე, შეუდრეკელი, უცვლელი და ჩემზე ბევრად ძლიერი! კმაყოფილი ვბრუნდები მოსწავლეებისკენ. მაგიდაზე მხვდება ერთი ცალი მარილიანი ჩხირი. ო, ძალიან დიდი მადლობა! გაკვეთილის ბოლოს ერთს კიდევ მოგცემთ, მამშვიდებენ ბოლოდან. მეც რაღა დამრჩენია, ვმშვიდდები და ვიწყებ.

არა, მასწავლებლობა ნამდვილად არასდროს მდომებია! არც მაშინ, როცა ჩემს ცხოვრებას ვგეგმავდი და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე და არც მერე, როცა გამოცდების წინ მეგობრებს სხვადასხვა საგანში ვამეცადინებდი, ვხსნიდი, ვწერდი და ვიბარებდი, რომ ყველაფერი უკეთ გაეგოთ. იქნებ, ჟურნალისტი გავხდე, ვფიქრობდი ლამლამობით, ცნობილი ადამიანებისგან ინტერვიუებს ავიღებ ან რომელიმე კონფლიქტის ეპიცენტრში წავალ. მერე ამ ოცნებებში ჩამეძინებოდა, რომელიმე სქელტანიან წიგნზე თავმიდებულს.

ოთხშაბათი

გაკვეთილებზე ყოველთვის ფსიქოლოგიურად და მორალურად მომზადებული შევდივარ, მოტივირებული და ფრთაშესხმული წიგნების ხმოვანი ციტატებით, მაგალითად, ამ ტიპის: HOMINEM QUAERO! – ადამიანს დავეძებ! (ანუ, ბავშვებო, ვეძებ რაღაც განსაკუთრებულს და თქვენ შორის არის ვინმე ასეთი?) ან NULLA DIES SINE LINEA! – არც ერთი დღე ხაზის გარეშე! (იშრომეთ მუყაითად, ერთი წუთიც კი არ გამოტოვოთ, თორემ ვერაფერს მიაღწევთ!) და შეიარაღებული მეტად საინტერესო პროფესიული სტატიებით, დაახლოებით ამგვარი სათაურებით: როგორ გავუმკლავდეთ კლასში პრობლემურ მოსწავლეებს? ან მეორე – ბავშვები მერხთან და მერხის ქვეშ, ან სულაც – როგორ შევინარჩუნოთ სიმშვიდე მაშინ, როდესაც ეს სრულიად წარმოუდგენელია?

დიახ, ეს ჩემი შეკითხვაა, მაგრამ არა რიტორიკული. მას აქვს მკვეთრად განსაზღვრული, ზუსტი, ჩამოყალიბებული პასუხი: სიმშვიდის შენარჩუნება ძალიან მარტივია, თუკი ნერვული მოძრაობით უკან გადაიყრი თმებს, განსაკუთრებით გაშლილს, რამდენჯერმე მონდომებით გადაყლაპავ ნერწყვს, ამოისუნთქავ ღრმად და ძლიერად, წარმოიდგენ, რომ ხელი მოუჭირე ყველა ტყლარწს, რომელიც გაკვეთილის დაწყებამდე ჩამოართვი ათიოდ მოსწავლეს და სწრაფად, ყველა მიმართულებით აამუშავებ ტვინს, რომ, იქნებ, სადმე, პასიური მეხსიერების კუნჭულში იპოვო რაიმე საინტერესო აქტივობა, დაუმატო ინფორმაცია მებობელი დისციპლინიდან, მაგალითად, ისტორიიდან, შეაზავო ბავშვური ენთუზიაზმით და მოაფრქვიო თამაშისას განცდილი ემოციების მეასედი მაინც. და უცებ: არა, მაინც წარმოგიდგენიათ, როგორ იბრძოდა ასეთი ძლიერი, დიდებული და უცნაური რაინდი? წარმოგიდგენიათ, როგორ შეძლო, წამში დაეხოცა თორმეტი ადამიანი? ამ დროს თვალის გუგები ოდნავ ფართოვდება, სახეები ნათდება და ხელების ტყე მალლა მოიწვეს. ვიცი, რა ქარაშოტიც დამაცნობა და ნელ-ნელა დაფისკენ ვიხევ. ისიც ვიცი, რომ გეგმა ველარაფერს მიშველის! მას, ის მონები შუაზე გადაჭრა თუ სიგრძეზე? – მმმმ, ზუუუსტაააად არ ვიცი, მაგრამ, ალბათ სიგრძეზე, ასე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა! მას, მათრახი ერთი ხელის ხელა იყო თუ ორი ხელის ხელა? – ჩვენთვის ორი ხელის ხელა, დარწმუნებული ვარ! მას, მე არ მჯერა! – მეც მიჭირს დაჯერება, მაგრამ ფაქტია! მას, ვერ გავიგე, ასეთი მაგარი თუ იყო, რა ატირებდა?... ამის შემდეგ ჩვენი საუბარი უკვე აღარ არის საინტერესო, რადგან აქ მე ვიწყებ საუბარს ეპოქაზე, კონტექსტზე, იმაზე და ამაზე. მაგრამ მოგვიანებით, ვიწრო ქუჩაზე სახლისკენ მომავალი, როცა ვგრძნობ, რომ იმაზე მეტად დავილაღე, ვიდრე მოველოდი, როცა უნებურად გამაღიზიანებს ნებისმიერი ხმაური, რომელიც სკოლის დერეფნების ხმაურს ოდნავ მაინც ჩამოჰგავს და როცა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, დაკვირვებით ვაცქერდები ნებისმიერ შემხვედრ ათი-თხუთმეტი წლის ბავშვს (ისე მოლასლასებს, ალბათ, გაკვეთილებზეც ეძინა! როგორ ესაუბრება ბებიას, რა გამართული ქართულით!), მაინც ამაყი ვიქნები, რადგან სინდისი ისეთივე სუფთა მექნება, როგორც რომაელ კონსულს, რომელიც რიტორიკის გაკვეთილის შემდეგ ამბობს – *FECI QUOD POTUI, FACIANT MELIORA POTENTES!* გავაკეთე რაც შეეძელი, ვისაც შეუძლია, უკეთ გააკეთოს!

გაკვეთილების მერე ჩქარა ვიხურავ ქუდს და გამომცემლობაში მივდივარ ნათხოვარი წიგნების დასაბრუნებლად. მაგრამ იქ გამომცემლობა კი არა, სარეკლამო კომპანია მხვდება. სხვაგან გადავიდნენ, მაგრამ თუ რეკლამა გჭირდებათ,

დაგიმზადებთო. სხვა დროს მოგმართავთ-მეთქი და მერე, სანამ სწორ მისამართზე მივალ, მთელი გზა ვფიქრობ, რისი რეკლამა შეიძლება და დამეკვთა და თავში მხოლოდ უცნაური ფრაზები მიტრიალებს: იყავი ჭკვიანი, ისწავლე ბევრი! არ დაკარგო დრო, იკითხე ყოველ დღე! არ გაუშვა შანსი, ენდე მასწავლებელს! მაგრამ ვერაფრით ვწყვეტ, რისი რეკლამა იქნება ეს, ვერც კი ვრითმავ.

ადრე, როცა გამომცემლობაში რედაქტორად დავიწყე მუშაობა, საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ საბავშვო წიგნების ადაპტირებას მომანდობდნენ. გამომცემელმა დიდხანს იფიქრა, იმსჯელა, ასჯერ გაზომა და ბოლოს გაჭრა:

– საბავშვო ტექსტებზე უნდა იმუშავო, – გამომიტანა განაჩენი, – ვფიქრობ, გამოგდის!

მეც ვიჯექი და საათობით ვამოკლებდი ტექსტებს, ვშლიდი წინადადებებს, ვცვლიდი ლექსიკას.

– ასე არ გამოვა, – თქვა გამომცემელმა, – ბავშვებზე უნდა იფიქრო, ბავშვები უნდა წარმოიდგინო!

და მეც წარმოვიდგინე ბავშვები: მალღები, დაბლები, ჭკვიანები, ცელქები, მხიარულები, დინჯები... ტექსტებმაც ამოისუნთქეს და მეც. მე და გამომცემელი შეცდომებს ერთად ვასწორებდით, რამდენიმე გრამატიკულ ნორმას შეგნებულად, მთავარი რედაქტორისგან მალულად ვარღვევდით და „დაქანცულები“ სამხარეულოში გავდიოდით ჩაის დასალევად. გამომცემლობაში ჩაის კულტი იყო, ყავა რომ მეთხოვა, რალაცნაირად მერიდებოდა. ერთხელ გამჭვირვალე ჭიქაში პატარა კოკორი ჩადეს და ცხელი წყალი დაასხეს. კოკორი მაშინვე გაიფურჩქნა და მშვენიერ ყვავილად გადაიქცა. გამომცემელმა მითხრა, ეს ჩაია და ახლა დალიეო. მე კი უფრო სიცოცხლის ელექსირს მივამსგავსე.

მერე ჩაის სმისას იმაზე ვსაუბრობდით, ცოტათი ადრე ხომ არ არის თოთხმეტი წლის ბავშვებისთვის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება და გაბეპირება. იქნებ, ჯობდეს, მხოლოდ შინაარსის მიწოდება ან სწავლების რაიმე სხვა ფორმის მოძიება? ამას ის ამბობდა, მე კი არ ვიცე, დავთანხმებოდი თუ არა, რა სჯობს – რომ ბედს მივანდოთ „ვეფხისტყაოსანი“ იმ იმედით, რომ ოდესმე ვინმე შეთხვევით მაინც წაიკითხავს, თუ ადრეულ ასაკშივე ვაიძულოთ მისი გაბეპირება ისე, რომ ტექსტის არსს ვერ წვდებოდნენ? მაშინ ვფიქრობდი, რომ ამ საკითხში ექსპერტად არ გამოვდგებოდი, რადგან თოთხმეტი წლის ასაკში, ანუ „ვეფხისტყაოსნის ასაკში“, ორი საყვარელი წიგნი მქონდა, „დანაშაული და სასჯელი“ და „პეპი გრძელწინდა“, და ორივე ერთნაირად მიყვარდა. მაგრამ მახსოვს, ჩემს თავს ვუთხარი, მე რომ მასწავლებელი ვიყო, არ ვიცე, როგორ,

მაგრამ ჩუმ-ჩუმად სულ ვასწავლიდი „ვეფხისტყაოსანს“, ერთ სტროფს, ერთი პერსონაჟის თავგადასავალს ან ერთ ამბავს მაინც-მეთქი.

ძალიან მომწონდა, რასაც მაშინ ვაკეთებდი, სულ არ ვფიქრობდი მასწავლებლობაზე!

ხუთშაბათი

ხანდახან ცუდ სიზმრებსაც ვხედავ. მაგალითად, ვატარებ გაკვეთილს რომელიღაც მე-8³ კლასში. მე დაფასთან ვდგავარ, მაგრამ არავინ მიყურებს, სანაცვლოდ ვხედავ მფრინავ პენლებს, ხანჯლებად აღმართულ ფანქრებს, ფურცლის რაკეტებსა და ხარახურის წვიმას. მხოლოდ ერთი, ფანჯარასთან მჯდომი მოსწავლე ასრულებს დავალებას. აი, ჩემი გამარჯვება, ვფიქრობ ჩემთვის, ვუახლოვდები და ნაწერს დავცქერი. კადრი ახლოვდება, მაგრამ ვერაფერს ვარკვევ, სულ ვერაფერს... ნაწერის ამოკითხვა შეუძლებელია. მე კი შეძრწუნებული გამოვრბივარ კლასიდან. ან მეორე სიზმარი: ვატარებ სამოდელიო გაკვეთილს, უამრავი ადამიანი მესწრება, მე დაუსრულებლად ვლაპარაკობ. ზარი ირეკება, დამსწრეებიც იშმუშნებიან, ბავშვები ღელავენ, მე ისევ არ ვჩერდები, ისევ ბევრი მაქვს სათქმელი...

დღესაც რაღაც მსგავსი მესიზმრა, თუმცა ყურადღებას არ ვაქცევ და კლასს ქარბორბალასავით ვესხმი თავს, გაღიმებული ვყრი მაგიდაზე წიგნებსა და რვეულებს, ვივიწყებ გეგმებს, სკოლის შინაგანაწესს და ვაპირებ, ჩავატარო მხატვრული წერის გაკვეთილი, შედეგად კი ყველა შთაგონებით აღვსილი გაეშუშა სახლში. ბევრს ვსაუბრობ, ვკითხულობ, ვხაზავ დიაგრამებს და ვხლართავ ქსელებს, მაგრამ თავისუფალი თემები და ჩემი თხოვნა, გაიხსენონ რაიმე საინტერესო და უცნაური ამბავი მათი უახლოესი წარსულიდან, მოსწავლეებს ისე ამხიარულებს, რომ თხრობას ჯერ მეგობრებზე, სკოლაზე, ცეკვის გაკვეთილებზე იწყებენ, მერე კი გადადიან ოჯახზე, საგვარეულოზე, ჰორიზონტებზე, ხელეხს მალლა აღმართავენ, ხმას უწევენ, ფრთებს შლიან... როცა იმ მდგომარეობამდე მივდივართ, რომ ვხვდები, საცაა დერეფანში გამვლელები განგაშის ზარს შემოჰკრავენ, ყველაფერს მაშინვე ვწყვეტ და დასაწერად ვაძლეე ამქვეყნად ყველაზე მოსაწყენ დავალებას: უპასუხეთ შეკითხვებს სახელმძღვანელოდან. მოკლედ, ვხვდები, რომ ჩემი შთაგონების მეთოდს ერთი გაკვეთილი ვერ იტევს და ახლა თავი უნდა ვიმტვრიო, რომ რაიმე ახალი მოვიგონო!

კლასიდან დაქანცული გამოვდივარ და ვნატრობ, ვინმეს გადავყვარო, ვინც ცოტათი მანუგეშებს და მეტყვის, რომ არაფერია, ხანდახან მასაც ემართება ასეთი

რამ, რომ ქაოსი ჩვეულებრივი ამბავია და რომ ხანდახან ჩვენ და მოსწავლეებს არ გვესმის ერთმანეთის. ვიცი, რომ შესვენებაზე არავის სცალია, მით უმეტეს ემოციების გასაზიარებლად, მაგრამ სამასწავლებლოში მაინც ვიჭყიტები. ფიზიკის მასწავლებელი უზარმაზარი თერმოსიდან დინჯად სვამს ყავას. ეჰ, ალბათ, ჩანთაში საჭმელიც უდევს და თვის ყველა ნიშანიც დაწერილი აქვს-მეთქი, ვფიქრობ და ნერწყვს ვყლაპავ. იქვე დგას ჰაეროვანი ქართულის მასწავლებელი და ყვება, როგორ გადაწყვიტა ცეკვაზე სიარული და, კარგი მონაცემების გამო, როგორ შესთავაზეს პირველივე გაკვეთილზე კანკანის ცეკვა. არადა სერიოზული სტუდია ჩანდა, განცხადებაში ეწერა, ასწავლიან პროფესიონალებიო. ვიღაც შოკოლადის ფილას მაწვდის, ვიღაც კი მეუბნება, რომ ჩემი პროექტი, სკოლის ლიტერატურული ჟურნალი, აუცილებლად დაფინანსდება. მაშინვე ვივიწყებ ყველა გასაჭირს და ცუდ სიზმრებს, ხტუნვა-ხტუნვით ჩავრბივარ კიბეზე და გზაში იმასაც ვხვდები, როგორ უნდა ჩავატარო მხატვრული წერის გაკვეთილი ისე, რომ დირექტორის, ხელმძღვანელის, დისციპლინის გამკონტროლებლის, მეზობელი კლასების პედაგოგების, დამლაგებლებისა და სხვა კეთილმოსურნეების რისხვა არ დავიმსახურო.

ვინ წარმოიდგენდა, რომ მასწავლებელი გავხდებოდი! არადა, საბავშვო წიგნების ტექსტების შედგენის პარალელურად, რამდენიმე წელი ვიმუშავე ტრენერის ასისტენტად და ოცკაციან ჯგუფებს ვასწავლიდი, როგორ უნდა ემართათ კონფლიქტი და მოეძებნათ სწორი ფორმულირება, რათა უკეთ ჩამოეყალიბებინათ აზრი და გაეუმჯობესებინათ კომუნიკაცია!

პარასკევი

დღეს პარასკევია, კვირის დასასრული. მე და ჩემი მოსწავლეები საინტერესო ამბებს ვგვემავთ:

– წიგნს ერთი თვის განმავლობაში წაიკითხავთ, მერე პრეზენტაციებს მოვაწყობთ, მერე თხზულებებს დავწერთ, გამარჯვებულს განსაკუთრებული საჩუქარი გადაეცემა, – თვალები უბრწყინავთ და ხელები უცახცახებთ. ნელა ვშლი ხელის გულს, სადაც რამდენიმე წიგნის ფორმის საშლელი მიდევს. კლასი გუგუნებს!

- მას, კალიგრაფიას ყურადღებას მიაქცევთ?
 - მას, რამდენი გვერდი უნდა იყოს?
 - მას, გამოდის, რამდენიმე გამარჯვებული იქნება?
 - აუ, როგორ მინდა მოგება!
- მე კი უკვე მოგებულად ვგრძნობ თავს!

არადა ყველაფერი სხვაგვარად დაიწყო:

– მასწავლებელი ვხდები! – ამ სიტყვებმა ექოსავით გადაუარა ჩემს ნათესავებსა და ახლობლებს.

– ჰო, მაგრამ... – გაცხებულა ჩემი ერთი მეგობარი.

– იმედია, ბევრი იფიქრე, – ამბობს მეორე.

– დარწმუნებული ხარ? – მირეკავს დედა.

– იცი, ალბათ, რაც მოგელის, – მეუბნება კეთილისმყოფელი.

ვიცი, რა თქმა უნდა, ვიცი! მელის უამრავი ადამიანი და ზღვა ემოცია, მრავალფეროვანი ცხოვრება და მუდმივი ბრძოლა თვითგანვითარებისთვის, ჭიდილი, ლოდინი, წარმატება, წარუმატებლობა, სიხარული და იმედგაცრუება, სითბო, შიში, შთაგონება და შფოთვა! ვიცი, ყველაფერი ვიცი!

შაბათი

დასვენების დღეა, ჩემს შვილებს ჯერ ისევ სძინავთ, მე კი ფანჯარასთან ვზივარ და თავაუღებლად ვწერ ამ ყველაფერზე. ვწერ იმაზე, რაზეც გამუდმებით ვფიქრობ, რასაც ყოველდღიურად ვხედავ და რაც მიყვარს. მე ხომ მასწავლებელი ვარ და ძალიან ბევრი რამ ვიცი. მაგალითად, ვიცი ერთი პატარა ბიჭის ამბავი, რომელიც სკოლის დერეფანში დამეწია და ჩემი მაჯის ზომა აიღო, რომ ძაფის სამაჯური დაეწნა. ვიცი იმ გოგოს ისტორიაც, რომელმაც იმდენი იკითხა, რომ ბოლოს გადაწყვიტა, თავადაც დაეწერა რამე. მერე სირცხვილის გრძობა დაძლია და მე მომიტანა, რომ რაიმე კარგი მეთქვა მისთვის. იმ ბიჭის ამბავიც ვიცი, რომელიც მუდმივად მეწინააღმდეგება და არასდროს მეთანხმება, მაგრამ მოწყენილობისას წერილებს მწერს. იმ მოსწავლეების ისტორიებიც კარგად მაგონდება, რომლებიც წიგნიდან წიგნზე დახტიან და გულის ფანცქალით ელიან ჩემს დანახვას, რომ კიდევ და კიდევ ვუთხრა ახალი ავტორების სახელები და, უკვე მერამდენედ, წიგნის სამყაროში გავამგზავრო. იმ მოსწავლის ამბავიც კარგად მახსოვს, რომელიც, როცა გაკვეთილით ძალიან დაინტერესდება ხოლმე, სხვებს დაჩურჩულების უფლებასაც არ აძლევს, რომ ხელი არ შეეშალოს და ისიც კი ვიცი, რომ ერთ ბიჭუნას ჰგონია არ მიყვარს, რადგან მისთვის სასურველ ნიშანს არ ვუწერ, არადა ცდება. მე კი ეს შეცდომა ღიმილს მგვრის.

– მას, ძალიან გიხდებათ ყვითელი! – მესმის მისი ხმა სადღაც დერეფნის ბოლოში.

მე ვიღიმი, წელში ვიმართები და ლაღად ვაგრძელებ გზას. არა, მანც რა კარგი რამეა ეს მასწავლებლობა!

მასწავლებლის დღიური

ჩანაწერი N1 – პირველი გაკვეთილი

26 აპრილი, 2013

სიმართლე გითხრათ, არასოდეს მიოცნებია მასწავლებლობაზე. მეტიც, ვერაფრით წარმომედგინა თავი დაფასთან, კლასის წინაშე, გაკვეთილის ახსნის პროცესში. მასწავლებლებს ყოველთვის გმირებად მოვიხსენიებდი და ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე მეც ჩავატარებდი გაკვეთილს და საკუთარ თავზე გამოვცდიდი ამ ამოუხსნელი, „ტკბილ-მწარე“ პროცესის ჯაღოსნურ ძალას.

ეს ამბავი კი ასე მოხდა: ერთი თვის წინ ჩემმა მეგობრებმა საქველმოქმედო საკვირაო სკოლა გახსნეს და ქართულის მასწავლებლობა შემომთავაზეს. სიხარულით დავთანხმდი ამ პროექტში მონაწილეობაზე, მაგრამ მერე ეჭვებმა არ მომასვენა. გაკვეთილთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაულახავ რუბიკონად მეჩვენებოდა. საბოლოოდ პასუხისმგებლობის გრძნობამ და ბავშვებთან მუშაობის სურვილმა თავისი გაიტანა და ჩემი პირველი გაკვეთილის დღეც დადგა.



ახლაც ცხადად ვხედავ, როგორ მიიჩქარის ექვსიოდე წლის მუხლებგადაყვლეფილი სიფრიფანა გოგო მძიმე ჩანთითა და ჩანთაზე მეტად დამძიმებული გულით სკოლისაკენ...

ვერ მოგატყუებთ, ვერაფრით ვიხსენებ პირველ გაკვეთილს. მხოლოდ ის შიში მახსოვს, უცნობი საფრთხის წინაშე რომ ხელ-ფეხს გიბოჭავს. სამწუხაროდ, დაწყებით კლასებთან არცთუ სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. სკოლის ეს საფეხური ჩემთვის გამართულ ზურგებს უკან გადატვლილი ხელების, შეკრული სუნთქვის, მასწავლებლის შეუვალი გამომეტყველებისა და შეურაცხმყოფელი კომენტარების, „მემარცხენეობისთვის“ ამოქმედებული სახაზავისა და მელნის ლაქის გამო აწითლებული ყურის ეპოქაა, რომელში დაბრუნებას წარმოსახვითაც არ ვისურვებდი. ამ საკითხზე ჩემამდე იმდენი

რამ თქმულა, აღარ გავაგრძელებ. თანაც, თუ მეოცე საუკუნის გამოჩენილ ამერიკელ პედაგოგს, დეილ კარნეგის გავისხენებთ, არ არსებობენ ცუდი ადამიანები, არსებობს მხოლოდ გაუგებარი გარემოებები, რომლებთან ბრძოლაც შესაძლებელია და არ ღირს, ამისთვის სხვებს ცხოვრება და ხასიათი გაუფუჭო.

საბედნიეროდ, ჩემს ცხოვრებაშიც გამოჩნდა მასწავლებელი, რომლის შემოსვლა ჩემს ჩაბნელებულ, უინტერესო სასკოლო ყოფაში მზის ამოსვლას ჰგავდა. მუსიკალური გიმნაზიის მეცხრე კლასში ვსწავლობდი, როცა ფორტეპიანოს პედაგოგი შემიცვალეს. მანამდე არასდროს მცოლია მამაკაცი-მასწავლებელი და შეშინებულმა შევალე მისი კლასის კარი... პირველ გაკვეთილზე მიღებული შთაბეჭდილება დღემდე არ გამხუნებია. წილად მხვდა ბედნიერება, მესწავლა ყველაზე დახვეწილ, მომთმენ და გაწონასწორებულ ადამიანთან, ვისაც კი მანამდე შევხვედროდი.

არ ვიცი, ჩემი მასწავლებელი რამდენად კარგად იცნობდა მსოფლიოს საუკეთესო პედაგოგთა ცხოვრებასა და ნოვატორულ ნაშრომებს, მაგრამ ცნობილი ბელორუსი პედაგოგის, ვალერი გარბუტოვის მსგავსად, ხშირად შევუქივარ ნაწარმოების უსუფთაო შესრულების შემდეგ. მისგან მივიღე პირველად სიტყვიერი შეფასებები, დღეს განმავითარებელ კომენტარს რომ ეძახიან, მაგალითად: „ხედავ, ბევრი გიმუშავია, ამისთვის მადლობას გიხდის. ძალიან გამახარებ, თუ ნაწარმოების ამა თუ იმ მონაკვეთს უფრო მეტად დახვეწ“, – და ა.შ. დიახ, ამ ადამიანს ეგებ არც კი გაეგონა მაკარენკოს, მონტესორისა და სხვა გამოჩენილ პედაგოგთა ნოვატორული იდეების შესახებ, მაგრამ ის იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც ჩემი შესაძლებლობების მიხედვით შემაფასა, მოტივაცია ამიძალდა და საკუთარი შრომის ობიექტურად შეფასებაც მასწავლა.

მუსიკის გაკვეთილი საღამოობით მქონდა და ხშირად დაღამებულზე გამოვდიოდით სკოლიდან. იქვე ვცხოვრობდი, მაგრამ მასწავლებელი სახლამდე მაინც მაცილებდა. მახსოვს, კინო უყვარდა. გაუთავებლად მიყვებოდა ლუი დე ფიუნესზე, ჩარლი ჩაპლინსა და მარლენ დიტრიხზე.

90-იან წლებში ნოტების წიგნი ძნელი საშოვნელი იყო, მოსწავლეები ძირითადად ქსეროასლებით ვსარგებლობდით. სანოტო რვეულში ხელითაც გადამიწერია ქართული ხალხური სიმღერების პარტიტურები, ბეთჰოვენის, ბახისა და მოცარტის საფორტეპიანო ნაწარმოებები. ერთხელაც ამ ხელნაწერი ნოტებით მივედი ფორტეპიანოს გაკვეთილზე, მეორე დღეს კი მასწავ-

ლებელმა თეთრი, პრიალა ფურცლების ყდაში მოქცეული ამავე ნაწარმოების ქსეროასლი მაჩუქა. მას მერე ხშირად მამარაგებდა საკუთარი ხელით დამზადებული სანოტო წიგნებით.

იმ წელს, საშუალო მუსიკალური მონაცემებისა და მოკლე თითების მიუხედავად, ჩემი სასკოლო „მიღწევების“ ფონზე ყველაზე კარგი ნიშანი მივიღე ფორტეპიანოს გამოცდაში.

მერე დაიწყო თვითმეფასება-გადაფასების პერიოდი. საბოლოოდ, გადავწყვიტე, რომ კონსერვატორიის კარი ჩემთვის წიქარას ცხრაკლიტულზე ძნელი შესამტვრევი იყო და ამით დამთავრდა ჩემი და ჩემი საუკეთესო მასწავლებლის შეხვედრები.

დღემდე ტკბილად მახსენდება ფორტეპიანოს გაკვეთილები, მასთან ერთად მუსიკალური ლიტერატურის მასწავლებლის (ამ ადამიანზე კიდევ ერთი ვრცელი წერილი დაიწერებოდა, მაგრამ ახლა თავს აღარ შეგაწყენთ) მიერ გამოცდაზე მოტანილი ნამცხვარი „შუ“ და ჩვენი წარმოსახვითი, საკუთარ შეგრძნებებზე დაყრდნობით მუსიკალური ნაწარმოებების „გარჩევები“.

აი, ასეთი გახლავთ ჩემი ნაომარი წლებივით გაცრეცილი, მაგრამ მაინც მაჭორული მოგონებები სკოლაზე.



იმ დღეს, როდესაც ჩემი პირველი გაკვეთილის ჩასატარებლად მივდიოდი, თითქოს თავიდან გავიარე სკოლის წლები და მთელი ის სასწავლო პროცესი, რომელმაც, მართალია, დიდ პიანისტად ან მუსიკათმცოდნედ ვერ მაქცია, მაგრამ მასწავლა კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა, სხვისი და საკუთარი თავის მოსმენა. მას, ვისაც ჩემსავით ეშინია, ხვალ ან ზევ შეაღოს საკლასო ოთახის კარი და ღიმილით თქვას: „გამარჯობა, ბავშვებო“, – ვურჩევდი, გაიხსენოს თავისი ბავშვობის ყველაზე დაუვიწყარი გაკვეთილი და იქნებ მიაგნოს კიდევ იმ იდუმალ ძაფს, რომლითაც მისი საყვარელი მასწავლებელი ერთი შეხედვით ჩვეულებრივ გაკვეთილებს „ავვირისტებდა“.

როცა პირველი გაკვეთილის გეგმას ვწერდი, მეგონა, მე უნდა მეკითხა და მათ ეპასუხათ, მე უნდა მესწავლებინა და მათ ესწავლათ (აი, ასე, მარტივად), მაგრამ შევალე თუ არა გაკვეთილის კარი და აკანკალებული ხმით მივესალმე მოსწავლეებს, გამახსენდა ჩემი პირადი „ტაქსონომია“, რომელმაც, მოსწავლეთა ხმის ტემბრიდან დაწყებული, დაეჭვებული მხერით დამთავრებული, ყველა იმპულსი გადავზომე და...

დავიწყე

ჩანაწერი N2 – საფობიეთი

23 სექტემბერი, 2013

აი, ახალი სასწავლო წლის პირველი კვირაც დამთავრდა და ცხრამეტ მეორეკლასელთან ერთად, ახალი საკუთარი თავიც გავიცანი. მიუხედავად თეორიული მზადყოფნისა, უამრავი შეცდომა დავუშვი და კლასიც და ხმაც ერთდროულად „გამექცა“, პირველად ვიტყვი უფროსის კაბინეტში, გადავიტყავე მუხლები, ეჭვი შევიტანე საკუთარ ძალებში და ბოლოს, მგლის შიშით ლამის ცხვარიც გავწყვიტე, ანუ სასოწარკვეთაში ჩავვარდი... „ვიჯექ სასოწარკვეთაში, როგორც მგლისათვის გათხრილ ბნელ ორმოში და ველოდებოდი მგელს. მგელი, სამწუხაროდ, სასოწარკვეთაში არ ჩამოვარდნილა“, პირიქით, თავზე ერთგული ძაღლივით დამწკმუტუნებდა და წამოდგომას მთხოვდა.

აქამდე თავი საკმაოდ დიდი და ძლიერი მეგონა, მაგრამ მოულოდნელობის ტყიდან გამოვარდნილი უცნობი მტაცებელი (სქლიოფობია – სკოლის შიში) შტორმივით დამატყდა თავს და ეს ჩემი მრავალ ქარიშხალგამოვლილი ნებისყოფა ხუხულასავით, სულის ერთი შებერვით, დამინგრია, მერე კი თავად გამომიწოდა დახმარების ხელი. სწორედ ამ ახლად შეძენილ–დამეგობრებულმა ფობიამ გამახსენა მთელი ჩემი ბავშვობის საფობიეთი, მოშინაურებული მგლები და მათთან ერთად შიშის ყველა კუთხე-კუნჭულში შეჭყეტილი გოგო.



1993 წლის პირველი თვე იდგა. ეს უხვთოვლიანი ზამთარი სახლიდან ჭიმკრამდე გაცვანილი თოვლის გვირაბების, მოხარშული სიმინდისა და ლუმელში შებრაწული დაშაქრული ვაშლის სურნელით სავსე საღამოების გარდა, ათიოდე წლის გოგოს დამოუკიდებლად მიღებულ პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მახსენებს. სწორედ მაშინ გადავწყვიტე პერსონალური საფობიეთის მოშინაურება, თუმცა წარმოდგენაც არ მქონდა, სად მდებარეობდა ეს მხარე და იმ ერთადერთ „გზის მაჩვენებელს“ გავყვი, ჩვენი სახლის უკანა ეზოში რომ მეგულებოდა.

ბატონი ნიქტო(ფობია) ქალბატონ მელანო(ფობია)სთან მეგობრობდა. ის დაღამებისთანავე უზარმაზარი ჩრდილის მოსახსამს მოიგდებდა მხრებზე და ყორანივით შავი კაბის ფრიალ–შრიალით მონარნარებულ „მელანოს“ ტანგოს ეცეკვებოდა. ამ „ცაცეკვაო მოედანზე“ მართო გასვლას ყოველთვის ვარიდებდი თავს. მაგრამ ერთ საღამოსაც ქათმების განწირულმა კრიახმა მა-

იძულა ბეწვის ხიდიც გადამერბინა და ულრან ტყეში, ანუ ღამის იდუმალებით ერთიორად გადიდებული საქათმის მიწაზე დამედგა ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პატარა გოგოს მსგავსად, შუაგულ საზღაპრეთში ვცხოვრობდი, გზის გამოსაგნებად თოვლიან ბილიკზე პურის ნამცეცები არ დამიყრია (არა-და, დღისით, ბაბუასეულ უზარმაზარ ბაღში შესვლისას, ხშირად ვიქცეოდი ასე). ახლაც ვგრძნობ, როგორ მეხვეოდნენ აჩურჩულებული ჩრდილები, მიძვრებოდნენ ქურთუკის საყელოში, თვალებში. შიში ჩემს სხეულს ტალღასავით ეხეთქებოდა და სახლისკენ მიბიძგებდა, მაგრამ რადგან გადავწყვიტე, უკან დახევა აღარ ვიკადრე და შედეგად ორიოდე ქათამი მაინც გადაურჩა ტურის მსგავსი არსების კლანჭებს. როგორც ჩანს, ჩემს საფობიეთში ალეკროფობია, ანუ ქათმების შიში არ ბინადრობდა, ან უფრო ადრე, ღრმა ბავშვობის ბინდბუნდში მოვიშინაურე და არ მახსოვს.

შემდეგ მელისოფობიის (მელიისა არ გეგონოთ) – ფუტკრების შიშის კარმიდამოს მივადექი. ალბათ ყველას გახსოვთ ვინი პუჰი – „საავდრო ღრუბელი“ თაფლის მოპარვას რომ განიზრახავს. ჰოდა, მეც მას დავემსგავსე, ფუტკრებთან დამეგობრების თუ მოტყუების ყველა ბუშტი – მცდელობა რომ გამისკდა და ძირსაც მწარედ დავენარცხე. მელისოფობიის კარმიდამოში მეგობრობანას თამაში მასპინძლისათვის ფატალური, სტუმრისთვის კი გასიებული ცერა თითზე ალესილი დანის პირის დასმით დასრულდა. დავრჩით მე და ჩემი მკბენარა ფობია კონფლიქტური ზონებივით. მას მერე როცა ფუტკარს, ბზიკს ან უარეს შემთხვევაში, ბაზს ვხედავ, იან ლარის საკუთარ ეზოში მოხეტიალე კარიკასა და ვალიკას მსგავსად ვპატარავდები და უახლოესი თავშესაფრისკენ გავრბივარ.

ჩემი საფობიეთი ალბათ ფუტკრების ვერმოშინაურებას უნდა უმადლოდეს კიდევ ერთი დე-ფაქტო ტერიტორიის შემომატებას. ნემსის შიში(ენეტოფობია) ტკივილის შიშზე (ალგოფობია) ძლიერი აღმოჩნდა და ჩემდა საუბედუროდ, გულის წასვლის ფონზე გაკეთებული ანალიზების, არასდროსგაყუჩებული ყბებისა და გაცეხული სტომატოლოგების თვალწინ, კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება.

ცოტა რომ გავიზარდე, სადღაც მეთხუთმეტედან მეთექვსმეტე შემოდგომისკენ მიმავალ გზაზე ერთ ძალიან უცნაურ საფობიეთის მკვიდრს გადავეყარე. მაშინ უკვე პირველი სიყვარულის სურნელი იდგა ჩემს სამყაროში. შესაბამისად, საკუთარ მომავალზეც დავფიქრდი, რამდენიმე წლის იქით გადავიხედე და ეს ცოტათი მოსულელო, მაგრამ დიდი მაკვარანცხი ქალბატონი

მაგეიროკო (ფობია), ანუ საჭმლის მომზადების შიში დავლანდე. არ გეგონოთ, ოჯახი მშვიერი დამეტოვებინოს, მაგრამ როგორც ჩემი ერთი კულინარი მეგობარი ამბობს, ჩემს გაკეთებულ კერძებს შიშის გემო დაჰყვება (მარილის და სანელებლების გადაჭარბების მეშინია და ყოველთვის ვაკლებ).

კიდევ ერთი სასაცილო ფობია მახსენდება. კარადასავით დიდი, მჭექარეხმიანი და კიდევ, გუგულიანი კედლის საათების მეშინოდა. ჩემი ლამეული ისტერიკების წყალობით, ოჯახის საამაყო საგვარეულო რელიკვიამ დიდი ხნით სხვენზე დაიდო ბინა.

გავიდა დრო და სიყვარულის შემეშინდა, ფილოფობიის ფილოსოფიას ვერაფერი გავუგე და დაკარგული ტერიტორიების სიას მივუერთე. მაგრამ რა ვიცოდი, რომ ჩემ მიერ ასე დიდსულოვნად გათავისუფლებული მონა მთელ მონოფობიეთს (საკუთარი თავის შიში) ამიჯანყებდა და მისი ბატონობა ყველაზე დიდხანს გასტანდა. ამ პერიოდში ყველა მოშინაურებული მგელი გამიველურდა. სიბმრების ტყეში თავისუფლად დაძუნძულებდნენ ახალი მეთაურის – სომნიფობიის (ძილის შიში) თანხლებით, რომელიც ხანდახან ახლაც გამკრავს ხოლმე კბილს.

ამ სამიოდე წლის წინ მოვიკრიბე ძალა და ყველა ძველ თუ ახალ შიშს თვალეებში ჩავხედე. მათი უმეტესობა ნელ-ნელა გამიყუჩდა, ანუ ერთად ცხოვრება ვისწავლეთ. მთელ ამ საფობიეთში ერთადერთი შიში დამრჩა მოსაშინაურებელი და ამას მაშინ მივხვდი, როცა წალკის რაიონის ყველაზე მაღალ სოფელში მოვხვდი. ასე მეგონა, იმ თვალუწვდენელ, უხეო სივრცეში ბუშტივით ამაფრიალებდა ქარი და ველარაფერი დამიჭერდა დედამიწაზე. საქმიანი ვიზიტი რომ არა, ალბათ იმ დღესვე დავუბრუნდებოდი დედაქალაქს.

რაც შეეხება ბრბოს და ხმაურის პანიკურ შიშს, იგი ძალიან ძნელად საცნობი გამოდგა და სანამ სახელს მოვუძებნიდი, დამასწრო და თავად მომიშინაურა. მას მერე ყოველთვის მპოულობს ბევრ ხალხში და ხმაურში ჩაკარგულს და ღიმილით მახსენებს, რომ მიუხედავად შიშისა, მე მაინც ძალიან, ძალიან მიყვარს ადამიანები.



მოვა დრო, ჩემს მოსწავლეებს სწორედ ასეთ თამთა მასწავლებელს გავაცნობ და დამალობანას ნაცვლად, ჩემს ბეწვისხიდეებიან თამაშს ვასწავლი. ვინ იცის, ამ პატარა „წითელქუცებს“ რამდენი მგელი ჰყავთ მოსაშინაურებელი.

ჩანაწერი N3 – მოწინააღმდეგის საიდუმლო 16 სექტემბერი, 2015

მე დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ვარ!

ბევრს ჰგონია, ყველაზე ადვილი დაწყებითი კლასების მასწავლებლობაა. განა რა არის იმაში ძნელი, ანბანი და წერა-კითხვა ასწავლო?! არადა, სკოლის პირველ მერცხლებთან მუშაობა საძირკვლის გაჭრას ჰგავს. თუ საფუძველი სათანადოდ არ გაამაგრე, სახლს სუსტი ქარიც კი ჩამოანგრევს.

დავიწყებ თავიდან...

პირველკლასელთა მშობლები ყველაზე რთული საზოგადოებაა მათ შორის, ვისაც შევხვედრივარ. ეჩქარებათ შედეგის დანახვა, ერთი სული აქვთ, სანამ მათი შვილი სქელტანიან წიგნებს სხაპასხუპით წაიკითხავს და მაღაზიაში ხურდას ელვის სისწრაფით დაითვლის. შვილის „წარუმატებლობას“ ხშირად მასწავლებელს აბრალებენ, გამუდმებით ცდილობენ პასუხისმგებლობის ჩამოცილებას და კლასის დამრიგებლისთვის გადაბარებას, განსაკუთრებით კერძო სკოლებში – მიაჩნიათ, რომ რაკი ბავშვი ანაზღაურებად სასწავლო დაწესებულებას მიაბარეს, მათ არც თავიანთი შვილების პირადი ნივთების მოწესრიგება ევალებათ და არც საშინაო დავალების შესრულების პროცესში ჩართვა. გაკვირვებული უყურებენ მასწავლებელს, რომელიც მათ სახელმძღვანელოებისთვის დამცავი ყდის შემოკვრას ან დამატებითი სასწავლო ნივთების შეძენას სთხოვს (საჭირო ნივთებს სკოლა არ დაგვახვედრებს? დამრიგებელი ჩანთას არ აწესრიგებს?). გამოდის, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ ჯერ მშობელი უნდა „მოამზადოს“ მოსწავლეობისთვის, აუხსნას ორმხრივი ვალდებულებები და წინასწარ განსაზღვროს სკოლის/მასწავლებლის ფუნქციებში ჩარევის დოზა.

მშობლები ხშირად აპროტესტებენ სკოლის შინაგანაწესის სხვადასხვა პუნქტს: ბავშვის საგაკვეთილო პროცესიდან საპატიო მიზების გარეშე გაყვანას, სკოლის მენიუს, გარემოსა და სანიტარიულ ნორმებს, მერხსა და დაფას შორის მანძილს, ყველაზე ხშირად კი – სასკოლო ფორმას, რომელშიც უმეტესად თეთრი მაისური ფიგურირებს. გამოგიტყდებით, როგორც მშობელს, მეც ხშირად გამიპროტესტებია ეს საკითხი, რადგან ძნელია, თეთრი ტანსაცმლისა და ბავშვის შეუთავსებლობას დიდხანს გაუძლო. არადა, სასკოლო ფორმა ყოველ ნაბიჯზე გვახსენებს, რომ „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“. ასეთი მესიჯები მოსწავლეს საგრძნობლად უადვილებს ადაპტირებას. გარდა ამისა, ვის არ

ახსოვს, როგორი ამრეზით შესცქეროდნენ შეძლებული ოჯახების გამოპრანტული შვილები „ნაანდერძევ“ ფეხსაცმელებსა და გაცრეცილ ტანსაცმელში ჩამალულ თანატოლებს?! მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დრესკოდს ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს, სასკოლო ფორმა დღემდე აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს მრავალ წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ზოგჯერ გვავიწყდება, რომ სკოლა არა მარტო საგნობრივი ცოდნით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებითაც გვამარაგებს. დედისა და მამის „ყველაზე ნიჭიერი“ ნებიერები თანატოლთა საზოგადოებაში მოხვედრისას ხვდებიან, რომ ყველა გზა მათკენ არ მიდის და ძალიან უჭირთ ამ არასასიამოვნო აღმოჩენასთან შეგუება. სკოლა კი მათ ჯანსაღი კონკურენციისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავებაში უნდა დაეხმაროს.

მარტო ბავშვებს კი არა, ხშირად მშობლებსაც ეჩვენებათ, რომ მათ შვილებს უსამართლოდ ექცევიან (ნიშანს/ყურადღებას აკლებენ). აქედან გამომდინარე, გამუდმებით იწუნებენ ყველაფერს (სასწავლო მასალას, სწავლების მეთოდს, მასწავლებლის ფიზიკურ თუ გონებრივ შესაძლებლობებს...) და მიზანმიმართულად ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთა განეიტრალება მასწავლებლებს ხშირად უწევთ.

მოუსმინე, უთანაგრძნე და განმუხტე!

მასწავლებლის მთავარი იარაღი აქტიური მოსმენაა (თომას გორდონი აქტიური მოსმენის მეთოდს „კარის გაღებას“ უწოდებს). მას უნდა შეეძლოს დაშიფრული სათქმელის ამოცნობა, თავად კი ყოველთვის ცხადად და გარკვევით ილაპარაკოს, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ მის მიერ დაშიფრულ ინფორმაციას სწორად „თარგმნიან“.

მაგალითად, თუ მშობელი გეუბნებათ, რომ მის შვილს ჯერ კიდევ უჭირს კითხვა, ამით მიგანიშნებთ, რომ მეტი დრო უნდა დაუთმოთ ბავშვს ან თქვენს პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებს. ასეთ დროს თქვენი ინფორმაცია მოსწავლის განსხვავებული სასწავლო უნარების შესახებ კონტრარგუმენტად არ გამოდგება, რადგან მშობლების უმრავლესობა შვილის წარუმატებლობას სკოლას აბრალებს.

პირადი გამოცდილების საფუძველზე გეტყვით, თუ მასწავლებლობას აპირებთ, კამათის ხელოვნებასაც უნდა დაეუფლოთ. ყველაზე დაძაბულ სიტუაციაშიც კი სიმშვიდე მთავარ იარაღად გამოიყენეთ. რაც უნდა აბსურდული მოგეჩვენოთ მშობლის პრეტენზია, შეეცადეთ, ბოლომდე მოუსმინოთ – დაე,

უარყოფითი ენერჯისგან დაიცალოს. პასუხი დაიწყეთ ჯადოსნური სიტყვებით: „მესმის თქვენი“ (თანაგრძნობა), – მერე აუცილებლად გამოხატეთ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ (დაასაბუთეთ ფაქტებით) დაბოლოს ისევ ჯადოსნური სიტყვები მოიშველიეთ: „აუცილებლად გავითვალისწინებთ/განვიხილავთ თქვენს შენიშვნას“ (განმუხტვა). მრავლობით რიცხვში ნათქვამი წინადადებები შშობელს ტაქტიანად შეახსენებს, რომ თქვენ სკოლის ერთი პატარა ნაწილი ხართ და მის შვილზე ერთი ადამიანი კი არა, პროფესიონალთა გუნდი ზრუნავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, როგორი განწყობით ამზადებთ სათქმელს. საუბრისას აუცილებლად გაგცემთ სიტუაციისადმი თქვენი ნამდვილი დამოკიდებულება, რომელიც მზერიდან, ჟესტებიდან, დგომის მანერიდან დაუკითხავად ჟონავს და კიდევ უფრო აღრმავებს კონფლიქტის უფსკრულს. ნათქვამია, „თუ ვერ ცვლი გარემოს, უნდა შეიცვალო დამოკიდებულება მის მიმართ“. ურთიერთობის წარმართვისას განწყობას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საკუთარ თავზე მუშაობა კი არა მარტო სკოლაში, არამედ ყოველგვარ გარემოში ადამიანის პიროვნული ზრდის უმთავრესი კომპონენტია.

მასწავლებელი მოსწავლეები

მასწავლებლის მთავარ აუდიტორიას ბავშვები წარმოადგენენ. მათი ყურადღების მობილიზება გაუხედნავი ცხენის მორჯულებასავით ძნელია. ბევრს ჰგონია, რომ მოსწავლეთა მუდმივი კონტროლის ფონზე კლასი მართული ხდება. სინამდვილეში საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში აღვირის მოჭერა-მოშვება ერთმანეთს ისე უნდა ენაცვლებოდეს, როგორც ამას გაწაფული მხედარი აკეთებს. გამიგონია, ცხენზე ჯდომისას მის ნაწილად უნდა იქცე, თუ გსურს, შენგან კარგი მოჯირითე დადგესო. სკოლაშიც ასეა, მასწავლებელი კლასის გულისცემას უნდა გრძნობდეს – ისინი ხომ ერთად უნდა მივიდნენ ფინიშამდე.

მეორე მხრივ, კლასის მართვა არც კი დაგჭირდება, თუ გაკვეთილის დაწყების წინ სწორად განსაზღვრავ მოტივაციას. მასწავლებელი, რომელიც სათანადოდ აფასებს მოსწავლეთა მოტივირების მნიშვნელობას, გაკვეთილის ბოლოს ყოველთვის სასურველ შედეგს იღებს.

ჩაგიტარებიანთ გაკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით? გიკითხავთ ბავშვებისთვის, რისი შესწავლა სურთ თავად? გიფიქრიათ, რას ნიშნავს ბავშვისთვის „სწავლის პროცესი“ ან სად გადის ზღვარი სავალდებულოსა და

საინტერესოს შორის?! ეს ის კითხვებია, რომლებიც ყველა მასწავლებელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, რადგან სწავლა თითოეული ბავშვისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს. საგაკვეთილო პროცესი უფრო სასიამოვნო გახდება, თუ მოსწავლე მასში თავის წვლილს შეიტანს. ბავშვებს ძალიან მოსწონთ მასწავლებლის როლის მორგება, ამ დროს ერთდროულად სწავლობენ და ასწავლიან. მოზარდები ხომ საუკეთესო მაძიებლები არიან – თუ სკოლა მუდმივად დაუკმაყოფილებს ძიების წყურვილს, სასწავლო პროცესში მათი ჩართულობა სტაბილური იქნება.

ზემოაღნიშნული საკითხები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სწავლების დაწყებით საფეხურზე, რადგან თვითგამოხატვა და პროცესის თანამონაწილეობა პატარებს და მათ მშობლებს სკოლისადმი ნდობას უნერგავს და თანამშრომლობისთვის განაწყობს. სამწუხაროდ, სკოლის ძირითადი რესურსი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე იხარჯება, არადა დაწყებით კლასებში თითოეული ინდივიდის შესწავლას, მისი განსხვავებული უნარებისა და ინტერესების აღმოჩენასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.



მე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი ვარ და წელს ისევ თავიდან ვიწყებ ყოველი ახალი კარის გასაღების მოსაპოვებლად ბრძოლას. წარმატება მისურვებთ!

ჩანაწერი N4 – „გაგჷნას დღე“

16 ოქტომბერი, 2015

ამას წინათ ერთმა ნაცნობმა მკითხა: „მინც რა არის ყველაზე რთული მასწავლებლის პროფესიაში?“ პასუხის გაცემა გამიჭირდა. ახლა კი ვფიქრობ, რომ უზარმაზარ პასუხისმგებლობასთან, ურთიერთობათა რეგულირებასთან, ორ ცეცხლს შუა დგომასა და თავბრუდამხვევ ტემპთან ერთად ამ საქმიანობის რუტინულ ბუნებასაც დავასახელებდი.

განმარტებითი ლექსიკონი გვამცნობს, რომ რუტინა იმ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომლებიც მეორდება ხშირად და განსაზღვრული თანმიმდევრობით. ჩემთვის კი რუტინა ნიშნავს: მონატრებულ მეგობრებს, განაწყენებულ შვილს (რა ხანია, ერთად აღარ გვისეირნია), ბედს შეგუებულ მშობელს (იქნებ „ხვალ“ მინც მოვიცალო), გაიშვიათებულ კარგ განწყობას და წვრილმანებით – უანგი-

ანი ლურსმნებით გამოტენილ დღეებს. ხანდახან, როცა ამ ჯადოსნური წრიდან გაქცევას ახერხებ, ხვდები, რომ ოქტომბერი მართლაც „ლომფერია“ და უმიზნო სიხარულის შეგრძნებით სავსეს, ფოთოლცვენის ცქერაც კი გაბედნიერებს.

რა თქმა უნდა, ამ ქალაქში მარტო მასწავლებლები არ დაიარებიან ჩაშავებული უბეებით, გადაღლილი მხერთა და ჩახლენილი ხმით. მაინც რას ვაკეთებთ ასეთ განსაკუთრებულს?! – კვირიდან კვირამდე წითელ კვალს ვტოვებთ ათობით რვეულსა თუ ტესტში, მანამდე კი ამ რვეულების პატრონთა აზრებს ვალაგებთ. ვცდილობთ, თითოეულ მოსწავლეს თანაბრად ვერგოთ, თვალი დავუხუჭოთ გულგრილობას, ყური შევაჩვიოთ მოსალოდნელ ჭორებსა და უთანხმოებას, სკოლისთვის ჩვეულ გაუსაძლის ხმაურს... თან ამ ყველაფერს ზვარაკად ისე შევწიროთ მთელი სიცოცხლის სამყოფი დრო და ენერგია, საყვედურიც კი არ დაგვცდეს.

აი, რას გვავალებს მასწავლებლის ეთიკის კოდექსი:

უპირველეს ყოვლისა, „მოვიწესრიგოთ ქცევა“ და ვიქცეთ ფიზიკური და პროფესიული თვალსაზრისით „მისაღებ კანდიდატურად“; გავხდეთ უებრო ორატორები; განგებამ ურთიერთობათა მართვისა და თანამშრომლობის უნართაგ უნდა დაგვაჯილდოოს; გავუფრთხილდეთ არა მარტო ადამიანებს, არამედ სასკოლო ნივთებსაც და ვაწარმოოთ დოკუმენტაცია, რომელიც გაცილებით მეტ დროს გვართმევს, ვიდრე გაკვეთილების მომზადება და ჩატარება ერთად. ამასთან, გამუდმებით უნდა ვიბრუნოთ კვალიფიკაციის ამაღლებაზეც – დავესწროთ პროფესიულ ტრენინგებსა და გამოცდებს, ჩავებათ მასწავლებლების საერთო მართონში და ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯით გავიხანგრძლივოთ მასწავლებლის სტატუსის ტარების უფლება. იმაზე კი არავინ ფიქრობს, შეუძლია თუ არა ადამიანის ტვინს ამდენი საქმის ერთდროულად კეთება.

არსებობს კი საქართველოში ისეთი სამსახური, რომელიც სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ სახლში არ გამოგვეკიდება მაწანწალა ძაღლივით?! ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, მარტო მასწავლებლის პროფესიას არ ეხება. შეიძლება ითქვას, რუტინა ოცდამეერთე საუკუნის სამარკო ნიშნად იქცა, თანაც ისეთივე მოდურია, როგორც სპლინი სიმბოლისტების ეპოქაში.

პირველად, როცა ფილმი „ზამუნას დღე“ ვნახე, ვიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, კადრის რამდენჯერმე დატრიალებისა და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენების შანსი მართლა რომ გვეძლეოდეს-მეთქი. გავიდა ხანი და მივხვდი, რომ თითქმის იდენტური დღეების გამეორებამ შეიძლება ნებისმიერი ადამიანი აქციოს ატომურ ბომბად, რომელიც ყველაზე უხერხულ მომენტში აფეთქდება.

კონფუციის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, საკმარისია აკეთო ის, რაც გიყვარს და ცხოვრებაში არასოდეს მოგიწევს მუშაობა. თუმცა არც ასე მარტივადაა საქმე. თუ სასურველი პროფესიის ტყვედ იქცევი, მალე სიამოვნებას ვერც მისგან მიიღებ.

ადამიანთა უმრავლესობა სამსახურს აუცილებელ, გარდაუვალ ვალდებულებად მიიჩნევს. მათთვის ყოველი დილა ნიშნავს მალევიდარას ხმაზე გაღვიძებას, ნაჩქარევ საუბრეს და მრუდე ჩრდილს თვალთან, ფეხად გასწრებულ ავტობუსზე დარდს, ტრანსპორტში თითქმის ცალ ფეხზე დგომას და გაღიზიანებული მგზავრების უნებლიე მუკლუგუნების თმენას. სამსახურში შუადღის დადგომას ვერასოდეს იგრძნობ, საღამო კი დილის გზას ზედმიწევნით იმეორებს, ოღონდ პირიქით – სამსახურიდან სახლისკენ. მრავალი ჩვენგანი ამ მარშრუტს მხოლოდ სიცოცხლისთვის სამყოფი ლუკმაპურის მოსაპოვებლად გადის. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ადრე თუ გვიან რუტინას ეჩვევი, რადგან საკუთარი ცხოვრების გადაწყობას, ალტერნატიულ ვარიანტებზე ფიქრს, რამის შეცვლას მეტი გამბედაობა და საკუთარი თავის რწმენა სჭირდება.

თვითშეფასების ამაღლება მომბაზვრებელ ყოველდღიურობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი იარაღია, მის ჩამოყალიბებაზე მუშაობა კი სწორედ სკოლიდან იწყება. ისმის კითხვა: მასწავლებელი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე ვერ გარკვეულა, მოახერხებს მოზარდისთვის ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებას?!

ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება საკმაოდ რთული დავალებაა რუტინაში ჩაბმული ადამიანისთვის. თუ მას სტრესული სამსახურიდან თავის დაღწევის საშუალებას შესთავაზებთ, ის აუცილებლად მოიმიზნებს მიმდინარე პროექტს, თანაც არგუმენტებით დაგიმტკიცებთ, რომ თავს ვერ გაართმევდა თქვენ მიერ შეთავაზებულ მოვალეობებს. შესაძლოა, ამ ყველაფერს დაერთოს ასაკი, ოჯახური მდგომარეობა ან მარტო ცხოვრების თანამდევი პრობლემები. მოკლედ, დღევანდელი კვერცხის დაკარგვის შიშით ხვალინდელ ქათამს ცოტა თუ წაეპოტინება.

სინდისის ქენჯნა უცნაური რამ არის, მაინცდამაინც მაშინ ახსენდება, როცა სულის მოსათქმელად ყურსასმენებს ან სიზმრებს მიღმა ემალები. მეგობრებთან შერბენის დრო თუ გამონახე, გონება მაინც დასამთავრებელი საქმეებისკენ გაგირბის. თქვენი არ ვიცი და ჩემთვის რუტინულ ყოფაზე აუტანელი სწორედ ეს უცნაური დანაშაულის შეგრძნებაა, გადასარჩენად მოპარული ყოველი წამის გამო რომ გახრჩობს.

ორიოდე სიტყვას ერთფეროვნების ფერხულში ჩაბმული ადამიანების ემოციურ მდგომარეობაზეც ვიტყვი: ეჭვიანობა – ყველგან შეთქმულება ელანდებათ; სენსიტიურობა – ადვილად სწყინთ და იბუტებიან, შესაძლოა, მოულოდნელად ცრემლებიც კი წასკდეთ ან უმნიშვნელო წვრილმანზე აფეთქდნენ; საყოველთაო გულგრილობა – სირაქლემას პოზა, რუტინის უკანასკნელი სტადიით დაავადებულ ადამიანებს რომ ახასიათებთ.

როგორ უნდა განვიკურნოთ ამ ახალი მავნე ჩვევისგან?! უპირველეს ყოვლისა, ხშირად გადავუხვიოთ დასახულ გეგმებს (დასაწყისისთვის შინ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს დაბრუნებაც კმარა), უარყოფითი ემოციების დასაბალანსებლად კი ხელოვნებასთან დამეგობრებას გირჩევდით (ჩემთვის საუკეთესო ანტიდეპრესანტი საყვარელი მუსიკა და ლიტერატურაა).

გავიკვირდებათ და განტვირთვის ერთ-ერთ საშუალებად თვითგანათლებაც მოიაზრება. საქართველოში ერთდროულად მუშაობა, სწავლა და ოჯახის შექმნა ლამის შეუსრულებელ მისიად ითვლება. მაგრამ თუ ადამიანს რაღაც ძალიან აინტერესებს, თვითგანათლების გზით გასაოცარ შედეგს მიაღწევს. შეგიძლიათ ესტუმროთ ონლაინკურსებს, შეისწავლოთ სასურველი უცხო ენა ან მეცნიერება, წაიკითხოთ თქვენთვის საინტერესო ლიტერატურა... ჩვენი დრო შინიდან გაუსვლელად ცოდნის გამდიდრების საშუალებათა ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის.

მასწავლებლებს რომ თავი დავანებოთ, სასკოლო რუტინა მოსწავლეების არამდგრად, მრავალფეროვნებას მოწყურებულ შემოქმედებით ბუნებას ვერაფრით მოაწონებს თავს. ამიტომ საგანმანათლებლო სივრცე ყველაზე მეტად ინოვაციისადმი კეთილგანწყობილ თანამშრომლებს „იხდენს“. თუმცა ახალი იდეების განხორციელებას კარგი ორგანიზების უნარი და დროის სწორად მართვაც სჭირდება. დღის ზედმიწევნით დაგეგმვასა და შესრულებას კი ისევ რუტინულ ყოფასთან მივყავართ...

ჩემი აზრით, დასრულებული საქმეები არ არსებობს და ყველა ორშაბათი წერტილის მძიმედ გადაქცევის დღეა, ამიტომ ხანდახან გვერდზე გადადეთ შესასრულებელი დავალებების სია და გაიქეციოთ ქარში, წვიმაში, ფილმებში, წიგნში, მეგობრების ცხოვრებაში, საკუთარ თავში, თუნდაც არაფრის გასაკეთებლად. იმედი მაქვს, ერთხელ თქვენს დღიურშიც გაჩნდება „ფანჯარა“, რომელსაც დამატებითი საქმეების მოგვარების ნაცვლად სასურველი დასვენებისთვის გამოიყენებთ.

მასწავლებლობანადან – მასწავლებლობამდე

ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი მასწავლებლობანას. სოფლის ბოლოს თხილის ბაღებია. ამ ბაღში გვექონდა მოწყობილი ჩვენი სკოლა. სკოლის მოსწავლე საოცნებო სკოლაში მასწავლებლის როლს ვირგებდი...

დავიბადე აზერბაიჯანში. კახის რაიონში არის ერთი სოფელი, რომელსაც ქართველები ქათმისხევს ვუწოდებთ, ოფიციალურად ალიბეგლო ჰქვია. დავამთავრე სოფელში არსებული შოთა რუსთაველის სახელობის ქართული სკოლა. სწავლის გაგრძელება გადავწყვიტე ისტორიულ სამშობლოში. 2010 წელს დავამთავრე კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, ხოლო 2013 წელს – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა. 2011-2013 წლებში ვმუშაობდი იურიდიულ კომპანიებში და პარალელურად – არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომლის ეგიდითაც ვეხმარებოდით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ქართულ სკოლებს, ვახორციელებდით საგანმანათლებლო პროექტებს.

ყოველთვის მალეღვებდა ჩემი ქვეყნის ისტორია და დღევანდელი მსურდა, რამე მნიშვნელოვანი შემექმნა საქართველოში, საკუთარი კვალი დამეტოვებინა ისტორიული სამშობლოს მიწაზე. 2013 წელს მეგობრებისგან გავიგე პროგრამის შესახებ, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში მიმდინარეობდა. „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, სახელიც მიმზიდველად ჟღერდა. გავიარე კონკურსის ეტაპები. დაგვინიშნეს ტრენინგები, რადგან არ ვიცოდით სწავლის მეთოდოლოგია და სკოლაში მუშაობის პრინციპები. ბაზალეთის ტბაზე მართლაც ოქროს აკვანი ვიპოვე. ჩემი მომავალი ოთხ დღეში შეიცვალა. ეს ამბავი ფილმის სიუჟეტს ჰგავს. ქართულის, როგორც მეორე ენის ტრენინგმა, ერთმა თითქოს ჩვეულებრივმა ქალმა ჯგუფს გვითხრა: ოთხი დღე დავრჩები ამ ჯგუფში და ტრენინგის ბოლოს მიხვდებით, არის თუ არა თქვენი საქმე მასწავლებლობა, მასწავლებლობა არაქართულენოვან სკოლაში ეთნიკურ უმცირესობებთან. ეს იყო დაუვიწყარი ოთხი დღე.

ერთი აქტივობის დროს როლური თამაშები შემოგვთავაზა პედაგოგმა. თემა: ქცევის კორექცია. მე მერგო ამრევი მოსწავლის როლი და უკანა მერხ-

ზე მჯდომმა გავაცნობიერე, რა საინტერესოა და თან როგორი რთული – გაუგო და ჩაწვდე თითოეული მოსწავლის სურვილს. ის გაკვეთილი ჩავუშაღეთ „მასწავლებელს“. იცით რა არის საინტერესო? სკოლაში, სადაც ვასწავლი, დირექტორის მოადგილე მაშინდელი, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში მყოფი „პედაგოგია“. ტრენერის ამბავი უფრო საინტერესოა. შორენა ხუხუა დღეს ჩემი დირექტორია.

ტრენინგების დასრულების შემდეგ სიებში ვეძებდით საკუთარ სკოლებს, სადაც ერთი წელი უნდა გვემუშავა პროგრამის ფარგლებში დამხმარე მასწავლებლად. არცერთ სიაში არ ვხიანდი. არც ქვემო ქართლის, არც ჯავახეთის, არც კახეთის. დაბნეულმა მივაკითხე კოორდინატორს, რომელმაც ღიმილით მითხრა: „შენ თავად ტრენერმა აგირჩია, გვთხოვა, სადახლოს N1 სკოლაში გამომიგზავნეთ, ადგილი გათავისუფლდაო“. არ მოველოდი, რადგან ტრენინგების დროს განსაკუთრებული არაფერი ჩამიდენია, არც ტრენერს ეტყობოდა განსაკუთრებული აღფრთოვანება ჩემით. ავიღე ტელეფონი, დავურეკე ტრენერს მაღლობის სათქმელად. მან მხიარულად მიპასუხა: „აბა, დავიწყოთ შენი ცხოვრების ახალი ისტორია. იქნებ მოგეწონოს ეს საქმე და დარჩე კიდევ სკოლის სისტემაში.“

ორი წლის განმავლობაში ვასწავლიდი ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ქართულს, როგორც მეორე ენას. მე და ჩემი მასწავლებელი კოლეგები გავხდით. ძალიან მომეწონა მასწავლებლობა. შორენამ ისეც ახალი იდეა მომაწოდა: „მოდით, ჩააბარე პედაგოგიური უნარების და საგნის გამოცდა, გახდი სერტიფიცირებული“. იმავე წამს ავითაცე იდეა, გავაუქმე სოციალური ქსელები, გამოვრთე ტელეფონი ზაფხულში და 2014 წელს წარმატებით ჩავაბარე მაშინდელი სერტიფიცირების გამოცდები. ასე გავხდი მასწავლებელი და წარმოუდგენელი შემართებით შევუდექი გზას ახალი მიზნებისკენ.

დღესაც მახსოვს 2013 წლის 16 სექტემბერი. ეს იყო დღე, როდესაც პირველად შევედი საკლასო ოთახში მასწავლებლის სტატუსით. ჩემი ცხოვრება შეიცვალა, რადგან კარგ მასწავლებელს შევხვდი და უკვე მეც შემეძლო სხვისი ცხოვრების შეცვლა.

ჩემი ოთხწლიანი პედაგოგიური საქმიანობის დროს დავუმეგობრდი უამრავ მასწავლებელსა და საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებულ ადამიანს. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ საკუთარ პრაქტიკას, ვაფასებთ ერთმანეთის საქმიანობას, ვეხმარებით კარიერულ წინსვლაში და ა.შ. 2015 წელს, თებერვლის დასაწყისში ჩემი კოლეგა-მასწავლებელი შორენა დირექტორი გახდა

და დაგვტოვა. რაღაცნაირად ხელმოტეხილივით დავრჩი. გვიან მივხვდი, რომ უმნიშვნელოვანესია გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა, ცოდნის გაზიარება, მხარდაჭერა, განსაკუთრებით განსხვავებულ სივრცეში. იმავე წლის ივნისის თვეში ჩემმა უკვე ყოფილმა კოლეგამ, ყოფილმა ტრენერმა დამირეკა და დირექტორის მოადგილეობა შემომთავაზა. დაუფიქრებლად ვთქვი უარი, – მე მიყვარს მასწავლებლობა და არ მიზიდავს თანამდებობა – მეთქი. დღეს ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლაში ვმუშაობ, რომელიც არის მულტიკულტურული დაწესებულება. ჩვენი გუნდი ყოფილი ტრენერით და კოლეგით, ყოფილი პროგრამელებით ისევ ერთად ვართ.

2017 წელს სოციალური ქსელით შევიტყვე მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს შესახებ. დავრეგისტრირდი, თუმცა ათულში ვერ მოვხვდი. ამ პერიოდში, ჩვენი სკოლის აქტიურ გუნდთან ერთად, არაფორმალური განათლების მიმართულება ბევრად გავაძლიერეთ. დავიწყე პროექტებით სწავლება სკოლაში. ყოველ ახალ დაფინანსებულ პროექტს სხვა ხედვა მოჰქონდა, ახლა შარშანდელ „მეს“ რომ ვაფასებ, ვხვდები, ნებისმიერი დაბრკოლება განვითარების წინაპირობაა. 2018 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსზე კვლავ ვცაადე ბედი და არ შევმცდარვარ – ამჯერად ათულში მოვხვდი.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მასწავლებლობა არცთუ ისე პრესტიჟულ პროფესიად ითვლება. მაღალქულიანი აბიტურიენტები არ ინტერესდებიან პედაგოგიკით. ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს – მაგალითად, საზოგადოებაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ჩვენი პროფესია მიიჩნევა დაბალანაზღაურებად, რუტინულ და უპერსპექტივო საქმიანობად. არა ერთხელ დავამტკიცე საპირისპირო და მგონია, რომ ჩემი პირველადი პროფესია არ მომცემდა საშუალებას – შემეცვალა ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ და უფრო მნიშვნელოვანსაც ვერაფერს გავაკეთებდი ჩემი სამშობლოსთვის. ამაყი და ბედნიერი ვარ ჩემი ყოველდღიური საქმიანობით. რა თქმა უნდა, გზა სამართალმცოდნეობიდან – მასწავლებლობამდე არ იყო მარტივი, მაგრამ თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი მარწმუნებს არჩევანის სისწორეში.

წავიდე თუ დავრჩე

აღბათ, ყველა მასწავლებელს ჰყოლია რთულად სამართავი კლასი. გამონაკლისი არც მე ვარ. ერთგვარი აღიარებითი ჩვენება მინდა მოგვით.

VIII-IX კლასი ყველაზე რთულია, მათი ასაკიდან გამომდინარე, ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს არის პერიოდი, როცა ჩვენი მოსწავლეების ფსი-

ქიკური და ფიზიკური განვითარება სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. თუ მანამდე ავტორიტეტი იყო მასწავლებელი, ამ ასაკში ჩვენ მეორე (თუ უფრო უკან არა) პლანზე ვინაცვლებთ და იწყებენ ერთმანეთის მიბაძვას. მათთვის ავტორიტეტი ხდება მათივე თანატოლი.

სწორედ ასეთ IX კლასში მომიწია 2015-2016 სასწავლო წელს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება. სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე ვესაუბრე კლასის დამრიგებელს. მინდოდა ახალი მოსწავლეების დაუსწრებლად გაცნობა. კოლეგებმა რომ გაგიგეს ამ კონკრეტულ კლასში ჩემი მასწავლებლობის შესახებ, დაახლოებით ასეთი მხერით შემომხედეს – ვაი შე საწყალო!

დამრიგებელმა გამაცნო VIII კლასში მიღებული სემესტრული და წლიური ნიშნები. აღმოჩნდა, რომ 24 მოსწავლიდან ათს საშემოდგომო ჰქონდა ჩაბარებული. ასევე მიმანიშნა კლასის მართვის კუთხით არსებულ პრობლემებზე. კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს დაბალი მიმღებლობა წარმოადგენდა. მოსწავლეები ხშირად აპროტესტებდნენ ახალი მასწავლებლის შესვლას მათ კლასში, ერთიანდებოდნენ და უწყობდნენ ობსტრუქციებს. მოკლედ, წინ მიძიმე და საკმაოდ რთული სამუშაო მელოდა.

სექტემბერში დავიწყეთ სწავლა. გავაცანი სასწავლო წლის ბოლოს მისალწვი შედეგები, მიზნები... თავდაპირველად ყველაფერი მშვიდად დაიწყო. ალბათ ერთგვარი დაზვერვის პერიოდი ჰქონდათ. ოქტომბრის შუა რიცხვებში ნელ-ნელა დაიწყეს უარის თქმა დავალებების შესრულებაზე. საკლასო აქტივობებზე დავიწყე აქცენტის გაკეთება. ნელ-ნელა აქაც შემხვდა დაბრკოლებები.

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას გოგონებთან ვაწყდებოდი. მივხვდი, რომ ბუნდობლები სწორედ ისინი იყვნენ. დღევანდელი გადასახედიდან ეს ყოველივე ღიმილის მომგვრელია. პრობლემა, ალბათ, ჩემშიც იყო. პირველ რიგში, ამ კლასის ირგვლივ არსებულმა ლეგენდებმა შემიქმნა არასწორი განწყობები. ამის გამო მათ მიმართ მკაცრად განვეწყე. ვთვლიდი, რომ „აუღებელი ციხე-სიმაგრის ასაღებად“ ერთადერთი საშუალება ზედმეტი სიმკაცრე იყო.

ბურგით კლასისკენ ვდგავარ დაფასთან, ვწერ საკლასო სამუშაოს, კლასში საჩქვო სიჩუმეა. ვგრძნობ, რომ რალაცისთვის ემზადებიან. უცებ ატყდა ყვირილი Siçan! Siçan! Siçan! მოვტრიალდი და მთელი კლასი სკამებზე და მერხებზე დამხვდა. აზერბაიჯანული მესმის, ერთმა იყვირა, თავვია თავვია და ყველანი აყვნენ. მოვტრიალდი, ცარცი დავდე მაგიდაზე და ჩამოვჯექი. გაკვე-

თილი აღარ გამიგრძელებია... რა თქმა უნდა, კლასში თავი არ ყოფილა. ეს იყო მათი კონსპირაციული გეგმის ნაწილი.

რთული პროფესია გვაქვს. ამაზე ბევრჯერ მიფიქრია. ამ კლასში არსებული მძიმე სურათის შესახებ პერიოდულად ვატყობინებდი დირექციას და ასევე დამრიგებელს. თავის სკანდალი ბოლო წვეთი აღმოჩნდა. გულში მტკიცედ გადავწყვიტე, დამეტოვებინა მეცხრე კლასი.

კვირის ბოლოს, ამის შესახებ, ვაცნობე დირექტორს. სკოლის დირექტორმა გულდასმით მომისმინა. მან შემდეგი სიტყვებით მომმართა: „თემო, შენ 25 წლის ახალგაზრდა ხარ. მე რომ პირველი გაკვეთილი ჩავატარე 18 წლის ვიყავი. მე თავისუფლად შემიძლია ამ კლასიდან შენი „გათავისუფლება“, პრობლემას ვერ ვხედავ, თუმცა არის ერთი საკითხი: – იქიდან შენი გამოყვანა იქნება დამარცხება, მათ თვალში იქნები დამარცხებული მასწავლებელი. მოდი ერთად მოვნახოთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი.“ მისმა სიტყვებმა თავდაჯერებულობა შემმატა და მეც ისევ ვცადე.

გამოსავლის ძიებაში მათ მუდმივად ვთავაზობდი მრავალფეროვან აქტივობებს. არ ვაძლევდი მოდუნების საშუალებას, თუმცა გარდამტეხი მომენტი ჯერ წინ იყო.

ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოს მე-7 დონეში ერთი თავი ანა ფრანკის ბიოგრაფიას და მის დღიურებს ეთმობა. იქვე წარმოჩენილია გერმანული ნაციზმის თემა და ებრაელების დევნა II მსოფლიო ომის დროს. კარგად მახსოვს, მოსწავლეებს დავპირდი, რომ კვირის ბოლოს საინტერესო ფილმს ვუყურებდით ამ თემაზე. შესაბამისი ფილმის შერჩევაზე დიდი ხანს ვფიქრობდი. ბოლოს შევჩერდი ფილმზე „ბიჭი ზოლიან პიჯამაში“.

დადგა ნანატრი პარასკევი, ავედით კომპიუტერების ოთახში. ოთახი წინასწარ მოვამზადე ფილმისთვის. ფილმის ბოლოს დისკუსია მქონდა დაგეგმილი... თავს არ შეგაწყენთ ... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ერთი ამოსუნთქვით უყურეს ფილმს. ფინალურ სცენაზე თითქმის ყველას თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. დისკუსიაზე არავინ არ დარჩა... აი, მაშინ ვიგრძენი, რომ მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი, გარდამტეხი.

დაგეგმილი დისკუსია ორშაბათს გავმართეთ. კლასი აქტიურად ჩაერთო პროცესში. მოსწავლეები ნელ-ნელა შეიცვალნენ. პარასკევობით ფილმის ყურების ტრადიცია დავამკვიდრეთ. ვუყურეთ ფილმებს: „თავისუფლების მწერლები“, „მკვდარი პოეტების საზოგადოება“, ქართულ მხატვრულ ფილმს „ტბა“ და კიდევ არა ერთს. წარმატებული სვლა აღმოჩნდა, მათი ინტერესი გამო-

ვიწვიე და გადავწყვიტე, სხვა გარემოშიც მომესინჯა საკუთარი თავი მათთან ურთიერთობაში. სამასწავლებლოს ფანჯრები სკოლის ეზოს გადაჰყურებს. იქიდან შევამჩნიე სტადიონზე უბურთოდ მყოფი ჩემი მოსწავლეები. ავიღე ფრენბურთის ბურთი და ჩავედი დაბლა. გავიყავით ორ ჯგუფად და დავიწყეთ ფრენბურთის თამაში. ესეც მეორე გამარჯვებად უნდა ჩავუთვალო ჩემს თავს, რადგან გაიზარდა ინტერესი ჩემ მიმართ.

როგორც მასწავლებელი, მეშვიდე სასწავლო წელს ვატარებ სკოლაში. ამ რთული მონაკვეთის შესახებ არასდროს მისაუბრია ასე ღიად და საჯაროდ. უნდა ვაღიარო კონფლიქტის ამოწურვამდე იმ კლასში შესვლა ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. ცხრილში ჩახედვის მეშინოდა. ჩემი ისტორიით მომავალ მასწავლებლებს თუ მოქმედ პედაგოგებს, რომლებსაც აწუხებთ მსგავსი პრობლემა, მინდა ვუთხრა, არ დანებდნენ. კლასის დატოვება გამოსავალი არ არის. ხშირად პრობლემას მხოლოდ ცალმხრივად ვუყურებთ, სხვებს ვადანაშაულებთ. უმჯობესია ვეძებოთ პრობლემის მოგვარების საშუალებები და არა გაქცევის გზები.

მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ ნაწილმა სწავლა აღარ გააგრძელა, ზოგიერთი სხვა სკოლაში გადავიდა. ჩვენ სკოლაში სწავლა 8 მოსწავლემ გააგრძელა, რომლებიც პარალელურ კლასებში გადანაწილდნენ. 2015-2016 სასწავლო წელს მარნეულის N2 საჯარო სკოლაში რომ გავიცანი, ის მოსწავლეები ახლა XII კლასელი გოგო-ბიჭები არიან და ისეც მე ვარ მათი მასწავლებელი. დღეს ღიმილით ვისხენებთ ხოლმე იმ მოვლენებს. არადა, მაშინ სულ არ მექონდა საქმე სასაცილოდ და ლამის სკოლიდან წასვლაზე ვფიქრობდი...

საკლასო ოთახის გარეთ

ბევრი მასწავლებლობას რუტინულ საქმედ მიიჩნევს. ჩემ გარშემო სწორედ ასეთი წარმოდგენები ჰქონდათ ხოლმე. პროფესიაში შესვლის პირველ წლებში ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები მეუბნებოდნენ, მალე დაიღლები და მოგბეზრდება ეს საქმეო...

ამ მოსაზრებას გულის სიღრმეში ყოველთვის არ ვეთანხმებოდი. როგორ შეიძლება პატარებთან ურთიერთობა, სწავლა-სწავლება იყოს რუტინული? ჩემი აზრით, მასწავლებლობა ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიაა თავისუფლების მაღალი ხარისხით. ტრადიციული საგაკვეთილო პროცესის გვერდით გვაქვს საშუალება, მოსწავლეებს შევთავაზოთ არაფორმალური განათლება ან უბრალოდ გავატაროთ მათთან დრო სხვა გარემოში.

ხშირად მოსწავლეები მასწავლებლებს ემსგავსებიან. ასე იყო სადახლო-ში, ასეა მარნეულში. სადახლოელ მოსწავლეებს ჩემი ზეგავლენით შეუყვარდათ ლაშქრობა. იქ გატარებული ორი წლის მანძილზე არა ერთხელ წავედით ახლომდებარე გორაკებზე ლაშქრობაში.

- თემო მას, მთებში წავიდეთ;
- თემო მას, იქ ბევრი მინდვრის ყვავილია;
- ჩვენი გოგონებისთვის თაიგულები გავაკეთოთ

ასეთი თხოვნები ხშირი იყო. მართლაც, ავედით მთაში ულამაზესი მინდვრის ყვავილების საკრეფად.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში, კონკრეტული საგნის სწავლებასთან ერთად, მასწავლებლებს გვიწევს ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, კულტურულ-სოციალური დაახლოება. მე ვთვლი, რომ ინტეგრაციის პროცესისთვის საკლასო ოთახი არ არის საკმარისი. გამოცდილებამ მიჩვენა – არაფორმალურ სივრცეში ადამიანები უფრო გახსნილები არიან, მოსწავლეები მით უმეტეს.

გაზაფხულზე მოსწავლეებმა სათევზაოდ დამპატიჟეს, უარი არ მითქვამს. დიდი ხანი ემზადებოდნენ, დაგეგმეს დეტალურად – ზოგმა ანკესების საკითხი მოაგვარა, ზოგმა ტრანსპორტისა და კვების თემაზე იზრუნა. გაკვეთილების შემდეგ წავედით დათქმულ ადგილას, მდინარე ხრამზე. სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი დავიჭირეთ, რამდენიმე ხრამული და მურწა იყო ჩვენი ნადავლი. თუმცა მთავარი სხვა იყო – ერთად დაახლოებით 7 საათი გავატარეთ. ამ დროის განმავლობაში საკლასო ოთახისგან განსხვავებით (სკოლაში ერთმანეთთან ძირითადად მშობლიურ ენაზე საუბრობენ) მთელი ეს დრო ცდილობდნენ ქართულად ესაუბრათ. ერთმანეთის შესახებ ბევრი ახალი გავიგეთ. მომიყვინ, როგორ ცხოვრობენ, რა ახარებთ, რაზე წუხან და ა. შ. კლასში ხომ მსგავსი საუბრებისთვის ცოტა დრო გვრჩება!

სკოლაში ყოველთვის ვინახავ სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. თავისუფალი დროის გამონახვისთანავე ვიცვლი და ვუერთდები სტადიონზე მოთამაშე გოგო-ბიჭებს. სპორტის სახეობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

წავიკითხე მანანა კაპეტევიძის სტატია „იუვე“ სიყვარულია!“ მისი სტატია გახდა ერთგვარი ინსპირაციის წყარო. მინდა, მოგიყვეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ერთად სტადიონზე დროის გატარება.

ცოტა უკან დავბრუნდები და გავიხსენებ ჩემი მოსწავლეობის პერიოდს. კლასელები განსაკუთრებით იმ მასწავლებელს ვაღიარებდით, რომელსაც

სპორტი უყვარდა. მის მიმართ მეტად დადებითად ვიყავით განწყობილნი, თუ ის ჩვენთან ერთად თამაშობდა სკოლის სტადიონზე... ასეთი მასწავლებლის მიმართ მეტ პატივისცემას გამოვხატავდით და საგანსაც მეტი მონდომებით ვსწავლობდით. მაგალითად, გეოგრაფიასა და ქიმიას. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქიმიის მასწავლებელი ქალი იყო. ფეხბურთს ვერა, მაგრამ დიდი სიხარულით გვეთამაშებოდა ფრენბურთსა და წრეში ბურთს.

სკოლა 2006 წელს დავამთავრე. მასწავლებლად მუშაობა კი 2013 წელს დავიწყე... ყოველთვის ვცდილობდი, მიმებადა იმ მასწავლებლებს, რომლებიც სხვადასხვა გზით ახერხებდნენ ჩვენი გულის მოგებას. ერთ-ერთ მიმართულებას სპორტი წარმოადგენდა. სპორტულ აქტივობებს არ აქვს სქესი და გენდერი. მასში ჩართვა თანაბრად უხარიათ გოგონებსაც და ბიჭებსაც. ვცდილობ, დრო გამოვნახო და მეტად წავახალისო, მით უმეტეს, რომ მარნეულში ძალიან მნიშვნელოვანია გოგონების მხარდაჭერა. სამწუხაროდ, ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპები აფერხებს მათ აქტიურ ჩართულობას.

სპორტი სასკოლო ცხოვრების აუცილებელი ნაწილია. სწორედ მისი მეშვეობით შეგვიძლია დავაინტერესოთ ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრების წესით, სწავლით, ჩამოვუყალიბოთ ურთიერთპატივისცემის, აღიარების უნარი და დავანახოთ გამარჯვების სიტკბო თუ დამარცხების სიმწარე.

სკოლაში, სადაც ახლა ვასწავლი, ხშირად „უმტატო სპორტის მასწავლებელს“ მეძახიან. როგორც წესი, მათთან თამაშისას გარკვეული იდეების განხორციელებას ვუყრი საფუძველს და ფრთებს ვასხამ მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს.

გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ, მოსწავლეთა შესაძლებლობები ფასდება მხოლოდ საკლასო ოთახში მიღწეული შედეგებით. შესაბამისად, უგულვებელყოფილია საგაკვეთილო პროცესის მიღმა გამოვლენილი ნიჭი და უნარი. ეს ერთგვარი სტერეოტიპი იმდენად არის დაღეფილი არაცნობიერში, რომ თვითონ მოსწავლეებიც არ აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, არ მახსენდება ჩემი სოფლიდან რომელიმე სპორტულ სახეობაში წარმატებული ადამიანი, ამ მხრივ, მიუხედავად თავიანთი უსაზღვრო შესაძლებლობებისა. სამაგიეროდ, ბევრ წარმატებულ ადამიანს შეხვდებით იმ მიმართულებით, რომელიც აქტუალური იყო მოსწავლეობისას. გარდა ზემოთ თქმულისა, სკოლებში გვყავს სუსტი ფიზიკური მონაცემების მქონე ბავშვები. მათთან თამაშის მსურველთა არარსებობის გამო არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რაც ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს და აუცილებელია გამოსავლის ძებნა.

ამაზე ბევრს ვფიქრობდი ყოველთვის და დავიწყე იმაზე მუშაობა, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობები ყველა კუთხით გამომეველინა. ბემოთ უკვე ვახსენე, რომ სკოლის მოუწესრიგებელი სტადიონის აქტიური სტუმარი ვარ. თუმცა იქ ყოფნა ყველაზე სასიამოვნო პროცესია მიუხედავად იმისა, რომ თამაშის შემდეგ ყველანი მტვერში მოსვრილი და ოფლში გაწურულები ვბრუნდებით სახლში.

ჩემი მიდგომა ასეთია: ვთამაშობ და მხარს ვუჭერ გუნდს, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა, თანადგომა და დახმარება. აქვე გეტყვით, რომ არ ვარ „საუკეთესო სპორტსმენი“, თუმცა ზუსტად ეს არის სტიმული, რომ მაქსიმუმი გააკეთონ გამარჯვებისთვის. მქონია არა ერთი შემთხვევა, როცა შევეერთდი გუნდს, რომელიც აგებდა. განსაკუთრებული არაფერი გამოიკეთებია, თუმცა ჩემი ჩართულობა გახდა ერთგვარი სტიმული და გამარჯვების წინაპირობა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში გენდერული სტერეოტიპები განსაკუთრებით თვალშისაცემია სპორტთან მიმართებაში. ახალი არ იქნება თქვენთვის, თუ ვიტყვი, რომ, მაგალითად, ფეხბურთი არ მიიჩნევა გოგონების სპორტად. ამ მხრივ, უდიდესი როლი ითამაშა სკოლის დირექტორმა, შორენა ხუხუამ, რომელიც აქტიურად ჩაერთო გოგონათა საფეხბურთო გუნდის ჩამოყალიბების პროცესში. მე და ჩვენი სკოლის დირექტორი ვებმარებით გუნდს განვითარებაში და აქტიურად ვრთავთ მათ სხვადასხვა შეჯიბრში. ამ პროცესმა გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას შეუწყო ხელი.

ჩემს მცირე თავისუფალ დროს მაქსიმალურად თანაბრად ვუნაწილებ სპორტის სახეობებს. ბევრჯერ ვყოფილვარ გოგონების გუნდის წევრი ფრენბურთში და ერთად გვიზეიმია გამარჯვება და გვიფიქრია დამარცხების მიზეზებზე.

არ ვთვლი, რომ სპორტი ერთადერთი საშუალებაა მოსწავლეთა დაინტერესების. სავსებით შესაძლებელია, თქვენი მოსწავლეების შესაძლებლობები მოსინჯოთ ხელოვნებაში, ხელსაქმეში, სამსახიობო უნარებში და ა. შ., უყუროთ ერთად ფილმებს, წაიკითხოთ წიგნები ან წახვიდეთ ლაშქრობებში.

დღეს ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსებთან და დროსთან. დამლღელი სამუშაო საათების შემდეგ მასწავლებლები ვჩქარობთ ოჯახებში, შინამეურნეობებში ან სხვა სამსახურებში. მიუხედავად სირთულისა, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია, მცირე დრო მაინც დავუთმოთ მათ, რათა დავინახოთ სხვა კუთხით, აღმოვაჩინოთ სხვადასხვა უნარი, ვაგრძნობინოთ ჩვენი მხარდაჭერა და გავატაროთ დრო არაფორმალურ გარემოში.

ჩემი მასწავლებლობის ისტორია

როცა მე-8 კლასში ვიყავი, ცეკვის მასწავლებელი თმის გაზრდას მთხოვდა, კლასის ხელმძღვანელი კი – მის შეჭრას. ცეკვა ძალიან მიყვარდა და თმა ოდნავ გავიზარდე. ერთ დღესაც ჩემი თანაკლასელების წინაშე თმა პირდაპირ გაკვეთილზე შემაჭრეს. სწორედ იმ დღეს გადავწყვიტე, მასწავლებელი გავმხდარიყავი. ქართულ სკოლებში იმ დროისათვის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის დაბალი დონე იყო. ჩემთვის, როგორც მოსწავლისთვის, ნათელი იყო სხვადასხვა მასწავლებლის დამოკიდებულება. ვხვდებოდი, ვუყვარდი თუ არა პედაგოგს, ქედმაღლურად მესაუბრებოდა თუ როგორც მეგობარს. სულ მიკვირდა, სხვადასხვა მასწავლებლის შემოსვლის დროს, რატომ ვიყავით სხვადასხვანაირები: რატომ ვცვლქობდით ერთის და რატომ ვიყავით ყურადღებით მეორის გაკვეთილებზე. დღიურების წერაც დავიწყე. ვფიქრობდი, მომავალში ეს ყველაფერი დამეხმარებოდა, უკეთ გამეხსენებინა. ვიწერდი და ვიცოდი, რომ უკვე ვემზადებოდი მნიშვნელოვანი პროფესიისთვის. რა უჭირდა ქართულ სკოლას, უკვე მე-8 კლასიდან ვიცოდი. მიკვირს, რატომ ვფიქრობდი ამ თემებზე ამ ასაკში.

როცა სტუდენტობა დასრულდა, ბევრი ვიფიქრე, დავრჩენილიყავი თუ არა ქალაქში, მაგრამ ჩემი მოსწავლეობისდროინდელი დღიური გადავიკითხე და აღარ დავფიქრებულვარ. ჩემს მშობლიურ სკოლაში წამოვედი, სადაც ჩემი აღმზრდელი მასწავლებლები ისევ მუშაობდნენ, ერთი წელი მოხალისედ ვიმუშავე, სკოლის მოხალისე ორგანიზატორი ვიყავი, მაგრამ მაშინ არავინ იცოდა, სიტყვა მოხალისე რას ნიშნავდა. ვაწყობდი სხვადასხვა აქტივობას, დამყავდა მოსწავლეები ექსკურსიებზე, საინტერესო სტუმრებს ვახვედრებდი, ვმართავდი დებატებს და ამ ყველაფრით ვცდილობდი კომუნიკაციის ხარისხი ამემალლებინა მასწავლებლებსა და მოსწავლეებში.

იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა მშობლები გარდამცვალნენ და მართო დავრჩი. ჩემებურად ვიბრძოდი მასწავლებლობისთვის. ღამე მესიზმრებოდა, როგორ ვატარებდი გაკვეთილებს. მაგრამ სკოლაში ამის საშუალება არ მომცეს. ამან უფრო მეტად გამიღრმავა მასწავლებლობის სურვილი.

სასკოლო ღონისძიებებში მაშინ მხოლოდ კარგ მოსწავლეებს რთავდნენ, ბევრ მათგანს კი ამის სურვილი საერთოდ არ ჰქონდა. ვცადე და სულ სხვა ბავშვები დავახვედრე სკოლის ადმინისტრაციას რეპეტიციებზე, რაზეც ძალიან ბრახობდნენ: ესენი დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვებია და რატომ აძლევ მონაწილეობის უფლებასო. ვხვდებოდი, რომ ნიშნებით აფასებდნენ მოსწავლეებს და არა მათი შესაძლებლობებით. ამტკიცებდნენ: „ამათ რა უნდა თქვან, ენას ვერ აბრუნებენო“. მათ მართლაც უჭირდათ საუბარი. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება და სპექტაკლი შევცვალე. ისეთი რამე უნდა მომეფიქრებინა, რომ კარგი გამოსულიყო და ბავშვებსაც იმედი არ გასცრუებოდათ. პანტომიმის თეატრის სცენარზე დავიწყე ფიქრი. სახლში მუსიკასაც ვარჩევდი, სცენარსაც ვწერდი და მოძრაობებსაც ვინიშნავდი. პირველად მოძრაობებით დავიწყე და აღმოჩნდა, რომ უმაგრესი პლასტიკით გამოირჩეოდნენ ყველანი, სცენარიც გავაცანი და აღმოვაჩინე, რომ უკვე მართო არ ვიყავი. ყველა თავის ამრს გამოთქვამდა და ნელ-ნელა შევქმენით სპექტაკლი, რომელსაც დავარქვით „შენ ხარ ვენახი“. ჩვენი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ტრადიცია, ტკივილი, უსიტყვოდ უნდა გადმოგვეცა, ლამაზი მოძრაობებით. იმ ხანებში ერთ ძალიან საპასუხისმგებლო ღონისძიებამე მუნიციპალიტეტმა ჩვენს სკოლასაც სთხოვა რაიმე ნომრის წარმოდგენა. სასწრაფოდ შევკერეთ კოსტიუმები და გავედით. სცენაზე მკრთალ შუქზე ჩემი მოსწავლეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, იყო მხოლოდ მოძრაობები ულამაზესი პლასტიკითა და შინაარსიანი მუსიკით, დარბაზის რეაქციას ვაკვირდებოდი და მივხდი, რომ ყველაფერი გამოვიდა. ცრემლი მეც ვერ შევიკავე, როცა ბავშვები მტრისგან ვაზის გაჩეხვის სცენას თამაშობდნენ. ამას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, გაცოცხლებული ვიდექი კულისებში. როცა წაქცეულ ვაზზე ახალმა ყლორტმა დაიწყო ამოსვლა, მაყურებელიც ფეხზე ადგა.

იმ დღესვე ერთ-ერთი პრესტიჟული კერძო სკოლიდან მომივიდა შემოთავაზება, ამას მალევე მოჰყვა კიდევ ოთხი საჯარო სკოლა. მუშაობა ერთდროულად ხუთ სკოლაში დავიწყე. ყოველდღე ნ-ნ გაკვეთილს ვატარებდი რელიგიის ისტორიაში. შემდეგ საგანი სწავლებიდან ამოიღეს და სამოქალაქო განათლების საათები მომცეს.

შვიდი წელი ფეხით დავდიოდი სხვადასხვა სოფელში, რადგან ტრანსპორტი იმ წლებში არ დადიოდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდკონტინგენტიანი სკოლიდან შემოთავაზება მომივიდა, იქ ახალი დირექტორი (მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი) დაინიშნა, რომელიც თავისი მოადგილის პოსტს მთავაზობდა. მა-

ნამდე მუნიციპალიტეტში გამომავალ გაზეთში ვმუშაობდი კორესპონდენტად და ამ ადამიანს სულ ვაკრიტიკებდი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს კრიტიკა ძალიან ეხმარებოდა მას საქმის უკეთ წარმართვაში და დირექტორის მოადგილის პოსტი არ დაიშურა ჩემთვის. აქ სამი წელი ვიმუშავე და შემცირებაში მოვეყვი. ამის შემდეგ გადმოვედი სკოლაში, სადაც ახლა ვმუშაობ.

განახორციელე პროექტი „დემოკრატიული რევოლუცია“, რომელიც დღესაც წარმატებით მუშაობს. პროექტის ფარგლებში შევექმენი სისტემა, რომლითაც იმართება მთელი სასკოლო ცხოვრება. შევქმენი სკოლა პატარა სახელმწიფოდ გადამექცია, სადაც ისეთივე პროცესები მიმდინარეობს, როგორც სახელმწიფოში. ამაღლდა კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის და, რაც მთავარია, მოსწავლეებმა დაიწყეს ინიციატივებით შემოსვლა.

თავიდან არ მომცეს საშუალება, არაფორმალური განათლების ელემენტები შემეტანა საკლასო ოთახში, ამიტომ ზაფხულის არდადეგებზე ჩემი კლასის 20 მოსწავლე წავიყვანე კურორტ აბასთუმანში. ჩვენი მხარე ძალიან ნესტიანია და თითქმის ყველა ბავშვს ფილტვების პრობლემა აქვს. აბასთუმანი კი, ამ მხრივ, საუკეთესო კურორტია. სწორედ იქ ვატარებდი 21 დღის განმავლობაში სხვადასხვა თემაზე გაკვეთილებს, შუაგულ ტყეში, უზარმაზარი ხეების ჩრდილქვეშ. შემდეგ ვიფიქრე არა მარტო ჩემი სკოლის, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის ბავშვებსაც უნდა ჰქონოდათ ბანაკში წამოსვლის საშუალება და დავიწყე მოქმედება. თანხების მოსაზიდად საწარმოებში, ორგანიზაციებში დავდიოდი. ბევრი მოსწავლე სოციალურად დაუცველი ოჯახიდან იყო და ბანაკში წამოსვლა არ შეეძლოთ, რადგან სეზონური ტანსაცმელიც კი არ ჰქონდათ. მე შევქმენი ბანაკს 9 წელი ეარსება. „ლალოს ბანაკში“ 776 მოსწავლეა ნამყოფი. ეს რიცხვი ახლა ძალიან მახარებს. მასსოვს, როგორ გვაცილებდა მთელი მუნიციპალიტეტი სხვადასხვა კურორტზე. ეს იმდენად მასშტაბური გამგზავრება იყო, ადგილობრივი მედია წასვლასაც და ჩამოსვლასაც სტატიებს უძღვნიდა. ამ ბანაკებით თავიდან ადგილობრივი თვითმმართველობა დაინტერესდა და გვესტუმრა ბანაკში, ბავშვებს საჩუქრები ჩამოუტანეს. მეორე წელს თვითმმართველობამ სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებიც ჩამოგვიყვანა და მთელი დღე ჩვენთან დარჩნენ. უკვირდებოდნენ აქტივობებს, ეცნობოდნენ პროგრამას, რომელიც ბანაკისთვის მქონდა შედგენილი. მეორე წელს კი საქართველოში ამოქმედდა ბანაკები, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და სწორედ მაშინ ქვეყნის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დამაჯილდოვა.

მოვახერხე მუნიციპალიტეტის 776 მოსწავლე (მათგან ბევრი ხელმოკლეობით დათრგუნვილი) ლიდერებად მექცია. დღეს კი ისინი მე მიდგანან გვერდში, მეხმარებიან სხვადასხვა რესურსის მოძიებაში. მათ ჩემს გაკვეთილებზეც ვიწვევ და ახლა სხვა მოსწავლეებს უყვებიან თავიანთ ისტორიას, რათა დაანახონ, რომ ყოველთვის შესაძლებელია შევიცვალოთ და გავხდეთ უკეთესი.

კონტექსტი და გამოწვევები

სამოქალაქო განათლებას ვასწავლი. ეს საგანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ვცდილობ, გავერკვე, რა გამოწვევების წინაშე დგანან ჩემი მოსწავლეები, რა პრობლემებია სკოლაში, თემში.

საქართველოს ყველაზე პატარა და ღარიბ რეგიონში ვცხოვრობ და ვასწავლი. მოსწავლეები უსახსრობის გამო ცდილობენ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესონ. ბევრი მათგანი სწავლას თავს ანებებს და სამუშაოდ თურქეთის რესპუბლიკაში გადადის. მათ ამ გადაწყვეტილებას მშობლებიც უჭერენ მხარს, თანხმდებიან მინდობილობები გაუკეთონ და ვინმეს გააყოლონ. ბევრი მოსწავლის მშობელი კი წლებია სხვა ქვეყანაშია და იქიდან ცდილობს ოჯახების გამოკვებას. ამიტომაც ჩემი მოსწავლეების უმეტესობას დილით არავინ უშლის სუფრას, რომ ისაუბრონ. ხანდახან სკოლაში სასწრაფო დახმარებების გამოძახებაც გვიწევს უზომოდ მყოფი ბავშვების დასახმარებლად.

როცა ბავშვთა შრომზე ხმამაღლა დავიწყე საუბარი, საზოგადოებისგან არ მიგრძნია მხარდაჭერა. ის კი არა, პროკურატურაში დამიბარეს და მთხოვეს, არ მესაუბრა ამ თემაზე. ამან უფრო გამაძლიერა და მოტივაცია მომიმატა. ვეცადე, ქვეყნისთვის დამენახებინა ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს რეგიონშია, ჩავრთე სხვადასხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტები, რომ თემა აქტუალური გამეხადა.

შევქმენი იმ ახალგაზრდების კლუბი, რომლებიც თურქეთში სამუშაოდ იყვნენ. სოფლებში დავდივართ და თემის ცნობიერების ამაღლებას ვცდილობთ. კლუბის წევრები ყვებიან ისტორიებს თავიანთი მწარე გამოცდილების შესახებ. ამით ვცდილობთ, მშობლებს დავანახოთ, რა ელოდება მათ შვილებს, თუ თურქეთში სამუშაოდ წასვლაზე დათახმდებიან.

ეკონომიკური სიღუბის ფონზე ჩვენს მუნიციპალიტეტში ოჯახური ძალადობის ბევრი შემთხვევაა. სამი წლის წინ არდადეგებზე მდინარის პირას სამი მოსწავლე შევნიშნე, თურმე მამამ და ბებიამ სახლიდან გამოაგდეს და ღამეს

მდინარის პირას ათევდნენ. მაშინ ძალიან გამიბრაზდა საზოგადოება, როცა ბავშვები მინდობით აღზრდაში გავუშვით სოციალური მუშაკის დახმარებით.

სწავლების მიდგომა

იმის გამო, რომ სკოლაში, თემში, საზოგადოებაში ბევრი პრობლემაა და ამას ემატება სიდუხჭირე, ვცდილობ, ხელთარსებული უბრალო რესურსები გამოვიყენო და გადავაქციო არაჩვეულებრივად. სამასწავლებლოდან ხშირად ისეთი რამეებით მივემართები საკლასო ოთახისაკენ, რომ ცნობისმოყვარეობით მეკითხებიან, თუ რისთვის მჭირდება გაკვეთილზე ეს ბოსტნეული, ციტრუსი, ხილი თუ საყოფაცხოვრებო ნივთი.

ერთ-ერთ გაკვეთილზე, როცა დემოკრატიის არსი უნდა ამეხსნა, კომბოსტო ვაჩვენე და ვთხოვე მისი დახასიათება. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ბევრი ფოთოლი აქვს, ყველა ფოთოლი ერთ ღეროზეა. როცა ვთხოვე, როგორ დაუკავშირებდნენ კომბოსტოს გაკვეთილის თემას, კლასში სიჩუმემ დაისადგურა და უკვე მზად იყვნენ მოსასმენად. მომეცა საშუალება, განსხვავებული ფორმით მიმეწოდებინა ინფორმაცია დემოკრატიის პრინციპების შესახებ. ბევრი ფოთოლი ეს სხვადასხვა სექტორია, რომლებიც დემოკრატიული წყობილების დროს წარმოიქმნება. სექტორები ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებული, როგორც კომბოსტოს ფოთლები და ერთ იდეაზე დაფუძნებულ ერთობას ქმნიან. ამიტომ შეიძლება კომბოსტო დემოკრატიის სიმბოლოდ აღვიქვათ. მეორე დღესაც კომბოსტო პატარა დროშებით მოვრთე, რომლებზეც ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახელები იყო დაწერილი. დაიწყო აქტივობა. რაუნდების დროს ის ორგანიზაციები უნდა ამოეძროთ კომბოსტოდან და გადაეყარათ, რომლებიც მოქალაქეების აქტიურობას არ გულისხმობდა. პირველივე რაუნდში გამორიცხეს მაღაზიები, ბაზრობები, გასართობი ცენტრები... შემდეგ ბიბლიოთეკების, სკოლების, კულტურის სახლების ამოძრობა დაიწყო. გამიხარდა, როცა ბოლო რაუნდზე დატოვეს თავისუფალი მედია, სამართლიანი არჩევნები, სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება, სექტორებს შორის თანამშრომლობა და დემოკრატია.

ამ კონკრეტულ გაკვეთილზე საქართველოს 20 ცნობილი ჟურნალისტი დამესწრო და როცა სტატიები გამოაქვეყნეს, ბევრი მასწავლებლისგან მომივიდა თხოვნა, მათთვის გაკვეთილის გეგმა გადამეგზავნა. მიხაროდა, როცა მათი სკოლის ფეისბუქ გვერდებზე დროშებჩარჭობილ კომბოსტოსა და აქტიურად დამუხტულ მოსწავლეთა სახეებს ვხედავდი.

პროექტული სწავლება ავირჩიე, ამ შემთხვევაში არ არის საჭირო, მოსწავლეებს მუდმივად მოვთხოვო რამეს დაბეპირება ან გაკვეთილის სწავლა. ისინი პროექტებში ისე აქტიურად მონაწილეობენ და დამატებით იმდენ ინფორმაციას ეცნობიან, რომ არ მახსოვს, რომელიმეს ტესტები წარმატებით არ შეესრულებინოს.

როცა ჩვენი სკოლის გვერდზე ვაანონსებთ ახალი პროექტის დაწყებას, გაკვეთილების შემდეგ უამრავი სხვა სკოლის მოსწავლე და მასწავლებელი მოდის, რომ პროექტის ყველა აქტივობაში ჩაერთონ და შემდეგ იგივე თავიანთ სკოლაში განახორციელონ. ჩვენი მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სკოლა ერთვება ჩემს პროექტებში, ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობა ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს და თანადადმინანსებელი გახდეს. ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი მოსწავლეებისთვის, რადგან ხელისუფალთა სტუმრობისას ბავშვები ხშირად მიმართავენ მათ თემში არსებული პრობლემების მოგვარებაში დახმარების თხოვნით.

ინოვაცია

როცა სკოლაში მოსწავლეებს კონკურენტუნარიან გარემოს შეუქმნი და აუხსნი, როგორ გაიმარჯვოს კლასელებთან ერთად, აქტიურდებიან და ამით ბევრ აუცილებელ უნარ-ჩვევას იძენენ: კომუნიკაციის, ინფორმაციის მოძიების, კვლევის, საჯარო გამოსვლის, პრეზენტაციის, გუნდური მუშაობის და ლიდერობის. როცა გასურს, შენი საგანი მართო შენ არ ასწავლო და მის სწავლებაში ყველა ჩააბა (კოლეგები, მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები), როცა გაქვს სასკოლო ცხოვრების გააქტიურების გეგმა, ძნელია, თავი შეიკავო და არ გარისკო, ამიტომ პროექტი „დემოკრატიული რევოლუცია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართლოსს“ წარვუდგინე. ისინი პოლიწარმომადგენლებთან ერთად ახორციელებდნენ პროექტს საქართველოში. ჩემმა პროექტმა გაიმარჯვა და დაფინანსება მოგვიტანა. პროექტი ჩვენს სკოლაში უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს და შეძლო მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციის გააქტიურება.

ამ პროექტით ჩვენი სკოლა პატარა „სახელმწიფოდ“ გადავაქციე, კლასები რეგიონებს წარმომადგენენ, საკანონმდებლო ხელისუფლება მოსწავლეთა თვითმმართველობაა, აღმასრულებელი ხელისუფლება კი – სკოლის დირექცია.

კლასები დაკავებულნი არიან თემის, სკოლის, მოსწავლეთა პრობლემების აღმოჩენით. თუ პრობლემა სკოლას ეხება, მიმართავენ სკოლის ადმინისტრ-

რაციას, ხოლო თუ თემს, დირექცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან იწყებს თანამშრომლობას. ამ პროცესების შედეგად მოწესრიგდა სასმელი წყლის პრობლემა სკოლაში, დაიდგა სანაგვე ურნები მთელ სოფელში, დაიგო საფეხმავლო ბილიკი მთავარ მაგისტრალზე, მოწესრიგდა სოფლის შიდა გზები, აიგო და გარემონტდა რამდენიმე ხიდი, საყანე ფართობებში, გაიწმინდა სანიღვრე არხები, რამაც მოსავლის რაოდენობა გაზარდა.

ჩემი მოსწავლეები მარტო საკლასო ოთახებში არ სწავლობენ. ისინი ნასწავლს პრაქტიკაში იყენებენ და ხდებიან აქტიური მოქალაქეები. ახლა უკვე მარტო მე არ ვარ, რადგან თანამშრომელთა ნახევარზე მეტია ჩართული ამ საგნის სწავლებაში. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის მასმედიაში ხშირად კეთდება სიუჟეტები ჩვენი სკოლის, სხვადასხვა კლასის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. „დემოკრატიული რევოლუცია“ უკვე 14 სკოლაში ხორციელდება, რის გამოც ხშირად მიწვევს სხვადასხვა რეგიონში ჩასვლა და კონსულტაციის გაწევა.

საგანი, რომელიც მეორეხარისხოვნად მიიჩნეოდა და საათების შევსების მიზნით ანაწილებდნენ, დღეს ჩვენს სკოლაში ძალიან პოპულარულია.

CLASSROOM მიღწევა

ბევრმა უმნიშვნელო აქტივობად ჩამითვალა პასიური მოსწავლეების ჩართვა სხვადასხვა პროექტში. მართალია, მათ დაბალი შეფასებები ჰქონდათ და რთული ქცევით გამოირჩეოდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, სწორად შერჩეული აქტივობა მათში მოტივაციას აამაღლებდა. ბავშვებსაც უკვირდათ, რატომ შევარჩიეთ მაინცდამაინც ისინი და არა მხოლოდ წარჩინებული მოსწავლეები. ვპასუხობდი, რომ მე ისინი ძალიან მჭირდებოდა. მათი მონაწილეობა თავიდან პატარა პრეზენტაციებით შემოიფარგლებოდა. თუმცა ყველას აინტერესებდა, კარგად გამოუვიდა თუ არა წარდგინება და მეც ვპასუხობდი, რომ მათში დავინახე ნიჭი, რომელსაც სხვებში ვერ ვხედავდი და სამწუხაროა, რომ ამას არ იყენებდნენ წარმატების მისაღწევად. კოლეგებსაც ვთხოვდი, მოსწავლეები შეძლებისდაგვარად შეექოთ. მშობლებსაც ვიბარებდი, რომ მათი შვილების წარმატებაზე მესაუბრა. მახსოვს რამდენიმე მშობლის გაოცებული სახე. ბუნებრივია, ამის მერე მოსწავლეებმა სახლშიც მადლობა დაიმსახურეს და შედეგად მოსწავლეებიც უფრო გააქტიურდნენ. ზოგჯერ უმნიშვნელო კომენტარს ვიყენებდი იმ ბავშვების მისამართით, რომლებსაც არ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რა პროფესია აერჩიათ. ძალიან ჩუმად წარმოვთქვამდი კომენტარს და ისინიც მთხოვდნენ, ცოტა ხმამაღლა მეთქვა ის სიტყვები, რომლებიც მათი პრეზენტა-

ციის შემდეგ ვითომ უნებლიეთ წამომცდა: „მშვენიერი პედაგოგი დადგებოდა“, „უმაგრესი ფილოლოგი გამოვა“ „ღმერთო ჩემო, რა ნიჭიერია!“ ეს სიტყვები საოცრებებს ახდენდა და ამიტომაც ჩემი ყოფილი 102 მოსწავლე უკვე პედაგოგიურ ფაკულტეტზე სწავლობს ან შემდგარი პედაგოგია. მათთან უკვე ვთანამშრომლობ და ვსტუმრობ მათ სკოლებს. 62 მოსწავლე, რომლებიც საერთოდ არ ფიქრობდნენ სწავლის გაგრძელებას, უკვე სტუდენტია.

დღეს ჩემს ბანაკში ნამყოფი 776 მოსწავლე უმაღლესდამთავრებული ან სტუდენტია. სწავლობენ, მუშაობენ. ყოფილი 18 მოსწავლის წყალობით რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტში მივიღე მონაწილეობა და სამ მათგანთან ერთად ჩემს სკოლაში განვახორციელე სხვადასხვა პროექტი.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ სოციალური ქსელის დახმარებით მოვახერხე მესწავლეებინა წერა და კითხვა სპეციალური საჭიროების მქონე შვიდი მოსწავლისთვის. მათ ყველაფერი მშვენივრად აითვისეს. დღესაც მათთან მიმოწერა მაქვს და დავალებებსაც ასრულებენ.

გავლენა თემზე/საზოგადოებაზე

ძალიან რთულ პროექტებში ვმონაწილეობ, ამიტომ არდადეგებით თითქმის ვერასოდეს ვსარგებლობ. ხშირად მიწევს სხვადასხვა ქალაქში ჩასვლა. „სიკეთის ეპიდემია“ ყველაზე დიდი პროექტი იყო, რომელშიც 75000 მოსწავლე 2000 მასწავლებელი ჩაერთო მთელი ქვეყნის მასშტაბით. ყველაზე აქტიურებს ჩვენი სკოლის სანერგე მეურნეობიდან სხვადასხვა ჯიშის მცენარეები გავუგზავნეთ.

მინდოდა ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სასწავლო სივრცეები გამეხსნა, რომლებსაც მუზეუმის დატვირთვაც ექნებათ და ისეთი ადგილიც იქნება, სადაც სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები შეძლებენ აქტივობებისა თუ პროექტების განხორციელებას. დავიწყე ფონდების მოძიება. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა დაგვაფინანსა და გავხსენით „ოკუპაციის მუზეუმი“. მის გახსნაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჩამოვიდა. შეხვედრას ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის დირექტორი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მუზეუმში ევროპული ქვეყნის ელჩები ჩამოგვყავს და მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს ეძლევა საშუალება სხვადასხვა თემებზე ლექციებს, მოხსენებებს, დისკუსიებს დაესწრონ.

ერთ-ერთ გასართობ-შემეცნებით გადაცემაში 4000 ათასი ლარი მოვიგე. ეს თანხა სრულად გადავურიცხე მაღალმთიანი რეგიონის ერთ სკოლას, შევუძინე სასკოლო ინვენტარი და სოციალური საწარმოსათვის საჭირო ნივთე-

ბი. ორი საწარმო შევექმენით: გოგონებისთვის, რომლებიც ხელნაკეთ ნივთებს ამზადებენ და ბიჭებისთვის, რომლებიც ტრადიციულ ხეზე კვეთას შეისწავლიან და ამით ტრადიციის გაგრძელებას შეუწყობენ ხელს.

ვთანამშრომლობ გურიის რეგიონში სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაგალითად, „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“, რომელიც ახალგაზრდებთან მუშაობს, მათ გააქტიურებასა და ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. მე მათთან მოხალისედ მივდივარ და სხვადასხვა ტრენინგსა თუ აქტივობებს ვატარებ.

სოციალური სახლებისთვის სასათბურე მეურნეობები შევექმენი, რომლებისთვისაც დაფინანსება ასევე პრეზიდენტის ფონდიდან მოვიპოვე. ვფიქრობ, ამ სახლებში მცხოვრები ბავშვებისთვის ერთგვარი თერაპიაა მცენარეთა მოშენება და მათზე ზრუნვა. სათბურებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მოჰყავთ და სხვა სახლებსაც უნაწილებენ. პროექტებს, რომლებიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ დააფინანსა, სხვადასხვა რეგიონის სკოლის ხელმძღვანელებს ვუზიარებ, ამან გამოიწვია მათი გააქტიურება და თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. სკოლაში ბევრი მცენარე მოვაშენეთ და უკვე თავად ვაცხადებთ მცირე გრანტების კონკურსს საბავშვო ბაღებისთვის. მნიშვნელოვანია, ბაღის ასაკიდან ჩამოუყალიბდეთ პატარებს ეკოლოგიური ცნობიერება.

ძალიან ადრე მივდივარ სამსახურში და სახლში ძირითადად მაშინ ვბრუნდები, როცა ჩემს პატარა სოფელში ალბათ ყველას სძინავს. მე მაინც ვჩქარობ -მინდა ჩემმა ქვეყანამ მალე გაიღვიძოს. მომავალი ხომ განათლებათაა!

გლობალური მოქალაქეების განვითარება

ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა თავისუფლდება საბჭოური იდეოლოგიის ნარჩენებისგან. მსურს ეს პროცესი დაჩქარდეს. ვუმეგობრდები სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგებს, შემდეგ ერთობლივ პროექტებს ვახორციელებთ. მოსწავლეთა ორი ჯგუფის წაყვანა მოვახერხე სომხეთში. ვთანამშრომლობთ პოლონეთის სკოლებთან. პოლონელ მოსწავლეებსაც ვუმასპინძლეთ და თავადაც ვიყავით პოლონეთის ოთხ ქალაქში.

იმისათვის, რომ ჩემი სტუდენტები გლობალურ მოქალაქეებად აღმზარდა, პროექტული სწავლების მეთოდი ავირჩიე და სულ 19 პროექტი განვახორციელე.

ჩვენს რეგიონში არ ცხოვრობენ სხვა ეროვნების ოჯახები, მაგრამ ჩვენს თანასოფლელებს ცოლად ჰყავთ სომეხი, ოსი, აფხაზი, ამერბაიჯანელი, უკრა-

ინელი, რუსი, თურქი ქალები. ასეთი სულ 28 ქალია. ისინი პროექტის მთავარ გმირებად ვაქციე. დაფინანსება მოვიპოვე და საქმეს შევუდექი. გაკვეთილების შემდეგ პროექტის ფარგლებში ასეთი ოჯახებში სტუმრად უნდა მისულიყვნენ ჩემი მოსწავლეები. რძლებს კი წინასწარ დავურიგე თანხა, რომ მათი ტრადიციული კერძები მოემზადებინათ სტუმრებისთვის. ერთი თვის განმავლობაში 109 მოსწავლე იწერდა მათ წესებს, ტრადიციებს, რწმენის შესახებ ინფორმაციას, ერთობლივად ამზადებდნენ ტრადიციულ კერძებს, ტკბილეულობას.

პროექტს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ვიმეორებთ, რათა შედეგები შევინარჩუნოთ. სკოლის დერეფანში ეთნოსუფრები იშლება და ყველა კლასი ცდილობს თავისი ეთნომასპინძლის ტრადიციები დაგვანახოს პრეზენტაციებით. ამ პროექტებით შევძელით არა მარტო მოსწავლეთა, არამედ თემის ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული პროექტი დღესდღეობით 14 სკოლამ განახორციელა და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ.

პროექტმა რელიგიური პრობლემებიც დაგვანახა. ამას დაემატა ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი რელიგიური კონფლიქტიც – ადგილობრივები უფლებას არ აძლევდნენ მუსულმან მემობლებს ერთ-ერთ კერძო სახლში გამართულ მეჩეთში შესვლისა და ლოცვის უფლებას. კონფლიქტის შედეგები სწრაფად ვრცელდებოდა და სკოლაშიც აღარ დადიოდნენ მუსულმანი მოსწავლეები. რაც მეტი ტელევიზია, უფლებადამცველი და პოლიტიკოსი ჩამოდიოდა სოფლად, მით უფრო ღვივდებოდა შუღლი. ჩვენმა პროექტმა „მშვიდობის დღეები“ მართლაც დიდი საქმე გააკეთა. 20 სკოლიდან მოვიწვიეთ მოსწავლეები, მათ შორის იმ სოფლის სკოლის მოსწავლეები, სადაც კონფლიქტი მძვინვარებდა. დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობიდან და კავკასიური სახლიდან მოვიპოვეთ. ორი კვირის განმავლობაში მშვიდობის გაკვეთილებს ვატარებდით. ერთი კვირა თავად მეჩეთში ვატარებდი გაკვეთილებს მუსულმან მოსწავლეებთან ერთად. ადგილობრივთაგან ერთმაც ვერ შემომკადრა, თუ რატომ დამყავდა ბავშვები იქ, სადაც მანამდე სახლის პატრონიც კი ვერ შედიოდა. ჩემს მოსწავლეებს კონფლიქტის ორივე მხარესთან უწევდათ მუშაობა. ისინი ყოველ დღით იღებდნენ დავალებებს და საღამომდე ინტერვიუებს იწერდნენ, ხვდებოდნენ ქრისტიანებსაც და მუსლიმებსაც. მოსწავლეები ეძებდნენ კონფლიქტის მოგვარების გზებს. მუშაობამ, რომელშიც ბავშვები იყვნენ ჩართულნი, ყველაფერი დაამშვიდა და მოაგვარა.

ამ და სხვა ამგვარი პროექტების განხორციელების შემდეგ ჩვენს სკოლას ყველაზე დემოკრატიული სკოლის სტატუსი მიანიჭეს.

როცა გული ადამიანის სიყვარულს ერვევა

სიტყვა „მასწავლებელი“ საკუთარ სახელთან ასოცირდება. მამა ისტორიის მასწავლებელი იყო ორთაჭალის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, დედა 35 წელზე მეტია ინგლისურ ენას ასწავლის სკოლაში, რომელიც მე დავამთავრე. მას-სოვს, ერთხელ მამა ყვებოდა, მოსწავლე კლასიდან გავაგდეო. მამას სჯეროდა, რომ უწესო საქციელის გამოვლენისას მასწავლებლები ასე უნდა მოქცეულიყვნენ. მაშინ ძალიან შემრცხვა მამაჩემის და თან შემეშინდა მოსწავლის შურისძიებისა. დედაჩემმა ყველაზე მთავარი იცის – ბავშვის ფსიქოლოგია და მასთან მიდგომის გზები. ოცდაათ წელზე მეტია დედას ხელფასი 400 ლარს არ ასცდენია და სულ ხელფასის განაწილებაშია.

მასწავლებლობა – ჩემთვის ასოცირდებოდა პროფესიასთან, რომელშიც შემთხვევით „ებმები“ მოსაბეზრებელ რუტინასთან, უფულობასთან, მომქანცველ რეპეტიტორობასთან და ყვირილთან. 90-იანი წლების ბავშვებს კარგად გვახსოვს მრავალრიცხოვან კლასში ჩატარებული გაკვეთილები და კლასის მართვის ავტორიტარული მეთოდები.

მეთერთმეტე კლასში ვიყავი. სკოლიდან სახლში ვბურნდებოდით მე და დედა. სწავლის გაგრძელებაზე ვსაუბრობდით. მაშინ მითხრა, ფილოლოგიურზე ჩააბარეო, რაც ირიბ თუ პირდაპირ მინიშნებად ასე ჟღერდა: ქართულის მასწავლებელი იქნები და სკოლაში იმუშავებო. მე კი ერთი სული მქონდა, როდის დავამთავრებდი სკოლას, რომ უკან მომეტოვებინა უსახური შენობა და უინტერესო დღეები. მეგონა თავგადასავლებში ჟურნალისტიკა გამხვევდა. ამ წარმოდგენების გამო დედას სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე. როგორც ხდება ხოლმე, რასაც ეწინააღმდეგები, ის მთელი ძალით გეკახება. ჩემთანაც ასე მოხდა, ოღონდ რამდენიმე წლის შემდეგ.

ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როდესაც პროფესიით მუშაობის დაწყება მომინდა, რამდენიმე ადგილას ვმუშაობდი. ასე აღმოვჩნდი თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში, რომელიც თანამედროვე მუსიკოსის კლიპში მქონდა ნანახი და საჯარო სკოლების ფონზე ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენდა. კერძო სკოლებმა შექმნეს ალტერნატიული რეალო-

ბა სასკოლო ცხოვრებაში – ინფრასტრუქტურა, მცირერიცხოვანი კლასები, მშობლებთან კომუნიაციის თანამედროვე ფორმები, სწავლების ახალი მიდგომები. თუმცა, ახლა ვხვდებით, რომ მთავარი მასწავლებლის შინაგანი მზაობა და თვითგანვითარებაზე ზრუნვაა. მეხუთეკლასელების დამრიგებელი ვიყავი. ხშირად მიწევდა ხმის აწევა და კლასის მართვის უუნარობაც სასოწარკვეთილებებში მაგდებდა. სათანადო ცოდნა არ მქონდა და არც არავინ მყავდა, რომ დავეკვლიანებინე. ასე დავანებე თავი სკოლაში მუშაობას. შეიძლება ითქვას, გამოვიქციე იმ შინაგანი განწყობით, რომ არასდროს დავბრუნდებოდი უკან.

პედაგოგიკით დაინტერესება საკუთარ შვილთან გატარებულმა ხუთმა წელმა განაპირობა. ინტუიციამ, პასუხისმგებლობის მთელი არსებით გააზრებამ და ჩემი გოგონას ექიმმა, ლალი ანდრიაშვილმა, მასწავლებლობის სურვილი გააღვივეს ჩემში. ერთხელ ლალი ექიმმა მითხრა, ბავშვთან ურთიერთობა განვითარების ყველაზე თანამედროვე გზა არისო. მართლაც ასეა – გიწევს ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების ეტაპების შესწავლა, მოთმინების მართვა, თამაშთან და საბავშვო ლიტერატურასთან მიბრუნება. მეც ვკითხულობდი ბევრს წვრილი თუ მსხვილი მოტორიკის განვითარების, ყურადღების გადატანის შესახებ. ვხატავდით, ვძერწავდით, ვქსოვდით, ვკერავდით, ვმღეროდით – ერთად ვაკეთებდით ყველაფერს, რაც მანამდე არ გამომდიოდა და რაც შემდეგ ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოვიყენე. ასე ნელ-ნელა გამიღვივდა სურვილი მასწავლებლობისა. მაშინ აღმოვაჩინე ინტერნეტ-ჟურნალი mastsavlebeli.ge, უფრო სწორად დიანა ანფიმიადიმ აღმომაჩენინა. ამ გოგოს სტატიებმა წარმოდგენა შემიცვალა მასწავლებლის პროფესიაზე. ყველაზე მეტად მისმა ქმედებებმა, თურმე ასეც შეიძლება, ვფიქრობდი და მეც სამოქმედოდ განმაწყობდა მისი დამოკიდებულებები. ასე თანდათან დამიგროვდა ცოდნა, რომელიც თავდაჯერებას მმატებდა. ჩავაბარე სასერტიფიკაციო გამოცდები და სამუშაოს ძებნას შევუდექი. შორს მდებარე კერძო სკოლაში მცირეწლოვანი შვილების გამო მუშაობის დაწყება არ მინდოდა, ჩემი უბნის საჯარო სკოლაში კი ადგილი არ იყო. ერთ დღესაც პროგარამა „ასწავლე საქართველოსთვის“ გამახსენდა და მე და ჩემი ოჯახის წევრები ალტრუისტულ გადაწყვეტილებამდე მივედით – სამუშაოდ და საცხოვრებლად მაღალმთიანი რაჭის სოფელ უწერაში წავედით. ბევრ სიკეთესთან ერთად მიხაროდა იმის გააზრება, რომ მასწავლებელს სადღაც ჰქონდა მაღალი ანაზღაურება.

2014 წელს სოციალურ ქსელში სურათი გამოვაქვეყნე, მე და ჩემი გოგო რიონზე გადებულ ხიდზე ვდგავართ და ცხოვრება გვიხარია. მახსოვს, სურათს

წარწერად დავურთე, მე მასწავლებელი ვარ და მეამაყება-მეთქი. მაშინ გაუცნობიერებლად დავწერე, ახლა იმავეს ვფიქრობ, თუმცა ცნობიერად და დიდი პასუხისმგებლობით. პროფესიაში საკუთარი თავის პოვნა ადვილი არ არის. ისე მოხდა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. მანამდე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ასე არ მიფიქრია. ვფიქრობდი, რომ ჩემი წილი საქმე სწორედ იქ უნდა მეკეთებინა, სადაც ყველაზე მეტად ვჭირდებოდი.

მერე ისე მოხდა, რომ პროფესიამ მთელი ჩემი ცხოვრება მოიცვა. ყურადღებისა და დროის გადანაწილება მრავალ ვალდებულებას შორის არ გამომივიდა. მთელი ჩემი არსებით საყვარელ საქმეს მივეჯაჭვე. ამ თავგანწირულმა მუშაობამ ყოველდღიურობა დღესასწაულად მიქცია.



სოფლის პატარა სკოლაში სამი წელი გავატარე. მთელ ცხოვრებას უდრის ეს სამი წელი. განსხვავებულ გარემოში ყოფნამ სათქმელი დამიგროვა და წერა დავიწყე. სოციალური ქსელი აღმოჩნდა ნაძვნარიანი ტყიდან სამყაროსთან საუბრის საუკეთესო საშუალება. პირველ წერილებს ჩემს მეგობარს, პროფესიით ჟურნალისტს, ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორს ვაკითხებდი. მაკა მწერდა, რომ ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვან დეტალებზე გამემახვილებინა ყურადღება. მეც გაბედულება შემატებოდა. ბლოგზე ამბები გროვდებოდა და ასე გადაიქცნენ ეს ამბები წიგნად. „მოსიარულე გაკვეთილები“ გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. წიგნის რედაქტორი დიანა ანფიმიადია. გოგო, რომელმაც მასწავლებლობისა და მძიებლობის სურვილი გააღვივა ჩემში.

ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული განვითარებისას ვინ შემოგხვდება, ვინ გაგიწევს მენტორობას, რამდენად გულწრფელად და გულისხმიერად. ამ მხრივ, ნამდვილად გამიმართლა. ისიც მნიშვნელოვანია, რამდენად ღია ხარ სხვისი გამოცდილების გასაზიარებლად, რჩევის მისაღებად. ვილაც შენთვის იქცევა ხიდად, ვილაცას შენ გაუკვალავ გზას და ენერჯიათა ამგვარი მიმოქცევა პროფესიულ ცხოვრებას საინტერესოს ხდის.

ხშირად ვუღრმავდები საკუთარ ბავშვობას, სკოლის წლებს. 90-იან წლებში გატარებულმა სასკოლო ცხოვრებამ თავისებური კვალი დატოვა. ამას ვგრძნობ და ბევრი შრომა მიწევს, რომ დაკარგული დრო ავინაზღაურო, ვისწავლო. ამაზე ფიქრი ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისადმი სიბრაალულს

იწვევს. სამოცდაათწლიანმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ინდივიდუალიზმი გააქრო ადამიანების ცხოვრებიდან. სიახლე, თვითგამოხატვის განსხვავებულობა შიშს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ გარემოში გავიზარდე, სკოლაშიც არავინ მზღუდავდა, სარეველა ბალახივით მოდებული შიში ჩემს სულშიც ამოიზარდა. სოციალური გარემოს გავლენა ძალიან ღმა კვალს ტოვებს ჩვენზე. ამ ყოველივეს გააზრებისას კიდევ უფრო საჭიროდ ვგრძნობ თავს ჩემს პროფესიაში. რაც შეიძლება ბევრ ბავშვს მინდა აღმოვაჩინო საკუთარი თავის რწმენა, შესაძლებლობები და სხვისი დანახვა ვასწავლო.



რატომ მიყვარს ჩემი პროფესია? მთელი ჩემი არსებით მაგრძნობინებს, რომ საჭირო ვარ. ვგრძნობ, რომ ბავშვები თავს კარგად გრძნობენ ჩემთან. ადრე ასე არ იყო. პატარა ბავშვებს ვერ ვეკონტაქტებოდი. არადა, როცა ურთიერთობა არ ეწყობა, აგრესია ჩნდება. ურთიერთობის ლეგოს ნაწილებივით აწყობაც შეიძლება. ესეც დრომ მოიტანა.

მიყვარს მუდმივი მაძიებლობა, რაც რეალურად ქმნის ბავშვებთან მისატან მუხტს. ამ პროფესიაში რასაც გაცემ, ის ასმაგად გიბრუნდება უკან. მომწონს, რომ ვსწავლობ, ვასწავლი და ბავშვებიც ბევრს მასწავლიან. თვითგანვითარება მოწყენის საშუალებას არ გაძლევს.

განსაკუთრებული ყურადღებით ვკითხულობ მწერალი მასწავლებლების მიერ დაწერილ წიგნებს: ანა გავალდა, დანიელ პენაკი, შერონ დრეიპერი, თამარ გეგეშიძე – ამ ადამიანებთან მეგობრობა გამოცდილებას მიღრმავებს.



ყველაზე მეტად კითხვა მეხმარება, რათა ჩემი საქმიანობა მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს. წიგნებში ვპოულობ სხვა წიგნებს, წერილებს, ადამიანებს, მეთოდებს. შთაგონებით ვივსები. კითხვა რომ არა, ვერც მედიათეკის ოთახს დავაარსებდით, ვერც ლიტერატურულ კაფეებს გამოვიგონებდით. ბოლოს დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი ცხოვრების გზაზე“ წავიკითხე. ერთგან იაკობ გოგებაშვილის წერილს „რანი ვიყავით გუშინ?“ ახსენებს. იმდენად დამაინტერესა, რომ მოვძებნე და კითხვა დავიწყე. პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილს გაიცნობს, რომელიც ხანმეტ პალიმფსესტებზე, გიორგი მთაწმინდელებზე ესაუბრება. მანამდე აკაკი შანიძის წერილს ვკითხულობდი. ივანე ჯავახიშვილის სიხარულზე წერდა, ხანმეტი პა-

ლიმფესტების აღმოჩენისას რომ დაუფლებია. ამგვარად, რამდენიმე განმანათლებლის საერთო სულისკვეთება მეც გადმომედო. დავით კლდიაშვილის ავტობიოგრაფიის კითხვისას რამდენიმე იდეა დამებადა სტატიის დასაწერად. მაგალითად, ბიოგრაფიების შესწავლისას ჩრდილების თეატრის გამოყენება და ავტორისეული მონათხრობის გაცოცხლება ვაჟას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. შემდეგ ინგლისელი მწერლის ენიდ ბლაიტონის წიგნის „ხუთეული განძის კუნძულზე“ კითხვა დავიწყე. წიგნი ანი კოპალიანმა თარგმნა და მეც მადლიერებით ვიცხებოდი შესანიშნავი ქართულისთვის, დავიწყებული, საინტერესო სიტყვების გაცოცხლებისთვის.

ყოველივე ეს იმის მაგალითად მოვიყვანე, თუ როგორ შემოქმედებით პროცესში მახამს კითხვა და რომ კითხვის გარეშე ჩემი მასწავლებლური საქმიანობა ძალიან უღიმღამო იქნებოდა.



საინტერესოა ჩვენი პროფესიის სირთულეებზე ყურადღების გამახვილება. მუდმივი შფოთი – პირველი ეს მახსენდება. მრავალი პასუხისმგებლობა უკიდურეს დაძაბულობას იწვევს. კომუნიკაცია სხვადასხვა ასაკისა და სტატუსის ადამიანთან: დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, კოლეგებთან – დიდი გამოწვევაა. მუდმივად გიწვეს მუშაობა ემოციური ინტელექტის სამართავად, კონფლიქტის მართვის გზებსაც კარგად უნდა დაეუფლო. კიდევ მრავალი „უნდა“ მახსენდება. საინტერესო გაკვეთილის დაგეგმვა და ცოდნის გაღრმავებისთვის ზრუნვა უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს.



უწერის სკოლაში ფრანგული მედიათეკის გავლენით თანამედროვე მედიათეკის მსგავსი სივრცე შევქმენით, რომელსაც ბავშვებმა ჯადოსნური სამყაროს ოთახი უწოდეს. ოთახისთვის უფროსკლასელებმა თავისი ხელით გააკეთეს ხის თაროები, მაგიდები, სკამები. აქვეა წიგნის პოსტერები, სპექტაკლებისთვის დამზადებული რეკვიზიტები, ჭერში პერსონაჟთა გალერეაა, რომელიც ბავშვების წიგნიერებაზე მეტყველებს. ფანჯრები ლიტერატურული პერსონაჟებითაა მოხატული, ჩვენი შეკერილი თოჯინებიც კედელზე კიდია, მაგიდაზე შუშის ქვეშ მთის გამხმარი ყვავილებია გამოფენილი. როგორც კი ოთახის კარს შეაღებთ, ხის და წიგნის სურნელი თავბრუს დაგახვევთ.

თქვენ გიგრძნიათ სპეციფიკური სუნი, რომელიც სკოლის ძველი შენობებისთვისაა დამახასიათებელი? ჩემი ბავშვობის მეგობარი ტოტალიტარიზმის სუნს უწოდებს. ვფიქრობ, თითოეულ მასწავლებელს შეუძლია წიგნისა და თავისუფლების სურნელი დაატრიალოს საკლასო ოთახებში.



მე და ჩემმა მოსწავლეებმა ჩვენი პირადი დღესასწაულები გამოვიგონეთ, რომელიც ფორმალური სასწავლო გარემოს ბუნებრივი გაგრძელება აღმოჩნდა. დღესასწაულები სტუმრების, მეგობრების, ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენც მრავალი ადამიანი შევიყვარეთ, თავიც შევაყვარეთ და დღესასწაულების აღნიშვნისას ავიყოლიეთ. ასეთი დღეები სკოლას, სწავლას, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობებს განსაკუთრებულ ელფერს სძენს.

დავით კლდიაშვილი თავისი ბავშვობის დღეებისა და ადამიანების აღწერას ასე ასრულებს: „ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩხვოდა და სწავლობდა.“

ეს სიტყვები პირველად რომ წავიკითხე, გავიფიქრე, ჩემი პროფესიის სულისკვეთებას არაჩვეულებრივად გამოხატავს-მეთქი. მასწავლებლის მთავარი მამოძრავებელი მოტივი სწორედ ეს მგონია – ბავშვების გულების შეჩვევა ადამიანის სიყვარულისადმი.

აღმოდებული კომკიდან ბავშვების გამოპარება

მას-წავ-ლე-ბე-ლი! – ახლა, როცა მინდა ჩემი „ფანჯრიდან“ გადავხედო ამ ჯადოსნური პროფესიის ლაბირინთებს, პირველი, რაც თავში მომივიდა, ესაა: სტატისტიკა რომ შემეძლოს, ცხოვრებაში ყველაზე ხშირად რა სიტყვა წარმო-მითქვამს, ალბათ ეს სიტყვა პირველი იქნება... დედა მასწავლებელი იყო, ბე-ბიაც, ბაბუაც... სხვა პროფესიის ადამიანებიც მრავლად იყვნენ გარშემო, მაგრამ ეს ის იყო, რაც მე ყველაზე მეტად მალეღვებდა, მაინტერესებდა და მიზიდავდა. როცა პატარა გოგონები თოჯინებს დავათრევთ, ჩემი უსაყვარლესი სათამაშო იყო თოჯინების სკოლა. ალბათ გოგონები დედობანას ირჩევენ, მე კი, როგორც მახსოვს, დედა კი არა, უფრო მასწავლებელი ვიყავი ჩემი თოჯინების...

დედაც ისეთი იყო, რომ იწვოდა მუდამ თავისი საქმის, სკოლის, ბავშვების სიყვარულით და ბებიაც, რომელიც ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ 1976 წელს გარდაცვლილ ბებიჩემს ჩემს სოფელში ახლაც წინა თაობის ადამიანები გა-საოცარი სიყვარულით იხსენებენ... დედა 1998 წელს გარდაიცვალა, მოულოდ-ნელად, თრომბოემბოლით, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანმრთელი... გულმა უმტყუნა... გასული საუკუნის 90-იანების ჯოჯოხეთი მოგხსენებათ... თვეობით და წლებით ხელფასები არ რიგდებოდა საბიუჯეტო სექტორის დაწესებულებებში, გაყინულ ხელფასს ეძახდნენ მასწავლებლის ჯამაგირს. ხან კუპონები და ინფ-ლაცია, ხან ლარში მიზერული ხელფასი და ისიც – გაყინული... მამა საყვედუ-რობდა დედას, დაანებე თავი მუშაობას, ასე უხელფასოდ რა აზრი აქვს? სახლს მოუარე და სხვა რამით დაკავდიო. ერთი წლით დატოვა სკოლა... და ის წელი ისეთი ჯოჯოხეთი აღმოჩნდა მისთვის, რომ შემდეგ წელს უკან დაბრუნდა, ამ-ბობდა, სულ კლასი და გაკვეთილი მესიზმრებაო, ჯანდაბას, ნუ მომცემენ ხელ-ფასს, მაინც უნდა ვიმუშაო... ჩემი სოფლის სკოლასთან რომ მაღაზიაა, იმის მეპატრონემ მითხრა: დედაშენი სულ ჩამოდიოდა და კამფეტებს ყიდულობდაო.

■ თინიკო, რად გინდა ამდენი კამფეტი, ვიცი, რომ შენთვის არ ყიდულობ, შვილები სტუდენტები გყავს და აქ არ არიან, ვისთან მიგაქვსო? – უკითხავს გამყიდველს.

- ბავშვებისთვის ცყიდულობო...
- კი მაგრამ, განა ხელფასი რა გეძლევა იმდენი, რომ ბავშვებისთვის ამდენ კამფეტს ცყიდულობ, მთელ კლასს შენ ხომ ვერ გამოკვებავო?
- რა ვქნა, ნინო, მე ხომ პატარებს ვასწავლი, ზოგჯერ გაკვეთილზე შიმშილისგან და სიცვისგან ფერწასული ბავშვი მიზის და არ ვაჭამო? ტკბილელუს შენთან ცყიდულობ, ხოლო სახლიდან ჩემი გამოცხვარი პური და ყველი დამაქვს, რომ მშიერ მოწაფეებს გავუმასპინძლდეო...

სად იყო 90-იანებში სკოლის ბუფეტი სოფლის სკოლაში? უყვარდათ. მასზე სულ ისეთები მესმის, ისე იგონებენ, ისეთი პატივი მიაგეს სიკვდილის შემდეგ, რომ... ის რეალურადაც იყო ჩემი მასწავლებელი, დაწყებით კლასებში შემთხვევით მოუწია ჩემი კლასის მასწავლებლობა და მე ეს მტანჯავდა, მასაც... ყველაზე მკაცრი ჩემ მიმართ იყო... არაფერს მპატიობდა და მაქსიმალურს ითხოვდა ჩემგან... მეჩვენებოდა, რომ ყველა ჩემი კლასელი უყვარდა და მხოლოდ მე არ ვუყვარდი. როცა საბაზო საფეხურზე გადავედი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ის აღარ იყო ჩემი მასწავლებელი და ისიც მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდა... არასდროს ჩემი მასწავლებლებისთვის არ უკითხავს ჩემი აკადემიური მოსწრების ან ქცევის შესახებ, არც ჩემი ნიშნები აინტერესებდა და არც ის, რას და როგორ ვსწავლობდი... ბოლომდე მენდობოდა... სრულ თავისუფლებას მანიჭებდა. პროფესიის არჩევანშიც ასე იყო, სხვა ყველაფერშიც... მესამე კლასში ვიყავი, სახლში მათემატიკის ამოცანა ვერ ამოვხსენი. შევხვებოდი, დამეხმარე-მეთქი, მაგრამ არაო, კლასში ხომ ამოვხსენით მსგავსი ამოცანები, ალბათ უყურადღებოდ იყავი, იფიქრე და დამოუკიდებლად ამოხსენიო, სხვა ბავშვებს ხომ არ აქვთ იმის საშუალება, რომ სახლში მასწავლებელ დედას დახმარება სთხოვონო?..

ვეწვალე, არაფერი გამომივიდა, ტირილი დავიწყე, რა არ ვცადე, ვუკირკიტე... მახსოვს, მერხიან-სკამიანად ეზოში გავედი, ხის ძირას დავდგი მერხი და მეასედ ვუბრუნდებოდი ამოცანას, მაგრამ... ბოლოს ისტერიულად ვტიროდი და თმებს ვიგლეჯდი, რატომ ვერ ვხსნი-მეთქი?!. სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ რომ დამინახა ამ მდგომარეობაში, მიზეზი მკითხა და დედას საყვედური უთხრა, შენ რა ადამიანი და მასწავლებელი ხარ, ბავშვი ტირილით დაოსებულა და რომ დახმარებოდი, რა დაშავდებოდაო?

დედა ისე ლამაზად წერდა, ნამდვილი კალიგრაფი იყო. გაკვეთილის გემების რვეულები ჰქონდა და თითქმის ყველა გაკვეთილის გემას წერდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის სახლში, როგორც დიასახლისს, საქმე თავზე

საყრელი ჰქონდა და დამხმარე არავინ ჰყავდა. სოფლის ტრადიციულ საოჯახო მეურნეობაში უმძიმესი შრომის, ბალ-ბოსტან-ვენახის, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოვლის, სტუმრიანი ოჯახის, სახლის მშენებლობისა და ათასგვარი სხვა სამრუნავის მიუხედავად, ის სასკოლოდ მაინც ყოველთვის ფორმაში იყო. ფაქიზად და სუფთად ყოფნას მუდამ ახერხებდა, ცოტა ეძინა, ალბათ – 4-5 საათი, მაგრამ დაღლილსა და გამოუძინებელს არ ჰგავდა არასდროს, ენერგიული, მხნე და ხალისიანი იყო. გაკვეთილის გეგმებთან ერთად ამზადებდა უამრავ თვალსაჩინოებას, მრავალფეროვან რესურსებს, იწერდა და ინიშნავდა ყველაფერს, აგროვებდა მასალებს. რესურსებს არგებდა სუსტი და ძლიერი მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ახლა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის ტრილიდან რომ ვუყურებ, მეჩვენება, რომ ეპოქას უსწრებდა, ნოვატორი იყო...

როცა სტუდენტი გავხდი, სულ მოხოვდა, რომ მეყიდა და ჩამეტანა მისთვის წიგნები, რესურსები, მასალები. ატარებდა გასვლით გაკვეთილებს. მოსწავლეთა ნამუშევრებს საოცარი სიყვარულით ინახავდა. წლების წინანდელი მოსწავლეების ნაწერები და ნახატები ჰქონდა დაარქივებული. მუდამ გულდასმით ასწორებდა და განმსაზღვრეელ და განმავითარებელ შეფასებებს აკურატულად უწერდა. მოსწავლეთა ისეთ დახასიათებებს წერდა, ახლაც სანიმუშო და აქტუალური რომ იქნება. იცნობდა ყველა ბავშვის სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ყველას დედაშვილური სიყვარულით ეკიდებოდა. უფრო კი ღარიბი ოჯახების შვილებს და კლასის აუტსაიდერებს აქცევდა ყურადღებას. მათ ეხმარებოდა ყველაფრით, მორალურად თუ მატერიალურად. იმდენად გულწრფელი, ემოციური და კომუნიკაბელური იყო, მახსოვს სხვადასხვა თაობის ბავშვები, დიდები თუ პატარები, ან ყოფილი მოსწავლეები, გულლიად უყვებოდნენ ყველაფერს თავიანთ ცხოვრებაზე, პრობლემებზე, წარმატებებზე. ხშირად ეკითხებოდნენ რჩევებს. ყოველთვის დადიოდნენ მასთან ბავშვები სახლში დამატებით სამეცადინოდ და არ მახსოვს, რომ ოდესმე მათი მშობლებისგან ფული ან საჩუქრები აეღოს. ამას ისე აკეთებდა, რომ მშობელსაც არწმუნებდა, სანაცვლოდ არაფერია საჭირო, ეს ჩემი მოვალეობა არისო...

ბაბუაჩემი, ვარლამ სახურია და ბებიჩემი, ვერა გვარამია სოფლის სკოლის მასწავლებლები იყვნენ. იდგა 1941 წლის 8 სექტემბერი. ვარლამი და ვერა გვერდიგვერდ ოთახებში გაკვეთილებს ატარებდნენ. მათ სამი შვილი ჰყავდათ, ორი გოგონა და ერთი ვაჟი, მამაჩემი. უფროსი, ჯული, 8 წლის იყო, მამა

- ხუთის და უმცროსი ქალიშვილი, თიკო - ოთხის. ვარლამი ამ დროს 35 წლის იყო. ხშირად ვხედავ ასეთ სცენას: კომისარიატიდან შემოვიდნენ სკოლის ეზოში და ბაბუა გაკვეთილიდან გამოიყვანეს ფრონტზე წასაყვანად. უთხოვია, გვერდით საკლასო ოთახში გაკვეთილს ჩემი მეუღლე ატარებს და მასთან გამომშვიდობების უფლება მომეცითო. უარი მიიღო. მეორეკლასელი ჯული მამიდა მამას ტირილით მისდევდა თურმე... მისდაუნებურად ცამოწმენდილზე ჯარისკაცად ქცეულს შინ ჩასვლის უფლება მისცეს. ბაბუა გვერდით ეზოში მცხოვრებ თავის ძმასთან და რძალთან ჩასულა და უთხოვია, ბავშვებს მიმიხედეთ, ცეცხლში არ დამეწვან ან რამე უბედურება არ მოიწიონო... ჯული მამიდას კი ბაბუა თურმე ეუბნებოდა:

■ ფრიადებზე ისწავლე, რაც მეტ ფრიადს დამახვედრებ, მით მალე დაგიბრუნდები, უფროსი ხარ და და-ძმასაც შენ უნდა ასწავლოო...

ჯული მამიდამ რამდენიმე კილომეტრი, მდინარის ფონამდე, ისტერიული ტირილით მისდია თურმე ფეხით მიმავალ სამხედროებს... ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე ამ სცენას და ბაბუას განცდებს... კილომეტრების მანძილზე ჯარისკაცებს გაკიდებული გოგონა სოფლის ექთანს ძლივს მოუბრუნებია...

მამიდას ფრიალის გარდა სხვა ნიშანი მართლაც არ მიუღია, ისე დაამთავრა სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი, მაგრამ მამა მანაც ვერ დაიბრუნა. როგორც ამბობდნენ, ის ქერჩის ან სევასტოპოლის ბრძოლებში წაიყვანეს... მისი ბოლო წერილი და სურათი 1941 წლის 12 დეკემბრით არის დათარიღებული... იმ საოცარ ფოტოზე ავტომატშემართული ბაბუა მეგობართან ერთად დგას... წლების მანძილზე ელოდნენ მეუღლე და შვილები. მისი დაღუპვის ცნობა ოჯახს არ მიუღია. ამბობენ, რომ ასეთ ცნობებს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს ვერ უგზავნიდნენ, რადგან სიკვდილი დადასტურებული არ იყო და ეს ძირითადად იმ შემთხვევებში ხდებოდა, როცა გემზე მყოფი ჯარისკაცები ბლვაში იღუპებოდნენ... პატარა ვიყავი, როცა ჩემი სოფლის სკოლაში ბაბუას მემორიალი დადგეს და ის ახლაც იქ დგას... იმ ფოტოზე გამოსახულ ფარაჯიან ახალგაზრდა კაცს მამა ძალიან ჰგავდა... მასწავლებელმა ბებიანჩემმა სამი შვილი ობლობაში გამოზარდა. სტალინური ეპოქის შვილი ღვთისმოსავი და მლოცველი იყო, რადგან მღვდლის ოჯახში გაიზარდა. იცოდა ყველა საეკლესიო წესის აღსრულება. მამა იხსენებს, რომ საშინელ სიდუხჭირეში იზრდებოდნენ. პატარა რომ ვიყავი, მამა ხუმრობდა, ერთ კვერცხს სამი ბავშვი დღეში სამჯერ სამ დღეს ვჭამდითო. მე კიდევ ვიდექი და ვანგარიშობდი, კვერცხის რამხელა ნამცეცი უნდა შეხვედროდა მამას, რომ ერთი კვერცხი ასე

გაენაწილებინათ. მათემატიკა ყოველთვის ჩემი აქილევსის ქუსლი იყო, მაგრამ მალევე ამოვხსენი, რომ კვერცხი 27 ნაწილად უნდა გაეჭრათ და მამას ვეკითხებოდი: – კი მაგრამ, ერთი ოცდამეშვიდედი კვერცხი შიმშილს რანაირად გიკლავდა-მეთქი? მამა ღიმილით მპასუხობდა:

– კი, კაცო, იმხელა ულუფა მხვდებოდა, მშიერი ნამდვილად არ ვრჩებოდიო...

ვერა ბებიას უხაროდა, რომ რძალიც (დედაჩემი) მასავით დაწყებითი კლასების მასწავლებელი შეხვდა და მაშინათვე დაუთმო თავისი ადგილი სკოლაში, თავად კი შვილიშვილებზე მზრუნველობას უნდებოდა. დედას უხაროდა, რომ მეც მასწავლებლობა ავირჩიე და ეს არა ოჯახური ტრადიციის, არამედ ჩემი ქართულის მასწავლებლის, იპოლიტე ბერულავას დამსახურებაა. ჩაბუხა – არ ვიცი, რატომ დამარქვა ასე... მაგრამ მომწონდა, რომ ასეთ უცნაურ სახელს მეძახდა სიყვარულით. იპოლიტე მასწავლებელს თავისი მდიდარი ბიბლიოთეკიდან მოჰქონდა წიგნები, ჟურნალები, ლიტერატურული გაზეთი, ანთოლოგიები, პოეტური კრებულები... ვფურცლავდით და ვფურცლავდით... ყოველი საკლასო და საკონტროლო საკლასო ან საკონტროლო წერა დღესასწაული იყო ჩემთვის. ვწერდი ნება-ნება, დაგემოვნებით, თან ვატანდი სულსა და გულს... ეს იყო მთელი ცხოვრება ჩემთვის... სხვა ყველაფერი მავიწყდებოდა და ტივტივებდა იპოლიტე მასწავლებლის და ჩემ მიერ აღმოჩენილი იდეები, ფრაზები, სახეები, ლიტერატურული პარალელები... ეს საბჭოთა ეპოქის ღვიძლი შვილი, მკაცრი და სამართლიანი ადამიანი, კრიტიკულ და თავისუფალ აზროვნებას გვასწავლიდა ბავშვებს. ის ჩემი მისტერ ჯონ კიტინგი იყო, „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ გმირი, რომელსაც ახლა უოლტ უიტმენის გენიალური ლექსის სიტყვებით მსურს მივმართო მარადისობაში:

“O Captain! my Captain! our fearful trip is done,
The ship has weather'd every rack, the prize we sought is won,
The port is near, the bells I hear, the people all exulting,
While follow eyes the steady keel, the vessel grim and daring;
But O heart! heart! heart! O the bleeding drops of red,
Where on the deck my Captain lies, Fallen cold and dead”...

იპო! – ასე ვეძახდით ბავშვები... საბჭოური სკოლის უნიფორმა სძულდა. ამბობდა, ამ შალის საშინელ ქსოვილში იხუთებიან ბავშვები ზამთარ-ზაფხულ,

ან რამდენად ჰიგიენურია, რომ ბავშვებს ვაიძულებთ ერთი და იმავე სამოსის ტარებასო. მასხოვს, საახალწლო სასკოლო ღონისძიებისთვის სკოლის ფორმის საგმობი ლექსი დავწერე და ლაიმა ვაიკულებს ერთი პოპულარული სიმღერის მელოდიაზე შევასრულე. სრული ეპატაჟი იყო, მეამბოხე მოსწავლის პროტესტი. დედა შეშინებული და დაპატარავებული იჯდა დარბაზში, არ გაუღიმია, სამაგიეროდ იპოლიტე მასწავლებელი ორივე ხელს მიქნევდა დარბაზიდან და გამაყრუებელ ტაშს მიკრავდა ბოლოს...

დიახ, მასწავლებელი გემის კაპიტანია, რომელიც შტურვალთან უნდა იდგეს მაშინაც, როცა ქარიშხალი ხომალდს ლეწავს. მე და ჩემი კოლეგა მეგობარი იმ დასკვნამდე მივედი, რომ თანამედროვე მასწავლებლობა ალმოდებული კომპიდან ბავშვების გამოპარებას გავს, ოღონდ ისე, მასწავლებელმა ბავშვებს არ აგრძნობინოს, რომ შენობა იწვის. იმდენი გამოწვევაა, იმდენი ვალდებულება სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის, მშობლების, მოსწავლეების, სადამრიგებლო კლასების წინაშე, იმდენია გასაკეთებელი კარიერული წინსვლისთვის, სტატუსებს თავი დავანებოთ, ნორმალური ანამლაურება რომ მიიღოს მასწავლებელმა, ყოველივე ეს წარმოუდგენელ ადამიანურ ძალისხმევას ითხოვს. გარემო კი განვითარებად საქართველოში ყოველთვის სტრესულია. პროფესია დისკრედიტირებულია. მასწავლებელთა კორპუსი დემონიზებულია. ზოგჯერ მგონია, რომ ვიღაც საგანგებოდ მუშაობს მასწავლებლის რეპუტაციის შესარყევად. კვალიფიკაციის პრობლემა საქართველოს განათლების სისტემის ხარვეზების წყალობით ჩვენს ქვეყანაში აქვს ყველა პროფესიის ადამიანს, მაგრამ რატომღაც ყველაზე აქტუალური „გაუნათლებელი და აგრესიული მასწავლებლები“ თემაა. ერთმა ახალგაზრდა კოლეგამ საზოგადოების ამგვარ დამოკიდებულებაზე იხუმრა: მასწავლებლებს იმიტომ გვესხმის ყველა თავს, რომ ჩვენი შურთო. სხვა არც ერთი პროფესიის ადამიანს არ აქვს შეხება ახალ და ჯანსაღ თაობებთან, რეალურად ხომ სწორედ ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება და ფუფუნება, რაც მხოლოდ ჩვენ გვაქვს, ეს გვაახალგაზრდავებს, ამიტომ ჩვენ ანგელოსის სულიანები ვართ და სხვები გვებრძვიანო.

მთავარი, რაც მასწავლებელმა უნდა შეძლოს კარგი რეპუტაციის მოსაპოვებლად და საღი თვითრეალიზაციისთვის, არის მრავალფეროვანი მეთოდებით სწავლება. თუკი მისი გაკვეთილები საინტერესო, შემეცნებითი და მრავალშრიანი, ამას მასწავლებელს უფასებს ყველა: მოსწავლეც, მშობელიც, სკოლის კოლექტივიც. ეს საზოგადოების დაკვეთაა. თვისობრივად

განსხვავდება გასული საუკუნის გაკვეთილი 21-ე საუკუნის გაკვეთილისგან. მასწავლებლის მონო აქტივობები, ლექციური ტიპის გაკვეთილები, თემების ახსნა-გამოკითხვა სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა. ნაცნობი თემის თანაკლასელებისგან მოყოლის მოსმენა თანამედროვე ბავშვისთვის დისკომფორტია. თუ ის იცნობს თემას, მასალა თავადაც დაამუშავა, მას სურს სიახლე, კლასთან და მასწავლებელთან საკუთარი ცოდნის ურთიერთგაზიარება, შევსება, სინთეზირება, ამიტომაც მთავარი გაკვეთილებზე ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებაა.

ბოლო ოთხი წელია თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ვმუშაობ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად საბაზო და საშუალო საფეხურებზე. კლასის დამრიგებელიც ვარ. 2015 წელს ჩავერთე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და მივიღე წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ამჯერად მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად სათანადო აქტივობებით ვარ დაკავებული. თუ მკითხავენ, რა მაჩვენა საკუთარმა პრაქტიკამ, რა სჭირდებათ ბავშვებს სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისთვის, ჩემი პასუხი ასეთია: მრავალფეროვანი გაკვეთილები და რამდენადაც შეიძლება მეტი დროით არაფორმალური განათლება, რათა კლასების მართვა უფრო იოლი და კომფორტული გახდეს მასწავლებლებისთვის, ხოლო ახალი თაობებისთვის შედეგზე გამყვანი.

ტრადიციული გაკვეთილები თანამედროვე მასწავლებელმა უნდა ჩაანაცვლოს პროექტებით სწავლებით, დისკუსიებით, ჯგუფური სამუშაოებით და პრეზენტაციებით, გასვლითი გაკვეთილებით, ინოვაციური აქტივობებით. მხოლოდ ეს განაპირობებს მასწავლებლისადმი ნდობის ამაღლებას, მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, აუტსაიდერთა მოტივირებას და თვითგანვითარებისკენ სწრაფვას.

მასწავლებელს უწყვეტი თვითგანვითარების რეჟიმის შემთხვევაში შეუძლია უამრავი ნოვატორული პროექტის დაგეგმვა და ხორცშესხმა. პროექტები მაქსიმალურად წარმოაჩინენ მოსწავლეთა კოგნიტურ და შემოქმედებით უნარებს.

იმდენად რთულია თანამედროვე მასწავლებლობა, მუდმივად თან გვდევს გაქცევის სურვილი, თუმცა სწავლა-სწავლების პროცესის ნათელი და პოზიტიური მხარეები იმდენად ჩამთრევი და მასულდგმულებელია, რომ გაქცევას გამორიცხავს. ხუმრობით და მეტაფორულად თანამედროვე მასწავლებელს მეგი კარპენტერს ვეძახი, ცნობილი ჰოლივუდური ფილმის, „გაქცეული პა-

ტარძლის“ (მთავარ როლში ჯულია რობერტსი) გმირს, რომელიც საკუთარი ქორწილებიდან გარბის, მაგრამ სიყვარულის ტკბილი უღელი მინც მისი სატარებელია. ძველ ქართულში ქორწინება სულიერი კავშირის გამომხატველი სიტყვა იყო. მაგალითად, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში სასულიერო მამები ტარებზე „ქორწინდებიან“ და წმინდა მამათა ერთობასაც საქორწინე კრებული ქვია. ამგვარი ქორწინება ანუ სულიერი კავშირი აქვს მასწავლებელს სკოლასთან, საყვარელ მოსწავლეებთან, საგაკვეთილო პროცესთან. ამიტომაც გაქცევა არ არსებობს, მხოლოდ წარმოსახვითია. ყოველი გაქცევა დაბრუნებას და ხელახალ წრეზე გასვლას უდრის.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული სირთულეებისა, დიდი იმედი მაქვს, რომ მალე, სულ მალე მასწავლებლის პროფესია საპატიო, პრესტიჟული, ავტორიტეტული და თანამედროვეობის ყველა ნიშნით აღბეჭდილი იქნება. მალე მასწავლებლებს არ გვექნება განცდა, რომ მასწავლებლობა აღმოდებული კომპიდან ბავშვების გამოპარებას ჰგავს. გამოირიცხება მასწავლებლის სტიგმატიზაცია. რასაკვირველია, ყოველთვის იქნება სირთულეები, სხვაგვარად წარმოუდგენელია. ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა იქცეს განათლების სისტემის ოპტიმიზაცია, მეტი დაფინანსება და განვითარება. „კომპი“ რომ ბევრი სირთულე იქნება, ცხადია, მაგრამ „კომპი“ არ უნდა „იწვოდეს“... მასწავლებელი მშვიდად და ოპტიმიზმით სავსე უნდა აკეთებდეს იმ ჯადოსნურ საქმეს, რასაც სწავლება, განათლების გადაცემა ჰქვია...

ჩემი პროფესია, ჩემი სიცოცხლეა

“Who dares to teach must never cease to learn” – John C. Dana

„ვინც სწავლებას ბედავს, არასდროს შეწყვიტოს სწავლა“ – ჯონ დანა

ჯონ დანას ეს სიტყვები არის ჩემი მასწავლებლობის გზამკვლევი, ჩემი პროფესიის დევიზი, ეს ის სიტყვებია, რომელიც არ მაძლევს საშუალებას ერთი წამითაც მოვდუნდე და რამე ახალი არ მოვიძიო ან არ ვისწავლო. მასწავლებლობა და ჩემი მოსწავლეების უღევი ნაკადი ჩემთვის ჩემი სიცოცხლეა – მე ამით ვსულდგმულობ და ვხარობ.

ჩემი პროფესია, ალბათ ჩემმა პირველმა მასწავლებელმა მოსამზადებელ ჯგუფში დამანათლა, პირველ სექტემბერს, სკოლაში მისვლიდან პირველივე დღეს. მახსოვს, ვტიროდი, 5 წლის ვიყავი. მასწავლებელმა მომიკიდა ხელი, კლასში შემიყვანა და თავის მაგიდასთან დამსვა, ნახე, შენი კლასელები როგორ სხედან და აბა, თუ ტირიანო. ნელ-ნელა შევეჩვიე, მასწავლებელი აღარ მაქცევდა ყურადღებას და მეც ჩუმად ვადევნებდი თვალს, თუ რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ. ახალმა გარემომ ძალიან იმოქმედა ერთ პატარა, თავის თავში ჩაკეტილ გოგონაზე, რომელსაც საკუთარი სამყარო ჰქონდა და იმ სამყაროში არავის უშვებდა. უყვარდა წიგნები, ხატვა, თავისი თოჯინების მოწესრიგება და მათთვის გაკვეთილების ჩატარება. აჩვენებდა ხოლმე თოჯინებს ნახატებს, ეკითხებოდა, თუ როგორ იყო ესა თუ ის სიტყვა რუსულად და თავადვე პასუხობდა.

შემიყვარდა სკოლა, ახალი გარემო, ჩემი მასწავლებლები. მომიწონდა მასწავლებლობა მეხუთე კლასში, პირველი ინგლისურის გაკვეთილის შემდეგ, ინგლისურად გაგონილი “Good morning, children”-ის თქმისთანავე. აღმოვაჩინე, რომ ენები მიყვარდა განსაკუთრებით – რუსული სკოლის მოსწავლეებმა ქართული ენის სწავლა დავიწყეთ მესამე კლასში, მაგრამ მე უკვე კითხვა თავისუფლად შემიძლო, გაზეთ „ქუთაისის“ წყალობით, რომელიც ფოსტალიონს ყოველ დღე მოჰქონდა ჩვენთან. ასო-ბგერები ზუსტად ამ გაზეთიდან ვისწავლე, მარტომ. რომელი ასოც არ ვიცოდი, მამას ვეკითხებოდი და ისიც

დიდი მოთმინებით და სიყვარულით მასწავლიდა. კითხვაც მამამ შემაცვარა, ჩემი ლამაზი კალიგრაფიაც მამას დამსახურებაა. გვიანობამდე ჩემ გვერდით იყო, მამეცადინებდა, რადგან დედა სულ მუშაობდა. კითხვისას ყოველთვის შემეკითხებოდა ხოლმე, თუ რას ვფიქრობდი ამა თუ იმ პერსონაჟზე, მის ადგილზე მე როგორ მოვიქცევოდი. მახსოვს, ერთი რვეული გამაკეთებინა, სადაც ვწერდით, რომელი წიგნი როდის წავიკითხე და ვინ იყო წიგნის ავტორი.

მოკლედ, ინგლისური ენა იყო ჩემთვის ყველაზე საყვარელი საგანი, მხოლოდ მისი სწავლა მინდოდა, მაგრამ ჩემი მასწავლებელი ჩემს მონდომებას ვერ თუ არ ხედავდა და არასოდეს მიწერდა ხუთიანს. ჩემი კლასელები ჩემგან იწერდნენ საკონტროლო წერას, მათ უწერდა ხუთიანებს და მე არა. ხაზვის მასწავლებელიც ასე იქცეოდა. მიმაჩნია, რომ ყველა ბავშვი ნიჭიერია სხვადასხვა სფეროში. არ არსებობს ბავშვი, ვისაც რაღაც არ უყვარდეს, არ აინტერესებდეს – აი, ზუსტად ის უნარი უნდა აღმოვაჩინოთ მოსწავლეში და მის განვითარებაში დავეხმაროთ მას – ესაა ჩვენი დანიშნულება, ჩვენი მოწოდება და ჩვენი საქმე.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი ვიმუშავე ერთ-ერთ დაწესებულებაში მხატვრის დამხმარედ, იმიტომ, რომ პირველ წელს ინსტიტუტში ვერ მოვხვდი. ვერ მოვხვდი იმიტომ, რომ სულ ექვსი სტუდენტი იყო მისაღები ექვსასი განცხადებიდან, აქედან ორი – მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტი იყო (იმ დროს მოსამზადებელზე სწავლა დიდი პრესტიჟი იყო). რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ერთი მშრომელი ოჯახის შვილის ადგილი, რაც არ უნდა მონდომებული და სწავლას მოწყურებული ყოფილიყავი, არ და ვერ მოიძებნებოდა.

ერთი წლის შემდეგ, მშობლებმა გადაწყვიტეს რუსეთში, კერძოდ ქ. პიატიგორსკში წავეყვანეთ და ამჯერად ინგლისური ენის ფაკულტეტზე ჩამებარებინა. არ მინდოდა 17 წლის ასაკში რუსეთში მარტო ყოფნა, მაგრამ სწავლის წყურვილმა ამ შიშს სძლია. წარმატებით ჩავირიცხე პირველ კურსზე, აქტიურად ვიყავი ჩართული სტუდენტურ თვითმმართველობაში, კედლის გაზეთის მხატვარი და რედაქტორი ვიყავი. მესამე კურსის მეორე სემესტრამდე სტიპენდიაც მქონდა, წარმატებული სტუდენტი ვიყავი, სანამ თეორიული გრამატიკის გამოცდის ჩაბარების დრო არ დადგა. გრამატიკის ლექციებს ერთი ლექტორი გვიკითხავდა და სემინარებს მეორე გვიტარებდა. ლექციაზე 150 სტუდენტი ვიყავით და ლექტორი ყველას, რა თქმა უნდა, არ გვიცნობდა. ყველას გვეშინოდა იმ ქალის, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებს. მიუხედავად იმისა, რომ

გრამატიკა ძალიან მიყვარდა და კარგად ვსწავლობდი, გამოცდაზე ლექტორმა ბოლომდე არ მომისმინა და სამიანი დამიწერა. როცა ვთხოვე ბოლომდე მოესმინა, მომიბრუნა და მითხრა: “Ты грузинка, с тебя хватит!” აცრემლებულმა ვუთხარი, რომ სულ ხუთები მეწერა ჩათვლის წიგნაკში, და ეს სამიანი სტიპენდიას დამაკარგვინებდა. დიდად არ შეწუხებულა, მხოლოდ ჩათვლის წიგნაკი გადაათვალიერა და რომ დარწმუნდა, სიმართლეს ვეუბნებოდი, მითხრა, გადამებარებინა მეხუთე კურსის ბოლოს. არა ერთხელ შევეჩიხე ასეთ დამოკიდებულებას რუსი ლექტორების მხრიდან, და არა ერთხელ მომიწია იმის მტკიცება, რომ ქართველები ძალიან ნიჭიერები ვართ. ეს სტუდენტური პრაქტიკის დროსაც მოვახერხე, როცა ჩემი გაკვეთილები ინგლისურ და გერმანულ ენაში უმაღლესი ქულით შემეფასეს და შემდეგ, განხილვაზე ძალიან პოზიტიური უკუკავშირიც მივიღე. ამან დიდი სტიმული მომცა და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში განაწილებამ მასწავლებლობის მართლაც კარგი გამოცდილება შემძინა და საქართველოში ჩამოსულს უკვე ჩამოყალიბებული მასწავლებელი მეგონა თავი.

საქართველოში ჩამოსულ ახალბედა მასწავლებელს სკოლის კარებს არც ისე დიდი ხალისით უღებდნენ, იმ დროს ინგლისური ენაც არ ისწავლებოდა ბევრ სკოლაში, ამიტომ დედუღეთში, ბაღდათის ერთ-ერთი სოფლის სკოლაში პიონერთა ხელმძღვანელად დავიწყე მუშაობა, პარალელურად გერმანული ენის გაკვეთილებს ვუტარებდი ბავშვებს, სხვა მასწავლებელს ვენაცვლებოდი, როდესაც ის არ იყო სკოლაში. შემდეგ ინგლისური ენის მასწავლებლად დამნიშნეს ამავე რაიონის სხვა სკოლაში, ამჯერად განაყოფ კლასში. თუმცა, მასწავლებელმა, ვის განაყოფშიც მუშაობა დავიწყე, განათლების სამინისტროში მიჩივლა, ვიღაც უდიპლომო ახალგაზრდა დანიშნესო და გადაამოწმეთო...

შემდეგ იყო ოჯახი, შვილები...ჩემი ოჯახის მხარდაჭერა და გვერდით დგომა. მაინც ვმუშაობდი – მყავდა ექიმების ჯგუფი, რომელსაც ინგლისურს ვასწავლიდი და პატარა ბავშვების წრე ადგილობრივი ბიბლიოთეკის ბაზაზე.

შვილები რომ საბავშვო ბაღში მივიყვანე, სოფელ დიშში დავიწყე მუშაობა. ეს იყო ჩემი მასწავლებლობის ყველაზე ნაყოფიერი ცხრა წელი. აქ მოხდა ჩემი შეხვედრა უცხოელ ტრენერებთან, საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებლის ასოციაციის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის მიღება, ამერიკელი მშვიდობის კორპუსის მოხალისის ჩამოსვლა ჩვენს სკოლაში, ჩემი გამარჯვება ამერიკელ მასწავლებელთა დახელოვნების პროგრამაში

და ამერიკაში გამგზავრება, სკოლისთვის ინგლისურენოვანი წიგნების და პირველი კომპიუტერის მოპოვება, ღირსების ორდენზე ჩემი წარდგენა და მშვიდობის კორპუსთან განათლების ტრენერის ასისტენტად და შემდგომში ტრენერად მუშაობა. ცხრა წლის შემდეგ, ბალდათის N1-ელ საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა. 2010 წელს დავადასტურე კომპეტენცია და გავხდი უფროსი მასწავლებელი.

ახალ სკოლაში მუშაობა არ გამჭირვებია, მხოლოდ მეხუთე კლასს ვასწავლიდი, რადგან ინგლისურმა აქ ფრანგული ენა ჩაანაცვლა და მე მშობლების მოთხოვნით დავიწყე მუშაობა. პარალელურად, ზაფხულობით, მშვიდობის კორპუსში, წინა სამსახურებრივი ტრენინგის განათლების ტრენერ-ფასილიტატორი ვიყავი და სკოლის აქტიური ცხოვრების შემდეგ არანაკლები „ციებ-ცხელება“ აქ მელოდა.

ეს იყო ძალიან დატვირთული და საინტერესო გამოცდილება სკოლის კედლებს მიღმა. უამრავი ამერიკელი მოხალისე გავიცანი, მე ვასწავლიდი მათ საქართველოს სკოლის თავისებურებებს, თუ როგორ უნდა ასწავლონ ქართველ ბავშვებს გრამატიკა, კითხვა თუ წერა, ვუგეგმავდი სესიებს, ვუდგენდი ტესტებს, ასევე გვქონდა სხვადასხვა გარე აქტივობები. ამ ტრენინგების და მშვიდობის კორპუსის გუნდის დამსახურებაა, მე რომ ასეთი გამოცდილება და ცოდნა შევიძინე, პრაქტიკულად, მთელი საქართველოს მასშტაბით ვიმუშავე და უამრავი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებთან მქონდა კომუნიკაცია.

მინდა, რამდენიმე სიტყვით ჩემი ამერიკული გამოცდილებაც გაგიზიაროთ. რთული პერიოდი იყო, 2001 წელი – არა შუქი, არა ბუნებრივი აირი, შვილები პატარა და დაუძღვრებელი დედამთილი. ამ დროს გაზეთში ვკითხულობ განცხადებას: „ყურადღება! ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ამერიკული საბჭოები ატარებს კონკურსს!“, გამარჯვებული მასწავლებლები აშშ-ში გაემგზავრებიან. დაუყონებლივ შევუდექი აპლიკაციის შევსებას. ღამით, როდესაც შვილებს დავაძინებდი და საოჯახო საქმეს მოვილევი, მთლიანად ჩემს საქმეზე ვერთვებოდი. ღამის 2-3 საათამდე ვავსებდი აპლიკაციას, ძალიან ბევრი რამ იყო დასაწერი. იმ დროს კომპიუტერზე ოცნებაც კი ვერ წარმომედგინა, ან რომ მქონოდა, გამოყენებაც კი არ ვიცოდი. ასე რომ, ხელით ვწერდი რამდენიმე ღამე, შემდეგ ლამაზად გადავწერე დასრულებული აპლიკაცია და გავაგზავნე თბილისში. წარმატებით გავიარე პირველი ტური და დამიბარეს გასაუბრებაზე – ჩემთვის ეს უკვე ძალიან დიდი გამარჯვება იყო.

გასაუბრებაზე ძალიან ვინერვიულე, პირველი გამოცდილება იყო ჩემს ცხოვრებაში. თავად ვიგრძენი, რომ არ გამომივიდა. შედეგად, ჩემმა სკოლამ, როგორც ნახევარფინალისტმა, მიიღო ინგლისურენოვანი სასწავლო წიგნები. ვიფიქრე, რომ ამით არ დავკმაყოფილდებოდი და ისევ მივიღებდი მონაწილეობას, არ შევეშვებოდი, სანამ არ გავიმარჯვებდი და აშშ-ში არ წავიდოდი. ეს მაინც აუხდენელი ოცნება მეგონა... იმავე წელს, ისევ გაზეთის მეშვეობით გავიგე, რომ ამერიკელი მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ჩამოდიოდნენ ორი წლით საქართველოს სკოლებში სამუშაოდ. ეს წარმოუდგენლად სასიხარულო ამბავი იყო! შევითანე მოთხოვნა, დავწერე სამოტივაციო წერილი და დაველოდე პასუხს.

სულ მალე ჩემს სკოლაში, ჩემთან და დირექტორთან გასაუბრებისთვის, ჩამოვიდა მშვიდობის კორპუსის დირექტორი მორა ფულტონი, სკოლაში ნახევრად დანგრეული კარებები და ფანჯრები იყო, გათბობისთვის პატარა შეშის ღუმელებში იატაკიდან აცვნილ პარკეტს ვიყენებდით ცეცხლის დასანთებად. კარგი ის იყო, რომ ინგლისური ენის კაბინეტი მქონდა, რომელიც უამრავი პოსტერით, ჩემი გაკეთებული რესურსებით და კედლის გაზეთებით იყო სავსე. იმ დღესაც რაღაცას ვხატავდი ბავშვებისთვის. მორასთან გასაუბრების შემდეგ ჩვენს სკოლაში ახალგაზრდა ბიჭი, მოხალისე ბრაიან მორისი ჩამოვიდა, რომელიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სიახლეების დანერგვას ჩვენს სკოლაში. ამასობაში გაცვლითი პროგრამის კონკურსი ისევ გამოცხადდა. ბრაიანმა დამარიგა, როგორ უნდა შემეცხო აპლიკაცია, რომ სიმორცხვე ამ დროს არ შეიძლებოდა, მეც უფრო თავდაჯერებლმა გავიარე გასაუბრება, ხელი შემიწყო ბრაიანთან მიღებულმა სალაპარაკო პრაქტიკამ, გაცილებით კარგად ვგრძნობდი თავს, არ მეშინოდა, ვიცოდი, თუ რამეს ვერ გავიგებდი, შემეძლო მეთხოვა, რომ გაემეორებინათ შეკითხვა და ამით არაფერი დაშავდებოდა. გასაუბრებით ძალიან კმაყოფილი ვიყავი – მე თავადაც მიხაროდა, ისეთი კარგი და ძალიან მეგობრული კომისიის წევრები იყვნენ გასაუბრებაზე – ქართველები და ამერიკელები.

რამდენიმე თვეში დამირეკეს. სოფელში მაშინ ორ-სამ ოჯახს თუ ჰქონდა მობილური ტელეფონი. მეზობლის ოჯახის ტელეფონის ნომერი მქონდა მითითებული აპლიკაციაში და იქ დამირეკეს. თავქუდმოგლეჯილი გავვარდი გაკვეთილიდან, რომ მეპასუხა. ამერიკული საბჭოებიდან მირეკავდნენ, თქვენ გამარჯვებულ და ზაფხულში აშშ-ში მიემგზავრებითო. მეცხრე ცაზე ვიყავი სიხარულისგან!

ცოტა რომ დავშვიდდი, გავიარე, რომ შეიძლებოდა ვერ წავსულიყავი. ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, ჯერ მარტო არასოდეს დამიტოვებია. სამი თვით ვინ გამიშვებს, მეთქი. მაგრამ ჩემს მეუღლეს ჩემზე მეტად გაუხარდა ჩემი წარმატება. რომ არა ჩემი მეუღლის და ჩემი ოჯახის მხარდაჭერა, მე ამდენს ვერ მივალწევდი.

ამერიკაში მონტანის უნივერსიტეტში გავიარეთ 12 კვირიანი ინტენსიური ტრენინგები, ვიმოგზაურეთ ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, იელოსტოუნის პარკში, ვნახეთ 4 ივლისის ალღუმი და მოვინახულეთ თავისუფლების კუნძულზე ცნობილი თავისუფლების ქანდაკება, ვეწვიეთ სხვადასხვა შტატსა და ქალაქს. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი და ბევრი ახალი სტრატეგია, მიდგომა და მეთოდი ვისწავლეთ ენის სწავლების კუთხით. ბევრი წიგნი ჩამოვიტანე და იქ მოცემულ აქტივობებს დღესაც ვიყენებ.

ჩემმა სკოლამ პირველი კომპიუტერი მიიღო პრიზის სახით. „პენტიუმ 4“ იმ დროს მართლაც პრესტიჟულ კომპიუტერად ითვლებოდა და ჩვენ ძალიან ამაყები ვიყავით ამ ფაქტით. ამ წარმატებას მოჰყვა ჩემი სკოლის მიერ ჩემი წარდგენა ღირსების ორდენზე, შემდეგ მშვიდობის კორპუსში მუშაობა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მასწავლებელთა ბანაკები, სადაც უკვე ტრენერად ვმუშაობდი – მიცნობდნენ ინგლისური ენის მასწავლებლები საქართველოს მასშტაბით. ამაზე მეტად სასიხარულო ჩემი მოსწავლეების წარმატებები იყო ჩემთვის – ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ, მსოფლიო ორატორობის კონკურსი მოიგო და ბუკინგემის სასახლეში პრინცმა ფილიპმა დააჯილდოვა, მეორემ დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში მთლიანი დაფინანსება მიიღო, ერთიც ფლექსის გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული გახდა, ერთი უკვე ცნობილი იურისტია და ჩემი 14 მოსწავლე – უკვე ჩემი კოლეგა, ინგლისური ენის მასწავლებელია. ამ ფაქტით, რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვარ, მით უმეტეს, რომ წარმატებული მასწავლებლები არიან!

2015 წელს, ბაღდათში ინოვაციების ცენტრი გაიხსნა და ჩემი კანდიდატურა მენეჯერის პოზიციაზე წარადგინეს. წარმატებით გავიარე გასაუბრება. პარალელურად, ბაღდათის N2 საჯარო სკოლაშიც დავიწყე მუშაობა დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ძალიან მიყვარს ისინი, ახლა უკვე მე-6 და მე-7 კლასელები. მახარებს თითოეული მათგანის წარმატება, რაც ჩემს შესაძლებლობებშია, მინდა გავაკეთო მათთვის და თავს არ ვზოგავ ამისთვის. ვასწავლი მათ ფიქრს, კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებით წერას, სხვადასხვა

საინტერესო აქტივობაში ვართ ჩართულები. როლური თამაშით სწავლობენ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს, საზოგადოებასთან ურთიერთობას, რწმუნდებიან საკუთარ შესაძლებლობებში და სწავლა-სწავლების პროცესიც მათთვის ძალიან საინტერესოა.



2017 წელს „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის შესახებ შევიტყვეთ. სკეპტიკურად მივუდექით კონკურსს. არც კი მიფიქრია მონაწილეობის მიღება. ახლობლებმა კონკურსში მონაწილეობის მიღება მთხოვეს, არ დავთანხმდი. თუმცა, თვალყურს ვადევნებდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ძალიან გამიხარდა, ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლის, ნათია ფურცელაძის ხუთეულში მოხვედრა. ლადო აფხაზავას გამარჯვებით დავრწმუნდი, რომ კონკურსი ნამდვილად ობიექტურად ჩატარდა.

შემდეგ მოხდა ისე, რომ ნათია ფურცელაძე ბაღდათელ მასწავლებლებს ეწვია ჯილდოს პრეზენტაციით. აგვიხსნა, რომ ეროვნული ჯილდოს მთავარი მიზანი პროფესიის პოპულარიზაცია იყო და მოგვიწოდა, მიგველო ამ კონკურსში მონაწილეობა. შეხვედრის შემდეგ, დამელაპარაკა, თვალს ვადევნებ თქვენს აქტივობას და კონკურსში მონაწილეობა მიიღეთო. თუ ვერ გაიმარჯვებთ, შეაჯამებთ თქვენს საქმიანობასო და ესეც ძალიან კარგიაო. ჩემმა სკოლის დირექტორმა, ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ, ჩემმა შვილებმა, ყველამ ერთიანად „შემომიტია“ და დავთანხმდი. ათეულში გასვლა ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი. ათეულს, საუკეთესო ხუთეულში გასვლა მოჰყვა, შემდეგ – მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ტიტული 2018. მახსოვს, ყველაზე მეტად ნათია ფურცელაძეს უხაროდა, ჩემი სკოლის დირექტორიც იყო დაჯილდოების ცერემონიაზე, ბედნიერი და ამაყი. ჩემი შვილი, გიორგი, ფოტოებს იღებდა და მისი ფოტოები მოხვდა მედიის ფურცლებზე. ეს იყო დაუვიწყარი დღე, ემოციები, სიხარული და მოულოდნელობა ჩემი გამარჯვების და ეს გამარჯვება ყველას თანაბრად ეკუთვნოდა.

სიყვარულის ამბები გეოგრაფიის გაკვეთილზე

ვნების სიმძაფრე შენებაშიაო – თქვა კონსტანტინემ – და არა აშენებულით ტკობაშიო.

ჩვენ მასწავლებლები აშენებულის ცქერით ვერ ვტკბებით, თუმცა ჩვენ თვალწინ გაზრდილი გოგო-ბიჭების მზერა კი გვახარებს და გვაამაყებს.

მართლაც რომ ბედნიერება თავად პროცესშია, რომელსაც სწავლა-სწავლება ქვია პედაგოგიკის ენაზე. ჩემთვის კი ეს ცხოვრებაა... ცხოვრება, რომელიც სიამოვნებად მექცა, ცხოვრება, რომელიც ყოველ წუთს და წამს სიურპრიზს გიმზადებს. ხან კარგს, ხანაც არც თუ ისე სასიამოვნოს. ეს უკანასკნელი გვალონებს და გვაფიქრებს და ამავე დროს გვზრდის, გვაძლიერებს. მე მიყვარს „სიურპრიზები“.

ჩემი გოგო-ბიჭები უკვე მე-11 კლასში არიან. ისინი ჩემი სტატიების ხან გმირები და ხანაც თანავტორები არიან. მათთან ერთად არც თუ ისე მარტივი გზა გავიარე, ბევრი წარმატებაც ერთად გავიზიარეთ. მალე ჩემი პატარა „ზვიგენები“ დამოუკიდებლად, ჩვენ გარეშე გააგრძელებენ გზას. განსხვავებული ხედვები აქვთ, სხვადასხვა მიზნები და პოზიციები, არ ვიცი, მათი მომავალი როგორ წარიმართება, თუმცა ერთი კი ვიცი, რომ მართალი და კარგი ადამიანები იქნებიან.

ეკონაკვალევს განვიხილავდით და უცებ მომინდა მეთქვა, რომ ისინი ჩემს ცხოვრებაში თავიანთ ნაკვალევს დატოვებენ და მე ამით ვამაყობ. ჩვენს ცხოვრებაშიც დატოვებთ ნაკვალევსო – წამოიძახა ლუკამ. მე ბედნიერება ვიგრძენი.

„ეკოლოგიური ნაკვალევი სწორედ ერთი ადამიანის მიერ პირდაპირი თუ არაპირდაპირი საშუალებებით გარემოზე ზეგავლენას ნიშნავს. ამ საშუალებებში კი ცხოვრების წესი, ენერგოეფექტურობა, მოხმარებული ენერჯის რაოდენობა და წყაროები იგულისხმება. ეს ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვურადაა გადაბმული“ – ეს ეკონაკვალევის განმარტებაა. ასევე ჯაჭვურადაა გადაბმული ჩვენი ნაკვალევიც, რომელიც ყოველდღიური წვრილმანებისგან შედგება.

„მე ამ სამყაროს დავშლი ფიქრებად!“ – სანდროს სიყვებმა ჩემში განსაკუთრებული კვალი დატოვა. მუდამ მახსენებს, რომ თითოეული მათგანი პიროვნებაა და გრძნობენ, იგებენ, სამყაროს ფიქრებად დაშლაც სურთ და უდიდეს სიყვარულს ატარებენ. სანდრო ამის დანახვაში დამეხმარა.

მე დღეს ბედნიერი ვარ... – ვკითხულობ სოციალურ ქსელში. ზოგი ბედნიერია, რომ საოცარ ქალაქში მოხვდა, ზოგი იმიტომ რომ, დღეს მისი პირველი სიხარულის დაბადების დღეა, პირველად აღმოაჩინა, რომ ... მე კი ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ, დღეს საშუალება მომეცა და ნიკას პატიება ვთხოვე, ვუთხარი ის, რასაც ვგრძნობდი და ვფიქრობდი, რომ ის მე ძალიან მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა, მაშინაც კი, როცა ძალიან ვუბრაზდებოდი. ნიკა ახლა მე-11 კლასშია. მე მას ბოდიში მოვუხადე იმ „ცუდი საქციელის“ გამო, იმ „ბრაზული“ სიტყვების გამო, რაც წლების განმავლობაში მითქვამს ... მან გამიგო და მაპატია. წლები დაგვჭირდა იმის აღიარებისთვის, რომ ეს სიყვარულის გამო ხდებოდა, რომ ... ნიკა ახლა მე-11 კლასშია ... ჩვენ მალე დავშორდებით და დამოუკიდებლად გააგრძელებს ცხოვრებას ჩემ გარეშე, ჩვენ გარეშე ... იმედია, ჩვენი ნაკვალევი თავის როლს შეასრულებს მის ცხოვრებაში.

მეორე ნიკასთან განსხვავებული ბრძოლა მქონდა. სწავლა ეგარებოდა ... მიზეზი არ ელეოდა, კლასში მუშაობაც არ უნდოდა.

– ნიკა, ჩვენი ბრძოლა ნეტავ როგორ დამთავრდება? – ვკითხე მოულოდნელად.

– იმედია, თქვენი გამარჯვებითო – მომიგო სწრაფადვე და ხალასი ღიმილიანი სახით შემომანათა. მე ბედნიერი ვიყავი იმ დღესაც. მივხვდი, რომ ბედმა მარგუნა ბედნიერების შეგრძნება და ამ ადამიანის მასწავლებლობა. ნიკა საოცარი ადამიანია.

მესამე ნიკა რადიკალურად განსხვავებულია ამ ორისგან. მუდამ მზად არის, მუდამ აქვს პასუხი, თუმცა არ აქტიურობს, დარბაისლურად ზის და გვისმენს. მეც არ ვაწუხებდი ხშირად, თუმცა ბოლო პერიოდში გააქტიურდა, დისკუსიაში ხშირად ერთვება და კიდევაც გაგვაოცა თავისი ანალიტიკური აზროვნებით.

– ნიკა, საიდან იცი ეს საკითხები? – ვკითხე მე.

– მაინტერესებს და ვკითხულობ ხოლმეო – მიპასუხა. უცებ ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვარ. დღეს გავიგე ნიკას გეოგრაფიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი. კიდევ ერთი დიდი სიყვარული და ნაკვალევი.

პატარა ანანომ მეოთხე კლასში მითხრა: – ამდენი რამ საიდან იცი? – ეს გეოგრაფიაა, მეცნიერება, რომელიც დედამიწას შეისწავლის – ავუხსენი მოკლედ.

– მაშინ მეც გეოგრაფი გამოვალ – გამომიცხადა ამაყად.

ახლა უკვე მე-9 კლასშია. როგორც ამბობენ, ჭკვიანი გოგოა (ჩემი ყველა მოსწავლე ჭკვიანია). ერთხელაც თავად გამახსენა ეს სიტყვები და დაასკვნა: მგონი, მაშინ რაც ვთქვი, ეგრე იქნებაო. არ ვიცი, ჯერ კიდევ აქვს დრო არჩევანისთვის.

რა უნარები? რა არის გეოგრაფია? ეს სანდრომ არაჩვეულებრივად ჩამომიყალიბა: ყველაზე საჭირო საგანი, რომელიც აფართოებს ადამიანის საერთო მსოფლმხედველობას, ავითარებს ლოგიკურ მსჯელობას, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას ... სანდრომ ყველა ის უნარ-ჩვევა ჩამომითვალა, რასაც ჩვენ გამჭოლ კომპეტენციებს ვუწოდებთ.

– გეოგრაფია ჩვენი ცხოვრებაა ... – დაასკვნა ბოლოს.

კიდევ ერთი სიყვარულის ამბავი გამახსენდა. დისკუსიამ კულმინაციას მიაღწია, გიორგის, რომელიც ცდილობს შეაჯამოს შედეგები, არ უსმენენ. მიგხვდი, რომ ჩარევა საჭირო გახდა და მე გავავრძელე.

– მას, იცით რა მწყინს ახლა? მეც იგივეს ვამბობდი რასაც თქვენ, მე არ მომისმინეს და თქვენ გისმენენ – თქვა ნაწყენმა გიორგიმ.

– გიორგი, მე რომ მასწავლებელი ვარ დაგავიწყდა? – გამეცინა. ამ ფრაზით დავამშვიდე და ვეცადე, მეგობრებზე არ გაბრაზებულიყო. ეს ის ბიჭია, 3 წელი რომ ვებრძოლე და მეოთხე წელს (მე-10 კლასში) აღმოვაჩინეთ, რომ ბრძოლა ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა.

ჩემი ეკონაკვალევით ნამდვილად ვერ ვიამაყებ, მაგრამ ჩემი ნაკვალევი კი ბოგჯერ ძალიან მახარებს.

და მაინც: ვნების სიმძაფრე შენებაშიაო და არა აშენებულთ ტკბობაშიო.

მე მასწავლებელი

სკოლა ჯადოსნური ადგილია, სადაც ძალიან ბევრი სიტბო ტრიალებს. რა არის ქვეყნად იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც გულწრფელ სიტბოსა და სიყვარულს გრძნობ ადამიანი? რა არის ქვეყნად იმაზე დიდი სიხარული, როდესაც ქუჩაში „განწირული“ ხმით შენკენ მორბიან პატარა ფეხები, მორბიან პატარები იმისთვის, რომ საყვარელ მასწავლებელს ჩაეხუტონ? ვფიქრობ, ძნელად თუ შეეძრება ამ განცდას რამე.

მასწავლებლობა დიდ ძალისხმევას და პასუხისმგებლობას მოითხოვს და თუ ეს საქმე არ უყვარს ადამიანს, უბრალოდ, შეუძლებელია იმუშაოს მასწავლებლად, რადგან იმ ურთულეს საქმეს და გაწეულ შრომას მხოლოდ ის სიყვარული გინაზღაურებს და გიმსუბუქებს, რომელიც ამ საქმისადმი გაქვს.

იყო მასწავლებელი არ არის ადვილი. წლების განმავლობაში, ბევრი რამ ვისწავლე და განვვითარდი. გავიცანი ჩემთვის ჯერ უცნობი ემოციები და შეგრძნებები, შევეხე და მივიღე. ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობ და იგებ პატარებისგან. ჩემთვის ძალიან სპეციფიკურია დაწყებით კლასებში მუშაობა. აქ მხოლოდ ანგარიშს, კითხვას, ანალიზისა და კიდევ უამრავი რამის სწავლას კი არ ასწავლი, არამედ იმას, თუ როგორ უნდა შეეგუონ მარცხს, როგორ უნდა აჯობონ საკუთარ თავს, როგორ უნდა დაეხმარონ მეგობარს, როგორ აპატიონ სხვას. ბევრს ჰგონია, რომ დაწყებით კლასებში მუშაობა ადვილია, რადგან ფიქრობენ, რა უნდა კითხვის სწავლას? ანგარიშს? დიახ, რომ უნდა! როცა შენთვის უცნობ ასოებს ნელ-ნელა სწავლობ და მაინც არ გამოგდის სიტყვების მთლიანად გადაბმით წარმოთქმა, როდესაც წვალთ და მაინც ცდილობ გააუმჯობესო შენი მიღწევები, როდესაც თვლას სწავლობ და თითებს იშველიებ, ზოგჯერ არასწორ პასუხებს წერ, მაგრამ მაინც არ ნებდები. ამას დიდი დრო, ენერგია, შრომა და სიყვარული სჭირდება.

იყო მასწავლებელი ეს ნიშნავს, იყო მზად უზომოდ ბევრი სიტბოსთვის, სიყვარულისთვის, წყენისთვის, იმედგაცრუებისთვის, დაუფასებლობისთვის, დაფასებისთვის, მადლიერებისთვის.

იყო მასწავლებელი ნიშნავს, გაცე უანგაროდ უზომოდ ბევრი სიტბო, შრომა და სანაცვლოდ არაფერს ელოდო, რადგან შედეგი წლებს მოაქვს, რომელიც გაორმაგებულად გიბრუნებს ყველაფერს.

იყო მასწავლებელი ნიშნავს, იხარჯებოდე უზომოდ ბევრს, იცლებოდე ძალებისგან, ემოციებისგან, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევდეს, ისევე ივსებოდე ახალი ძალებით, ემოციებით, იდეებით და აგრძელებდე შენს საყვარელ საქმეს.

იყო მასწავლებელი ნიშნავს, ერთდროულად იყო რამდენიმე ბავშვის დედა/მამა, არ განასხვავო ისინი ერთმანეთისგან და ყველას თანაბრად დაუთმო სიტბო და სიყვარული.

იყო მასწავლებელი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან შენს ხელში აღადმიანი ყალიბდება და უნდა ეცადო არსად დაუშვა შეცდომა.

იყო მასწავლებელი ნიშნავს, მზად იყო სიახლეებისთვის, განსხვავებული მოსაზრების მიღებისთვის, შეფასებისთვის. პატარები ყველაზე გულწრფელი შემფასებლები არიან, ყველაზე გულწრფელად და ღიად შეუძლიათ სიხარულის და წყენის გამოხატვა. შეუძლიათ, უზომოდ ბევრი სიტბო გაჩუქონ და აგავსონ დადებითი ემოციით.

როდის და რატომ ავირჩიე ეს პროფესია? რალაც ძალამ შინაგანად მიბიძგა, ეს გზა ამერჩია. ბავშვობაში წითელი კალმით შეცდომების შესწორება მხიბლავდა, სათვალის მორგება, წიგნებით ხელში სიარული, დიდი მონდომებით და ხალისით ვთამაშობდი „მასწავლებლობას“, მაგრამ ამას მხოლოდ თამაშად მივიჩნევდი და სერიოზულად არ ვფიქრობდი ამ პროფესიაზე. ბავშვების საყვარელი „დიდობანას“ თამაშით ვთამაშობდი და ეგ იყო და ეგ. დრო რომ გავიდა, ინტერესის სფერო გაიზარდა. ხან ჟურნალისტობა მინდოდა, ხან კომპიუტერობა, ბევრი სხვა პროფესიაც მიმიდავდა. სადღაც მიიმალა „მასწავლებლობანას“ სურვილი, თუმცა გადამწყვეტ ეტაპზე ბებია-ბაბუის პროფესია ავირჩიე და განვაცხადე: მასწავლებელი მინდა გავხდე-მეთქი! მხარდამჭერთა მცირერიცხოვნობამ სულაც არ შემიშალა ხელი. ასეც მოხდა. ჩავაბარე უნივერსიტეტში, ვისწავლე ის, რაც მომწონდა და დღითიდღე მიყვარდებოდა. პრაქტიკის გავლის დროს კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ეს არც ბავშვური თამაშის, არც გენების და არც „სხვა გზა არ მქონდას“ ბრალი არ იყო. ეს იყო ჩემი მოწოდება, ჩემი პროფესია, რასაც მე ხალისით, მონდომებით და სიყვარულით გავაკეთებდი.

როდესაც მასწავლებელი ხარ, საკუთარი გული იმდენად უნდა გაყო, რამდენი მოსწავლეს გყავს. თითოეული მოსწავლე განსაკუთრებული და ინდივი-

დუალურია. მნიშვნელოვანია, მათ იგრძნონ მხარდაჭერა, თანადგომა. კლასში, სადაც მე და ბავშვები დღის უმეტეს ნაწილს ერთად ვატარებთ, ვცდილობ, შევქმნა ისეთი ატმოსფერო, მყუდრო და მშვიდი გარემო, სადაც ისინი სიმშვიდეს და თავისუფლებას იგრძნობენ, რადგან ვთვლი, რომ თუ მოსწავლე თავს კარგად გრძნობს, ის ბევრად უფრო თავდაჯერებული, გახსნილი და თავისუფალია. ვცდილობ, ვიყო მეგობრული, გავიზიარო მათი ინტერესები, ვეთამაშო, ვისაუბროთ თავისუფალ თემებზე, პრობლემებზე ან იმ საკითხებზე, რომელიც მათ აინტერესებს. ხშირად გავიდე თ სკოლის გარეთ ერთად.

ვცდილობ, სწავლება იყოს მრავალფეროვანი, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს მოსწონთ სახალისო, საინტერესო აქტივობები. ჩვეულებრივ, მუშა ვაკეთებთ შემაქვს სულ მცირე დეტალი, მაგალითად, ფერადი ფურცლები, რომელიც მათ გაახალისებს. ნასწავლის განმტკიცებისათვის ხშირად ვაკეთებთ ხელნაკეთ წიგნებს, რომელსაც ერთად ვაფორმებთ და სხვადასხვა თემებად ვყოფთ. მათთვის საინტერესო თემებზე ვაწყობთ დისკუსიას, ვუყურებთ შესაბამის ფილმს. გეოგრაფიული თემების გაცნობისას ვაწყობთ ექსკურსიებს. კლასგარეშე აქტივობები სხვა კუთხიდან გვაცნობს ერთმანეთს და არაფორმალურ გარემოში უფრო ახლობლები ვხდებით. ვცდილობ, მოსწავლეებთან არასდროს შემოვხვევს შეცდომების აღიარების. შემეშალა? რამე ვერ გავიგე? მათთან ერთად ვცდილობ გამოსავლის პოვნას.

მასწავლებლობა მხოლოდ ცოდნის გადაცემა არ არის. მასწავლებლობაა, მოამზადო შენი მოსწავლე ცხოვრებისთვის. დაანახო თავისი ძლიერი და სუსტი მხარე. ასწავლო, როგორ გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე ახლაა. გამოუმუშავო ნებისყოფა, მოთმინების უნარი. ასწავლო საკუთარი და სხვისი პატივისცემა. პატიება, შეცდომების აღიარება, ბოდიშის მოხდა. შეცდომების გამოსწორება და საკუთარი ნაკლოვანებების აღიარება. ნებისმიერი მასწავლებელი ბედნიერდება, როდესაც ხედავს თავისი მოსწავლის სიკეთეს, ღირსეულ ნაბიჯს და გული სტკივა, თუ ეს ყველაფერი პირიქით ხდება.



ჩემი მოსწავლეობის დროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დისტანცია საკმაოდ დიდი იყო. მასწავლებელთან ვერ იქნებოდი თავისუფლად, ნაკლებად შეგეძლო შენი პრობლემის შესახებ მათთან საუბარი, ვერ გაბედადი თუნდაც დასვენებაზე მასთან ფოტო გადაგეღო. მაგრამ, საბედნიეროდ, მე მყავდა მასწავლებელი, ჩემი დამრიგებელი, რომელმაც რაღაც პრობლემით

შეშინებული არც ისე პატარა გოგო, კალთაში ჩამისვა, ჩამიხუტა, დამარიგა და დამამშვიდა. ეს იმდენად მძაფრი შეგრძნება იყო, რომ დღემდე შემორჩა ჩემს მოგონებას. მასსოვს და ვცდილობ, ჩემი მოსწავლეების გვერდით ვიყო ყოველთვის, როცა ვატყობ, რომ რაღაც აწუხებთ, რაღაცას ვერ ამბობენ. პრაქტიკამ მაჩვენა, რომ მათ ხშირად უჭირთ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი, უპირატესობას ამბის წერილობით მოყოლას ამჯობინებენ, მეც ამ გზას ვირჩევ ხოლმე, შემდეგ კი ვცდილობ ჩემი გამოცდილება გავუზიარო. საუკეთესო რჩევა მათთვის შენი გამოცდილების გაზიარებაა, რადგან გაკვირვებული, გაფართოებული თვალებით გიყურებენ, როდესაც უყვები, რომ სკოლაში, ერთხელ, შენც დაგავიწყდა გაკვეთილების მომზადება, სკოლაში, ერთხელ, შენც მოატყუე მასწავლებელი, იმიტომ რომ შეგეშინდა სიმართლის თქმის. ისინი ამ დროს გრძნობენ და ხვდებიან, რომ შენც ერთ-ერთი იმათგანი ხარ. ერთხელ ჩემმა მოსწავლემ მომატყუა, ზუსტად ვიცოდი, რომ მატყუებდა. ვამჯობინე მეგობრული საუბარი. ავუხსენი, რომ ტყუილი არ არის საუკეთესო გამოსავალი, რადგან სიმართლე ყოველთვის გამჟღავნდება, მაგრამ როდესაც ადამიანი აღიარებს შეცდომას, ის სხვის თვალში დაფასებული ხდება. ვეცადე ამეხსნა, რომ არასდროსაა გვიანი, აღიარო საკუთარი შეცდომები. საუბარმა შედეგი გამოიღო. ერთხელ კი, რაღაც დროის შემდეგ, როდესაც მსგავსი რამ მის თანაკლასელს შეემთხვა, ჩემმა მოსწავლემ ჩემი სიტყვები გაუმეორა და მაშინ კიდევ ერთხელ გავაცნობიერე ჩემი როლი, რა დიდი პასუხისმგებლობაა მასწავლებლობა, როგორი მნიშვნელოვანია არაფერი შეგეშალოს, მათ სათუთ ფსიქიკას უნებლიეთ არაფერი დაუშავო, არ შეაშინო, ნდობა მოიპოვო, მათთან იყო.

ბოლოს, განვმეორდები და ვიტყვი, რომ სკოლა ჯადოსნური ადგილია, სადაც ძალიან ბევრი სიტბო ტრიალებს.

მე მასწავლებელი ნიშნავს – რომ მე ვარ ცოცხალი.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

არჩევანი

მასწავლებლობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობაზე. დედა ექიმი იყო, ბაბუაც და ყველას ეგონა, რომ მათ პროფესიას ავირჩევდი. მეათე კლასში ბიოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა დავიწყე, თუ ექიმობა არა, მაშინ მომიჯნავე პროფესია უნდა ამერჩია და ასე მივადექი ფსიქოლოგიას. ფსიქოლოგობა ძალიან პერსპექტიულად მეჩვენებოდა, მომწონდა კიდევ, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ბიოლოგია არ მინტერესებდა და ისევ ძველ სურვილს დავუბრუნდი – ქართულ ენასა და ლიტერატურას, ალბათ, იმიტომ, რომ ქართულის გაკვეთილებზე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში. კლასის გაზეთის რედაქტორი ვიყავი, წერა ბედნიერებას მანიჭებდა.

ოჯახმა 15 წლის გოგოს სურვილს მხარი დაუჭირა, მაგრამ ისიც მითხრეს, რომ ჩემს არჩევანზე თავადვე ვიქნებოდი პასუხისმგებელი. იმ დროიდან გამინდა უცნაური განცდა – მართო დარჩენილი ვლელავდი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ვიქცეოდი თუ არა სწორად და თან ვამხნევებდი, ვარწმუნებდი, რომ გულისხმას უნდა მივყოლოდი.

ასე ჩავაბარე 16 წლისამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მოვხვდი უფასოზე და ეს იყო ჩემი პირველი მნიშვნელოვანი წარმატება. როცა გავიზარდე, გავაცნობიერე, რომ ასეთმა პატარ-პატარა მიღწევებმა მომიტანა შინაგანი ძალა, დამარწმუნა, რომ სურვილებისა და მიზნებისთვის უნდა მებრძოლა. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ჩემს პატარა ქალაქში – ბაღდათში დავბრუნდი. ქუჩაში რომ გავივლიდი, ყველა მილოცავდა სამედიცინოზე „მოწყობას“, არავის წარმოედგინა, რომ გოგო ექიმების ოჯახიდან მასწავლებლობას მოინდომებდა. მაღლობას ვუხდიდი ადამიანებს, ისინი გულწრფელად მილოცავდნენ. ყველას ვუხსნიდი, რომ ქართული ფილოლო-

გის სტუდენტი გავხდი. ის შეგრძნება კარგად მახსოვს – მაშინ დავპირდი საკუთარ თავს, ისე მესწავლა, ისეთი მასწავლებელი გავმხდარიყავი, რომ არავის ეჭვქვეშ არ დაეყენებინა ჩემი არჩევანი.

ფორმალურიდან არაფორმალურ განათლებამდე

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სტუდენტობა ვისაც გამოუვლია, იცის, რას ნიშნავს ეს. ჩემთვის ის 4 წელი ცისფერი ცაა, თეთრი კედლებია, ახალი წიგნები, ლექტორები, ჯგუფელები, საჯარო ბიბლიოთეკა და კიდევ ბევრი სასიამოვნო მოგონებაა, პრობლემების გადაჭრის გამოცდილებაცაა და გაურკვევლობის შიშიც. ჩემს სტუდენტობას უამრავი ცვლილება უკავშირდება – ის იყო გარდამავალი პერიოდი, შეიცვალა შეფასების სისტემა და კიდევ ბევრი რამ.

ისე მოხდა, რომ პირველი კურსი დავამთავრე თუ არა, იმავე ზაფხულს ახალგაზრდულ ბანაკში დავიწყე მუშაობა ჯგუფის ლიდერად. არაფორმალურ გარემოში უკეთ გავიცანი საკუთარი თავი, მეტად დამოუკიდებელი გავხდი და ვისწავლე უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა. ვხელმძღვანელობდი დაახლოებით 30-ბავშვიან ჯგუფს, ეს ბავშვები იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, თუმცა განსხვავებული აღმსარებლობისა და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა. მაშინ გავაცნობიერე, რომ ეს დაბრკოლებას არ მიქმნიდა, შემეძლო, ნებისმიერი ბავშვი მიმელო და მყვარებოდა ისეთი, როგორც იყო, განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა, შეხედულებებისა. ბანაკში მუშაობამ დამარწმუნა, რომ ჩემი პროფესიული არჩევანი სწორი იყო, მე შევძლებდი, ვყოფილიყავი ბავშვების მასწავლებელიც და მეგობარიც. იქ გატარებულმა ექვსმა ზაფხულმა არაფორმალური განათლების როლზე დამაფიქრა. მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ჩემი მასწავლებლობის მთავარი მიმართულება ეს იქნებოდა. სკოლაში მუშაობა რომ დავიწყე, მაშინ სწავლების მეთოდებს საერთოდ არ ვფლობდი, მაგრამ მინდოდა, ისე მესწავლებინა, რომ ბავშვები დამეინტერესებინა, მათ ჰქონოდათ ქართულის გაკვეთილის მოლოდინი, 45 წუთის სწრაფად გასვლაზე არ ეფიქრათ. ბანაკური გამოცდილება ძალიან დამეხმარა ამ მიზნის მიღწევაში და თამაშით სწავლებამ მოსწავლეთა ინტერესი გამოიწვია. მერე გავიდა დრო, მგონია, ბავშვებმა იმაზე მეტი მასწავლეს, ვიდრე – პირიქით.

მასწავლებლობის პირველი წელი

22 წლისამ უკვე მასწავლებლის სტატუსით შევაბიჯე სკოლაში. ახლა, უკან რომ ვიხედები, ვხვდები, რა პატარა ვიყავი მაშინ, არადა, მახსოვს, მეგონა, მთებსაც გადავდგამდი. მთების გადადგმა ვერა, მაგრამ მთავარი მოვახერხე – ბავშვებს უხაროდათ ქართულის გაკვეთილის დაწყება. მოსწავლეების სიხარულით აციმციმებული თვალები დღემდე მთავარი ძალაა ჩემთვის.

მასწავლებლობის პირველმა წელმა განსაზღვრა ჩემი მომავალი. მახსოვს, გასაუბრებაზე მისულს დირექტორმა მკითხა, რომელი კლასის მოსწავლეებისთვის შემეძლო მესწავლებინა. ვუპასუხე, რომ ნებისმიერ საფეხურზე სწავლებისთვის მზად ვიყავი. ეს იყო გაბაფხულის მიწურულს. მერე, მთელი ბაფხულის განმავლობაში, წარმოსახვით გაკვეთილებს ვატარებდი და ველოდი ნანატრ ბარს, როცა დამირეკავდნენ და მეტყობდნენ, რომ სამსახურში ამიყვანეს. ასეც მოხდა, მაგრამ გამაოცა იმან, რომ საშუალო საფეხურზე სწავლება შემომთავაზეს, მათ შორის – მეთორმეტეკლასელების მასწავლებლობა. შეკითხვაზე, შევძლებდი თუ არა აბიტურიენტებთან მუშაობას, ვუპასუხე: რა თქმა უნდა! გულში ვფიქრობდი, ხომ არ ვცდებდითქი, თანაც ჩემს თავს გამუდმებით ვუმეორებდი: შენ შეძლებ! შენ შეძლებ! და ეს მართლა შევძელი! ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ ჩემი ოჯახისა და მასწავლებლობის ისტორია 2010 წელს იწყება, გაბაფხულზე შევექმენი ოჯახი და შემოდგომამ ჩემი მასწავლებლური თავგადასავლის წერა დაიწყო.

ძალიან რთული აღმოჩნდა პირველი წელი, ვასწავლიდი IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეებს. ყოველი დილა იწყებოდა შუალამისას. მე და წიგნები, რვეულები, ტესტები, ფურცლები ვასწრებდით გაღვიძებას განთიადს. და რამდენი სხივი შეირჩინეს ალბათ მაშინდელმა ნაწერებმა.

გარიჟრაჟზე ვგეგმავდი გაკვეთილებს, სარკის წინ ვდგებოდი, მინილექციის ჩატარებას ვიწყებდი და ასე ვისწავლე თვითდაკვირვება, თვითშეფასება, თვითკრიტიკაც. მგონია, რომ იმ მონდომებამ და შრომამ შეუძლებელი შემადგინა. პირველი თვითრწმენა მაშინ მოვიდა, როცა ჩემმა მეთორმეტეკლასელმა მოსწავლეებმა რეპეტიტორებთან სიარულს თავი დაანებეს. გაკვეთილებზე მიიღეს ის, რაც ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად სჭირდებოდათ. და არა მხოლოდ ეს. ახლა მელიმება, ნათიას მაშინდელ ემოციებს რომ ვიხსენებ.

რამდენად გასაოცარიც არ უნდა იყოს, როცა მასწავლებლობას ვიწყებ-
დი, მეგონა, მოსწავლეებს ჩემი ნათქვამი ისე უნდა მიეღოთ, როგორც ერთა-
დერთი ჭეშმარიტება. ამგვარი დამოკიდებულება ალბათ გარემომ გამიჩინა,
რომელშიც ვცხოვრობდი და ვსწავლობდი. სულ ცოტა დრო დამჭირდა, რომ
მივხვდარიყავი, ერთი ჭეშმარიტება არ არსებობდა, ბავშვებს ჰქონდათ სხვა
სათქმელიც და მათი განსხვავებული შეხედულებები იმაზე არანაკლებ საინ-
ტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ლიტერატურულ კრიტიკოსთა ნააზრევი. მოსწავ-
ლეებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს ჩემს პროფესიულ განვითარე-
ბაში, ისინი დღემდე მეხმარებიან, რომ არ დამავიწყდეს – ლიტერატურა თა-
ვისუფლებაა!

დამრიგებლობა

სკოლაში ჩემი ერთ-ერთი ჯადოსნური თავგადასავალი მაშინ დაიწყო,
როცა 2011 წელს მეექვსეკლასელების დამრიგებელი და მასწავლებელი გავხ-
დი.

7 საოცარი წელი მაჩუქეს ამ ბავშვებმა და რომ არა ისინი, არც კი ვიცი, რო-
გორი მასწავლებელი ვიქნებოდი.

მასწავლებლობა ხომ არის ბედნიერება, მაგრამ დამრიგებლობა სულ სხვა
განზომილებაა კიდევ. ჩემი მეხსიერება ინახავს ყოველ წვრილმანს, ყოველ
დეტალს, სადამრიგებლო კლასთან დაკავშირებულს, და თითოეულის მოგო-
ნებაც კი სიხარულით მავსებს. მახსოვს, რამდენი ვიფიქრე პირველად, რო-
გორ მომერთო კლასი, როგორ დავხვედროდი ბავშვებს. მერე ტრადიციად
მექცა, საზღვარგარეთ თუ მოვხვდებოდი, აუცილებლად ლამაზი საკანცელა-
რიო ნივთები უნდა ჩამომეტანა და კლასში ყოველთვის გვქონდა ფერადი სა-
ქალაღდეები, უცნაური ჭიკარტები, ჭრელაჭრულა კალმები და ფანქრები.

მე რომ ვზრუნავდი მათზე, ისინიც ზრუნავდნენ ჩემზე, მე რომ ვიყავი გულწ-
რფელი, გრძნობდნენ და ჩემზე მეტად გულწრფელები იყვნენ თავად, მე რომ
ვულოცავდი დღესასწაულებს, ისინიც მილოცავდნენ, მე რომ ვკითხულობდი,
ისინიც კითხულობდნენ, მე რომ გავცემდი ცოდნასა და სიყვარულს, ისინი კი-
დეც უფრო მეტ ცოდნასა და სიყვარულს მიბრუნებდნენ უკან. ასე ვასწავლი-
დით ერთმანეთს და ერთად გავიზარდეთ.

2011 წლიდანვე ჩვენი საკლასო ოთახის მთავარ კედელზე ეკიდა შოთა რუს-
თაველის პორტრეტი. ძალიან მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“ და სულ მინდა, ეს

სიყვარული მოსწავლეებსაც „გადავლო“. ჩვენი უამრავი ისტორიის მემბტიანეა ეს სურათი. ბევრი რამ უნახავს, საკლასო ოთახის კარს მიღმა რაც ხდებოდა. ხან შუშა ჩაუმსხვრიეს, ხან წვერ-ულვაში მიახატეს. ერთხელ, საახალწლოდ, წითელი ბაფთაც კი მიამაგრეს და წვიმით მორთეს. ეს რომ დავინახე, თავიდან ბავშვებისთვის საყვედურის თქმა დავაპირე, მაგრამ მერე გამეცინა და მივხვდი, რომ 13-14 წლის ასაკში ასეც შეიძლება გამოხატონ სიყვარული და იუმორი. გავიდა დრო, მეათე კლასში რომ იყვნენ, ბევრი ვიმოგზაურეთ არაბეთში, ინდოეთში, ხატაეთში, მულაბანზარში, ქაჯეთში, ზღვათა სამეფოში, პერსონაჟები გაიცნეს, იფიქრეს, წერეს. სხვა თვალთ დაინახეს შოთა რუსთაველიც და „ვეფხისტყაოსანიც“. მეთერთმეტე კლასში რომ გადადიოდნენ, საკლასო ოთახის კედლების გამრავალფეროვნება მოვინდომე. შოთა რუსთაველი ჩამოვაბრძანე და მისი პორტრეტის ნაცვლად ახალი ნახატი ჩამოვკიდე. სწავლის დაწყების პირველივე დღეს თვალში მოხვდათ, რომ სურათი კედელზე აღარ იყო და მოიკითხეს. დაგვიბრუნეთო, – მთხოვეს. მეც სიხარულით დავაბრუნე რუსთაველი, ჩვენი მეგობარი და მესაიდუმლე. საკლასო რომ ამთავრებდნენ, იმაზე ბჭობდნენ, რა ბედი ეწეოდა მათ საყვარელ პორტრეტს. მესმოდა მათი ხმები და გულში ვზეიმობდი, ჩემი მოსწავლეები სიყვარულით იხსენებდნენ და ახსენებდნენ შოთა რუსთაველს.

ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს მეცხრე კლასში ვსწავლობდი. 14 წლის ვიყავი. უზომოდ შემეყვარდა გრიგოლ ხანძთელი და იმ დროიდან დავიწყე ოცნება ტაო-კლარჯეთში მოგზაურობაზე. მოსწავლეებს ყოველთვის ვუამბობდი ჩემს საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟებზე, ოცნებებსაც ვუზიარებდი. წარმოსახვით ვმოგზაურობდით ერთად ძველ ქართულ მიწაზე და ერთხელაც თვალებანთებულეებმა მითხრეს: მას, ჩვენ წავიდეთ ტაო-კლარჯეთში! გული ლამის საგულედან ამომიხტა, მიძინებულმა ოცნებამ ისევ შეისხა ფრთები. მაგრამ მაშინ, როცა მათ ჰაგიოგრაფიის სწავლა დაიწყეს, ჩემი მეორე ქალიშვილი დაიბადა და კვლავ ჩაიფერფლა ძველი ოცნება, ვერ შევძელით წასვლა.

მეთორმეტე კლასში როცა გადავიდნენ, მივუბრუნდი ჰაგიოგრაფიას, საბიტურიენტო პროგრამის დამუშავება დავიწყეთ. მესამე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. ჩემს სადამრიგებლო კლასთან ერთად ოცნება ამიხდა – ეს უკვე ჩვენი საერთო ოცნება იყო და გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევი გავაცოცხლეთ. დავაბიჯებდით ხანძთის, ტბეთის, არტანუჯის, დოლისყანის, ოშკის, ხახულის, იშხნის, ბანას მიწაზე მე და ჩემი მოსწავლეები და ყოველ წამს ვპოულობდი პასუხს შეკითხვაზე – რა არის ბედნიერება. რომ არა ეს ბავშვები, რომ არა

მათი დამრიგებლობა, ვინ იცის, ოცნება როდის ამიხდებოდა. ეს ისეთი ექს-კურსია და სასწავლო-შემეცნებითი პროექტი აღმოჩნდა, თითოეული ჩვენგანის ცხოვრების წიგნში რომ ჩაიწერა და არასოდეს, არასოდეს წაიშლება.

ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებმა შარშან სკოლა დაამთავრეს. ისინი უკვე სტუდენტები და ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. არა მარტო ჩემი. ერთმანეთის იმედი აქვთ ყოველთვის და ჩემთვის იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა ამას ვხედავ.

მიხარია, რომ შევძელით და სკოლის დამთავრებამ ჩვენი ურთიერთობები ვერ დაასრულა, პირიქით! დღესაც ერთად დავდივართ თეატრში, კაფეებში, სტუმრად, მეპატიჟებიან დაბადების დღეებზე, ერთად ვკითხულობთ წიგნებს და გვიხარია, რომ ერთმანეთი გვყავს.

ლიტერატურული კლუბი „წიგნიერი“

გამოგიცდიათ მსგავსი რამ?! დავგიწყებიათ ოცნება? და მერე, რაღაც რომ გაგიკეთებიათ, მიმხვდარხართ, ეს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ძველი ოცნების ახდენაა? მე არაერთხელ განმიცდია ეს. ახლა ისე მძაფრია ეს შეგრძნება!

ახალბედა მასწავლებელი რომ ვიყავი, ან თავადაც ჯერ კიდევ ბავშვი, ვოცნებობდი, მე და ჩემს მოსწავლეებს მოგვეწყო არაფორმალური გარემო, მოგვეწვია სტუმრები, გვეკითხა წიგნები და გვესაუბრა ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, თეატრზე, ფილმებსა და კიდევ ბევრ რამეზე. ძილის წინ თვალდახუჭული წარმოვიდგენდი ამ ყველაფერს. მერე მიიკარგა ეს ოცნება... და ახლა, ხვალინდელზე რომ ვფიქრობდი, რაღაცნაირად გული ამიჩქარდა. ჯერ იყო და მეექვსეკლასელებთან ერთად ვიყავი კლუბში დილიდან, წიგნებზე ვლაპარაკობდით, თან წაკითხულს ვაჯამებდით და ბავშვებს ისე ეხალისებოდათ ეს. არ დარდობდნენ, დასვენების დღესაც სკოლაში რომ ატარებდნენ. მერე ხვალინდელი შეხვედრა. დუტა სხირტლაძეს ველოდებით. თეატრსა და კიდევ ბევრ საინტერესო რამეზე უნდა ვილაპარაკოთ. პროფესიის არჩევის სირთულეებსა და პასუხისმგებლობაზე უნდა ვიმსჯელოთ. და მივხვდი, ჩვენი კლუბი ერთი პატარა გოგოს თვალდახუჭულ ფიქრებში ჩამალული ოცნების ახდენაცაა და ბედნიერება, რომელიც მის მასწავლებლურ ყოველდღიურობას საოცარი ძალით ავსებს.

ეს დამიწერია 2017 წლის 9 მაისს. რომც მოვინდომო და თავიდან დავწერო, ამაზე ზუსტად ვეღარ გამოვხატავ ჩემს მაშინდელ ემოციას და, ზოგადად, და-

მოკიდებულებას. შეიძლება, ბევრჯერ ვახსენე სიტყვა ოცნება, მაგრამ მართლა ასე იყო. მასწავლებლობა არასოდეს ყოფილა ჩემთვის მხოლოდ პროფესია, არც დილით დაწყებული და საღამოს დასრულებული სამუშაო, მასწავლებლობა ჩემთვის განვითარებისა და ოცნებების ახდენის გზაა, რთული, მაგრამ საინტერესო. ამის გაცნობიერება ძალიან მსიამოვნებს.

ცხოვრების რაღაც ეტაპზე წამიერად შევჩერდებით ხოლმე და უკან მოვიხედავთ, ვაფასებთ გადადგმულ ნაბიჯებს, იმასაც, რა გავგიკეთებია და მერე ვაგრძელებთ სვლას, მიუყვებით ჩვენს ბილიკს. ასეთ დროს ერთ-ერთი პირველი რაც მახსენდება, ლიტერატურული კლუბი „წიგნიერია“. მიხარია, რომ იგი არსებობს და ბევრი ფერადი და დაუვიწყარი დღე გვაჩუქა მეც და მოსწავლეებსაც.

კლუბის შექმნის იდეა მაშინ გამიჩნდა, როცა ბავშვებმა მითხრეს, კვირაში ერთხელ მაინც შევიკრიბოთ და ჩვენთვის საინტერესო თემებზე ვისაუბროთო. მერე მოვიფიქრეთ კლუბის სახელი, დევიზი, ლოგო და 2013-2014 სასწავლო წლიდან, როდესაც ჩემი მოსწავლეები VIII კლასში იყვნენ, დაიწყო „წიგნიერის“ ისტორია. 2016-2017 სასწავლო წელს ლიტერატურული სალონიც ავამოქმედეთ. ერთმა წინადადებამ თითქოს გადმოსცა კლუბის შექმნის ამბავი, მაგრამ ვერ დაიტია ჩვენი განცდები. სიტყვებით რთულია გავაცოცხლო ის წუთები, როგორ ვღებავდით ჩვენი ხელით მერხებსა და სკამებს, როგორ ვკიდებდით ტერაზი ფერად სანიშნეებს, როგორ ვრჩებოდით ღამით სკოლაში, როგორ მოგვექონდა პირადი ბიბლიოთეკიდან წიგნები კლუბისთვის, როგორ უწერდნენ ბავშვები წერილებს მომავალ მკითხველებს, როგორ ვარჩევდით ნახატებსა და ფოტოებს კედლებისათვის. კიდევ ბევრი „როგორ“ იყო. ჩვენთან საათსაც კი წიგნის ფორმა აქვს.

კლუბის მიზანი არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, წიგნიერების კომპეტენციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და წიგნის კითხვის პოპულარიზაციაა. ეს არის სივრცე, სადაც მოსწავლეები თავისუფალ დროს იკრიბებიან, უყურებენ ფილმებს, კითხულობენ წიგნებს, საუბრობენ. აქ ვმართავთ შეხვედრებს, დისკუსიებს. კლუბში ყოფნა, სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა არასოდეს არ არის ძალდატანებითი. მოსწავლეებმა იციან, რომ აქ მოუსმენენ, შეუძლიათ, თქვან ის, რასაც ფიქრობენ. ჩვენი ურთიერთობის საფუძველი არის პრინციპი – პატივი ვცეთ ერთმანეთის შეხედულებებს, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა.

ჩემი აზრით, ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. სხვაგვარად ვერ ისწავლიან გადაწყვეტილების მიღებას.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვებმა წიგნი წაიკითხონ, მაგრამ ეს უნდა იყოს მათი სურვილი, უნდა მოვანდომოთ. სწორედ ამაში მეხმარება „წიგნიერი“.

სტუდენტობა, სტუდენტები და მე

ხშირად გაიგონებთ: ახალგაზრდებს აღარ უნდათ მასწავლებლობა.

მე ვამბობ: არსებობენ ახალგაზრდები, რომლებსაც ძალიან უნდათ მასწავლებლობა, თუმცა მათ სჭირდებათ მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რათა დასაქმდნენ!

პირადი ბიბლიოთეკის შეგროვება სტუდენტობისას დავიწყე. სტიპენდიით ნაყიდი წიგნები ერთ თაროს ძლივს ავსებდა. დიდად არ მიყვარდა ამ წიგნების „განათხოვრება“.

21 წლისამ ერთი ლექტორი გავიცანი. შაბათობით მქონდა მისი ლექციები. კვირაში 5 წიგნი მოჰქონდა ჩემთვის, სახლში მატანდა, მომდევნო შაბათამდე რამდენსაც შევძლებდი, იმდენი უნდა წამეკითხა და მერე უკან დამებრუნებინა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ვასწრებდი. ასე წავიკითხე ამელი ნოტომი, მილორად პავიჩი, ენტონი ბერჯესი, ბორის ვიანი, პატრიკ ზიუსკინდი, აკა მორჩილაძე, გივი მარგველაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბულაძე, ზურა ქარუმიძე და კიდევ სხვები. რომ არა ის სემესტრი და ის ადამიანი, არ ვიცი, ამ ავტორებს როდის გავიცნობდი ან თანამედროვე ქართული ლიტერატურა ასე თუ შემეყვარებოდა.

მაშინ ბევრ რამეს მივხვდი, მათ შორის, იმასაც, რომ ჩემი წიგნებიც უნდა გამენათხოვრებინა. მერე ნელ-ნელა წიგნის სიყვარულის გაზიარებაც ვისწავლე და 5 წლის წინ, როცა იმ უნივერსიტეტის მიწვეული მასწავლებელი გავხდი, რომლის სტუდენტიც დღემდე ვარ, როცა იმ მაგისტრანტების ლექტორი გავხდი, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას აპირებენ ან უკვე მოქმედი მასწავლებლები არიან, მეც დავაწყებინე ჩემს წიგნებს მოგზაურობა. სავალდებულო მასალის დამუშავებასთან ერთად, იქნებოდა ეს ეროვნული სასწავლო გეგმა, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სტანდარტი, პროფესიული ლიტერატურა, ავთანდილ არაბულის „მეტყველების კულტურა“ თუ სწავლების თეორიები, სტუდენტებმა ამ წლების განმავლობაში ჩემი პირადი ბიბლიოთეკის ბინადრები გაიცნეს და წაიკითხეს: დანიელ პენაკის „სკოლის სევდა“,

„რომანივით საკითხავი“, შერონ დრეიპერის „გონების მიღმა“, ანა გავალდას „35 კილო იმედი“, თეა თოფურიას „ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე“, დიანა ანფიმიადის „სახატავ რვეულში ჩაწერილი ზღაპრები“, არჩილ ქიქოძის „სამხრეთული სპილო“, სალომე ბენიძის „ქალაქი წყალზე“, მორის დრიუონის „მწვანეთითება ტისტუ“, დენიელ კიზის „ყვავილები ელჯერნონისთვის“, ლინდა მაღალი ჰანთის „თევზი ხეზე“, რ. ჯ. პალაციოს „საოცრება“, მარკ ჰედონის „რა შეემთხვა ღამით ძაღლს და სხვა უცნაური ამბები“ და კიდევ ძალიან ბევრი... წიგნებით სავსე ჩანთით დამძიმებული მხრის ტკივილს სიხარული მოჰქონდა, როცა სტუდენტები მეტყოდნენ: თქვენ ოღონდ მოგვიტანეთ, ჩვენ წავიკითხავთ. ისინი დღეს ქართულის მასწავლებლები არიან. შეუძლებელია, ეს წიგნები წაიკითხო და უფრო ემპათიური არ გახდე, წარმოუდგენელია, ამ ამბებს გაეცნო და არ მოგინდეს, სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი გახადო, ბავშვები გააბედნიერო და მათი თვალთ შეხედო გაკვეთილს.

ამიტომაც ახლა აღარ მაშინებს ჩემი გაცრეცილყდიანი წიგნები, პირიქით, რაც უფრო მეტი ადამიანი წაიკითხავს, მიხარია. თითების ნაკვალევი აცოცხლებს ფურცლებს და ვხვდები, როგორ შეირჩინეს მკითხველების ფიქრი, ემოცია და მინაწერები.

კონკურსები

ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, ორივე განმიცდია – გამარჯვებაც და დამარცხებაც, მაგრამ ამ გადასახედიდან ნებისმიერ შედეგს წარმატებად მივიჩნევ, რადგან, ჩემი აზრით, კონკურსში მონაწილეობა უკვე გამოცდილებაა, ჩვენ კი ისევე გვჭირდება წარუმატებლობის შეგრძნებაც და წაგების სწავლაც, როგორც ღირსების შენარჩუნება გამარჯვებისას. მარცხი პირობითი ცნებაა, მაგრამ იგივე მარცხი ჩემთვის გამარჯვების დასაწყისია, ახალი იდეების გაჩენის, ახალი ძალის პოვნის, მოტივაციის ამაღლების შესაძლებლობაა.

კონკურსში მონაწილეობა რომ არ მიმელო, ვერ ავიხდენდი ოცნებას (ისევ ოცნება!) და სტუდენტობისას ვერ მოვხვდებოდი გერმანიაში, ვერც ფრაიბურგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მომხსენებელი ვიქნებოდი და ვერც 2 საოცარ კვირას გავატარებდი იენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ვერც გრიგოლ რობაქიძის უცნობ წერილებს მივაკვლევდი და ვერც ფრანკ-ფურტის გოეთეს უნივერსიტეტსა და ბიბლიოთეკაში გავივლიდი სტაჟირებას...

კონკურსში მონაწილეობა რომ არ მიმელო, 2017 წელს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტიც ვერ გავხდებოდი, ვერ გავიცნობდი არან-ვეულებრივ ადამიანებს და ვერ შევიძენდი ახალ მეგობრებს, ვერც იმას მივხვდებოდი, თურმე რამხელა პასუხისმგებლობა მაკისრია მე, ერთ რიგით მასწავლებელს, რომ პროფესიაზე, მის პოპულარიზაციაზე ვიზრუნო.

სულ ცოტა ხნის წინ კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და 2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებელი გავხდი. ახლაც ვერ ვიჯერებ ბოლომდე. დაჯილდოების ცერემონიაზე ცრემლები წამომცვივდა და მერე ჟურნალისტმა მკითხა, რატომ იტირეო. ჩემი ცრემლები მოულოდნელი სიხარულის გამოხატულება იყო, რადგან ხუთეულში ძალიან საინტერესო, პროფესიონალი, დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებლები იყვნენ და არ ველოდი გამარჯვებას.

რას ნიშნავს ჩემთვის ქართული ენისა და ლიტერატურის წლის საუკეთესო მასწავლებლობა? – უსაზღვრო სიხარულს და უდიდეს პასუხისმგებლობას, ახალ თავგადასავლებს, კოლეგებთან თანამშრომლობას, საინტერესო პროექტებს. ჩემი მოსწავლეების სიხარულსაც. ყველაზე მეტად ეს წარმატება იმიტომ მამბებენ, რომ ბავშვების გახარება შეეძელი.

წინ კიდევ ბევრი ამბავი მელოდება, ზოგი დაწერილი, ზოგიც – დაუწერელი. მთავარი ალბათ ისაა, რომ მზად ვარ დაწერილი და დაუწერელი ამბებისთვის, სიახლეებისთვის. ჩემმა პროფესიამ ამაში დამარწმუნა – მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ფეხი აუწყოს სიახლეებს, სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

რა მასწავლა მასწავლებლობამ

მასწავლებლობამ მასწავლა, რომ...

- მოვუსმინო მოსწავლეებს და ყოველთვის გავითვალისწინო მათი შეხედულებები, რჩევები, ინტერესები, გემოვნება;
- გაკვეთილის დაგეგმვისა და შეფასების კრიტერიუმების შედგენის პროცესში ჩავართო ბავშვები;
- არ შემეშინდეს შეცდომის აღიარების;
- თუ მინდა, რომ მოსწავლეებმა წიგნები იკითხონ, მეც უნდა ვიკითხო;
- ვასწავლო და ვისწავლო;

- თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;
- ყველაზე მთავარი მოსწავლის პიროვნული განვითარებაა;
- ერთფეროვნება მოსაწყენია;
- საჭიროა ცვლილებები უკეთესობისათვის;

კიდევ ბევრი რამ ვისწავლე და ვინ იცის, რამდენს ვისწავლი მომავალში...

მე – მასწავლებელი

ყოველთვის, როცა საკლასო ოთახში შევდივარ, 45 წუთი მაქვს იმისთვის, რომ რაღაც შევცვალო.

უკეთესობისკენ.

ერთდროულად წარმოუდგენელი(ან რთულად წარმოსადგენი), მაგრამ რეალური შესაძლებლობაა.

ამის მტკიცედ მწამს.

და სანამ ასეა, სანამ ეს შეგრძნება მექნება, მანამ მაქვს უფლება, ვთქვა – მე – მასწავლებელი ვარ.

ის, ვინც ასწავლის, მაგრამ ამავდროულად სწავლობს.

ეს აღმოჩენა, რომ სწავლა და სწავლება განუყოფელია, ჯერ კიდევ მაშინ გავაკეთე, როცა ჩემი პირველი მოსწავლის პირისპირ მდგარი „ვასწავლიდი“, რათა თავად მესწავლა.

დაფა წარმოსახვითი იყო, ცარციც.

მოსწავლე კი – ძალიანაც ხორცშესხმული და მოწადინებული – ჩემი ბებო, ცირა.

იჯდა ან იწვა(ამის უფლებას ვაძლევდი, ზოგჯერ შეუძლოდ იყო, ან წნევა ჰქონდა ხოლმე მაღალი), მაგრამ მოსმენა საუცხოო იცოდა.

მოსმენასა და სწორი კითხვების დასმაში ბადალი არ ჰყავდა.

საბოლოოდ, ისე გამოვიდოდა ხოლმე, რომ ჩემივე სასწავლო გაკვეთილი ნასწავლი და განმტკიცებული იყო, ჩემი „მოსწავლე“ კი – არაქათგამოცლილი, მაგრამ კმაყოფილი.

დღემდე ასეა.

ჩატარებული გაკვეთილებისა და ჩემი მოსწავლეებისგან ბევრი ვისწავლე და ეს არაა ფუყე სიტყვები.

ამ ნასწავლ გაკვეთილებს ყოველდღიურად „ვაბარებ“ მათვე.

გაოცებას ვარ, რამდენი რამ იციან, როგორ გრძნობენ, კითხულობენ და ხედავენ იმას, რაც მე ვერასდროს ამომიკითხავს რამდენჯერმე წაკითხულ და გადაკითხულ ტექსტებში.

ახლა შევეცდები და ამ ნასწავლ გაკვეთილებს თქვენც „ჩაგაბარებთ“, ძვირფასო მკითხველებო.

რადგან გაკვეთილი მეტად სტრუქტურირებული და ორგანიზებული რამაა, გარკვეულ სტრუქტურას ამ „გაკვეთილებე“ დავიცავ.

ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო კურსი სამი მიმართულებით უვითარებს მოზარდ ადამიანს უნარებს – ზეპირმეტყველება, კითხვა და წერა.

მეც სამივე მიმართულებით ცალ-ცალკე შემოგთავაზებთ იმ მეთოდოლოგიას, სტრატეგიებს, იდეებს და მიდგომებს, რასაც ყველაზე მეტად „უმუშავია“ კლასში.

გაკვეთილი პირველი

ზეპირმეტყველება

აქტივობა – „თავისუფალი სკამი“

მიზანი – არგუმენტირებულ მსჯელობაში გავარჯიშება, საწინააღმდეგო შეხედულებების მოსმენა/გააზრება, აზრების ზეპირად, მწყობრად გამოხატვა და დასკვნების გამოტანა, სადავო საკითხების გადაჭრა.

სივრცის მოწყობა – სკამების „რკალი“

საკლასო ოთახში დაფის გასწვრივ უნდა მოთავსდეს 5 სკამი. ორ-ორი ერთმანეთის საპირისპიროდ, ერთი კი შუაში. მერხი (მაგიდა) საჭირო არ არის. დანარჩენი მერხები და სკამები შეიძლება ისევე დავტოვოთ ან წრიულად განვალაგოთ კლასში.

მსგლელობა

გაკვეთილს შესაძლოა მივანიჭოთ შემაჯამებელი გაკვეთილის ფორმა. სასურველია, მოსწავლეებს უკვე ჰქონდეთ დამუშავებული რაიმე სადავო საკითხი. შესწავლილი მასალიდან მასწავლებელი გამოყოფს დებულებას, რომლის ირგვლივაც აზრთა სხვადასხვაობაა. ის აცნობს მოსწავლეებს აქტივობას და მოიპატიჟებს 4 მოხალისეს დაფასთან. ამათგან ორი მოცემულ დებულებას უნდა ეთანხმებოდეს (ადასტურებდეს), ორი კი წინააღმდეგი უნდა იყოს (ამ ჯგუფს პირობითად „კონტრჯგუფი ვუწოდოთ). გამოსული მოსწავლეები განლაგდებიან დაფის მარჯვნივ და მარცხნივ სკამებზე და თანმიმდევრო-

ბით იწყებენ საკუთარი პოზიციის გაცხადებას და დასაბუთებას. მნიშვნელოვანია რიგის დაცვა და ერთმანეთის მოსმენა.

წინასწარ შესათანხმებელია რეგლამენტიც – არავინ საუბრობს ერთ წუთზე მეტს. დაფასთან გასული მონაწილეების მოსმენის დროს ნებისმიერ მოსწავლეს „ძირითადი შემადგენლობიდან“ შეუძლია დაიკავოს შუაში მდგარი თავისუფალი სკამი და როდესაც მონაწილეები დაასრულებენ გამოსვლას, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია „თავისუფალ სკამზე“ მჯდომმა გაიზიაროს მოსმენილი მოსაზრებები და საკუთარი არგუმენტებითაც გაამყაროს ან უარყოს „კონტრჯგუფის“ მოსაზრებები ასევე დასაბუთებულად.

როდესაც დაფასთან განლაგებულ სკამებზე მოთავსებული მოსწავლეები ჩათვლიან, რომ მათ ამოწურეს სათქმელი, ისინი ათავისუფლებენ სკამებს და მათ ადგილს იკავებენ სხვა მოსწავლეები. დაფასთან ისინი, ცხადია, იმის გათვალისწინებით იკავებენ ადგილს, თუ რომელ ჯგუფს მიაკუთვნებენ თავს (მათ, ვინც ადასტურებს, თუ მათ, ვინც წინააღმდეგია).

მასწავლებლის როლი

აქტივობის მსვლელობისას მასწავლებელი მხოლოდ აკონტროლებს მონაწილეთა მიერ დისკუსიის წესების დაცვას და ინიშნავს მათ პასუხებს, რომ მოგვიანებით შეაჯამოს პროცესი.

არ არის მიზანშეწონილი, რომ მასწავლებელმა დისკუსიაში აშკარად გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

შეჯამების დროს მან უნდა შეაფასოს არგუმენტები და არა პოზიციის სისწორე.

ბაჰჰვითილი მეთოდი

წერიტი სამუშაო

აქტივობა – „თავისუფალი წერა“

მისაღწევი მიზნები:

- „თეთრი ფურცლის შიშის“ სინდრომის დაძლევა;
- „არ ვიცი რაზე მეწერა“ – არგუმენტის გაბათილება;
- საკუთარი განცდების, ემოციების, განწყობის ფურცელზე „გადმოლაგების“ უნარის გაუმჯობესება;
- ზოგადად – წერიტი უნარის განვითარება.

მეთოდის შესახებ

თავისუფალი წერა არსით „იდების გენერირების“ პროცესსაც წააგავს. ეს მეთოდი გულისხმობს 10-15 (დასაწყისისთვის კი 5-10) წუთით მექანიკური ჩანაწერების კეთებას ყოველგვარი რედაქტირებისა და წინასწარი მომზადების გარეშე. მოსწავლე წერას იწყებს სუფთა ფურცლის დანახვისთანავე და მუშაობს ყოველგვარი „შემაკავებელი ფაქტორის“ (მაგალითად, ორთოგრაფიაზე, კალიგრაფიაზე, ფორმასა და ნაშრომის სტრუქტურაზე ფიქრი და ზრუნვა) უგულებელყოფით. ამასთან, ის წერს ყველაფერს, რაც აზრად მოუვა. მთავარი ამოცანაა, გონებაში არსებული სურათხატების, მოსაზრებების, შეხედულებების „გამოტარება ტვინიდან ხელში, ხელიდან – ფურცელზე“.

საინტერესოა, რომ მსგავს მეთოდს იყენებდა გოგოლი. ერთ დამწყებ მწერალს, რომელიც უჩიოდა აპათიას, შემოქმედებით კრიზისს და წუწუნებდა „ვერაფერს ვწერო“ მან ურჩია: „და მაინც, აიღეთ კარგი კალამი, კარგად გაასუფთავეთ, დაიდეთ წინ ფურცელი და დაიწყეთ წერა „დღეს ვერაფერს ვწერ...ვერაფერს ვწერ...“ და ასე მანამ, სანამ თავში რაიმე საინტერესო აზრი არ დაგებადებათ. ეს კი უცილობლად მოხდება. უმრავლესობა შემოქმედებისა სწორედ ასე მუშაობს, რადგან შთაგონება იშვიათი სტუმარია“.

მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები:

თავისუფალი წერა აუცილებლად უნდა იყოს დროში ლიმიტირებული.

შესაძლებელია რაოდენობრივი ლიმიტირებაც (დაწერეთ ორ გვერდს – არც მეტი, არც ნაკლები...).

არ ღირს მეთოდის გამოყენება ხშირად. შეგიძლიათ მოაწყოთ „განტვირთვის დღეები“ თქვენ მიერვე შემუშავებული პერიოდულობით და კლასშივე დააწერინოთ მოსწავლეებს.

ნამუშევარი არ ფასდება ნიშნით და არ სწორდება მასწავლებლის მიერ (გაცნობა სავსებით საკმარისია).

მოსწავლეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაძალოთ ნამუშევრის წარდგენა კლასის წინაშე, თუ ეს მისი სურვილი არაა.

პირველად მეთოდის გამოყენებამდე შესაძლებელია ზოგადი მიმართულების მიცემა – წერეთ იმაზე, რაც თქვენ ირგვლივ ხდება, დაიწყეთ ოთახის აღწერით, გაიხედეთ ფანჯარაში, დაიწყეთ კითხვითი წინადადებების მოფიქრება და მათზე პასუხების გაცემა, გაიხსენეთ წინა დღე... ამასთან,

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ლოგიკური კავშირები აბზაცებს შორის აუცილებელი არ არის, ისევე, როგორც, ზოგადად, ტექსტის აბზაცებად დაყოფა.

ყველაზე მარტივი გამოსავალია ერთი კონკრეტული, თუნდაც, უმნიშვნელო საგნის აღწერა. თუკი ესეც სირთულეს წარმოადგენს, შესაძლებელია „დამხმარე კითხვების“ გამოყენება – რა მიშლის ხელს? რატომ ვერ ვიწყებ წერას? რა შეიძლება გავაკეთო იმისთვის, რომ თუნდაც ერთი გვერდი დაწერო? და ა.შ.

აუცილებელია შეუჩერებლად წერა. წინა ნაწილების გადაკითხვა დაუშვებელია.

თავის წიგნში „გენიალობა – შეკვეთით“ ფრანგი მწერალი, რომანისტი მარკ ლევი აყალიბებს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რაც ამ მეთოდით ხელმძღვანელობისას უნდა გავითვალისწინოთ. გთავაზობთ ამ „შეგონებებს“:

არ დაიძაბო

ნუ დაატან თავს ძალას და ნუ იქნები ორიენტირებული კონკრეტულ შედეგზე ან რაიმე ტიპის სარგებელზე (ნიშანი, თავის მოწონება, აზრების „დავარცხნა“...). მოეშვი და გათიშე „შინაგანი კრიტიკოსი“, რომელიც რაღაცებს გკარნახობს. ჩაეშვი წერის პროცესში. არ აქვს მნიშვნელობა, რას წერ და როგორ.

წერე სწრაფად და ნუ გადაერთვები სხვა რაიმეზე

თავისუფალი წერის თავისებურება ისაა, რომ უნდა წერო სწრაფად და შეუჩერებლად. არ გააკეთო ხანგრძლივი პაუზები, არ გადაიკითხო უკვე დაწერილი, არ გაასწორო პოსტ-ფაქტუმ შემჩნეული შეცდომები. დაიჭირე კონკრეტულად იმ წამს თავში გაელვებული აზრი და გადმოალაგე ის სიტყვების წყებად. მიჰყევი შინაგან ინერციას და დაივიწყე „მაკონტროლებლები“.

ერთადერთი შეზღუდვა დრო ან რაოდენობაა!

თუ ხელით წერ, წინასწარ განსაზღვრე რაოდენობა. თავიდან დაიწყე ერთი გვერდით, შემდეგ გაზარდე. თუ ბეჭდავ – განსაზღვრე დრო. დაიწყე მინიმალური ლიმიტით. არავითარ შემთხვევაში არ შეჩერდე, სანამ დრო ამოიწურება. ეს ერთადერთია, რაც აკრძალული გაქვს.

წერე ისე, როგორც შეგიძლია

წერა კი უცილობლად შეგიძლია. ის, რასაც შენ აკეთებ, არც მოხსენებაა და არც აუდიტორიის წინაშე წარსადგენი საპასუხისმგებლო ტექსტი. წერე ისე, როგორც ლაპარაკობ, როგორც ფიქრობ, თუმცა, მოერიდე დაუკონკრეტებელ ფრაზებს (მაგალითად, ნაცვლად „რადიკალური სახლისა“ დაწერე „მაღალ-სართულიანი სახლი“). შეეცადე გონებაში მოიძიო ის სიტყვები, რომლებიც კონკრეტული მოცემულობის ზუსტად აღსაწერად გჭირდება.

მიჰყევი ფიქრებს

საითკენაც არ უნდა გაუტიონ მათ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამრი უცნაური ან გიჟურია, ჩაინიშნე.

გამოიყენე „გადამრთველი კითხვები“

„გადამრთველს“ ისეთ კითხვებს ვუწოდებ, რომლებიც ყურადღების გადასართველად და ფიქრების მიმართულების შესაცვლელად გამოგადგება. აი, რამდენიმე ნიმუში: ამ სიტუაციას სრულიად უცნობ ადამიანს როგორ აღვუწერდი? ამ სიტუაციაში სერიოზული შეცდომის დაშვება რომ მომესურვებინა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? რაზე ვფიქრობდი იმ მომენტში, როცა...? კიდევ რისი თქმა შემიძლია ამ სიტუაციაზე? რა დამრჩა შეუმჩნეველი ან აღუწერელი?

თავისუფალი წერა საკუთარი თავის რწმენასაც მატებს მოსწავლეს. მოკლედ დროში, მარტივად და ძალდატანების გარეშე შესრულებული წერითი სამუშაო, რომელიც არც დაბალი შეფასების რისკს შეიცავს და არც წითელი კალმით არ აჭრელდება, სასარგებლოს და სასიამოვნოს იშვიათ ტანდემსაც ქმნის.

ბაკჰემილი მესამე

კითხვა

აქტივობა – ლიტერატურული დღიური

მიზანი: „ლიტერატურული დღიური“ დაეხმარება მოსწავლეს დაიმასხვროს წაკითხული წიგნის ავტორი, სათაური, სიუჟეტი; გაეცნოს მწერლის ბიოგრაფიას, მოღვაწეობის ეპოქას;

გადმოსცეს წაკითხულით აღძრული შთაბეჭდილებები წერილობით;
 წარმოადგინოს პრობლემა, რომელიც დაინახა ნაწარმოებში;
 გააკრიტიკოს ან გაიზიაროს ავტორის (პერსონაჟების) თვალსაზრისი ამა
 თუ იმ სიტუაციასა და მოცემულობაში;
 გამოხატოს პერსონაჟთა მიმართ საკუთარი დამოკიდებულება წერილობით;
 იმსჯელოს იმის შესახებ, რა იყო კონკრეტულ ნაწარმოებში მისთვის
 მისაღები და რა – მიუღებელი;
 მიეჩვიოს შესაბამისი ადგილების დამოწმებას საკუთარი აზრის
 დასასაბუთებლად;
 ლიტერატურული დღიურის ფორმა:

რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები ლიტერატურული დღიურის წარმო-
 ების ფორმის მხრივ არ არსებობს. მოსწავლეებმა შეიძლება აიღონ ჩვეულებ-
 რივი რვეული, თაბახის ფურცლები, ბლოკნოტი. მთავარი პირობაა, რომ მათ
 შეძლონ ყოველდღიურად კითხვის ჩვევის გამომუშავება და წაკითხვისთანა-
 ვე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება დღიურში. სავალდებულოა ჩანაწერების
 გაკეთებამდე ავტორის სახელის, გვარის და ნაწარმოების სათაურის აღნიშვნა.
 ასევე თარიღის და წაკითხული გვერდების მითითება.

შაბლონი

მასწავლებელმა კლასის ან მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების
 გათვალისწინებით შეიძლება წინასწარ შეადგინოს კითხვარი ან ცნობარი.
 მაგალითად, თუ რომელიმე მოსწავლეს სჭირდება წაკითხულის გააზრების
 უნარის განვითარება, მისი დავალება შეიძლება იყოს დღის განმავლობაში
 წაკითხული ტექსტიდან ერთი აბზაცის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით ან
 მოცულობითი აბზაცის გადმოცემა 10 (და მხოლოდ 10) წინადადებით...

სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე წინასწარ შაბლონის დამ-
 ბადება და მოსწავლეებისთვის დარიგებაც. დაწყებით კლასებში წინასწარ
 შედგენილი შაბლონით მუშაობა, შესაძლოა, მეტად ეფექტიანი გამოდგეს.

უფროსკლასელებისთვის მიზანშეწონილი იქნება ექსტრატექსტუალური
 ცოდნის გასააქტიურებელი მითითებების მიცემაც.

შაბლონის ნიმუში

გთავაზობთ შაბლონის ნიმუშს. მოცემული ჩამონათვალი სასურველია შეივსოს ან პირიქით, შემოკლდეს კლასის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით:

ლიტერატურულ დღიურში უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ავტორის სახელი, გვარი* (სავალდებულო გრაფა)

ნაწარმოების სათაური *

გვერდების რაოდენობა*

ნაწარმოების გვარი/ჟანრი*

ავტორის სადაურობა *

ნაწარმოების დაწერის თარიღი (ექსტრატექსტუალური ცოდნის გასააქტიურებლად ისტორიული ცნობების მოპოვება იმ ეპოქის ან კონკრეტულად დაწერის თარიღის მიხედვით)

ნაწარმოებში აღწერილი ეპოქა, გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული მოცემულობა...

მთავარი გმირები* (შესაძლებელია უბრალოდ, ჩამონათვალის გაკეთება პერსონაჟების ვინაობის გათვალისწინებით (-ის ძმა, -ის შვილი...) ან მოკლე ანკეტური მონაცემების გაკეთება, მათი გარეგნული თუ ხასიათობრივი თავისებურებების მიმოხილვა, შესაბამისი ეპიზოდების გვერდების დამოწმება. მაგალითად, ამა და ამ პერსონაჟის მზაკვრობასა და ფლიდობაზე იხ. გვ. N...)

სიუჟეტი

რეცენზია

ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდების მოკლე შინაარსი

განსაკუთრებული ციტატები, ფრაზები, გამონათქვამები

ლიტერატურული დღიური საინტერესო მასალაა მომდევნო წლებში საკუთარ განვითარებაზე, გემოვნებასა და ღირებულებებზე დასაკვირვებლად. მოსწავლეები აღმოაჩინენ, რომ ის, რაც მნიშვნელოვნად ან განსაკუთრებულად ეჩვენებოდათ წინა წლებში, ნაკლებად მნიშვნელოვნად ეჩვენებათ ახლა ან პირიქით. ისინი თვალნათლივ დაინახავენ და გაიზრდებიან საკუთარი ლიტერატურული გამოცდილების გზას, აითვისებენ და განივითარებენ წაკითხულის გაგება-გააზრების მნიშვნელოვან უნარს, მიეჩვევიან სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ტექსტების სოციალური, კულტურული და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებას.

ლიტერატურული დღიური ხელს შეუწყობს ასევე კრიტიკული აზროვნების, კითხვის, აკადემიური წერის, საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემისა და დასაბუთების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სიბრძნე სიცრუისა

მასწავლებელი ტექსტია. ამ ტექსტში თავის კვალს ტოვებენ
მოსწავლეებიც, მშობლებიც, კოლეგებიც, სკოლის ადმინისტრაციაც...

წინათქმა

სკოლაში მუშაობა უამრავ სიხარულთან რომ არ იყოს დაკავშირებული, აღარავინ მოისურვებდა მასწავლებლობას. სამწუხაროდ, მასწავლებლობა უამრავ გულისტკივილსაც უკავშირდება. მასწავლებელს გულს ტკენენ მოსწავლეები, მშობლები, კოლეგები, ადმინისტრაცია. თითქოს ზრუნავს სახელმწიფო, მასწავლებლის პროფესია მიმზიდველი რომ გახადოს ახალგაზრდებისთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი – ხან სოციალურ ქსელში, ხან კერძო საუბრებში, ხან სატელევიზიო ეთერში – მასწავლებლებს ამცირებს, მათზე ქილიკობს, მათ ცოდნას და ღირსებას ჩირქს სცხებს. ასეთი ადამიანები სწორად არ იქცევიან, მაგრამ სწორად იქცევიან ისინი, ვინც ღიად და მოურიდებლად საუბრობენ პრობლემებზე, ამხელენ და ფარდას ხდიან გამოსასწორებელს. სახელს მასწავლებლის პროფესიას ასეთი პირში მთქმელი ადამიანები კი არა, ისევ მასწავლებლები, ოღონდ ცუდი მასწავლებლები უტეხავენ.

არსებული სტერეოტიპების და მიწებებული იარაღის გამო იყო, რომ მეც, როცა სკოლაში მუშაობა გადავწყვიტე, პირველი წინააღმდეგობა ჩემი შვილებისგან შემხვდა. „აუ, ბავშვებს უნდა უყვირო?“ – იმედგაცრუებული სახით წამოისროლეს ეს ფრაზა ლიზიმ და სანდრომ, ჩემმა შვილებმა. გული გამიჩერდა უსაფუძვლო ბრალდება რომ მოვისმინე. მე ჩემს შვილებს არ ვუყვირი და არ ვუბრაზდები და სხვის შვილებს რატომ ვუყვირებდი და გავუბრაზდებოდი? ცხადი იყო, რომ, ჩემი შვილების წარმოდგენაში, მასწავლებელი ყვირილთან ასოცირდებოდა, მე კი, მათი ვარაუდით, როგორც კი მასწავლებელი გავხდებოდი, ყვირილს დავიწყებდი. ნეტავ საიდან ჰქონდათ ჩემს შვილებს ამგვარი შეხედულება მასწავლებლებზე? პასუხი ნათელია.

იმედია, ჩემი მოსწავლეები დაადასტურებენ და ჩემი შვილები, ლიზი და სანდრო, შვებით ამოისუნთქავენ, როცა გაიგებენ, რომ მე ჩემს მოსწავ-

ლევებს კი არ ვუყვიროდი, ცოდნას ვაძლევდი; კი არ ვაჩუშებდი, ვუსმენდი; კი არ ვუბრძანებდი, ვთხოვდი; კი არ ვატყუებდი, როცა რალაც არ ვიცოდი, მათთან ერთად ვსწავლობდი; და კიდეც, იმედი მაქვს, ჩემმა მოსწავლეებმა ყოველთვის იცოდნენ, მათ დამუნათებას და თითის ქნევას კი არ დავიწყებდი, შეძლებისდაგვარად ამოვუდგებოდი მხარში, თუკი ამის საჭიროება იქნებოდა.

შისაგალი

საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი 1994 წლის თოთხმეტ ივნისს, შვიდი თვის ორსული ვიყავი. ექვს სექტემბერს დედა გავხდი. ერთი კვირის შემდეგ ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა დამირეკა, რომელიც მაშინ უნივერსიტეტის პრორექტორიც იყო, ერთ-ერთი თანამშრომელი გერმანიაში მიდის სამუშაოდ და დოცენტის ადგილი თავისუფლდება, თუ შეძლებ მის ჩანაცვლებასო. ამ შემთავაზებაზე უარს როგორ ვიტყვოდი? უარს არც ჩემი ოჯახის წევრები მათქმევინებდნენ. ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა და დედაჩემი მეორე დღესვე დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. ასე დავიწყე მუშაობა სანატრელ დაწესებულებაში. მერე მეორე შვილი შემეძინა. როცა ახალი თემა ავიღე საკვლევადა, ისევ დედაჩემმა გადამარჩინა – როგორც იცოდა ხოლმე, უსიტყვოდ ამომიდგა მხარში და მეც შევძელი ოქსფორდში წასვლა სადოქტორო დისერტაციაზე სამუშაოდ. ოქსფორდიდან ჩამოსვლის შემდეგ, 2001 წლის დეკემბრის ბოლოს სადოქტორო დისერტაცია დავიცავი და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გავხდი.

ჩემი შვილები იზრდებოდნენ, იზრდებოდა მათი ინტერესების სფეროებიც. ამ ინტერესების დაკმაყოფილებას კი თანხები სჭირდებოდა. მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობდით, შშობლებიც ხელს გვიწყობდნენ, მაგრამ ჩვენი ხელფასები მაინც იმდენად დაბალი იყო, მხოლოდ მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას თუ გაწვდებოდა. ჩვენ კი მინიმუმით ვერ დავკმაყოფილდებოდით. უფროსი შვილი, ლიზი, მეცხრე კლასიდან ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში რომ გადავიყვანეთ, მივხვდით, უმცროსის ჯერიც მალე დადგებოდა, ჩვენი ოჯახის შემოსავალი კი ორივეს სწავლას კერძო სკოლაში ვერ დააფინანსებდა. თანაც სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანის გაკეთება მოგვიწევდა, რომელი შვილი გაგვეშვა უცხოეთში სასწავლებლად, ლიზი თუ სან-

დრო. დანანებით ვისხენებდი იმ დღეს, როცა ჩემმა კოლეგამ მითხრა, რომ იმ სკოლაში, სადაც ახლა ჩემი უფროსი შვილი სწავლობდა, ქართულის მასწავლებლის ვაკანსია ჰქონდათ. მაშინ სანდრო ახალი გაჩენილი მყავდა, სხვა გეგმები მქონდა და უარი ვთქვი კონკურსში გასვლაზე. ახლა კი აღმოვაჩინე, რომ თურმე ამ არაჩვეულებრივ კერძო სკოლაში მასწავლებლების შვილები სრულიად უფასოდ სწავლობდნენ. იმის შანსი, რომ, სანამ უმცროსი შვილი მეცხრე კლასში გადავიდოდა, ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი გათავისუფლდებოდა, მიზეზი იყო. ამიტომ მე და ჩემს მეუღლეს გამოსავალი სხვაგან უნდა გვეძებნა.

როდესაც სანდრო, ანუ უმცროსი შვილი, მერვე კლასში გადავიდა, იმ ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში არა, სადაც ლიზი, ანუ უფროსი შვილი, სწავლობდა, მაგრამ სხვა ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში გამოცხადდა კონკურსი. სამწუხაროდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კი არ ეძებდნენ, ცოდნის თეორიის მასწავლებელი სჭირდებოდათ. ინტუიცია მკარნახობდა, ჩაეჭიდე ამ შანსსო და მეც გავაგზავნე საბუთები. შემდეგ იყო გასაუბრება, გასაუბრების შემდეგ გამოცდა ჩავაბარე, მერე ღია გაკვეთილი ჩამატარებინეს. ასე გავხვდი სკოლის მასწავლებელი. სკოლის ადმინისტრაციამ პირობა წამომიყენა, დილიდან ხუთ საათამდე უნდა იყო ჩვენთან, შენთვის სასურველი ხელფასი რომ გადაგიხადოთო. რა უნდა მექნა? ჩემი შვილების განათლების გამო ყველაფერზე წავიდოდი. ამიტომაც უნივერსიტეტში მხოლოდ საღამოს საათები დავიტოვე და სკოლაში გადავინაცვლე. ერთ რამეში კი შემიწყო სკოლამ ხელი, ოთხშაბათი დღე გამომითავისუფლა, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობისთვისაც რომ არ დამენებებინა თავი.

ჩვენი შვილების გამო ხანდახან რაღაც მსხვერპლზე გვიწევს წასვლა. მეც ასე მეგონა, რომ ჩემი შვილების გამო მსხვერპლი გავიღე. სინამდვილეში ვერანაირი უნივერსიტეტი, ვერანაირი ინსტიტუტი და დისერტაცია ვერ გამზრდიდა ისე, როგორც სკოლამ გამზარდა. ამას ვაცხადებ თამამად, როცა დღევანდელი გადმოსახედიდან ვუყურებ და ვაფასებ განვლილ რვა წელიწადს. რა თქმა უნდა, ამ რვა წლის მანძილზე მქონდა მიღწევები, სამწუხაროდ, მქონდა შეცდომებიც. მიღწევები ნაკლებად საინტერესოა. აი, შეცდომები კი უფრო საინტერესო უნდა იყოს მკითხველთა ფართო წრისთვის. რადგან, თუ მკითხველი ჭკვიანია, იმას კი არ დაელოდება, თვითონ როდის დაუშვებს შეცდომას, რომ რაღაც ისწავლოს, არამედ სხვის შეცდომებს გააანალიზებს და მათზე ისწავლის.

მიღწევა პირველი

2010 წელს გავხდი საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ცოდნის თეორიის მასწავლებელი. სკოლამ ტრენინგზე ჯერ ბარსელონაში გამიშვა, მერე დუბაიში. ვერ ვიტყვი, რომ ამ ტრენინგებმა დიდად შემცვალეს, მაგრამ ცოდნის თეორიის სწავლებამ ნამდვილად ძირეული გარდატეხა მოახდინა ჩემს პროფესიულ ცხოვრებაში. როდესაც მოსწავლეებს სთხოვ, იფიქრონ კრიტიკულად, შენ ველარ იქნები არაკრიტიკული... როდესაც მოსწავლეებს ეუბნები, რომ ერთ საკითხს სხვადასხვა კუთხიდან შეხედონ, შენც გიწევს პერსპექტივების შეცვლა. როცა ცოდნის თეორიაში მოვლონიერდი, მერე ამ საგნის გამსწორებლადაც დავრეგისტრირდი. როგორც საერთაშორისო გამსწორებელი, ვესწრებოდი საინტერესო ვებინარებს, აქტიურად ვმონაწილეობდი ონლაინ ფორუმებში, გავიცანი საინტერესო ადამიანები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ცოდნის თეორიის მასწავლებლები პარალელურად სხვა საგნის მასწავლებლებიც არიან. შეხვედრებზე, როცა ცოდნის აკუმულირებაზე ვსაუბრობთ, ყველა მათგანი თავის საგნობრივ გამოცდილებას იხსენებს. ამ ყველაფერმა გაამდიდრა ჩემი ცხოვრება, გამიზარდა თვალსაწიერი და ინტერესების სფერო.

მიღწევა მეორე

სკოლაში ცოდნის თეორიის სწავლების პარალელურად ე.წ. სადიპლომო ნაშრომების კოორდინატორიც ვიყავი. ამ საქმეს სრულიად უსასყიდლოდ ვასრულებდი. მაგრამ თანხებზე მნიშვნელოვანი ხანდახან ის გამოცდილებაა, რომელსაც ამა თუ იმ საქმიდან ვიძენთ. მე თუ რამე ვისწავლე სკოლაში, სადიპლომო ნაშრომების კოორდინატორობამ ყველაზე ბევრი მასწავლა და მომცა. ჩემს მოსწავლეებს, სადიპლომო პროგრამის ფარგლებში, ანუ ორი წლის მანძილზე, ერთ რომელიმე მისთვის სასურველ საგანში 4000 სიტყვიანი ესე უნდა დაეწერათ. სამწუხაროდ, ჩემი თაობის წარმომადგენლებს არავინ უხსნიდა სკოლაში, როგორ უნდა ჩაეტარებინათ და დაეწერათ კვლევა; რომ ხარისხიანი საკვლევი შეკითხვის დასმა ამოსავალია ნებისმიერი თემისთვის; როგორ უნდა ააგო ღირებული არგუმენტი და რომ დასკვნა პასუხი უნდა იყოს შესავალში გაცხადებული კითხვის. ჩემმა მოსწავლეებმა კი უკვე სკოლის მერხიდან იციან კვლევითი

ნაშრომის სტრუქტურა, იციან, რომ კარგ კვლევას მედიაწიგნიერება, კრიტიკული აზროვნება, ფიქრი და სითამამე სჭირდება. ორიგინალური რომ იყო, ორიგინალური შეკითხვა უნდა მოიფიქრო და ამ შეკითხვის მოფიქრება ნებისმიერ თემაზე შესაძლებელი. იმდენად მომწონდა სადიპლომო ნაშრომების კოორდინატორობა (და არ დავმაღავ, კარგად გამომდიოდა ეს საქმე), იმდენად მომწონდა ის იდეა, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეებს ერთი კვლევა უნდა დაეწერათ, რომ თავი გამოვიდე და, რაც არ მეხებოდა, ის საქმეც დავიმატე და რამდენიმე ნაშრომს მეც ვუხელმძღვანელებ. ვინაიდან პროფესიით ფილოლოგი ვარ, ბუნებრივია, ნაშრომები ქართულ ლიტერატურას შეეხებოდა. მინდოდა, რომ ამ ნაშრომების შესახებაც და ჩემს საქმიანობაზეც ქართველი მასწავლებლებისთვისაც მომეყოლა. ასე დავიწყე თანამშრომლობა ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge-სთან. დღეს უკვე ყველას შეუძლია გაეცნოს ელექტრონულად ჩემი მოსწავლეების დაკვირვებებს.

მიღწევა მესამე

როდესაც სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ სადიპლომო პროგრამის გარდა საბაზისო პროგრამაც უნდა გაეხსნა, აღმოჩნდა, რომ საბაზისო ეტაპი მოსწავლეებს პერსონალური პროექტით უნდა დაესრულებინათ. სკოლის ადმინისტრაციას შევთავაზე, რომ ამ საქმეს, ანუ პერსონალური პროექტების კოორდინირებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვითავებდი. ექვსმა წელმა ძალიან დიდი გამოცდილება შემძინა. ჩემს მოსწავლეებთან ერთად ვისწავლე, როგორ უნდა ჩამომეყალიბებინა წერილობითი სახით პროექტის მიზანი, როგორ უნდა დამეწერა რეფლექსია, როგორ უნდა წარმემართა მუშაობის პროცესი. აქ შეძენილი უნარები და ცოდნა ძალიან გამომადგა ცხოვრებაში, მაშინ, როდესაც სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის განსახორციელებლად ვწერდი პროექტებს ამა თუ იმ ფონდში წარსადგენად. რაც შეეხებათ ჩემს მოსწავლეებს, თამამად შემიძლია ვიამაყო მათი პროექტებით – იქნება ეს ნინის, ქეთათოს, ლაშას, საბას, სოფოს, ნინკას, ჰუმანის, დიდარის, მექანის, გულიკოს თუ სხვა ბავშვების შეუდარებელი პროექტები. ამ პროექტების შესახებაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია წაიკითხოს ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge-ში.

მიღწევა მეოთხე, რომელიც მარცხით დასრულდა

2017 წელს, სკოლაში მუშაობის მერვე წელს, ქართული ენისა და ლიტერატურის საათებიც დამიმატეს – მაინც აქ ხარ და ბარემ ეს საქმეც შენ გააკეთეო. საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას. მეც ვეთანხმები ამ პროგრამის მესვეურებს, რომ თუ ენის სწავლა გინდა კარგად, ლიტერატურა უნდა იკითხო. ხოლო ლიტერატურა, არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ენაზეა დაწერილი, თანაბრად ეკუთვნის ნებისმიერ ადამიანს, სულ ერთია, საუბრობს თუ არა ის იმ ენაზე, რომელ ენაზეც შექმნილია ესა თუ ის ნაწარმოები. ქართული ლიტერატურა ეკუთვნის ქართველსაც და არაქართველსაც ბუსტად ისევე, როგორც ძველი ბერძნული ლიტერატურა ეკუთვნის ყველას. ქართული ლიტერატურა, ისევე როგორც ინგლისური თუ ესპანური ლიტერატურა, არ იწერებოდა მხოლოდ ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისთვის, ის იქმნებოდა მკითხველისთვის, მკითხველის ეროვნება კი სრულიად არაა საინტერესო მწერლისთვის. მაგრამ მწერალს აქვს ენა, რომელზეც ის გამოხატავს თავის სათქმელს. მკითხველსაც აქვს ენა, რომელზეც შეუძლია წაიკითხოს მწერლის სათქმელი. მკითხველი ვერ ისწავლის ყველა იმ ენას, რომელზეც წერდნენ მისთვის საინტერესო ავტორები, ამიტომ მას შეუძლია, გაცნოს ლიტერატურას მშობლიურ ენაზე თარგმანში. საერთაშორისო ბაკალავრიატი ლიტერატურის პროგრამის შედგენისას მასწავლებელს სრულ თავისუფლებას აძლევს, მაგრამ მოცემული ჩარჩოს ფარგლებში. პროგრამა ოთხი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს: პირველი ნაწილი ესაა მსოფლიო ლიტერატურის სამი შედეგრი, მეორე ნაწილია სამი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები დაწერილი მოსწავლის მშობლიურ ენაზე, მესამე ნაწილია ოთხი ერთი ჟანრის ნაწარმოები ასევე მშობლიურ ენაზე შექმნილი და მეოთხე ნაწილია მასწავლებლის თავისუფალი არჩევანი სამი ნაწარმოებით. პროგრამის შედგენისას მასწავლებელი უნდა ირჩევდეს ავტორებს სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა ეპოქებიდან. პირველი და მესამე ნაწილებით მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მოსწავლეების წერითი უნარების განვითარება, ხოლო მეორე და მეოთხე ნაწილებით – ზეპირი უნარების. მე პირველ წელს პირველი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ხალიდ ჰოსეინის „ფრანით მორბენალი“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“) და მეოთ-

ხე (რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“, ევრიპიდეს „მედეა“ და ამ ნაწარმოებების ადაპტაციები ხელოვნებაში) ნაწილების გავლა მქონდა გადაწყვეტილი, მეორე წელს კი მეორე (გაბრიელ ჯაბუშანურის „ინვექტივა-მონუმენტი“, ილიას წერილები, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“) და მესამე (ოთარ ჭილაძის „გოდორი“, ოთარ ჩხეიძის „ბორიაცი“, ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“ და გურამ ოდიშარიას „სოხუმში დაბრუნება“) ნაწილების. არასოდეს ვყოფილვარ ასეთი ბედნიერი – პირველად ჩემს ცხოვრებაში შევადგინე ისეთი პროგრამა სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლითაც ვამაყობდი ისევე, როგორც ვამაყობდი მაშინ, როდესაც ვადგენდი პროგრამას ჩემი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. შევადგინე პროგრამა, რომელსაც კონკრეტული მიზანი ჰქონდა და გათვლილი იყო მოსწავლეების განვითარებაზე საუკეთესო კუთხით. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო სკოლაში მუშაობა არ დამცალდა. ჩემ მიერ შედგენილი პროგრამა, რომელიც ისე იყო მოფიქრებული, რომ მართო მე ვიცოდი, როდის რისთვის უნდა მიმეღწია და რაზე გავაკეთებდი აქცენტებს, რა მიმართულებას მივცემდი ჩემს მოსწავლეებს, რომ უფრო კრიტიკულები, უფრო კრეატიულები გახდარიყვნენ, სხვას უნდა გაეგრძელებინა. ჩემს მოფიქრებულ და დაგეგმილ პროგრამას ვერც ჩემზე უკეთ და ვერც ჩემსავითაც ვერავინ ასწავლიდა. ნებისმიერი მასწავლებელი, სამწუხაროდ, რომელიც ჩემს მოსწავლეებთან შევიდოდა, განწირული იყო დამარცხებისთვის... ბოდიში, ჩემო მოსწავლეებო, რომ გაგწირეთ და ვერ გაგიყვანეთ ორწლიანი გზის ბოლოში და შუა გზაზე მიგატოვეთ! სამაგიეროდ, სკოლის ადმინისტრაცია სკოლაში ჩემი საქმიანობის მერვე უკანასკნელ წელს დავიყოლიე, რომ სკოლაში, რომელსაც საერთაშორისო ჰქვია, უნდა არსებობდეს ლიტერატურის ერთიანი კათედრა, რადგან ლიტერატურა საერთოა ყველასთვის. ეს ჩემი დიდი მიღწევაა, მიღწევა, რომლის გამოც ბევრმა კოლეგამ ბრძოლა გამომიცხადა. აი, ეს უკანასკნელი კი ჩემი დიდი მარცხია.

(მოგონება) შიშველი პირველი: ბოდიში, სანდრო!

– მიდი, დაურეკე და მოიკითხე – მოსვენებას არ მაძლევს შინაგანი ხმა.

წელს პირველად ავიყვანე სადამრიგებლო კლასი. ისედაც სკოლაში ვარ ხუთ საათამდე და დამატებითი შემოსავალი არც მე მაწყენს. ვხედავ, როგორ

უყვართ დამრიგებლები მოსწავლეებს, მიდიან, უყვებიან თავიანთ ამბებს, ან-დობენ პრობლემებს, იცინიან, ექსკურსიებზე ერთად დადიან... ამ ყველაფერს ხომ მეც შევძლებ! ამიტომ, როცა სადამრიგებლო კლასის აყვანა შემომთავაზებს, უკან აღარ დავიხიე და დავთანხმდი ახალ გამოწვევას. მაშინ რა ვიცოდი, დამრიგებლობა თუ მართლა გამოწვევა იქნებოდა.

ჩემი დილა მოსწავლეების დევნით იწყება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხან ჰალსტუხების გამო დავდევ მოსწავლეებს, ხან პერანგის და შარვლის ფერის გამო. ისეთ ასაკში არიან ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები, გაპრანჭვა უნდათ, ლამაზად ჩაცმა უყვართ. ესენი კიდევ, ადმინისტრაციას ვგულისხმობ, მეუბნებიან, უსაყვედურე, ჰალსტუხი რატომ არ გიკეთია, თეთრი პერანგი რატომ არ გაცვია, შარვალი სხვაგან გიყიდია, რაღაც სხვანაირი ნაცრისფერიაო.

როცა საგანს ვასწავლიდი, ეს ამბები მე არ მეხებოდა. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თმაშელებილი დამიჯდებოდა გაკვეთილზე რომელიმე მოსწავლე, მოკლე კაბით თუ მოხატული ფრჩხილებით, ჭიპი გამოუჩნდებოდა თუ კოჭი, საღეჭ რეზინს გაბერავდა თუ ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდებოდა. ახლა კი, როცა დამრიგებელი გავხდი, ადმინისტრაციის დავალებით, დილა ფორმის და ჰალსტუხის შემოწმებით უნდა დავიწყო. შენიშვნა უნდა მივცე თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდებს. არადა, მძულს შენიშვნის მიცემა. არ ყოფილა ჩემი საქმე მოსწავლეების დევნა და მათთვის შენიშვნების მიცემა ისეთ რაღაცაზე, რაც არანაირად არ დააზიანებს ჩემი და სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე აკადემიურ მხარეს.

სანამ დამრიგებელი გავხდებოდი, მე მხოლოდ ის მაინტერესებდა, რამდენად კრიტიკული იყო მოსწავლე, როგორ შეეძლო თავისი მოსაზრების დასაბუთება, თანმიმდევრული იყო თუ არა მსჯელობისას, გამოიჩინდა თუ არა კრეატიულობას წერიითი ან ზეპირი დავალების შესრულებისას აზრის გადმოცემის პროცესში, როგორ ჩამოაყალიბებდა საბოლოო დასკვნას. ხანდახან გაკვეთილებზე სკოლის ფორმებზეც გვიკამათია – უნდა ეცვათ თუ არა სკოლებში მოსწავლეებს ფორმა. მე, როგორც ყოფილ საბჭოთა მოსწავლეს, მძულდა ყველანაირი ფორმა, ჩემი მოსწავლეების უმეტესობაც ვერ იტანდა ფორმას. ამიტომ ერთხელ ესეს ასეთი სათაური შევუტანე კლასს: „ერთგვაროვნების დაშვების გარეშე არანაირი ცოდნა არ მიიღწევა“ (Without the assumption of the existence of uniformities, there can

be no knowledge).¹ როგორ ვიწყებთ ესეზე მუშაობას? ჯერ უნდა გაიხსნას სათაური. ამისთვის კი უნდა ამოვიცნოთ საკვანძო სიტყვა. ამ სათაურში საკვანძო სიტყვაა „ერთგვაროვნება“. ცხადია, ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ არცერთ კითხვას არ გააჩნია ერთი სწორი პასუხი. ესეში შეფასდება მათი ფიქრი და არა სწორი პასუხი. ამიტომაც, სანამ მოსაზრებას დააფიქსირებენ, ვიწყებთ ხმამაღლა ფიქრს. რა არის ერთგვაროვნება? როგორ მიიღწევა ის? პირველ რიგში მინდა, გაიხსენონ მოსწავლეებმა, რომ პასპორტი ერთგვაროვნებას ანიჭებს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეებს. და ეს ცუდი სულაც არ არის. როცა გაქვს პასპორტი, შენი სახელმწიფო უნდა გიცავდეს შენ და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაღალი ხარ თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი, ლამაზი ხარ თუ უშნო, ნიჭიერი ხარ თუ არ გიჭრის გონება, მორწმუნე ხარ თუ ათეისტი, მწვადი გიყვარს თუ ფხალი. მაგრამ, ვიდრე პასპორტზე და მოქალაქეების ერთგვაროვნების განხილვაზე გადავალთ, ანუ ვიმსჯელებთ თანასწორობაზე, რომელსაც სიმბოლურად პასპორტი ანიჭებს თითოეულ ჩვენგანს, მანამდე მინდა, სხვა, მოსწავლეებისთვის უფრო ნაცნობი საკითხით დავიწყო. ნაცნობი საკითხი კი სკოლის ფორმაა, რომელიც ასე მოსწონთ მშობლებს, რადგან ათავისუფლებს მათ ყოველდღიური საზრუნავისგან და ასე სძულთ მოსწავლეებს, რადგან მასში ყველა ერთნაირი ხდება. ფორმა ერთგვაროვან მასად აქცევს მოსწავლეებს. კიდევ ვის აცვიათ ფორმები? ჯარისკაცებს, მედპერსონალს, პოლიციელებს. რატომ? მიზეზი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა. ჯარისკაცს ფორმა იმიტომ აცვია, რომ ის არ აგვერიოს მშვიდობიან მოქალაქეში. ექიმის ფორმა კი სულ სხვა მიზანს ემსახურება. ექიმს ფორმა იმიტომ კი არ აცვია, რომ ვინმეს ის და პაციენტი ერთმანეთში არ აერიოს, არამედ მისი ფორმა ჰიგიენის, სტერილური სისუფთავის ნიშანია.

¹ სკოლაში საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაში ცოდნის თეორიას ინგლისურ ენაზე ვასწავლიდი. ცოდნის თეორიაში მოსწავლეების ცოდნას მე არ ვაფასებდი, რადგან ცოდნის თეორია ცოდნის თავმოყრაა და, როგორ შეძლო მოსწავლემ, თავი მოეყარა ცოდნისთვის, ამას, მისი დაწერილი ესეს მიხედვით, აფასებდა ანონიმი გამსწორებელი. ყოველი წლის პირველ სექტემბერს მეთორმეტე კლასელებისთვის ექვსი სათაური ქვეყნდებოდა. ამ სათაურებიდან მოსწავლეები მათთვის სასურველს აარჩევდნენ და იწყებდნენ თემაზე მუშაობას. ეს სათაურიც ერთ-ერთი იმ სათაურთაგანია, რომელზე მუშაობაც არაჩვეულებრივად საინტერესო იყო არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ ჩემთვისაც. რვა წლის მანძილზე მოსწავლეებთან ერთად ესეების ჩახლართული სათაურების გახსნაზე მუშაობამ ჩემს ცოდნას რომ თავი მოუყარა, მხოლოდ ამის გამოც ღირდა მასწავლებლობა.

სკოლებში რატომღა აცვიათ მოსწავლეებს ფორმები? სკოლას ხომ ინდივიდი უნდა აინტერესებდეს და არა ერთგვაროვანი მასა. კარგია ფორმა თუ ცუდი? ცხადია, ცუდია, როცა ფორმის ჩაცმით სხვას ემსგავსები და შენს თავს კარგავ. კარგია, თუკი ფორმა სოციალურ უთანასწორობას აღმოფხვრის. მაგრამ სკოლის ფორმა ხშირად ამ უთანასწორობას უფრო თვალსაჩინოს ხდის. დღეს, როცა კერძო სკოლებს თავისი ფორმები აქვთ, სწორედ სასკოლო ფორმით ამოიცნობ, რამდენად ძვირიანია სკოლა. თუ სკოლის ფორმას მხოლოდ ამ მიზნით ჩავაცმევთ მოსწავლეებს, ეს არ იქნება დადებითი მოვლენა. მაშინ ვისთვისაა კარგი ფორმა, ვის სჭირდება ის? ცხადია, მასწავლებელს. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ერთნაირად უნდა ექცეოდეს. მას არ უნდა აინტერესებდეს, მდიდარი ოჯახიდანაა მოსწავლე თუ არა, ჭკვიანია თუ აკადემიურად ჩამორჩენილი. ფორმა, ისევე როგორც პასპორტი, თანასწორობის სიმბოლოა. ის ყველა მოსწავლეს ათანაბრებს მასწავლებლისთვის. სკოლის ფორმის შემოღებით ადმინისტრაცია არავერბალურად აცხადებს, რომ მისთვის ყველა მოსწავლე თანასწორია და ის არ განასხვავებს საკუთარ მოსწავლეებს არც სოციალური სტატუსის მიხედვით, არც რელიგიური ნიშნით და რომ სკოლის კედლებში არანაირ დისკრიმინაციას არ ექნება ადგილი.

ვმსჯელობთ მე და ჩემი მოსწავლეები ასეთ საკითხებზე, ხშირად ვკამათობთ, არ ვეთანხმებით ერთმანეთს, მაგრამ ყველანაირად ვცდილობთ, არ ჩავახშოთ არავის ხმა და ყველა აზრი მოვისმინოთ. ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ როცა ესეს დაწერენ, თუკი განსხვავებულ მოსაზრებასაც არ წარმოადგენენ, მათი ნაშრომი მაღალ სტანდარტს ვერ მიაღწევს.

ახლა კი, როცა დამრიგებელი ვარ, ფორმებს დავდეგ. მაგრამ მართო ფორმების დევნას გადავიტანდი. დირექტორი მავალდებულებს, რომ სანდრო, რომელსაც გრძელი თმა აქვს, იმდენად გრძელი, რომ სახეს უფარავს და თვალები აღარ მოუჩანს, არ დავუშვა გაკვეთილებზე, თუკი თმას არ შეიჭრის. მე სანდროს არაფერს ვეუბნები იმ იმედით, რომ დირექტორს გადაავიწყდება, რაც მომთხოვა, სანდროს კი ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც მობეზრდება გრძელი თმა და თავისით შეიჭრის. მაგრამ დირექტორს არაფერი არ ავიწყდება. დილას, სკოლაში მოსულ სანდროს, დაცვა აიძულებს, ჩაჯდეს დირექტორის მანქანაში. მერე მძღოლს მიჰყავს სანდრო საპარიკმახეროში და ძალით ჭრიან თმას. მე ამის შესახებ მოგვიანებით ვიგებ, მაშინ, როცა აღმოვაჩენ, რომ სანდრო გაკვეთილს არ ესწრება და როცა ჩემი სადამრიგებლო

კლასის მოსწავლეები მომიყვებიან, რაც მოხდა. ყველაზე მეტად ის მიკვირს და მეუცნაურება, რომ სანდროს თანაკლასელებს პროტესტის გრძნობა არა აქვთ. მათთვის ეს ყველაფერი ნორმალურია. რადგან დირექტორმა თქვა, ე.ი. ასეც უნდა იყოს. ვატარებ გაკვეთილს, მერე მეორეს, მესამეს. მძიმედ ვარ. შინაგანი ხმა არ მასვენებს, მეუბნება, რომ სანდროს უნდა დავურეკო. დიდ დასვენებაზე ვრეკავ სანდროსთან. ტელეფონი გათიშულია. ვრეკავ სანდროს დეიდასთან. სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ სანდროს მშობლები საქართველოში არ ცხოვრობენ. ის მარტო ცხოვრობს. იმავე სადარბაზოში მისი დეიდა ოჯახთან ერთად ცხოვრობს. სანდრო ძალიან დამოუკიდებელია, ხშირად თვითონ იმზადებს საჭმელს, არცთუ ისე იშვიათად თავად ირეცხავს, იუთოებს, დეიდა კი არა, მალვიძარა აღვიძებს დილაობით. შეუძლია, არ ადგეს უთენია და გააცდინოს სკოლა, მაგრამ ამ მხრივ მოწესრიგებულია, არასოდეს არ აგვიანებს. ამ ყველაფერის ფონზე რა გასაკვირია, რომ სანდრომ თავად უკეთ იცის და მისი გადასაწყვეტია, თმას შეიმოკლებს თუ გრძლად დაიტოვებს. დეიდას ტელეფონი არაა გათიშული. რამდენიმე ბარის შემდეგ მპასუხობს და გაბრაზებული ხმით მიყვება, როგორ დაუშინა სახლში მისულმა სანდრომ სიმწრით მუშტები კედელს. ახლა კი დასისხლიანებული ხელებით დაწვა და ოთახიდან აღარ გამოდისო. ვიხდი ბოდიშებს. ცხოვრებაში არავისთვის მომიხდია ამდენი ბოდიში. ნეტა გამოასწორებს ჩემი ბოდიშები საქმეს? კიდევ უფრო მეტ ბოდიშს მოვიხდი, ოღონდაც სანდრო დაბრუნდებოდეს სკოლაში...

მეორე დღეს სანდრო ძველებურად დამხვდა მერხთან. მაგრამ ვიცი, რომ ძველებურად აღარაფერი აღარ იქნება. სანდრომ მე მაპატია. მაპატია, რომ ვერ დავიცავი. მაგრამ სანდროს პატიება მე ვერ მიშველის. ჯერ მე უნდა ვაპატიო ჩემს თავს, რომ გამბედაობა არ მეყო, შევწინააღმდეგებოდი დირექტორს. ძალა არ მეყო, მოსწავლეებინა მოსწავლეებისთვის, რომ ესეებზე ზეპირად გამოთქმული მოსაზრებები, რაც არ უნდა ჭვიანური იყოს ისინი, არაფერია, თუკი ცხოვრებაში გავჩუმდებით და არ დავაფიქსირებთ საკუთარ პოზიციას. რად გვინდა თეორიული ცოდნა, თუკი პრაქტიკაში არ გამოვიყენებთ მას?!

ძველის დასასრული ახლის დასაწყისია

სკოლიდან წამოვედი. გადაწყვეტილება ბათუმის გზაზე მივიღე. გზიდან ჩემი ოჯახის წევრებს გავუგზავნე მესიჯები, არაფერი მკითხოთ, ასეთი და ასეთი გადაწყვეტილება მივიღე-მეთქი. არაფერი უკითხავთ, მაგრამ ოჯახის

სამივე წევრმა საპასუხო მესიჯი გამომიგზავნა, სამივე მილოცვას შეიცავდა. რას მილოცავდნენ ოჯახის წევრები? თუ ყურადღებით წაიკითხეთ ჩემი მონგონებები, მიხვდებით, რომ თავისუფლებას, ყელში წაჭერილი ჰალსტუხის გარეშე ცხოვრებაში დაბრუნებას მილოცავდნენ ჩემი საყვარელი ადამიანები. რატომ და რა მიზეზით წამოვედი სკოლიდან, რა გახდა ჩემი იქიდან წამოსვლის საბაბი, ეს უკვე სულ სხვა ამბავია, თანაც გრძელი მოსაყოლია. ამიტომ სხვა დროს და სხვაგან მოვყვები ჩემს თავგადასავალს. პირობას გაძღვეთ, აუცილებლად მოვყვები. მე კი პირობებს ყოველთვის ვასრულებ.

სკოლიდან რომ წამოვედი, ჩემს შვილებს უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდათ. ლიზი ოთხი წელი სწავლობდა ამერიკაში, სანდრო კი სამი წელი – ევროპაში. ორივე საქართველოში დაბრუნდა. ჩემი ქმარიც სხვა სამსახურში გადავიდა და უკვე შემეძლო, მოვდუნებულიყავი და აღარ მეფიქრა შემოსავალზე, ისე მეკეთებინა ჩემი საქმე. მაგრამ ვინ გაცადა?

ძალიან მალე ფეისბუქის მესინჯერში უცნობი ადამიანისგან მივიღე წერილი, ამა და ამ კერძო სკოლიდან გიკავშირდებით, გავიგეთ, სკოლიდან წამოსულხართ და ჩვენთან ხომ არ დაიწყებთ მუშაობასო. არც მიფიქრია, ისე ვტკიცე უარი, არა, აღარ მაინტერესებს სკოლა, დავილაღე და ახლა სხვა გეგმები მაქვსმეთქი. მაგრამ როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ ახალი წამოსული ვიყავი სკოლიდან და უკვე მენატრებოდა სკოლა. მენატრებოდა ის სკოლა კი არა, რომელიც დავტოვე, ზოგადად, სკოლაში სწავლება მენატრებოდა. ფაქტი იყო, რომ მე მელა ვიყავი, სკოლა კი ჩემი მახრჩობელია. რა უნდა მექნა? მივწერე უცნობს, სამ შეკითხვაზე მიპასუხეთ და მერე დავილაპარაკოთ დანარჩენზე-მეთქი. ორი შეკითხვა აქ მოთხრობილი მოგონებიდან გამომდინარე იყო, მესამე შეკითხვა კი აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს უკავშირდებოდა. ბევრი ქართველი, როცა აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე ლაპარაკობს, ვერ ითავისებს ბოლომდე, რამხელა პრობლემაა აკადემიური გადაცთომა, ამიტომ ადვილად გაყიდის ხოლმე თავს, რომ მას გააზრებული არა აქვს, რას ნიშნავს აკადემიური კეთილსინდისიერება. მე კიდევ ამ ასაკში ვერაფრით დავიწყებ ისეთ ადგილას მუშაობას, თუკი იქ აკადემიური გადაცთომა ნორმაა. უცნობმა, ვინც ახალ სკოლაში სამსახურს მთავაზობდა, შეხვედრა დამითქვა. ამ შეხვედრაზე ჩემს სამივე შეკითხვას დამაკმაყოფილებელი პასუხები გაეცა, ზუსტად ის პასუხები, რომლის მოსმენაც მინდოდა, თუკი ისევ დავუბრუნდებოდი სკოლას.

ასე რომ, მე ახლა ისევ მასწავლებელი ვარ. იმედია, იმავე შეცდომებს აღარ გავიმეორებ და უფრო და უფრო ნაკლები ბოდიში მექნება მოსახდე-

ლი ჩემი მოსწავლეებისთვის ან სულაც აღარასოდეს შექნება ბოდიში მოსახდელი.

ბოლოთქმა

ის, რომ მასწავლებლობა ზოგჯერ შემოსავლიანი საქმეა, იმედს ჩაუსახავს ბევრ წარმატებულ, პერსპექტიულ ახალგაზრდას და ეგებ, სხვა სამსახურის ძიების ნაცვლად, სკოლას მიაშუროს. ამიტომ ვეუბნები ახალგაზრდა მასწავლებლებს, არ იფიქროთ, რომ სკოლაში მართო ერთუზიასტები მუშაობენ. სკოლა ხანდახან შემოსავლიანი საქმეცაა. სკოლამ საშუალება მოგვცა მე და ჩემს ოჯახს, ორივე შვილისთვის საუკეთესო განათლება მიგვეცა ჯერ აქ, საქართველოში, მერე კი უცხოეთში. მაგრამ ამ წერილის მორალი რომ ეს არაა, კარგი მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს. სათაურიც, მგონი, ბევრ რამეზე მეტყველებს...

რაღომ სიბრძნე სიცრუისა?

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ძირითადად ცოდნის თეორიას ვასწავლიდი, მე, პირველ რიგში, მაინც ლიტერატორი ვარ. ჩემი ორივე დისერტაცია ლიტერატურის საკითხებზეა. ლიტერატურაზე ვწერ წერილებს დღესაც. ადგილობრივ და უცხოეთში გამართულ კონფერენციებზეც როცა მივდივარ, ხან თელავში, ხანაც ქუთაისში, ხან ნიუ-იორკში, ხან ლიდსში, ხან ბუდაპეშტში, ხან ახალ ორლეანში, ხან კემბრიჯში და ხანაც ჰარვარდში, ჩემი მოხსენებები ლიტერატურას შეეხება. ლიტერატურა კი მწერლის ფანტაზიაა, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ლიტერატურა სიცრუეა. ჰესიოდე ამბობდა, მუზები ყველაზე დიდი ცრუპენტელები არიანო. ცრუპენტელა მუზები, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ერთად, ლიტერატურასაც მფარველობენ. მაგრამ, ასე მგონია, ლიტერატურულ სიცრუეში რომ სიბრძნეა, მსგავსს ვერსად იპოვით. მეც შევეცადე, ამ წერილის ფარგლებში ჩემი ფანტაზიის შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომეყენებინა. რა სიცრუეა და რა სინამდვილე, ეს მეორეხარისხოვანია. მე ის უფრო მინდა, მკითხველმა სარგებელი ანუ სიბრძნე მოძებნოს ჩემს ნაწერში და აუცილებლად გაითვალისწინოს, თუკი მასწავლებლობის უმაღურ და იმავდროულად მადლიან საქმიანობას შეუდგება.

იყავი მასწავლებელი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი (ამ მონასტერთან არსებული ძველის სარეაბილიტაციო ცენტრი-თავშესაფარი ერთი კეთილი და ნათელი ადგილია მთელ დედამიწაზე), დედა მარიამ ჯაფარიძე, თავის საუბრებში გამუდმებით გვიმეორებდა ხოლმე: „ღღეს მასწავლებლობა გმირობის ტოლფასია, წადით სკოლებში მასწავლებლებად!“..

დედა მარიამის სიტყვა ჩემთვისაც და, ვისაც მისთვის ერთხელ მაინც მოუსმენია, იმისთვისაც, ძვირფასია და რაც მთავარია – საყურადღებო, მასწავლებლობა ბავშვობაში ჩემი დიდი ოცნებაც იყო და რა ფერადი კოშკები არ ამიგია, როცა ჩემს თავს ამ როლში წარმოვიდგენდი, მაგრამ როცა ისე მოხდა, რომ მართლა მომიწია საკლასო ოთახში შესვლა და პირადად შევეხე ამ დიდ, რთულ და გნებავთ, იდუმალ მდგომარეობას, მაშინ მივხვდი, რომ მხოლოდ ოცნება არა კმარა, არც ლალი და ფერადი წარმოდგენები, რომ მასწავლებლობა დიდი ნიჭია და, ის ან გაქვს, ან არა.

მასწავლებლობა მაღლიცაა და, რაც უნდა თანამედროვე შესატყვისები მოვუძებნოთ, ის მაინც გულისხმობს იმაზე მეტს, გაცილებით მეტს, ვიდრე მხოლოდ პროფესია, საქმე, სამსახური.

ამიტომაც ხოლმე, რომ ასეთ – მაღლიან მასწავლებელს როცა შეხვდები, გინდ ქალაქის ან თუნდაც ყველაზე მიყრუებული სოფლის სკოლაში გადააწყდეები, გული გინათდება და ზუსტად ისეთი განცდა გიჩნდება, აი, დაახლოებით, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ რომაა – ბორის წიფურისა გმირი (ქორია), წყაროზე დახრილ ლიკა ქავჭარაძის გმირს (მარიტას) რომ დაინახავს და უნებურად პირჯვარს გადაიწერს...

მე მინახავს ასეთი მასწავლებლები, მათ ერთ საქციელშიც კი იმხელა ძალა ყოფილა, იმხელა სათქმელი გამხელილა, რაც ხშირად ერთად აღებულ მთელ განათლების სისტემას უდრის ან აღემატება კიდევ.

ასეთი მასწავლებლების მხრებზე დგას კიდევ სახელმწიფოც და მომავალიც, რაც უნდა პათეტიკურად ისმოდეს, და ასეთ მასწავლებლობას გულის-

ხმობს ხოლმე დედა მარიამი, როცა ყველა ჩვენგანს სკოლისკენ მიგვითითებს...

ორი წელი ვასწავლიდი ჩემს ყოფილ სკოლა-გიმნაზიაში, ჩემმა ყოფილმა დირექტორმა, არაჩვეულებრივმა პედაგოგმა მერი აფხაზავამ, სრული თავისუფლება მომცა, პროგრამის შედგენაც მე მომანდო, სწავლის მეთოდის და ხერხის არჩევაც და შემიშვა რამდენიმე კლასში „საზღვარგარეთის ლიტერატურის“ მასწავლებლად. სახელი კი მეტისმეტად ხმამაღლა ჟღერდა, მაგრამ სინამდვილეში, მთელი ჩემი ამოცანა იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნის ბავშვებისთვის გაცნობა და შეყვარება იყო, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება და ჩემი აზრით, ზუსტად იმიტომ დაიწერა, რომ გაცხოვრონ და გაგაუკეთესონ.

მიუხედავად იმისა, რომ კლასებში 15 მოსწავლეზე მეტი თითქმის არ იყო (გიმნაზიის პირობებიდან გამომდინარე), ჩემი ორწლიანი შრომა და ძალისხმევა მაინც იმას შეეღია, რომ ორმოცდა ან სამოცდარამდენილაც ბავშვიდან მხოლოდ სამი თუ ოთხი მიმიხვდა, რა გვინდოდა მე და წიგნებს მათგან, ეს სამი და ოთხი იყო მთელი ჩემი მომწუსხველი აუდიტორია და დღემდე არიან ჩემი საუკეთესო მეგობრები, რომლებთან ერთადაც უკვე დიდ და სერიოზულ ცხოვრებისეულ ამბებს ვიყოფ.

დასკვნა ცალსახა და მარტივი გამოვიდა: მე არ აღმომაჩნდა საკმარისი უნარი, ვყოფილიყავი ისეთი მასწავლებელი, რომელიც ორმოცდა ან სამოცდარამდენილაც ბავშვში ერთდროულად გააღვივებდა წიგნების, ფიქრის სიყვარულს, ვიღაცები ამას ახერხებენ, ვიღაცებს ეს გამოსდით. ჰოდა, მასწავლებლობაც მათი მადლი და ხვედრია!

მე იმ ჩემი სამი-ოთხი კეთილი და ერთგული მსმენელ-მკითხველით ვიხეტიალე ლიტერატურის და ფიქრის სამყაროში. ვინ იცის, სადმე, რომელიმე მეტაფიზიკურ სივრცეში ან მდგომარეობაში, ჩვენც გავმრავლდეთ და მთელი სამყარო მოვიცვათ!

მასწავლებლობა კი, ცოტათი ჯადოქრობაცაა და თუ პაწაწინა ფოკუსები არ იცი, დიდ სცენაზე არ უნდა გახვიდე – იქ ისეთი „მაყურებელი“ გელოდება, ვერაფერს რომ ვერ გამოაპარებ და თუ ძალიან მოინდომა, სიყალბეს და ხარვეზს არც გაპატიებს.

მე ვიცნობ ასეთ კეთილ ჯადოქრებს.

ერთი მათგანი, მაგალითად, დღესაც ასწავლის ერთ სკოლაში დაწყებით კლასებს. ერთხელ, ზამთარში, შუა გაკვეთილზე, როცა დაფასთან იდგა და

რომელიღაც განტოლებას ხსნიდა, ერთი მოსწავლე, ჩუმი, წყნარი და უცნაური გოგონა, წამოდგა, უნებართვოდ მივიდა ფანჯარასთან, უნებართვოდ ჩამოეყრდნო რაფას, თავი ხელისგულს ჩამოადო და დაიწყო ფანჯარაში უნებართვოდ ცქერა... მოსწავლეებმა კლასელის საქციელი მაშინვე გააპროტესტეს და მასწავლებელი დაფიდან ფანჯრისკენ მოატრიალეს – გოგონამ ხომ ქცევის წესები დაარღვია! მასწავლებელმა ჯერ გოგოს შეხედა, მერე ფანჯარას, მერე საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიღო და ოდნავ მკაცრად დაიხურჩულა:

„ჩუ!.. ვერ ხედავთ, ის უსმენს, როგორ თოვს!“

ძვირფასო მასწავლებლებო, მე ვიცი, როგორი ძნელია დღეს მასწავლებლობა, რამდენი ტანჯვა, გაჭირვება, პრობლემა და წუხილი ახლავს თან, რამდენი გასამართლებელი მიზეზი არსებობს იმისა, ვინმემ ეგ ტვირთი ცოტათი მინც რომ შეგიმსუბუქოთ, მაგრამ გაიხსენეთ, რომ ოდესღაც თქვენც იყავით ბავშვები და შესაძლოა, ყველაფერს სხვაგვარად ხედავდით. ვინ იცის, რამდენი ოცნება ან რამდენი სათქმელი გქონდათ, მსმენელი და გამზიარებელი კი, ვინც იმ დროს, იმ მომენტში ყველაზე მეტად გჭირდებოდათ, – არ იყო; გაიხსენეთ, როგორი გინდოდათ თქვენი მასწავლებლები ყოფილიყვნენ, ან იქნებ სწორედ თქვენივე მასწავლებლის მიბაძვით აირჩიეთ ეგ პროფესია, ხშირად გაიხსენეთ ისინი, თქვენი ოცნებები და სათქმელებიც ხშირად გაიხსენეთ და იგრძნობთ, როგორ შემოვა თქვენში სიმსუბუქე, ზოგი მადლს რომ ეძახის და ზოგიც წყალობას; ირწმუნეთ, რომ ახლა სწორედ თქვენ ხართ ის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, ვინც აქ და ახლა, მომავალ თაობას სჭირდება.

ზამთრის თოვაში ან გაზაფხულის ყვავილობისას, საკლასო ოთახის ფანჯარასთან, შუა გაკვეთილის დროს, ყოველთვის დგას ერთი მოსწავლე, რომელსაც მხოლოდ თქვენ ხედავთ, უფრო მეტიც – სწორედ იმას ხედავთ, რასაც ის ასე დაჟინებით და საიდუმლოებით სავსე თვალებით გასცქერის...

ეს უწყინარი ჯადოქრობაა, ყველა თქვენგანში ცხოვრობს ეს კეთილი ჯადოქარი.

ცხოვრებაც ამის გამოა უფრო საინტერესო. ცხოვრება – ცოდნის გაცემა და მიღება, სწავლა და მასწავლებლობა...

ჩემი პირველი ნაბიჯები სკოლაში

1998 წელს ისტორიული ფაკულტეტის ბოლო კურსზე გადავედი. შევარჩიე დიპლომის თემა, ვგეგმავდი ვწვეოდი აღმოსავლეთ საქართველოს და დეტალებში შემესწავლა ის საკითხები, რომელსაც მთელი წელი დავუთმობდი, უკვე სექტემბერშივე თსუ-ში გაგვაფრთხილეს, რომ გაზაფხულზე ყველას უნდა გაგველო პედაგოგიური პრაქტიკა, სიმართლე გითხრათ, არასოდეს მიფიქრია ვყოფილიყავი მასწავლებელი და მემუშავა სკოლაში, მით უმეტეს ჩემი ლექტორებისაგან უკვე მქონდა მიღებული რჩევა-დარიგება, დიპლომის დაცვის მერე ჯერ პროფესიით დავიწყებდი მუშაობას და პარალელურად დისერტაციაზეც ვიმუშავებდი; ანუ არც მეტი, არც ნაკლები ვიქნებოდი ერთ-ერთი მეცნიერი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ეთნოლოგიას შეისწავლიდა და ასწავლიდა სხვებს; კომუნიკაცია ბავშვებთან კი ყოველთვის მომწონდა, ახსნაც მეხერხებოდა, მაგრამ სკოლაში მომუშავე ადამიანად თავი არასოდეს წარმომედგინა; ჩემი ცხოვრება ბავშვობის მეგობრის, მარიკა კველიშვილის სატელეფონო ზარმა შეცვალა. 15 სექტემბერი ჩემი დაბადების დღეა, ეს ის პერიოდია, როცა ნაკლებად იყო თბილისის ქუჩები კაფე-ბარებით მოფენილი, არც მობილური ტელეფონები გვქონდა, საკაბელო ტელეფონიც სალამომდე დუმდა (ხაზი იყო დაზიანებული). დილიდან სადიპლომოს თემას ვუკირკიტებდი, იმ სტუმრებსაც ვუმასპინძლე, ვინც არ დაუჯერა ჩემი ტელეფონის გაბმულ ზარს და მოვიდა; გვიან „დაიწკრიალა“, ჩართეს, როგორც იქნა – მარიკამ, ჯერ დაბადების დღე მომილოცა და შემდეგ კი შემომთავაზა, მასთან ერთად სკოლაში მუშაობა დამეწყო. მახსოვს, ჯერ სიცილი ამიტყდა: მე და მასწავლებელი ვერ წარმომიდგენია-მეთქი, მერე კი გამახსენდა ჩემი ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, მაინც უნდა გამეველო პრაქტიკა გაზაფხულზე და ვიფიქრე, ადრევე „მოვიშორებდი“ ამ საქმეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს ვითომდა მოშორება ჩემს მთავარ საქმიანობად იქცეოდა და ყველა დანარჩენ საქმეზე წინ ჩემი მთავარი პროფესია, მასწავლებლობა დადგებოდა.

მოხეტიალე ისტორიის მასწავლებელი

ავთო ხმიადაშვილი – ჩემი, როგორც უკვე მასწავლებლის, პირველი დირექტორი, ადამიანი რომელმაც ერთ წელიწადში მომანიჭა „მოხეტიალის“ წოდება, „არსად მიშვებდა“, მენდობოდა, მარიგებდა და დღემდე ტკბილად მაგონდება მისი ყველა რჩევა; ხშირად გვიკამათია კიდევ, მიშლიდა – ამდენს ნუ დადიხარ სკოლის გარეთ და ნუ დაგყავს მოსწავლეებიო, მაგრამ „ვერ ვუსმენდი“, ვიცოდი, რომ ის უკვე გამოცდილი იყო, ხიფათს არ ეძინა, ვიცოდი, ჩვენზე ბრუნავდა, როცა მიმტკიცებდა, რომ 25 წლის გოგოს არ შეიძლებოდა ორდღიან ექსკურსიებზე მეტარებინა მოსწავლეები, მეც ჯიუტად ვუმტკიცებდი, რომ შევძლებდი, გავაკეთებდი, ვისწავლიდი, ვეუბნებოდი, რომ მე არ შემეძლო ოთხ კედელში მესწავლებინა ისე როგორც გარეთ, ბებერი ძეგლების გვერდით; ვუხსნიდი, რომ ისტორია არის გაკვეთილი ღია ცის ქვეშ. ის კი ილიმოდა, ვხედავდი თვალებით, მიმიკით მეთანხმებოდა და მეუბნებოდა, რომ არ ვყოფილიყავი ვერ ისტორიკოსი და მერე მასწავლებელი, ორივეზე ერთად მეფიქრა; ამ რისკებზე ყველაზე მეტად 2012 წელს ჩავფიქრდი, როცა ხევსურეთში „საბედისწერო მოსახვევმა“ ჩვენი ტრანსპორტი ხევისკენ გააფრინა, მახსოვს ის წუთები, თავიდან საოცარი სიჩუმე, ფიქრი, შიში, მერე მეგობრის კვილი და პირველი დამარცვლილი ფრაზა „მგონი ყველა გადავრჩით“, როცა დაბეჟილი მასწავლებლები შევყურებდით ფეხზე მდგომ ყველა მოსწავლეს, ვგრძნობდით, რომ გვქონდა უფლება, ისევ გაგვეღიმა; ცხოვრებამ მაშინ შეგვახსენა, რომ ხიფათს არ ძინავს, რომ მოხდა სასწაული ... აი, მაშინ დამირეკა ავთომ და პირველად მითხრა ის, რისი შიშისც მას მუდამ ჰქონდა ... იგივე შემთხვევა ჰქონია მასაც ბევრი წლის წინ და ამიტომ ფრთხილობდა, ამიტომ მეკამათებოდა, როცა ვუხსნიდი, რატომ იყო აუცილებელი მზის ჩასვლის ფონზე ეხატათ გელათი მოსწავლეებს ... მახსოვს მისი ხმა ტელეფონში და ვიგრძენი, რა ბედნიერი ვიყავი, ასეთი ადამიანი რომ შემხვდა ცხოვრების გზაზე, მან დაინახა ჩემში ის გადარეული და მოხეტიალე მასწავლებელი, მან მანდო მოსწავლეები, რომელმაც ჯერ ეჭვით შემომხედეს, მერე „არევაც“ გადაწყვიტეს, მერე ნდობა გამოხატეს და სიყვარულიც მანუქეს.

დიახ, ჯერ კიდევ 20 წლის წინ ვგრძნობდი, რომ ისტორია არ ისწავლება მხოლოდ საკლასო ოთახში, წარსულის შემეცნება-გაგებისათვის სულ სხვაა, იდგე ისტორიული ძეგლის ეზოში და ხსნიდე მეღვინეობას კახეთში, იგონებდე აქტივობას, იმისათვის, რომ მოსწავლეს თავად აღმოეჩინა რა მსგავსება

და განსხვავებაა გელათსა და იყალთოს შორის, არ იმჩნევდე იმ ფაქტს, რომ მზე ზედმეტად გაჭერს თვალებში და გიხაროდეს ის, რომ მოსწავლეები კომფორტულად სხედან ჩრდილში გადაჭრილ ხის კუნძებზე და შემოგყურებენ გაბრწყინებული თვალებით, უყურებდე მათ და გრძნობდე, რომ აქ, ზუსტად ამ ადგილას, ისინი ახორციელებდნენ იმ საქმიანობას, რაც მათ სჭირდებოდათ იმ წუთში საკითხის უკეთ გააზრებისათვის.

მე, როგორც მასწავლებელი...

მასწავლებელი ის ადამიანია, რომელიც მოსწავლის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს უნდა იკავებდეს. მუდმივად ვცდილობ, არ ვიყო მათთვის მოსაწყენი, უინტერესო ადამიანი. მსურს, ჩემში დაინახონ პიროვნება, ვისაც ესმის და ცდილობს, იყოს მათ გვერდით მუდამ, დაეხმაროს სიძნეელების გადალახვაში. ვერ ვმაღავ სიხარულს, როცა აღმოვაჩენ, როგორ იცვლებიან, ინტერესდებიან ჩემი საგნით, მსჯელობენ, თამამად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს – ამ დროს ვხვდები, რომ ჩემი ადგილი აქ არის, სკოლაში, მათ გვერდით. მასწავლიან და ვასწავლი. ზოგჯერ ვაბრაზებთ და ზოგჯერ გულს ვტკენტ ერთმანეთს, მაგრამ გადის საათი, დღე და ჩვენს გულისტკივილს სიხარული ცვლის.

ჩემი თვითშეფასების ყველაზე დიდი კრიტერიუმია – გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოსწავლის უკმაყოფილო კომენტარი „უჰ, რა მალე დარეკეს ბარი“. ამ დროს ვგრძნობ, რომ ჩემი მოვალეობა – ვიყო მასწავლებელი, მეგობარი – პირნათლად შევასრულე. აზრიც გამიელვებს ხოლმე: რა მოვიფიქრო, რა შევთავაზო შემდეგ გაკვეთილზე ისეთი, რომ მსგავსი წამოძახილი კვლავ და კვლავ გაისმოდეს.

დამხატმე მე!

ბევრი წლის წინ მოვიფიქრე ეს მეთოდი. ახლაც ნათლად მახსოვს ის დღე. ბარის დარეკვის მერე ის ჩვეულებისამებრ უკან დაჯდა, მარტო, ამოიღო წიგნი და გვერდებმოხატული რვეული, არც საწერი კალამი დაავიწყდა და შავი ფანქრის გვერდით ფრთხილად დადო. მე უკვე ვცნობდი ამ ფანქარს, ალბათ უკვე ბევრჯერ წვერმოტეხილს. ხშირად ვხედავდი, ჩუმად როგორ ხატავდა გაკვეთილზე. ვხვდებოდი, რომ ეს მისთვის მნიშვნელოვანი იყო...

გაკვეთილი დაიწყო და მე მასთან ახლოს მივედი.

– დათო, მოდი, ჩამომითვალე ძირითადი საკითხები გაკვეთილიდან.

დათო ფეხზე ადგა, თუმცა პასუხი არ გაუცია, მეტიც, არც კი შემომხედა, ხელში ის ფანქარი ეჭირა და თავს უხერხულად გრძნობდა. კლასში სიჩუმე ჩამოვარდა და მივხვდი, რაღაც უნდა შემეცვალა ჩემს პრაქტიკაში. თუმცა ბანალური შეკითხვა მაინც დავსვი:

– დათო, არ იცი გაკვეთილი?

ისეც სიჩუმე... კლასშიც არავინ იღებს ხმას, იცინა, რომ გულს მტკენს სიტყვა „არ ვიცი გაკვეთილი“, ხშირად არ ვიცის, ვერ გავიგეტი ცვლიან და მეც მათთან ერთად თავიდან ვუღრმავდები იმ საკითხებს, რომლის სწავლაც ვერ მოახერხეს. დათოს შემთხვევა ჩემთვის უფრო რთული იყო, როგორმე უნდა დამენგრია ის ყრუ კედელი, მე და დათოს რომ გვაშორებდა.

დათოსთან უფრო ახლოს მივედი, დავიხარე და ჩუმად ვკითხე:

– დათო, ფერადი ფანქრები თუ გაქვს?

დათო ჯერ გაოცდა, მერე ნელ-ნელა ამომხედა და ჩემი სერიოზული, ოდნავ გაღიმებული სახე რომ დაინახა, სახე გაუნათდა, მერე შვებით ამოისუნთქა და წყნარად მიპასუხა:

– შავი მაქვს მხოლოდ..

– არა უშავს, შავით დავიწყოთ და მოგვიანებით ერთად გავაფერადოთ.

მერე კლასისკენ მოვტრიალდი, მივხვდი, ახლა ყველა უნდა ჩამერთო დათოს ინტერესზე მორგებულ აქტივობაში.

– ვინ დაგვებმარება? ფერად ფანქრებს ვეძებთ!

კლასი ახმაურდა, ზოგმა ჩანთა გახსნა, ზოგმა სიახლის მოლოდინში კალმის წვალეზა დაიწყო, ზოგმა კი გვერდზე მჯდომს რაღაც გადაულაპარაკა. ერთი ფრაზა მეც გავიგე და სამუდამოდ დარჩა ჩემს გონებაში:

– ეს ახლა რაღაც ჩვენს მოსაწონს გეგმავს!

...ასეც იყო ...დაფაზე დიდი ასოებით დავწერე დამხატეთ მე! 15 წყვილი ანთებული თვალი მიყურებდა. მე დაფისკენ მივტრიალდი და ბავშვობაში ნასწავლი კაცუნების ხატვა გავიხსენე. ხალისით ვხატავდი. კაცუნა შევაპუტკუნე, აჩეჩილი თმა დავუხატე. მოვტრიალდი და ისეც დათოს ვკითხე: მგავს?

ის ჯერ გაჩუმდა, მერე გაიღიმა და ჩუმად მითხრა – თმა კი, მას!

და მე კარგად ვგრძნობდი, როგორ ვტეხავდი ყინულს.

– კი, დათო, მე ერთი რამ მივამსგავსე ჩემს თავს, შენ ის შეამჩნიე, გამოდის მიგახვედრე, ვის ვხატავ. მოდი, ასე მომიყევი შენც ისტორია.

...იმ დღიდან დავიწყე სერიოზული ფიქრი, როგორ შემეცვალა ჩემი გაკვეთილი. დაენახათ და დაეხატათ ნინო მასწავლებელი, თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით და მე კი ამით მივმხვდარიყავი, რა უფრო მოსწონდათ ჩემს გაკვეთილზე მოსწავლეებს. ნინოს დახატვას გაკვეთილის ჩანახატები მოჰყვა, ჩანახატებს კომიქსები, კომიქსებს თამაშები. ეს აქტივობა არასოდეს მომბებრდება, მით უმეტეს ჩემი, როგორც მასწავლებლის შეფასებას ძალიან ადვილად ახერხებენ, ზოგი ნახატი კი კიდევ ერთხელ მაფიქრებს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთ ნინო მასწავლებელს ორი ხელი კი არა, ექვსი ხელი ჰქონდეს.

„ეძვსხელა“ ნინო მასწავლებელი

21-ე საუკუნის მასწავლებელი მუდმივად მზად უნდა იყოს სიახლეებისათვის, ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და მალევე ძველდება. ამიტომ, პროფესიონალი მასწავლებელი მუდმივად ძიების პროცესში უნდა იყოს, არ ჩამორჩეს დროს, მოვლენებს.

ვარ თუ არა ინოვაციური მასწავლებელი?! ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკას თუ გადავხედავ, დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, მუდმივად სიახლის ძიებაში ვარ, მიყვარს გამოცდილების გაზიარება, ნახვა, გააზრება, ანგარიშს ვუწევ სხვის აზრს. თუ საჭიროა, ვხდები მოსწავლე, არ მაშინებს სირთულე სწავლისას, ვსწავლობ, ვასწავლი.

ვფიქრობ, ჩემი ინოვაციურობა მაშინ დაიწყო, როცა სკოლაში მუშაობა დავიწყე. მაშინ, როცა დავფიქრდი იმაზე, როგორ გადამეტანა საგაკვეთილო სივრცე სკოლის გარეთ, მეჩვენებინა პრაქტიკულად ის, რასაც კითხულობდნენ სახელმძღვანელოში მოსწავლეები ან ხედავდნენ სურათებზე. ალბათ, ეს გახდა მიზეზი პირველი პროექტისა „რაა მამული“. ამბავი კი მაშინ დაიწყო, როცა ერთ-ერთ კონკურსზე ჩემი იდეა დაიწუნეს. მე მოგიყვებით, რაზე იყო ჩემი პროექტი და თქვენ განსაზღვრეთ, რატომ ვერ ვპოულობდი ჩემს ჩამოწერილ აქტივობებში ხარვეზს;

ხუთწლიანი მოგზაურობა საქართველოს გარშემო კონკურსში დაწუნებული პროექტის ახდენილი ოცნება

ახალი წლის წინა დღეები იყო, თუ არ ვცდები 2002 წელი სრულდებდა და ველოდით 2003-ს. კონკურსის მონაწილეები გარემოს დაცვის სამინისტროში დავიბარეს. ჯერი ჩემი პროექტის განხილვაზე მიდგა და მახსოვს, ჟიურის ერთ-ერთი წევრის დამცინავი ხმა როგორ შეეხო იმ ვებგვერს, სადაც საქართველოს

აწყობილი რუკა რეგიონებად იყო გაშლილი... მაშინ კარგად არ ვიცოდი კომპიუტერული ტექნოლოგიები, გვერდი იმ ადამიანმა ამიწყო, ვისაც არ ეშლებოდა ეს საქმე, გარკვეული მიზეზის გამო გვერდი RU-თი სრულდებოდა; მოკლედ, დამწყდა გული, ჩემი მიზნის განხორციელება ეჭვის ქვეშ დადგა. ჩემი მიზანი კი ასეთი იყო – მოსწავლეებისათვის ეთნოლოგია შესწავლებინა ისე, რომ ჩასულიყვნენ საქართველოს კუთხეებში და ადგილზე შეესწავლათ ის, რაც საკლასო ოთახში ვერ ისწავლებოდა; ახალმა წელმა ახალი იმედი გამიჩინა და ეს იმედი ჩემი მოსწავლეების მშობლები იყვნენ, რომლებმაც მითხრეს, რომ ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებდით. და დავიწყეთ... პირველად გემი სამცხისაკენ ავიღეთ, უკვე მასის ბოლოს. პროექტი ითვალისწინებდა, პირველ რიგში, სკოლების დამეგობრებას, ჩვენი გამოცდილების გაზიარებას, რეგიონის ისტორიული კუთხის შესწავლას, ადგილზე ცხოვრებას, მოსახლეობისგან ინტერვიუს ჩაწერას, ტრადიციებზე სიუჟეტების გადაღებას; მე ვიცოდი, რომ შეუძლებელი უნდა გამეკეთებინა და მაშინ ვიგრძენი, როგორ მომცა განცდილმა მარცხმა ძალა და „ავორდა ბორბალი“... ქართლი ერთი დღე, სამცხე სამი დღე, იმერეთი, გურია ოთხი დღე, სამეგრელო ხუთი დღე, კახეთი 4 დღე, ქიზიყი სამი დღე, სვანეთი 15 დღე, მთიანი აჭარა 19 დღე, ხევსურეთი 3 დღე, ხევი – 1 დღე, თუშეთი 17 დღე, ყველგან ვპოულობდი მასპინძელს, ვინც მიგვიღებდა და ყველგან ვტოვებდით ადამიანებს, ვინც დღემდე ჩვენს გულებშია ... ზაფხული ზაფხულს მისდევდა, ხუთი წელი მე ვიყავი გზამკვლევი, ექთანნი, მასწავლებელი, მწველავი, მზარეული... ყველგან ვიყავი ისტორიკოსი და ეთნოლოგი; დღეს, როცა უკან ვიხედები, ვფიქრობ, როგორ შევძელი ამხელა გზის გავლა? უღელტეხილებზე სიარული, 10-15 კილომეტრი თაკარა მზეზე სიარული, ციხეების ყველა ქვის აღწერა... პასუხს მალევე ვპოულობ, ამის ძალა ჩემმა მოსწავლეებმა მომცეს, მათი მშობლების ნდობამ გამაძლიერა და აღვზარდე თაობა, რომელსაც საქართველო ყველა კუთხის მიწის სუნის შეცნობითა და „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარულით“ შეუყვარდათ; სოციალურ ქსელში მათ ფოტოებში ხშირად მხვდება ლამაზი ზურგჩანთებით გადაღებული ფოტოები. საქართველომთავლილები დღეს მსოფლიოს უვლიან გარშემო და იმედი მაქვს, ის დღეები არასოდეს დაავიწყდებათ.

ინოვაციური მასწავლებელი

ციფრული პროექტი, რომელიც საგნების ინტეგრირებასა და მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კვლევას ეხებოდა, პირველი გამარჯ-

ვება იყო ტექნოლოგიებით სწავლებაში. კონკურსზე მოგებული ჯილდო, Nokia Lumia მაძლევდა საშუალებას მემუშავა არა მხოლოდ პერსონალურ კომპიუტერთან, არამედ ყველგან, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, უკვე შემძღლო, სხვებისთვისაც დამეწყო ჩემი გამოცდილების გაზიარება. სასწავლო რესურსების შექმნა ყოველდღე მეტს მასწავლიდა, ჩვენი გაკვეთილები კი სულ უფრო სახალისო ხდებოდა და აი, ერთ დღესაც გაჩნდა იდეა, გვეკვლია ის უბანი, ის გარემო, სადაც ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ ჩემი მოსწავლეები. გამოცხადდა პროექტში მონაწილეთა რეგისტრაცია. მოსწავლეების რაოდენობა 20-ს ასცდა. იყვნენ VII, VIII, IX, X კლასელები. შეიქმნა ნორჩ მკვლევართა წრე „ჩვენი სოლოლაკი“ და ამუშავდა ჩვენი სახელოსნო. ეს იყო საოცარი სამუშაო პროცესი მთელი 2 წლის განმავლობაში. მახსოვს, როგორ ითბობდნენ ყინვაში გათოშილ ხელებს ჩემი მოსწავლეები და მერე ღიმილიანი სახით რეპორტაჟზე გადიოდნენ, მიდიოდნენ ყველგან, სადაც იყო პრობლემა, ეძებდნენ გამოსავალს შექმნილი წინააღმდეგობების დროს, ამუშავებდნენ კარების, კიბეების, სახლების ისტორიებს. დღის ყველა მონაკვეთში ხაზზე იყვნენ და ზღვად წამოსულ მასალას წყვილებში ვამუშავებდით. სწორედ ამ პროექტის დროს დავიმეგობრეთ ლიტერატურის მუზეუმი, მისი საოცარი ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე, დოქტორი და მუზეუმის თანამშრომელი ია ლადუა, საბჭოთა კვლევის ლაბორატორია და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ირაკლი ხვადაგიანი. ჩავრთეთ სოციალური ქსელი და ორ წელიწადში შევაჯამეთ საოცარი პროექტი. მიუხადავად იმისა, რომ ეროვნულ კონფერენციებსა, თუ საინტერესო შეხვედრებზე უკვე ვკითხულობდი მოხსენებებს და ხშირად ვუზიარებდი მასწავლებლებს ჩემს გამოცდილებას, პროექტი „ჩვენი სოლოლაკი“-ის გამოჩენისთვის თითქოს რაღაცას ველოდი და ის რაღაცა გამოჩნდა;

PARTNERS IN LEARNING GLOBAL FORUM 2016 – MICROSOFT

ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მაიქროსოფტმა ჯერ ინოვაციური მასწავლებლის წოდება მომანიჭა, უკვე 2014 წლიდან კი საქართველოს MIEExpert -ი გავხდი. სწორედ ეს წოდება აძლევს მასწავლებელს საშუალებას, იგრძნოს თავი მსოფლიოს ნაწილად. ჩემს ნაშრომებს პორტალზე უკვე იცნობდნენ, აი, კონკურსზე კი ჩვენი შავი მარგალიტი „ჩვენი სოლოლაკი“ გავაგზავნე. 2016 წლის სუსხიანი ზამთრის საღამოს სახლში კვლავ დაღლილი დავბრუნდი, ტელეფონი გამოვრთე და ჩამეძინა. ცოტა ხანში ჩემი დის შეშფოთებულმა ხმამ გამაღვიძა.

–ნინო, რაღაც ხდება, „დაინგრა“ შენი გვერდი ფეისბუქში, ტელეფონი ჩართეო, გწერენ. ჩემს გვერდზე ახალ-ახალი კომენტარები ჩნდებოდა. ყველა რაღაცას მილოცავდა. ამ დროს პირველი ზარიც გაისმა. რუსა მირეკავდა ქიზიყიდან... ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენი პროექტი ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა იმ ასე-ულობით პროექტს შორის, რომლის პრეზენტაციას მსოფლიო გლობალურ ფორუმზე, კერძოდ კი უნგრეთში წარვუდგენდი ფართო საზოგადოებას;

მარტის თვეში უკვე სამკაცრიანი ჯგუფი ფორუმზე გაემგზავრა, მე თბილისიდან და ნანა დაბრუნდაშვილი ხაშურიდან, ჩვენი ხელმძღვანელი შოთა მურცხვალაძე გახლდათ, ადამიანი, რომელსაც ადამიანის მთავარ მოვალეობად მუდმივი სწავლა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება მიაჩნდა;

რა დაგვხვდა ბუდაპეშტში? წარმოიდგინეთ ინოვაციური მასწავლებლების დიდი სახელოსნო, სადაც 200-მდე ქვეყნის პროფესიონალი პედაგოგი სხვადასხვა სიახლეს ვუზიარებდით ერთმანეთს, ეს იყო საოცარი დღეები, ვფიქრობდი, რამდენი რამ გვაკავშირებს ევროპასთან, რამდენად ჰგავს ჩვენი ინტერესები ერთმანეთისას, აგერ, ვაზიარებ ჩემი სწავლების მეთოდებს და იწონებენ, გამოდის ჩვენც შეგვიძლია; ეს გრძნობა უფრო გამიმძაფრდა, როცა მეორე დღეს გამოფენა მოეწყო; აქ გამოფენილ პროექტებში თავს იწონებდა ჩემი პროექტიც და მაშინ მივხვდი, რომ მეც მსოფლიოს ნაწილი ვიყავი. ახალი იდეებით, ემოციებით დატვირთული დაგვბრუნდი სამშობლოში. ციფრული ბლოკნოტი One Note და თამაში Minecraft ერთ კვირაში ავამუშავე. როცა პირველად, მეექვსეკლასელებთან მაინტერესი ვახსენე, საოცარი უკუკავშირი მივიღე. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ თამაშის დახმარებით ერთად აგვეშენებინა ორი რეგიონი კახეთი და ქართლი. სამუშაო პროცესი დიდი ხალისით მიმდინარეობდა, მახსოვს როგორ აშენებდნენ გორის ციხეს, გეგმავდნენ შიდა ქართლის შექნისათვის აუცილებელ გარემოს, გარდა ისტორიული ძეგლებისა, მოსწავლეებმა ააშენეს იმ ტიპის სკოლა, რომელშიც ისურვებდნენ სწავლას, მათ მიერ აშენებული ერთ-ერთი საკლასო ოთახი დღეს რეალობად ვაქციეთ ახალი, დაფინანსებული პროექტის დახმარებით; ჩვენ გვქვს სამუშაო გარემო, რომელიც მოსწავლეებს კომფორტულად მეცადინეობის საშუალებას აძლევს, ეს არის გარემო სადაც დღესაც ბევრი საინტერესო იდეა იბადება და ჩემი მოსწავლეები უკვე ისეთ უანრებზე მუშაობენ, როგორცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და მედიაწიგნიერება, ქმნიან საინტერესო პლაკატებს, უტარებენ ტრენინგებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, ქმნიან და ავრცელებენ ინფორმაციას, კრიტიკულად აფასებენ მოვლენებს.

21-ე საუკუნის მასწავლებელი

მე სოლოლაკში, ძველი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვასწავლი, გარდა ქართველი მოზარდებისა მე ვასწავლი სომეხ, აზერბაიჯანელ, რუს, ჩეჩენ ბავშვებს. მათ შორის განსხვავებული რელიგიის და ტრადიციის წარმომადგენლებიც არიან. ამიტომ ყველა გაკვეთილზე ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ და გამოვიმუშავებთ სხვისი ამრის, კულტურის, ტრადიციის მიმღებლობას და პატივისცემას. ვთვლი, რომ ეს არის პასუხისმგებლობა და ხვალინდელ დღეზე ფიქრი. და მაინც, ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ვგრძნობდე, როგორ ვითარდება მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესი, რა უჭირთ, სად სჭირდებათ ჩემი დახმარება, როგორ გავხადოთ სწავლება კონსტრუირებული, როგორ დავინახო „ხარაჩოზე ცოდნის დაშენების“ პროცესი. ვერ გეტყვით, რომ ადვილი პროცესია, ხშირად მიწევს შევექმნა დამატებითი სასწავლო რესურსები, გამოვიყენო სიმულაცია, დავგეგმო გაკვეთილები სკოლის გარეთ: ვისაუბროთ ტიცინანზე ლიტერატურის მუზეუმში, სვეტიცხოველზე მცხეთაში, არქეოლოგიის ახსნისას სამთავროს გათხრებზე გავხდეთ პატარა არქეოლოგები.

ახლა როდესაც ვუსმენ და ვაკვირდები ჩემს „ლაივ-გაკვეთილებს“, რომლის ნახვის საშუალება ყველა დაინტერესებულ პირს აქვს სოციალური ქსელის დახმარებით, ვხვდები, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, გაჩერება არ შეიძლება, ხვალ იქნება ახალი დღე და ხვალ ახალ აქტივობაზე ვიფიქრებთ ჩვენი მედიაკლუბის ოთახში.

გამარჯობა, მე თქვენი ახალი მასწავლებელი ვარ

2011 წლის მარტში, როდესაც გადაჭედული ავტობუსით ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მივდიოდი, რათა გაკვეთილი ჩამეტარებინა, უცნაური მოწყენა მქონდა. ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ასეთი მოწყენები, დაღლას და ფრუსტრაციას რომ ახლავს თან. ამინდიც თუ შესაფერისი დაემთხვა, იქნებ ძალითაც მოიწყინოს კაცმა.

ამ მოწყენებს ძირითადად ფიქრები იწვევს. იწყებ რაღაცაზე ფიქრს და ანალიზს, ადარებ, ითვლი, ანგარიშობ და იწყებ, რომ რაღაცაში ტყუილად, სრულიად ტყუილად დახარჯე დრო, ფული, რესურსი... გააჩნია, რა არის შენთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი.

ჩემი მოწყენა სამსახურის გამო იყო. ვიდექი სავსე N23 ავტობუსში და ვფიქრობდი, რომ ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ბოლო წლებში დამიშვია, მასწავლებლობა იყო.

კერძო სკოლაში, სადაც გაკვეთილის ჩასატარებლად მივდიოდი, ერთი საათით ადრე მიწევდა წასვლა. ჩემი ხელფასი, როგორც შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე მასწავლებლის, 150 ლარი იყო, კვირაში 5 დღე, მიყოლებით 4-5 გაკვეთილი ლიტერატურაზე ველაპარაკებოდი ბავშვებს და როდესაც გადავწყვიტე მესწავლებინა, მიხაროდა, რომ ჩემთვის საყვარელი საქმე, მხატვრულ ტექსტებზე ლაპარაკი მომიწევდა.

რუტინამ კი მალევე იჩინა თავი – რაც ერთგვარი რომანტიკა და სოციალური პასუხისმგებლობა მეგონა, ტვირთი აღმოჩნდა ჩემთვის და გადავწყვიტე, მომეძებნა ფორმა, რომ სამსახურისთვის თავი დამენებებინა. ყველაფერს დაემთხვა ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში, ახალდაოჯახებულს საინტერესო სამსახური შემომთავაზეს.

2008 წელს პირველი გაკვეთილი ჩავატარე სკოლაში. ჩემთვის ეს ექსპერიმენტი უფრო იყო, ვიდრე პროფესიული კარიერის დაწყების სურვილი. ზუს-

ტად არც ვიცოდი, როგორ უნდა მესწავლებინა, როგორ უნდა წარმემართა გაკვეთილი ისე, რომ ბავშვებს ინტერესი არ დაეკარგათ. არ მომეწყინა მეც.

კერძო სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება სპონტანურად მოხდა. დირექტორს წიგნიერების მნიშვნელობაზე ველაპარაკებოდი და წუხდა, რომ ბავშვები სულ უფრო ცოტას და ცოტას კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, მე შევთავაზებ, გამოეყო ჩემთვის დრო და გვენახა, განსხვავებული კომუნიკაციის შემთხვევაში, მოვახერხებდი თუ არა მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ მათ, შეფასების გარეშე (მე ნიშნებს არ ვწერდი), ტექსტების წაკითხვა, განხილვა დაეწყოთ.

ერთწლიანი მუშაობის შედეგად, მოხერხდა, რომ საცდელ მერვე და მეთერთმეტე კლასებში ლიტერატურის მიმართ ინტერესი გაჩნდა. მოსწავლეებმა კითხვა დაიწყეს. წიგნიერი ბავშვი კი, მოგეხსენებათ, ადვილად სძლევეს სხვა საგნებსაც. მათი აკადემიური მოსწრება გაიზარდა და დირექტორმა შემომთავაზა 2009 წლიდან ყველა ჯგუფში ჩამეტარებინა გაკვეთილები, ეს კი მესხუთე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მუშაობას გულისხმობდა.

შედეგი კი იყო იმედისმომცემი, მაგრამ ვინმეს რომ ეკითხა, აბა რა მეთოდოლოგიას იყენებო, პასუხს ვერ გავცემდი. ახლა, 2019 წლის შუაწელში, ამდენწლიანი მუშაობის მერე თუ შევძლებ რაიმე ფორმით მოვახერხო და ვთქვა, როგორ გამომდიოდა, რომ 28 წლის გამოუცდელი კაცი სხვადასხვა ინტერესისა და ასაკის აბსოლუტურად ყველა მოსწავლეს წიგნებს ვაკითხებდი.

2009 წლის შემოდგომაზე, ყველა კლასი გავიცანი. ჯამში 14 კლასში, დაახლოებით 200 ბავშვთან ვმუშაობდი. თავიდან ყველაფერი კარგი იყო, ლიტერატურაც, გრაფიკიც, გამოხმაურებაც, მერე რალაცნაირად მომბეზრდა. მომბეზრდა ყოველ დილით ავტობუსით ერთი საათი მგზავრობა, ზოგიერთი მშობლისთვის იმის ახსნა, რომ „ტომ სოიერის თავგადასავალი“ ან „ჰარი პოტერი“ ადამიანს ვერ გარყვნის, მომბეზრდა დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობა, როცა ახალშექმნილი ოჯახისთვის ათასი რამ მჭირდებოდა, მომბეზრდა უადგილო გმირობა.

სადღაც თებერვალში, ჩვენი სკოლიდან პედაგოგი წავიდა. აი, ასე, ადგა და წავიდა. არაა ჩემი საქმე მასწავლებლობაო და ჩეხეთში სამუშაოდ გაემგზავრა. წასვლამდე მითხრა, ახალგაზრდა კაცი ხარ, ეს კი ყოვლადდაუფასებელი საქმეა, ლანძღვისა და ზევიდან ყურების მეტს ვერაფერს მიიღებ მშობლებისგან, მწერალი ხარ, რეჟისორი, წადი, შენი საქმე აკეთე, რატომ გამოიდე თავი, რა ძალა გადგასო.

მარტის იმ დღით, როცა ცალ ფეხზე მდგომი მოყანყალე ავტობუსში ვიდექი, სწორედ ამ ნათქვამზე ვფიქრობდი და ჩემი მოწყენის მიზეზიც ალბათ ეს იყო.

ვფიქრობდი, რომ უნდა მივსულიყავი ჩემი მეგობრის დედასთან, ვინც თავის დროზე, ჩემივე ახირების გამო ნება დამართო და მასწავლებლობაზე დამთანხმდა და მეთქვა მისთვის, რომ ახალ სამსახურზე უარს ვერ ვიტყვოდი და სკოლიდან წასვლა მომიწევდა. ცალკე ეს საქმე, ცალკე კი ის, რომ ბავშვებთან ერთად წამოწყებული სამოყვარულო კინოს გადაღების აქტივობა უნდა შემეჩერებინა, ხასიათს მიწამლავდა. დილით მეუღლეს ვუთხარი, რომ მასწავლებლობაზე უარის თქმას ვაპირებდი, რადგან წარმოუდგენელი იყო ამ ხელფასითა და ვალეზით თავი გაგვეტანა.

სკოლაში მისულმა დირექტორთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე, ვიფიქრე, დღის ბოლოსკენ შევალ და ავუხსნი წასვლის სურვილის მიზეზს-მეთქი. ბავშვებზეც კი ვფიქრობდი, მაგრამ უფრო ადმინისტრაციისა მერიდებოდა. ბავშვები რა, დღეს მე ვარ, ხვალ სხვა ჩაუტარებს, მათთვის რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი, ვფიქრობდი და ასეც მჯეროდა.

დიდი შესვენების მერე, ეზოში ხმაური გავიგე. მეოთხე გაკვეთილზე მეთერთმეტეკლასელმა გოგონებმა მითხრეს, რომ ბიჭებმა ვიღაც კაცს სცემეს გუშინ, გაკვეთილების მერე და ახლა ის კაცია მოსული და ბავშვებს ეძებსო.

ეს კლასი რაღაცნაირად არ მომწონდა. ერთი შეხედვით გამორჩეული ბავშვები სწავლობდნენ, მაგრამ მათთან შესვლის წინ ყოველთვის მეცვლებოდა გუნება-განწყობა. ალბათ ამის მიზეზი ის იყო, რომ ამდენი მცდელობის მერეც, ბავშვები ვერაფრით ავიყოლიე. თითქოს ნაძალადევად აკეთებდნენ, რასაც აკეთებდნენ. მუდმივად დასცინოდნენ ერთმანეთს და მასწავლებლებს. სულ წარმომედგინა, რომ ზურგსუკან დამცინოდნენ მეც. მუდმივად ხმაურობდნენ, ლაზღანდარობდნენ. ჩაგრავდნენ სხვა კლასის ბიჭებს, სკოლის საფეხბურთო ჩემპიონატზე იმარჯვებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ აშინებდნენ სხვებს და ასე შემდეგ. მეჩვენებოდა, რომ იყვნენ ყოველგვარი ღირებულებებისგან დაცლილი მოზარდები. მოკლედ, ამ კლასში შესვლა დიდ თავისტიკვილად მიმაჩნდა.

კლასის გოგონებმა ფანჯრიდან სკოლის მოედანზე მდგომი 35-37 წლის კაცი დამანახეს. მშვიდი ჩანდა. ზედმეტად არ ნერვიულობდა, სიგარეტს ეწეოდა და პერიოდულად სადღაც რეკავდა ხოლმე. სკოლაში 4 მამაკაცი ვმუშაობდით. 2 ადგილზე არ იყო, ვიყავით მხოლოდ მე და ჩემი მეგობარი, ვინც იმ წუთას ბიჭებთან ერთად სკოლის დერეფანში იდგა და ეტყობოდა, რომ ძალიან განერვიულებული გადაწყვეტილების მიღებას ცდილობდა.

სკოლის რამდენიმე მასწავლებელი პოლიციაში დარეკვას ითხოვდა, მაგრამ ჩემი მეგობრის გარეშე არა, რადგან ეს ბიჭი, დირექტორის შვილი და ამ სკოლის მფლობელი იყო.

როდესაც მივედი და ვკითხე რა მოხდა, მშვიდად ამიხსნა, რომ კაცი, ახლა გარეთ რომ იდგა და სიგარეტს ეწეოდა, ძალიან საშიში ვინმე იყო. კრიმინალს, მკვლელობისთვის ნასამართლევს ასე ადვილად ვერ მოვიშორებთ თავიდანო. უფროსკლასელ ბიჭებს ნასვამი კაცი რაღაც მიზეზის, ან იქნებ უმიზეზობის გამო უცემიათ. ჩვენი სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ მოიტანა ამბავი, მთელი უბნის ბიჭები აჯაგრულები არიან, მათთვის ავტორიტეტული კაცისთვის ხელის დარტყმა რომ გახდეს ამ თითისტოლა ბავშვებმაო. პოლიციაში რომც დავრეკოთ და ეს კაცი დაიჭირონ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ბავშვებს რაიმეს არ დაუშავებენ სხვები, თან როგორი დასაჭერია, არ იმუქრება, არ ყვირის, არ იგინება, დგას თავისთვის და სიგარეტს ეწევაო.

კონფლიქტში მონაწილე ბიჭები შეშინებულები ჩანდნენ, ძალიან შეშინებულები. ეს შფოთვა და შიში რაღაცნაირად მეც გადმომედო. წარმოვიდგინე, როგორ დახვდება რომელიმე ბავშვს ეს საშინელი კაცი და რაიმეს დაუშავებს.

გამოსავლის მოძებნა ძალიან გაჭირდა. ბოლოს ისევ პოლიციაში დარეკვა გადაწყდა, მაგრამ ვითხოვე, ჩავალ და ამ კაცს პირისპირ დაველაპარაკებო, იქნებ რაიმე შევავანებინო-მეთქი.

მასხოვს, სანამ მეორე სართულის დერეფნიდან ეზომდე ჩავედი, ძალიან ვბრაზობდი თავზე. ამ სიბრაზის მთავარი მიზეზი კი, უცნაურია, მაგრამ კონფლიქტში მონაწილე მოსწავლე იყო. ეს მეთერთმეტეკლასელი ბიჭი (მოდი, პირობითად კენტაძე იყოს) სკოლაში თავისი უხეშობით გამოირჩეოდა. მასწავლებლებს ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას, დასცინოდა სხვა ბავშვებს. ჩემს გაკვეთილზეც, მართალია, კონკრეტული არაფერი დაუშავებია, მაგრამ ყველას ამასხარავებდა, ვინც მეცადინეობის პროცესში ჩაერთვებოდა.

რაღაცნაირი მოზარდი იყო. გულითადად დაელაპარაკები თუ მკაცრი ტონით, დიდად რომ არ აღელვებს. გულგრილი იყო ყველასა და ყველაფრის მიმართ და რაკი გასაღები ვერ მოვუძებნე, ვერც შევიყვარე. ჩვენ შორის, იმთავითვე გავავლე წითელი ხაზები, რაც უსიტყვო შეთანხმებით ნიშნავდა, რომ მე მის სივრცეში არ შევიჭრები, არც სწავლას მოვთხოვ, არც დასწრებას, მთავარია, მეცადინეობაში ხელი არავის შეუშალოს და იყოს თავისთვის. ეს „თავისთვის“ ყოფნა, ერთგვარი გარიყვა იყო, მაგრამ ამითაც ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რადგან ტელეფონში თავჩარგული ჩუმად მჯდომი ეს მოზარდი დიდი

შვება იყო გაკვეთილზე, რადგან სხვა კლასებში მისი მართვა ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

სკოლაში ახალმისულმა გავარკვია, ვინ იყო და რას აკეთებდა. მამა პოლიციელი ჰყავდა, იმავე რაიონში მუშაობდა, სადაც ჩვენი სკოლა იყო. ერთიორჯერ მოგვივარდა და მასწავლებლებს გვაგინაო, მითხრეს კოლეგებმა და მივხვდი, რომ კენჭაძე არ იყო ის მოსწავლე, მე რომ ოდესმე შემიყვარდებოდა ისე, როგორც სხვა ბავშვები.

ახლა, ეზოში მიმავალი ვბრაზობდი, რომ სწორედ ასეთი გათავხედებული ბავშვების გამო ვიღაც გაუგებარ კრიმინალთან საქმე უნდა გამერკვია. ისიც ვიფიქრე, ადგენენ, დაურეკონ ამ პოლიციას და დასრულდეს ყველაფერი, მე შევალ ჩემთვის კლასში და ჩავატარებ გაკვეთილს, შუადღისკენ კი, როცა დირექტორი მოვა, აუცილებლად ვეტყვი, რომ ამ სკოლიდან და ზოგადად საგანმანათლებლო სფეროდან მივდივარ და ჩემი ფეხი აღარასოდეს იქნება იქ, სადაც ასეთი დაულაგებელი და გაურკვეველი განათლების სისტემა არსებობს-მეთქი. გულის სიღრმეში კი ვიცოდი, რომ ერთი კაცის დაჭერით ეს ამბავი ასე არ ჩაიხრებოდა და შეიძლება დიდი უბედურებაც დატრიალებულიყო, მაგრამ მე თავს ავარიდებ და კისერიც უტეხიათ-მეთქი, ასეც კი გავიფიქრე.

ეზოში ჩასულს, კაცი წასული დამხვდა. ინსტიტუტურად გავუყვი გზას და იქვე სადარბაზოსთან მოვკარი თვალი. სადღაც მესამე სართულისკენ კარის მიჯახუნების ხმა გავიგე და ბოლომდე ავყვი. არ ვიცი, რამ გადამაწყვეტინა ეს „დევნა“. ძალიან სასაცილო კი იქნებოდა შორიდან ჩემივე თავის დანახვა, მაგრამ იმ წუთას ამაზე არ ვფიქრობდი, ინსტიტუტურად მივადექი ხის კარს და დავაკაკუნე.

კარი ასაკოვანმა ქალმა გამიღო. დამინახა, შეტრიალდა და ღია კართან დამტოვა. ოთახის სიღრმიდან კაცის გინების ხმა მოდიოდა. ჩქარი ნაბიჯებით დადიოდა ძველ იატაკზე და გაუთავებლად იღანძლებოდა.

ბინაში რომ შევაბიჯე, წამის მესაღეში იმდენი სისულელე ვიფიქრე, მხოლოდ გაურკვეველ სიტუაციაში რომ მოგივა კაცს აზრად. ოთახში შევედი და გაკვირვებულ კაცს ზედ მივადექი.

ვუთხარი ვინც ვიყავი და შევატყვე, რომ ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ალბათ გამოცდილი იყო რისხვის დამალვაში და ძალიან მშვიდად დამიწყო ლაპარაკი.

მომიყვანე ის ბიჭი და პირობას გაძღვე, რომ არ მოგკლავ, მხოლოდ ყურს ავუწევო – მითხრა და სიგარეტს მოუკიდა.

ვცადე მეც მშვიდი სახე და ხმა მქონოდა, ღელვა დამეფარა და ისე შელაპარაკა. ავუხსენი, რომ აქ იმ ბავშვების გასამართლებლად არ ვარ, არც ჩხუბის გასაგრძელებლად, არც მტყუან-მართლის გასარკვევად. რომ აქ მე ბოდიშის მოსახდელად მოვედი.

ბოდიში არ უშველის იმას, ამხელა კაცს რომ ხელი დამარტყესო, მიპასუხა.

მე ვუთხარი, რომ პატიებას მე ვითხოვდი და არა ის ბიჭები. რომ მდგომარეობა, რომელშიც ახლა ვიმყოფებოდი, უკიდურესად ცუდი იყო, რომ ის მეთერთმეტეკლასელი კენჭაძე ძალიან ცუდად გამზრდილი ბავშვი იყო და რომ გულის სიღრმეში, ვფიქრობდი, ალბათ, გამიხარდებოდა კიდევ, თუ ერთი კარგად მიბეგვავდნენ, მაგრამ მე მასწავლებელი მერქვა, ყოველ შემთხვევაში, ამ დღის ბოლომდე მაინც და რაკი მასწავლებელი ვარ, პასუხისმგებლობაც მაქვს იმ ბიჭებზე, ახლა სკოლის დერეფანში რომ მელოდებიან და კარგა გვარიანად ეშინიათ კიდევ-მეთქი.

მე სვანი კაცი ვარ და ჩვენ ერთი ასეთი წესი გვაქვს, როცა სამაგიეროს გადახდაზე უარს გვთხოვენ, ხატის წინ ვაფიცვით შუამავალს, რომ ჩემ ადგილას ისიც სწორედ ასე მოიქცეოდა, შეგიძლია დაიფიცო? – მკითხა.

ძალიან გამიჭირდა ამის გაკეთება, წარმოვიდგინე, როგორი დამცირებელი იქნებოდა ახლა ეს ადამიანი, სრულიად უდანაშაულოდ რომ სცემეს ალბათ მისი შვილის ტოლა ბიჭებმა. ვერ დავიფიცებ, მაგრამ 2 რამე კი შემიძლია საპასუხოდ გითხრა-მეთქი, ვუპასუხე.

– რაო?

– რა და შენ დაიფიცე, რომ ჩემს ადგილას ისე არ მოიქცეოდი, როგორც ახლა მე და მეორეც, მე პატიებას არ გთხოვ, რაც იმ ბიჭებს გინდა დაუშავო, აგერ აქ ვარ და ხელსაც არ შევიბრუნებ-მეთქი.

მერე, როცა კიბეზე ჩამოვდიოდი, ვფიქრობდი, ჩემთვის საძულველ მოსწავლეზე გადაფარების მცდელობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, ლოყის შეშვერა იმდენად ნამდვილი იყო, რომ ძალიან შეურაცხყოფილმა და გაბრაზებულმა კაცმა დამიჯერა, დამიჯერა იმდენად, რომ შეტრიალდა ოთახში და ციხეში გაკეთებული ხელნაკეთი ხატი გამომიტანა და მანუქა.

არც ბოდიში მინდა და არც ამ ამბავს გავიხსენებ როდესმე, გადაეცი იმ ბიჭებს, რომ მე ეს შეურაცხყოფა გადავცლაპეო.

სკოლაში დაბრუნებულმა სხვანაირად დავინახე დერეფანში მდგომი ბიჭები. ხელოვნურობა, მანერულობა, ზომიერი უზრდელობა მასწავლებლებთან და პრობლემების მიმართ აგდებული დამოკიდებულება, სინამდვილეში მათი

დაცვის მექანიზმი იყო. ნიღაბი, რომლითაც ისინი ერთმანეთს თავს აწონებდნენ.

ის, რაც აქამდე გამაღიზიანებელი და ამაზრბენი მეგონა, ახლა მხოლოდ ცუდად აღზრდილი ბავშვის ქცევა იყო. მე მათ როგორც პედაგოგი და აღმზრდელი ისე ვუყურებდი.

აღბათ ამ ამბის გაგრძელება საინტერესო აღარაა. მაგრამ ორი სიტყვით შეიძლება დასასრულის მოყოლაც: ის კაცი რამდენიმე კვირაში დაიჭირეს. ბიჭებმა ეს ამბავი თვითონ მომიტანეს და შევეთანხმდით, რომ ციხეში სიგარეტს და წიგნებს გავუგზავნიდით. კენჭაძემ ცალკე ისიც მითხრა, შემიძლია ბოდიშიც მოვუხადლო, რაზეც უარი ვუთხარი და დამიჯერა. ჩემს კლასში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული მოხდა, იგივენიერად ლაზღანდარობდნენ, იგივენიერად ხმაურობდნენ, კენჭაძე ისევ დასცინოდა მკითხველებს და თავადაც კითხულობდა, მაგრამ მაინც, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, რადგან თვითონ მე შევიცვალე – ამ ყველაფერს მძაფრად და მტკივნეულად აღარ აღვიქვამდი, რადგან ეს ბავშვები, ეს არასრულწლოვანი ადამიანები, ვისზეც პასუხისმგებლობა მქონდა, რაღაცნაირად მიყვარდა.

იმ წლის ბოლოს სკოლიდან მაინც წამოვედი. ყოფითმა ამბებმა თავისი გაიტანეს. ამდენი წლის მერე, სულ ვფიქრობ იმ ადამიანზე, ვინც შეურაცხყოფის მოთმენა მოახერხა და დამეხმარა სკოლიდან წასვლამდე გაჭირვებით, მაგრამ მაინც გავმხდარიყავი მასწავლებელი.

ამ ამბავმა მაფიქრებინა, რომ სკოლებში მამაკაცი მასწავლებლები უნდა დაბრუნდნენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აღბათ სახელმწიფომ უნდა მოიფიქროს ფორმა, როგორ შეიძლება ეს მოხდეს. მეც ვემზადები, ვემზადები, რომ ოდესმე ისევ შევალე რომელიმე სკოლის კარებს და როგორც პირველად, ვეტყვი მოსწავლეებს: გამარჯობა, მე თქვენი ახალი მასწავლებელი ვარ!

$ax^2+bx+c =$ გადაუხადე სხვას

თუ ვინმესი გულწრფელად მშურს, ეს პროფესიონალი მუსიკოსები და მასწავლებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, თავადაც ვასწავლი, მიმაჩნია, რომ ნამდვილი პედაგოგი მაინც ვერ გავხდი და ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებ, მხოლოდ მადლიერების გამოხატვის მცდელობაა იმ რამდენიმე მასწავლებლის მიმართ, რომლებმაც – იქნებ დაუფიქრებლად, მაგრამ მაინც – ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

მე ნამდვილი 90-იანელი ვარ. აი, იმ თაობისა, გაკვეთილებზე შეშა და ნავთი რომ დაჰქონდა, საერთო მოხმარების სახელმძღვანელოები ჰქონდა და დენის მოსვლისას შუა გაკვეთილზე ყიჟინას დასცემდა ხოლმე. ომებს აღარც ვახსენებ. ომები ლამის ყველა იმ თაობამ გამოვიარეთ და ვნახეთ, ვინც ჯერაც ცოცხლები ვართ.

და იმ პერიოდში, იმ რთულ და ავად სახსენებელ პერიოდში, მე მყავდა მასწავლებლები, რომლებიც, ახლანდელი გადმოსახედიდან, გმირები იყვნენ, მაშინ, კი უბრალოდ, უცნაურ ადამიანებად მეჩვენებოდნენ.

ერთი ასეთი კაცი ზაურ გოგრიჭიანი იყო. მოსწავლეები მოფერებით ჯუღოს ეძახდნენ. არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს მეტსახელი, მაგრამ მახსოვს, რომ სწყინდა და მხოლოდ ზურგს უკან ვეძახდით ასე: ჯუღო!

სანამ მთავარ ამბავს მოვყვები, უნდა გავიხსენო, რომ სადღაც მეოთხე კლასში ექიმობა ავიკვიატე. ცხადია, ეს მაშინდელი საერთო ფონის ამბავი იყო: ოჯახში „დოხტური“ თუ არ გყავდა, არ ივარგებდა. ოჯახის ნათესავ-მეგობრებიც ხომ მხარზე ხელის მოთათუნებით წახალისებენ ხოლმე ასეთ „არჩევანს“ – აბა რა, შვილო, კარგი პროფესიაა, შემოსავლიანიც და პრესტიჟულიცო. მთელი ბავშვობა, ბარე მეათე კლასამდე, ვამტკიცებდი: ექიმი უნდა გამოვიდე, ბიოლოგიის და ქიმიის გარდა არაფერი მჭირდება, რეცეპტს როგორმე გამოვწერ, ამიტომ სხვა საგნებზე დროის ხარჯვა ფუჭი ამბავი მგონია-მეთქი. არ ვიცი, ეს თავდაცვის მექანიზმი იყო იმის გამო, კვადრატულ განტოლებას რომ ვერ ვხსნიდი მეათე კლასამდე და ქართულში სამიანზე მაღალი

ნიშანი არასოდეს მქონია თუ რა, მაგრამ რაღაცნაირად ასე კი აეწყო – ქიმა და ბიოლოგია მართლა განსაკუთრებულად მიყვარდა. არასოდეს მეზარებოდა ამ ორი საგნის სწავლა, მეტიც – არც დამატებითი ლიტერატურის მოძიება და ქექვა. დაავადებათა სიმპტომატიკის შესახებ არსებული ყველა წიგნი, რომელზეც კი იმ დროისთვის ხელი მიმიწვდებოდა, დაკონსპექტებული მქონდა და როგორც მომავალი „პროფესიონალი“, განსაკუთრებული კარიერისთვის ვემზადებოდი. მანამდე, სანამ ჭიანჭყლის ოპერაცია არ დამჭირდა, ექიმმა მამაჩემს არ უთხრა, სანამ ნარკოზის ფულს არ მოიტანთ, ვერ გავკვეთთო და ისიც შუალამისას კისრისტეხით არ გავარდა 50 დოლარის სასესხებლად. მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ასე არასოდეს არაფერზე ამცრუებია გული. პალატაში წოლისას სრული ფრუსტრაციის განცდა მქონდა. იმ ღვთისმსახურით ვიყავი, უცებ ღმერთის არსებობაში ეჭვი რომ შეეპარება და იმედგაცრუებულს იმის დაშვებისაც კი მეშინოდა, რომ 17 წლის ასაკში, სამედიცინო უნივერსიტეტისთვის „მომზადებულს“, უარი უნდა მეთქვა პროფესიაზე, რომელზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი.

მშობლები თავისუფლად მზრდიდნენ. ჩემს ახალ აკვიატებას, რომ სამედიცინოზე აღარ ჩავაბარებდი, მშვიდად შეხვდნენ და გადაწყდა, მომდევნო წელს მათემატიკაში მოვმზადებულიყავი, საგამოცდო საგნებს იმხანად რომ დამემატა. როგორც ხდებოდა და ახლაც ხდება, გაიკითხ-გამოიკითხეს და ფასისა და ხარისხის შეფარდებით ზაურ გოგრიჭიანი აირჩიეს. მკაცრი და უცნაური კაციაო, მახსოვს, გვითხრა მისმა რეკომენდატორმა. უცნაურობა კი იმით გამოიხატებოდა, რომ ყველას არ ამზადებდა. წინასწარ გაესაუბრებოდა ბავშვს და გადაწყვეტდა, აიყვანდა თუ არა.

ჯუდოს ამბავი მეც გავიკითხ-გამოვიკითხე და დავასკვენი, რომ მართლა უცნაური კაცი იყო. ამდენი ლეგენდა მასწავლებელზე არასოდეს მსმენია.

„ერთხელ თურმე მოსწავლე მეცხრე სართულიდან ფეხებით გადაკიდა, თუ არ ისწავლი, გადაგადგებო!“ – ცოტა შეშინებული კილოთი მითხრა ჩემმა მეგობარმა გიორგი ხარაიძემ, ვისთან ერთადაც ვიჯექი და კარს ვუყურებდი, საიდანაც ჩვენს შესამოწმებლად ზაურ გოგრიჭიანი უნდა შემოსულიყო.

ზაური მაღალი, მხნე კაცი იყო, წარმოშობით ზემო რაჭიდან, სოფელ ღებიდან. ღებელებზე ის ვიცი ჩემი ჯუდოსგან, რომ ამ მაღალმთიან სოფელში, სადაც უმკაცრესი კლიმატია, 17 აკადემიკოსი დაიბადა და, საზოგადოდ, ყველა იქაურს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ჰავის თავისებურების გამო. ყველა-

ზე უცოდინარი მე ვარო, დაამატებდა ზაური და ამოიოხრებდა ხოლმე, და ეს ამოიოხვრა, დანამდვილებით ვიცი, სოფლის მონატრება იყო.

დღევანდელ დღესავით მახსოვს: სამნი ვიყავით ჩემს ბინაში, მეთექვსმეტე სართულზე. ლიფტი არ მუშაობდა და მასწავლებელმა, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, არასოდეს იგვიანებდა, ზუსტად სამი წუთი დააგვიანა. დინჯად შემოვიდა ოთახში და სამივეს დაგვაკვირდა.

მე, გიორგი და იოსები ვისხედით და შევყურებდით ლეგენდარულ კაცს, რომელმაც ერთ ჩემს უბნელ ბიჭს ისე შეაყვარა მათემატიკა, ეს უკანასკნელი სამი წელი უმაღლესი ქულებით აბარებდა სხვადასხვა უნივერსიტეტში (გამოცდის პროცესი მომწონსო), ისე რომ, საქართველოში იმ დროს არსებული ყველა მთავარი სასწავლებლის სტუდენტი ერთხელ მაინც გახდა.

ჰოდა, ვისხედით და შევყურებდით ამ კაცს, რომელსაც სათვალის მიღმა ცისფერი, ბრიალა თვალები და ძალიან, ძალიან მანერული მეტყველება და მიხრა-მოხრა ჰქონდა. იოსებმა, ასევე ჩემმა კლასელმა, მითხრა, მე კი ამიყვანს, შენ რა გეშველება, კვადრატულ განტოლებასაც ვერ ხსნიო. ჩემთვის სულერთია, არც მათემატიკა მაინტერესებს და არც უმაღლესში ჩაბარება, ჯარში მივდივარ-მეთქი, ვუპასუხე.

ჯუდომ შეგვამოწმა, იოსებს უარი უთხრა მომზადებაზე, მე და გიორგი აგვიყვანა და დავიწყეთ.

პირველი სამი გაკვეთილი „მოსარჯულებელი“ ბრძოლა იყო. ცხადია, ფანჯარას სათოფზე არ ვეკარებოდი – მეთექვსმეტე სართული იყო მაინც. მეოთხე გაკვეთილზე კალამი მაგიდას დაჰკრა და ჯერ ცხარედ, მერე კი ძალიან დინჯად მითხრა სიტყვები, რომლებიც არასოდეს დამავიწყდება: „გურამ, შენ ხარ ძალიან მაგარი მათემატიკოსი. იმდენად მაგარი, რომ შეგიძლია, ფერმას დიდი თეორემაც კი ამოხსნა. მეტიც: ამ ცხრა თვეში, რაც გამოცდებამდე დაგვრჩა, არათუ ჩააბარო, არამედ შეუსწორო კიდეც პროფესორს, რომელიც განტოლების ამოხსნის არასწორ, რთულ გზას შემოგთავაზებს. ნუ იბრძვი, ირწმუნე საკუთარი თავის და გამოიმყევი“.

აი, ეს მითხრა ტიპმა, რომელიც აბიტურიენტებში ჯონ ლენონზე პოპულარული იყო. წლების შემდეგ, სრულიად შემთხვევით, სტივ ლარსონის წიგნის „გოგონა დრაკონის ტატუთი“ კითხვისას გავიგე, რომ ფერმას დიდი თეორემა თურმე ორი წლით ადრე ამოუხსნია ენდრიუ უაილზს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზაურის სიტყვებმა ისე გამამხნევა, უმაღლეს მათემატიკაში გამოცდა უმაღლესი ქულით ჩავაბარე.

მარტივად დავწერე, აი, ცურვა რომ იცი და კი არ ფიქრობ, როგორ იცურო, უბრალოდ მიცურავ, ისე დავწერე.

აქამდე უინტერესო საგანი ყველაზე მეტად შემეყვარდა. ორი რამის გამო: პირველი – გავიგე, დავინახე, შევიგრძენი, მოვისმინე მათემატიკა და მეორე – მასწავლებლის შრომას ვაფასებდი, მთელი ცხრა თვე რაღაც გროშებისთვის ჩემს სახლამდე – კილომეტრს, მერე კი მთელ 16 სართულს ფეხით რომ ამოვივლიდა და 6, 7, ხანდახან 10 საათიც კი მათემატიკაზე მელაპარაკებოდა. მრცხვენოდა, ასეთი მცირე თანხის საფასურად ამდენს რომ შრომობდა ჩემთვის. მისი სიძველერე ურბანული ლეგენდა აღმოჩნდა – თუ ვჩხუბობდით, ვჩხუბობდით ზუსტად ისე, „შერეკილებში“ ერთაოზი და ქრისტეფორე მგალობლიშვილი რომ ჩხუბობენ.

„მე თვითონ მოვალ თქვენთან, პატივცემულო (გულში კი ვამატებდი: „ჯუღო“), ამხელა გზაზე ფეხით რომ არ იართ!“

აქამდე მოსასვლელად ოცდასამი წუთი მჭირდება. შენ ახალგაზრდა ხარ, ჩვიდმეტ-თვრამეტ წუთში მოხვალ, მაგრამ გზაში ვინმე შეგხვდება, იქ ბირჟაზე შეგაყოვნებენ, აქ გოგოს გააყოლებ თვალს, სადღაც წაიზანტებ და ნახევარ საათს დაკარგავ, ამ დროში კი ნორმალური ადამიანი ერთ-ორ კაი საინტერესო განტოლებას ამოხსნისო, მპასუხობდა.

მუსიკა, რელიგია, ლიტერატურა, ასტრონომია, გეოგრაფია, კულინარია თუ ნადირობა – რაზე არ გვილაპარაკია ჩვენ სამს: მე, გიორგის და ზაური მასწავლებელს. არც მახსენდება ჩემი ცხოვრების უფრო საინტერესო მონაკვეთი, ვიდრე ეს ცხრა თვე იყო, როცა ათსაათიანი მეცადინეობის შეუალელებში ფიზიკის ამოცანებით „ვისვენებდით“.

სწორედ ზაურ გოგრიჭიანის, ამ იშვიათი პედაგოგის გამო ვცადე მასწავლებლობა. ვფიქრობ, მისთვის მადლობის გადახდას აზრი არ აქვს, ვერც მოვახერხებ. თუ ჩემსავით მადლიერი ერთი მოსწავლე მაინც ვიპოვე, მიზანი ალბათ მიღწეული იქნება და ეს გზა, ეს ტრადიცია, ეს უხილავი კავშირი პედაგოგსა და მოსწავლეს შორის არ გაწყდება.

მე სხვას გადავუხდი მადლობას!

You Need Education! Your Teacher

სათაური უცხო ენაზე მხოლოდ იმიტომ არის, რომ იმ ძალიან ცნობილი სიმღერის რემინისცენციაა, რომელიც მას გარნირად უნდა მიაყოლოთ. ისე კი, ჩვეულებრივ, ქართულენოვან კონტექსტში ინგლისურის აუცილებლობის გარეშე გამოყენების წინააღმდეგი ვარ. თუკი ცოტათი მაინც გაინტერესებთ, კიდევ რისი წინააღმდეგი ვარ, უმორჩილესად გთხოვთ, წაიკითხოთ ეს წერილი, რომელიც მე ჩემს მოსწავლეს მივწერე:

ძვირფასო მაგდა,

რასაც ახლა გწერ, შეგიძლია სრულებით არ გაითვალისწინო. მით უმეტეს, რომ მე უკვე შენი მოსწავლეები აღარ ვარ. ჩემს ყურამდე მოაღწია, რომ უჩიოდი ჩემს სიმკაცრეს, იმას, რომ მოდუნების საშუალებას არ გაძლევდი; ამბობდი, რომ ეს გთრგუნავდა; რომ მე არასოდეს მიცდია შენთან და შენს კლასელებთან მეგობრობა.

ვუსმენდი ამას და გულით მინდოდა, შენთვის ერთი ისტორია მომეყოლა, ლამის ვინანე, რომ მოსწავლეებთან ერთ რკინის წესს ვიცავ მუდამ – არასოდეს ვუამბო რამე ჩემი ცხოვრებიდან. მაგრამ, რადგან უკვე ჩემი მოსწავლე აღარ ხარ, მისმინე:

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით – მერვე კლასის ჩათვლით. მოსწავლეების ახსნილის მოსმენა და გაკვეთილის წინ ერთი გადაკითხვა ამ პერიოდში სავსებით საკმარისი იყო ჩემთვის, რომ „ფრიადი“ მიმეღო. ახლა შენ ისევ იტყვი, რომ ამბიციური ვარ, მე კი გიპასუხებ, რომ სულაც არა, ამით თავის მოწონება აზრადაც არ მომსვლია მაშინ. მეგონა, რომ ეს თითქმის ყველას შეეძლო; მით უმეტეს, აზრადაც არ მომივა ახლა, როცა ის უნარი დიდი ხანია დავკარგე. ჰოდა, ასე გადიოდა წლები: გაკვეთილს შესვენებაზე ვსწავლობდი, დავალებებსაც შესვენებაზე ვწერდი და ვერც კი შევამჩნიე, როგორ გართულდა თანდათან ფიზიკისა და ბიოლოგიის ტექსტები, როგორ მოიმატა მათემატიკის სავარჯიშოების რაოდენობამ ისე, რომ შეუძლებელი გახდა მათი ხუთ-ათ წუთში დაწერა, როგორ შემოგვეპარა ახალი, პირქუში და იდუმალი

საგანი ქიმია და ერთ დღესაც გეოგრაფიის მასწავლებელმა მითხრა, რომ სამიანს მიწერდა, თან ფიქტიურად კი არა, ჟურნალშიც მიფორმებდა. ეს ჩემი პირველი სამიანი იყო, თავის მოტყუება არ ღირდა – დამსახურებული სამიანი.

ძნელია, როცა გჯერა, რომ რაღაც შენი საკუთრებაა და უცებ ხვდები, რომ ხელიდან გეცლება. უცებ ხვდები, რომ შენი ავტორიტეტი დაეცა, რომ თურმე ეს შენი თვითდამკვიდრების მთავარი გზა იყო და რომ დროა, შენი ღირსება დაიცვა.

ჰო, მე მქონდა ღირსება, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ არ მქონდა ის, რაც მის დასაცავად იყო საჭირო – მეცადინეობის უნარი. უბრალოდ არ შემეძლო, ათი წუთი დავმჯდარიყავი და მეკითხა სახელმძღვანელოს ტექსტი ისე, რომ გონებაში არ წამომფარფატებოდა... ყველაფერი, რაც გარდატეხის ასაკში შეიძლება წამოუფარფატედს მოზარდს. უკვე იმ ეტაპზეც კი ძალიან გვიან იყო შრომისმოყვარეობის გამომუშავება. ჩემს უპირატესობას, რომელიც მაშინდა გავაცნობიერე, როცა ვკარგავდი, საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ საშველი თანდათან მაინც გამოჩნდა:

მეცხრე კლასში გადავედი და უფლება მოგვეცა, ოლიმპიადებსა და კონფერენციებზე გავსულიყავით. ისტორიის ოლიმპიადებზე, მახსოვს, დიდი არაფერი – საქალაქოში მივალწვი; ინგლისურში უკეთ იყო საქმე; რაც შეეხება ქართულს, აქ ოლიმპიადის უმაღლესი ჯილდოც ავიღე და კონფერენციის კი, მგონი, უმაღლესზე კიდევ უფრო მაღალი, რაღაც სპეციალური. მე არ მქონდა ფუფუნება, შენსავით საუკეთესო სკოლაში მესწავლა, არც ვიცი, იყო თუ არა ჩვენს დროს ასეთი სკოლები, ჩემს სასწავლებელში კი ასეთი წარმატება საკმაოდ იშვიათი იყო და ამიტომაც ჩემი მიღწევით ყველა ერთსულოვნად ამაცობდა, სემესტრის ბოლოს თვით დირექტორმა დამიბარა და იზრუნა, რომ ყველა საგანში ფრიადი გამომყოლოდა. ასე განმეორდა მეთავე კლასშიც. რასაკვირველია, მიხვდები, რომ საერთოდ აღარაფერს ვაკეთებდი სკოლაში, გარდა იმისა, რომ წელიწადში ორ საკონფერენციო თემას ვწერდი და სამ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდი. ეს დაახლოებით იმას ჰგავდა, ჩემს გაკვეთილზე შენ რომ მობილური ტელეფონის ფოტოაპარატით გადაღებული სასწავლო მასალა მოგქონდა და შემდეგ იქიდან იწერდი ტესტების პასუხებს. ეს თაღლითობა იყო და დიდებისა და უზრუნველობის მათრობელა გემო ჰქონდა; ამას, მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულად, ჩემმა მართლაც კეთილმა და კეთილისმსურველმა მასწავლებლებმა მიმაჩვიეს.

მერე დაიწყო აბიტურიენტობის ხანა, მერე – სტუდენტობა... ვუყურებდი ჩემს მეგობრებს და ვერ ვიჯერებდი, რომ მათ ჰქონდათ მიზანი, მოტივაცია და,

რაც მთავარია, ჩვევა, ეთენებინათ ღამეები, ესწავლათ ყველაფერი, რაც მათი მომავალი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი იყო და უკომპრომისოდ ბევრი მოეთხოვათ საკუთარი თავისთვის. ვუყურებდი ამ გონიერ, ნიჭიერ ადამიანებს, რომლებსაც უკვე ვერც კონფერენციებით გააკვირვებდი, ვერ სტიპენდიებით, ვერც წარმატებებით და მაინც უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავდნენ ყოველდღე და ყოველ წუთს და ვხვდებოდი, რომ მთებს გადააბრუნებდნენ და ყველა ოცნებას აისრულებდნენ ამქვეყნად. და მე, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდოდა, მათ გვერდით დგომის ღირსი ვყოფილიყავი, ცოტათი დავატანე თავს ძალა. მაგრამ ველოსიპედზე ჯდომა, მეორე ენა და მიზანმიმართული და დისციპლინირებული შრომა აუცილებლად ბავშვობაშივე უნდა ისწავლო...

ძვირფასო მაგდა, მე ამ წერილსაც ერთი კვირის დაგვიანებით მხოლოდ იმიტომ ვწერ, რომ არ იყო თავის დროზე არავინ, ვინც მოდუნების საშუალებას არ მომცემდა.

ჰო, კიდევ, რაც შეეხება დამეგობრების მცდელობას: მე არასოდეს ვცდები დამეგობრად იმიტომ, რომ შენი და შენი თანატოლების სიმპათია სამუშაოთი უბრუნველმყოფს. ჩემთვის პრიორიტეტულია გასწავლო ენა – სიტყვათა ფუნქციური მნიშვნელობების დაცვით და ლიტერატურა – ცნებათა ფუნქციური მნიშვნელობების დაცვით. „მეგობრობა“ მძლავრი ფუნქციური დატვირთვის სიტყვაა და თუ მე ბოლომდე არ ან ვერ ვწმენდ ამ ცნებას ყველა მინარევსგან, ის მაინც ვიცი, რომ არ მაქვს უფლება, შენ სიტყვა „მეგობრობისადმი“ წაყენებული უმაღლესი მოთხოვნების თამასა ქვემოთ დაგიწიო.

არსებობენ მეგობრები – მასწავლებელი და მოსწავლე. მეც მყავს ასეთი მეგობრები, პლატონსაც ჰყოლია თურმე ჭეშმარიტებასთან საზიარო ამგვარი მეგობარი. ჩვენ კი მეგობრები არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ მაინც გწერ ამ წერილს – არა თავის სამართლებლად, არამედ იმისთვის, რომ ვცადო, ჩემს შეცდომებზე გასწავლო. ალბათ სადღაც, ოდესღაც, სულ დასაწყისში, წვრთნისა და შეგირდობის მთავარი მიზანიც ეს იყო – მოსწავლეებს მასწავლებელთა შეცდომებზე ესწავლათ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ოდესმე მიელწია კაცობრიობას სრულყოფამდე.

დაჯისავით ემოციური, ზაზასავით თავშეკავებული, ნათიასავით შრომისმოყვარე

სულ ახალბედა, „ჯეინტი“ მასწავლებელი რომ ვიყავი, მახსოვს, შესვენებაზე მოსწავლე შემოვიდა სამასწავლებლოში, რათა იმ სტრატეგიულ კომპიუტერულ თამაშზე გვესაუბრა, რომლითაც იმ პერიოდში ორივე ვიყავით შეპყრობილი. მახსოვს, ამ ყველაფერს მაშინ ჩემი უფროსი კოლეგებისაგან არა მხოლოდ მიმიკურად, ვერბალურად გამოხატული აღშფოთებაც მოჰყვა. ამ სიტუაციაში საბოლოო სიტყვა ჩვენი დირექტორისა აღმოჩნდა, ბატონმა მამუკამ თქვა, რომ მასწავლებელს გაკვეთილების შემდეგ შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც სურს.

– რას აკეთებენ მასწავლებლები გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს? – ეს კითხვა ნამდვილად აქტუალურია მოსწავლისათვის, ყოველ შემთხვევაში, იყო სოციალური ქსელების გავრცელებამდე. ამ კითხვაზე პასუხები მეც ძალიან მანტერესებდა და ბოლოს ვიპოვე კიდევ: მეცადინეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კერძო მოწაფეებს ამზადებენ, მურაბებს ხარშავენ ზამთრისთვის, ტელევიზორს უყურებენ, ჭიქა ყავაზე იკრიბებიან და მოსწავლეებს განიხილავენ...

ისეთი მასწავლებლებიც მყოლია, წიგნებს რომ წერდნენ, საჯარო ლექციებს კითხულობდნენ, ექსპედიციებში დადიოდნენ, მაქმანის საყელოთი მორთული ძველი შავი კაბით შემოსილი არც ერთ სპექტაკლს არ აცდენდნენ, ემოციისაგან აყვირებულნი გვიკითხავდნენ ლექსებს... ჩემთვის სუნთქვის შეკვრამდე საინტერესო და საიდუმლოებით მოცული იყვნენ. უბრალოდ თავიანთი არსებობით, ყოველგვარი მორალის კითხვის გარეშე, მიღვიძებდნენ სურვილს, რომ უფრო მეტი მესწავლა, უფრო მეტი მემუშავა საკუთარ თავზე, რათა მათი მსგავსი ცხოვრება მქონოდა.

ის ფაქტი, რომ მასწავლებელს მათ მიღმა კიდევ აქვთ ინტერესების სფერო და გატაცებები, მოსწავლეებს მხოლოდ დადებითად განაწყობთ მათ მიმართ. მინდა გაგაცნოთ სამი ადამიანი, რომლებსაც საკლასო ოთახის გარეთაც არანაკლებ საინტერესო საქმიანობა ეგულებათ, ვიდრე – მათ კედლებში. ნება

მიბოძეთ, გიამბოთ სამი ამბავი: დაჯისავით ემოციური, ზაზასავით თავშეკავებული, ნათიასავით შრომისმოყვარე.

დაჰი

მესტიის ერთი პატარა სოფლის სკოლის მოსწავლეებს წარმოდგენაც კი არ აქვთ იმის შესახებ, რომ მათი ისტორიის მასწავლებელი ერთ-ერთი საუკეთესო ბლოგერია. თუ დაჯის გაუმართლა, ერთხანს კიდეც ვერ გაიგებენ: „იმდენად ინტიმურ რამეებზე ვწერ ხოლმე იქ, რომ ვფიქრობ ჩემი მოსწავლეებისათვის... მდაჰ!“ ვგრძნობ, რომ წარმოდგენაზეც კი გააჟრჟოლა. „ინტიმური რაღაცები“ ძირითადად წიგნებია, კიდეც მუსიკა, ფილმები, კიდეც საკუთარი თავის ძიება. ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ხმამაღლა ეძებენ და ამ პროცესის ყველა ეტაპი ფურცელზე გადააქვთ, აუცილებლად უნდა იყვნენ მასწავლებლები, ისინი ბევრი რამით დაეხმარებიან მოსწავლეებს. დაჯი ისე წერს, რომ გიხარია, მთიან, თოვლიან სოფელში რომ არის გამოკეტილი და ბევრი არაფერი საცდური არ აქვს ირგვლივ კითხვისა და წერის გარდა:

„ჩვენ ყველას საკუთარი ცხოველი დაგვყვება ხოლმე. ბავშვობაში მჯეროდა, რომ ხან კატა დამყვებოდა; ხან სპილო; ხან მაინ რიდის წიგნებში ამოკითხული ანტილოპა. მერე გავიზარდე და ამ ცხოველებმა სახე იცვალეს, ტრანსფორმირდნენ, ყურები დაუმოკლდათ, ცხვირი გაეზარდათ, წვერები ჩამოუშვეს, თავზე სასაცილო ქუდები მოირგეს, ხელები ჩამოუშვეს მუხლებამდე, რომანების წერა დაიწყეს, ლაპარაკი ისწავლეს, ზოგჯერ მღეროდნენ კიდეც. მერე მივხვდი, რომ ადამიანებს დაემსგავსნენ და მაწანწალებით სულ კულში დამყვებოდნენ საღამოს ქუჩებში. ამ დროს აივანზე ფლოსტებით გამოსული მოსაწყენი ბერიკაცი ვახშმის ნარჩენებს დაუყრიდა მტრედებს და მხოლოდ ჭუჭყიან, ფერგასულ წვერებში ჩაილიმებდა ხოლმე ჩემს თანამგზავრებზე“, – „ტომ! შოკოლადი იესოსათვის“.

ეგონ შილეს ნახატის ფონზე დაჯის მიერვე შემოთავაზებულ გერშვინის „მეორე პრელუდიას“ ვუსმენ და პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე უფრო ლიტერატურულ პოსტებს ვკითხულობ. ახალი და აქტუალური თარგმანების უმეტესობა აქ არის: „პერსეპოლისი“, „ჭიანჭველები“, „შავი წყალი“... ლიტერატურა, რომელიც ისე ჩაწმახნია ერთი გოგოს პირად ცხოვრებას, როგორც უკანა მერხიდან ჩაწებებული კევი – მოწაფის ნაწნავებს. ვკითხულობ

და შეგრძნება მიჩნდება, რომ ავტორი ჩემი სტუდენტია, ლიტერატურათმცოდნეობის სემინარზე წინ მიზის და ცხვირს იჭმუნის, რადგან ეს-ესაა ვუთხარი, რომ მე ჯერ არ წამიკითხავს ის ახალი წიგნი, რომლითაც ის რამდენიმე დღეა სულდგმულობს. მერე კი რაღაც ისეთ მოხდენილს ამბობს, რომ ცალკე ფურცელზე ვინიშნავ მის სახელს და გვარს, დაჯი თოდუას და წითელი კალმით წრეში ვსვამ.

ნუ წაიკითხავთ ცნობილი კრიტიკოსების შეფასებას ახალ წიგნებზე, წაიკითხეთ ეს ბლოგი: <https://magarayuelady.wordpress.com/>

ზაზა

ზაზა მანია ჯერ კიდევ თავისი სკოლის გუნდში თამაშობდა „რა? სად? როდის?“ ტიპის ინტელექტუალურ თამაშებს, მერე კი, უკვე ათ წელზე მეტია თბილისის ინტელექტკლუბის წევრია. ამჯერად სუპერლიგის გუნდ „26-ე საათის“ შემადგენლობაში თამაშობს, თუმცა სოციალურ ქსელში მის ფოტოს დავხედე თუ არა, გამახსენდა, რომ რამდენიმე წლის წინ ჩვენი, შედარებით დაბალლიგელების, თამაშებსაც ხშირად ესწრებოდა ხოლმე. იქ სუპერლიგელები საკუთარ ასპარეზობამდე ტვინის გასავარჯიშებლად დადიან ანდა იმიტომ, რომ თვეში ერთხელ თამაში და ინტელექტკლუბის გარემო არ ჰყოფნით.

ახლა ზაზას ინტელექტკლუბის ყველა შეხვედრაზე დასწრება ალბათ ძალიან გაუჭირდება, ვინაიდან, დაჯის მსგავსად, ისიც „ასწავლე საქართველოს-თვის“ პროგრამით მუშაობს, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელია მარტვილის რაიონის სოფელ ბაღდში. თუმცა თვეში ერთხელ, კვირა დღეს გამართულ თავისი გუნდის თამაშებს არასოდეს აცდენს, ჩამოდის, თამაშობს და იმავე დღეს უკან ბრუნდება, რომ ორშაბათს უკვე გაკვეთილები ჩაატაროს. ძველი ინტელექტკლუბელებისათვის გუნდის ასეთი ერთგულება საყოველთაო დაუწერელი კანონია. სწორედ ამ და მრავალი სხვა მიზეზის გამო „რა? სად? როდის?“ სულ უფრო პოპულარული ხდება ახალ თაობაში და ინტელექტკლუბი წევრობის მსურველებს ველარ იტევს, რაც თავისთავად შესანიშნავი ამბავია.

არ არის გამორიცხული, რომ კლუბს ახალი წევრები მალე ბალდიდანაც დაემატონ: ზაზა მასწავლებელი ცდილობს თავის მოსწავლეებსაც გადასდოს ინტელექტუალური თამაშების აზარტი. შესაბამისად ადაპტირების შემდეგ სუპერლიგის კითხვებს მოსწავლეებსაც უსვამს და დროსაც უნიშნავს სწორი პასუ-

ხის გასაცემად, ხანდახან ეს სწორი პასუხი არც აცოვენებს ხოლმე. ის კი არადა, სასკოლო შეჯიბრებასაც კი ატარებს სხვადასხვა კლასის გუნდების მონაწილეობით.

ზაზა მანიას საკუთარ თავზე ლაპარაკი დიდად არ უყვარს, მაგრამ მჯერა, რომ ის შემთხვევაა, როდესაც მასწავლებლის ჰობის შეუძლია უზომოდ დადებითი გავლენა მოახდინოს მოსწავლეებზე.

ნათია

მისი ყოველდღიურობა ორ ნაწილად იყოფა: დილას ენერგიულად და ხმაურიანად ატარებს მოსწავლეებთან ერთად, საღამოს – კარს მოიკეტავს და სრულ სიჩუმეში მარტო რჩება წიგნის პირდაპირ. ნათია ჩუბინიძე მთარგმნელია, მათ შორის ისეთი ცნობილი ნაწარმოებისა, როგორც მარგარეტ მიჩელის „ქარწალებულნია“, თუმცა მის მოსწავლეებს ალბათ მის მიერ ნათარგმნი საცმაწვილო სერიების რომელიმე წიგნი უფრო მოსწონთ, მაგალითად, მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“ ანდა გეილ ფორმანის „თუ დავრჩები“. საოცრად მოსახერხებელია, როცა წიგნს კითხულობ და მისი მთარგმნელი შენი მასწავლებელია, ეგებ ისიც წამოაცდენინო, როგორ მთავრდება, ოღონდ არა ნათია მასწავლებელს... თუმცა, მოსწავლეებს ისიც კი უხარიათ და ეამაყებათ, როდესაც საკუთარი პედაგოგის სახელს უბრალოდ წიგნის ყდაზე ამოიკითხავენ. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ მასწავლებელი ელის, რა ნიშანს დაუწერს მოსწავლე:

„ერთ-ერთი საცმაწვილო სერიის მთარგმნელი რომ გავხდი, სრულიად შემთხვევით ჩემი ყოფილი მოსწავლე, გოგა ჯატვაძე, აღმოჩნდა ამ პროექტის წევრი, იმ წიგნების დიდი ნაწილი, რომლებსაც ვთარგმნი, გოგასა და მისი მეგობრების შერჩეულია, გეილ ფორმანის „თუ დავრჩები“ მთარგმნელის გვარი რომ უკითხავს, დააბუსტა, თუ ნამდვილად მე ვიყავი. მას მერე ხშირად მამხნევებდა, პრეზენტაციაზე კი გახარებულმა გამიზიარა შთაბეჭდილებები, მითხრა, რომ ძალიან მოეწონა თარგმანი, ამ პროექტის მონაწილეებს, როგორც ვიცი, სანამ წიგნი მაღაზიების ქსელში მოხვდება, მანამ აქვთ მისი წაკითხვის საშუალება და ძალიან გამიხარდა, გოგასა და მისი თანატოლების იმედები რომ გავამართლე“.

კითხვაზე, მასწავლებლობასა და მთარგმნელობას შორის, რომელი უფროა ჰობი, ნათია მპასუხობს, რომ ორივე მათგანი პროფესიაა, რომლებიც

ერთი ჰობისაგან, წიგნის კითხვისაგან, იღებენ სათავეს. ყველანაირი ჰობი და პროფესია კი მის ცხოვრებაში, დედისაგან, ქალბატონი მზია კაპანაძისაგან მომდინარეობს, რომელიც, ნათიას მსგავსად, პედაგოგია და რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის შვილის ყველა წარმატებაში.

მთარგმნელობა ნათია მასწავლებლისათვის „ორი კურდღლის დატერაა“: ცხოვრების იმ ეტაპზე, როდესაც ადამიანს ცოტა დრო რჩება საყვარელი საქმისათვის, იგი მთარგმნელის პროფესიის წყალობით წიგნების კითხვასაც ახერხებს და მეტიც, თავისი წვლილიც შეაქვს მსოფლიო ლიტერატურის სიახლეების ქართველი მკითხველისათვის მიწოდების საქმეში.

მკვდარი პოეტი უილ ჰანთინგი მონა ლიზას ღიმილით

იყო ამქვეყნად ერთი მშვენიერი ადგილი ჩვენი დუხჭირი (აქ ამ სიტყვამ ჩემდა უნებურად დაიკავა ადგილი) ბავშვობისას – ლიტერატურის მუზეუმთან არსებული ხელოვნების სახელოსნო. იმ სახელოსნოში ერთი საინტერესო და სახელგანთქმული მასწავლებელი გვყავდა – ვახტანგ როდონაია. გვიკითხავდა კურსს სახელწოდებით „საუბრები ლიტერატურაზე“. ბატონმა ვახტანგმა ერთხელ გვითხრა, რომ თურმე როცა ადამიანი რამეს წერს, ქვეცნობიერად ცდილობს, თავისი შემოქმედება პოტენციურ მკითხველს მოაწონოს. თვით პირადი დღიურის წერისას, როდესაც მავანი ფურცელს ისეთ საშინელ საიდუმლოს ანდობს, რომელიც უნდა, რომ არასდროს, არასდროს გაიგოს სხვამ, იგი ამ საჩუმათო ამბავსაც ისე აღწერს, რომ არამკითხე წამკითხველი აღტაცებული დარჩეს მისი განუმეორებელი პიროვნული ხიბლით. ეს სიტყვები ისე მენიშნა, რომ ჩემს ყველა მოსწავლეს ვეუბნები და აი, თქვენც გითხარით...

ღიახ, მე ვცდილობ, მოგეწონოთ ჩემი ნაწერი, ვცდილობ არცთუ ქვეცნობიერად – გეკეკლუცებით არაორდინარული სათაურით, თბილი მოგონებებით, სიტყვების ფლობის უნარით, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, როგორ მინდა, მოვწონდე ჩემს მოსწავლეებს, როგორ მინდა, არასოდეს დაიხედონ საათზე, არასოდეს გაახსენდეთ მობილური და სისავსის შეგრძნებით ტოვებდნენ გაკვეთილს. და რა მოსწონთ მოზარდებს, რას ელიან ისინი მასწავლებლისგან? ამ ძიებამ ჰოლივუდამდეც მიმიყვანა.

ბავშვობაში (მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ჩემგან ბალერინა არ გამოვიდოდა) ჩემი ოცნება იყო, გოგონათა სკოლა-პანსიონის მფლობელი გავმხდარიყავი. თვალნათლივ ვხედავდი მზით განათებულ ვრცელ მინდორს, ვიქტორიანული ყაიდის უზარმაზარ შენობას, ბალახზე მკდარ სასკოლოფორმიან გოგონას, რომელიც წიგნს კითხულობდა. ამ სკოლაში აუცილებელი საგანი იქნებოდა... ბალეტი. როგორც ხედავთ, იყო ჩემში ერთი მასწავლებლური თვისება – მინდოდა, სხვებისთვის „გადამელო“ ჩემი აუხდენელი ოცნება. ზოგადად მშობლებმა იციან კიდევ ასე: შენ მაინცდამაინც ის უნდა გქონდეს,

რაც მას დააკლდა. კიდევ ჩემი თავი წარმომედგინა თბილი, ალერსიანი, ცოტა მკაცრი, ძალიან მეგობრული: გოგონებს თვალში რომ ჩავვარდნოდი, ხელს არ ამოისვამდნენ. აი, ზურგიდან ვხედავ ჩემს თავს, პატარა გოგონასკენ დახრილს, დამრიგებლურსა და გულითადს, მუქი ლურჯი ქვედაკაბა მაცვია, ნაცრისფერი ჟაკეტი, თმა უბრალოდ მაქვს უკან შეკრული, რატომღაც საეჭვოდ მაღალი და თხელი ვარ, აი, შემოვტრიალდი და... უი! ჯულია რობერტსის სახე! ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩემი ბავშვური ოცნება სკოლა-პანსიონის მეპატრონეობაზე ჰოლივუდის პროდუქტია; მაშ, რა გასაკვირია, თუკი სხვა ბავშვებზე კინოფილმების მიხედვით აყალიბებენ სტერეოტიპებს მასწავლებლის შესახებ? მოდი, გავისხენოთ ცნობილი ფილმები, რომლებშიც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაა აღწერილი და ვნახოთ, როგორი ვიქნებოდით, ოცნებების ფაბრიკის ნაწარმი რომ ვყოფილიყავით.

აღბათ, თქვენც ის გაგახსენდათ პირველ რიგში, რაც მე – „მკვდარი პოეტების საზოგადოებას“ თოთხმეტი წლისამ ვუყურე და მაშინვე „ჩემი საყვარელი ფილმის“ იარლიყი მივაწებე. მეორე დღესვე ყველაზე სანდო მასწავლებელთან გადმოვაფრქვიე დაგროვილი ემოცია; მასაც ნანახი ჰქონია. მითხრა, არადამაჯერებელი ფილმიაო. რატომ-მეთქი, პირკატა მეცა. ასეთი რამეების გამო თავს არ იკლავენო, რობერტ შონ ლეონარდის მიერ განსახიერებული პერსონაჟის, ნილ პერის, საქციელს გულისხმობდა. ცივი წყალი გადამესხა თითქოს. მერე კიდევ, – ხომ ხდება ცხოვრებაში უცნაური დამთხვევები, – უნივერსიტეტში ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი ავირჩიე, რომელიც ცნობილ სპეციალისტს მიჰყავდა და პირველსავე ლექციაზე ეს ფილმი ახსენა: მასწავლებელი, რომელიც იტყვის, რომ ნილ პერის საქციელი არადამაჯერებელია, მასწავლებლად არასოდეს ივარგებსო. ჩავფიქრდი, არადა, ნინო მასწავლებელი მართლა კარგი პედაგოგი იყო, ამ გადმოსახედიდან – ეგებ იმ სახელგანთქმულ ფსიქოლოგზეც უკეთესიც.

თუმცა რა მენაღვლებოდა, მე მაინც ტოდ ანდერსონზე ვიყავი შეყვარებული – მორცხვსა და საკუთარ თავში ჩაკეტილ ბიჭზე, მხოლოდ თამამი მეგობრების წამხედურობით რომ შეძლებს, თავისი ხმა მიაწვდინოს სამყაროს. ის სცენა მიყვარს, ნილის სიკვდილს რომ გაიგებს, ქათქათა, დათოვლილ მინდორზე რომ მირბის, მირბის და გული აერევა. არა, ვერც ამ პერსონაჟსა და ვერც ეთან ჰოუკის სამსახიობო ოსტატობას ვერავინ უწოდებდა არადამაჯერებელს.

თოთხმეტი წლისამვე გადავწყვიტე, რომ თუკი ოდესმე მასწავლებელი გავხდებოდი, აუცილებლად მივბაძავდი მისტერ კიტინგს, რობინ უილიამსის

მიერ განსახიერებულ გმირს: არაორდინარულობით, შეუპოვრობით, და კიდევ აუცილებლად მოვითხოვდი მოსწავლეებისგან თავისუფალ აზროვნებას. ვახერხებ თუ არა ამას, ვერ გეტყვით, მეც მაინტერესებს.

ამას წინათ შემოვლითი გზებით ვცადე, გამერკვია და ეს ფილმი საშინაო დავალებად მივეცი მაღალკლასელებს, ზუსტად ისეთ ბიჭებს, მთავარ პერსონაჟებში რომ ამოიცნობდნენ საკუთარ თავებს: გამორჩეულად ნიჭიერებს, გაბედულებს, თავისუფლად მოაზროვნეებს. ადგნენ და პრეზენტაცია გააკეთეს: აქეთ შინაარსი მიმოიხილეს, იქით რეჟისურა მოიწონეს, კარგი ოპერატორული ნამუშევარი, აი, ბოლო სცენაში რომ მერხზე ასული მოსწავლეების ფეხების მიღმა ჩანს კადრი, მიგნებააო. არც მასწავლებელი შეუფასებიათ და არც პოეზია, როგორც ამბოხის იარაღი, ჩაუთვლიათ ყურადღების ღირსად. ალბათ, მასწავლებელი, რომელიც თავისუფალ აზროვნებას მოითხოვს, უკვე ნამდვილად აღარაა უცხო ხილი, ეგებ ამგვარი ფილმების წყალობითაც.

პავლის ხომ აქვს „ხაზარული სიტყვისკონის“ მამრული და მდედრული ვერსია, ჰოდა, „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ მდედრული ვერსიაც არსებობს – „მონა ლიზას ღიმილი“ ეწოდება. თუ მისი წინამორბედი ზოგადსაკაცობრიო და საყოველთაო პრობლემებს ეძღვნება, ეს კონკრეტულად 1950-იანი წლების ფემინისტური მოძრაობის კინოსტორიაა. მარტივი სცენარია, ძალიან სწორხაზოვანი და იოლად გამოსაცნობი დასასრულით: გოგონათა პრესტიჟული კოლეჯის მოსწავლეები თავიდან დასანახავად ვერ იტანენ არაორდინარულ მასწავლებელს, რომელსაც ყველა საკითხის შესახებ განსხვავებული აზრი და განსხვავებული ცხოვრების წესი აქვს, ბოლოს კი, რასაკვირველია, გულიანი ამერიკული ჩახუტების არაერთ სცენას წავაწყდებით. ვერც რობინ უილიამსის მდედრული ვერსია, ჯულია რობერტსი, დგას თავის სიმაღლეზე, ის კი არაა, თითქოს იჩრდილება კიდევ ნიჭიერი ახალგაზრდა კოლეჯების ფონზე, მაგრამ ამ ფილმშიც არის ერთი მეტად საგულისხმო მომენტი, რომელიც თითქოს ამოვარდნილია საერთო სწორხაზოვნებიდან: ერთ-ერთი მაღალკლასელი, ყველაზე მიზანდასახული და ნიჭიერი, თანაკლასელების ნახევრის მსგავსად, კოლეჯის დამთავრებამდე ქმნის ოჯახს. მასწავლებელი მას საზოგადოებრივი სტერეოტიპის მსხვერპლად მიიჩნევს, გოგონა კი ბედნიერია თავისი არჩევანით და საკვებით გაცნობიერებულად ამბობს უარს პრესტიჟული უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ამ საკითხზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ აშკარად შეიმჩნევა საფრთხე სტერეოტიპის სტერეოტიპით ჩანაცვლებისა – თუკი ადრე საზოგა-

დღეების წნეხი აიძულებდა გოგონას, ადრეულ ასაკში შეექმნა ოჯახი და დასახლისის ამბლუაში გაეტარებინა ცხოვრების უმეტესი ნაწილი, თანამედროვე აღზრდა, ნებით თუ უნებლიეთ, ჩააგონებს მოზარდს, განათლება, კარიერა, თვითრეალიზაცია აქციოს თავის ცხოვრებისეულ პრიორიტეტად და მხოლოდ ამის შემდეგ, სოციალური საყრდენის მქონემ, შექმნას ოჯახი, გააჩინოს შვილები; არადა, განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იტანჯება დეპრესიით იმის გამო, რომ სოციალურ საფეხურებზე ამალღების აზარტმა აიძულა, არასათანადო სერიოზულობით მოჰკიდებოდა თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ ურთიერთობებს.

ეს პრობლემატიკა აქტუალურია ფილმში სახელწოდებით „ტკვიანი უილ ჰანტინგი“, რომელშიც მოქმედება ამერიკის საუკეთესო ტექნიკურ კოლეჯში ვითარდება... და აქ ვწყვეტ მასზე საუბარს, რადგან აუცილებლად უნდა ნახოთ თვითონ.

და თუმცა ადრე მიაჩნდათ, რომ შეგირდისთვის საკმარისია, მასწავლებლის მსგავს სრულყოფილებას მიაღწიოს, ეს კარგი ფილმები გვეუბნებიან: კარგი მასწავლებლის მთავარი ნიშანი ის კი არაა (თუმცა, რასაკვირველია, ესეც უაღრესად მნიშვნელოვანია), თავისი საგანი შეაყვაროს მოსწავლეს და სრულყოფილი პროფესიონალის მაგალითად იქცეს მისთვის, არამედ უბრალოდ, დაეხმაროს მოზარდს, ისე განვივითაროს თვითრწმენა, რომ გაბედოს, იქცეს იმად, ვინც გულით სურს, რომ იყოს.

ან ეგებ კარგი მასწავლებლის ნიშანია, ჰქონდეს რობინ უილიამსივით უბრალო, კეთილი სახე, შეეძლოს, გულში ჩამწვდომი მხერა გააყოლოს ცხოვრებისაკენ მიმავალ თავის მოწაფეს და სიყვარულით თქვას:

– ღმერთი გფარავდეს, შვილო!

ვცადოთ ასეც: ეგებ კარგი მასწავლებლის ნიშანია, ჰქონდეს რობინ უილიამსივით უბრალო, კეთილი სახე, შეეძლოს გულში ჩამწვდომი მხერა გააყოლოს ცხოვრებისაკენ მიმავალ თავის მოწაფეს და სიყვარულით თქვას:

– ვირიშვილო! პლაგიატორო!

ორი ამბავი მასწავლებლის პროფესიაზე უფრო გულწრფელად, ვიდრე სხვა დროს

კარგა ხანია, აღარაფერი დამიწერია, არ მეწერებოდა და იმიტომ. ეგრე მჯერა, რომ თუ სკოლაზე წერ, უპირველესად მოსწავლეებისა უნდა თქვა, იმიტომ რომ თუ ვინმესია ეგ სკოლა, მაგათია და, ერთი კარგი ქართული რომანისა არ იყოს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. ვიფიქრე ბევრი, შემაწუხეს და შევწუხდი მეც, რადგან სამსახური სამსახურია მაინც და თავისას ითხოვს, ჰოდა, გადავწყვიტე, მასწავლებლებზე დავწერო, ყველაზე უცნაურ და ხშირად საძულველ ხალხზე მრავალთათვის.

იმასაც დავამატებ, რომ ეს ალბათ მაინც ყველაზე უფრო გულწრფელი ნაწერი იქნება ჩემი ამ სამასწავლებლოდ დაწერილი, იმიტომაც ვერ ავაწყვე აქამდე ტექსტი, რომ სულ უმცირესადაც არა მქონდა თამაშის თავი, არადა ტექსტთან, რაგინდარა ტექსტი იყოს ისა, უმნიშვნელოზე უმნიშვნელო თუნდაც, ლიტერატურული აზრით სრულიად უპრეტენზიოც, ვისაც შეეხება ჰქონია ოდესმე, დამეთანხმება, რომ შეუძლებელია, ამბავი, თუნდაც მხოლოდ თვალის ჩაკვრად ვარგისი, ერთგვარი კეკლუცობის, უბოროტო გადაჭარბების გარეშე დაიწეროს. მე კიდევ, როგორც ვთქვი, არა მქონდა თავი არც გადაჭარბებისა და, მით უფრო, არც კეკლუცობისა.

ჰო, კიდევ, ჩემთვის მასწავლებლობა ფეხბურთის მწვრთნელობას ჰგავს; მწვრთნელობას იმ აზრით, რომ აქაც, ამ ჩვენს მარად დაუფასებელ და კატორღულ საქმეშიც, სეზონებად იყოფა საქმე, სეზონებად იზომება და ნიშნებს ჩვენ აღარავინ გვიწერს, იქით თუ ვინმეს დავუწეროთ რამეს და თითოეულმა ჩვენგანმა მაინც ხო იცის, რომელმა წელმა, რომელმა სეზონმა როგორ ჩაიარა, რომელ წელს როგორი მოსავალი მოვიმკეთე და როგორი დავთესეთ.

მოკლედ, რაც არი, ეგ არი.

ზემოთა ვთქვი, არ მეწერებოდა-მეთქი, იმიტომაც უფრო, რომ ამ ბოლო „სემონმა“ ჩემმა სულაც მარცხით ჩაიარა, რაც რომ მინდოდა, ვერ გავატანე ზოგიერთებს და რაც რომ გულით მწადდა, ვერც ის დავიტოვე. ჰოდა, ვზივარ ახლა და კვირალა რჩება, იქნებ ცოტა მეტიც, ამ ჩვენი სასწავლო წლის დასასრულამდე და, სიმართლე გითხრათ, ერთი სული მაქვს, როდის დასრულდება სწავლა – დასრულდება ჰქვია, მა რა ჰქვია – და შევაფარებ თავს ძილს და სხვა საქმეს კიდე, გამოგონილსაც და ნამდვილსაც.

ივნისი ხო ყველაზე უფრო საძაგელი თვეა ჩემთვის, დაღლილობაც თავისას შვრება და თუ რამ გამოსასწორებელია, არც საიმისოდ არი დრო; ჰოდა, ვზივარ ახლა ეგრე გულხელდაკრეფილი და წლევანდელ დამარცხებას შერიგებული. გაკვეთილზე შესულს არა და – გაკვეთილი თავისთავადი პროცესია მაინც, გარე ფიქრისთვის დროს არ ტოვებს – შესვენებაზე გამოსულს კი კართან გხვდება დარდი, რადგანაც რომ ორშაბათიდან პარასკევამდე დღეში 4-5-ჯერ ხვდები, განწირულია ეს კონკრეტული საქმე ამწუთას და სამომავლოდ რა და როგორ იქნება, ერთმა ღმერთმა იცის.

საზიზღარია-მეთქი ივნისი, საზიზღარია, რადგან დღე ერთია და ასჯერ მეჩვენება, რო ამ ჩემს სამასწავლებლო, დუჟინწელმოთეულ ამბავში ყველაფერი ვქენი უკვე და ყველაფერი ვუთხარი ამათ, ამ გადამთიელებს, ნამძინარევი სახეებით რო მოდიან დილაობით და ხორხოც-ხორხოცით ბრუნდებიან უკან ნაშუადღევს.

საძაგელი ფიქრია, ვის რა დავაკელიო, გულში რო გაგკრავს, სად შემეშალო, ეგებ სხვანაირად... აი ეს „ეგებ“ არი გასაქცევის ვერდამტოვებელი. თან თეორიულად იცი, ნალადად იცი, ყოველ წელს გამარჯვებული რანაირად გამოხვალ; იცი, ჩავარდნილი წლები იმ მეორეებზე, აღმასვლებზე ნაკლები იქნება ბევრად და თუ აქამდე გულზე არ შემოგწოლია ეს ამბავი, იღბლის წყალობაა მხოლოდ, მაგრამ აქ სხვა „ეგებიც“ არის: ეგებ მოვებრდი ცოტა, ეგებ დავიღალე ცოტა, ეგებ გავცვდი ცოტა, ეგებ გამომელია დენთი... და ამ დროს, ამ საეგებიო დროს, კიდე ერთი სიტყვა გამოძვრება მოუსავლეთიდან. ვიცი, განა არა, ისიც კინწისკვრით გასაგდება, მაგრამ არ შველის არაფერი. „ვაითუა“ ეგ სიტყვა: ვაითუ, მღალატობს ალლო, ვაითუ, ჩამოვრჩი წასულებს,

ვაითუ, ყოველდღიურობად იქცეს გაკვეთილის ჩატარება, ვაითუ, მოვალეობად იქცეს, ვაითუ, სამსახურად იქცეს... აი, ეგ „ვაითუ“ ყველაზე ხმამაღლა საივნისოდ კივის ჩემში, სიტყვაგამოლეულზე, ძალაგამოცლილზე, მოღლილზე. ვაითუ, აბარგების დროა უკვე, აბარგების, სხვა საქმის კეთების, და ეგრე დარდშემოჩვეულზე სხვა ფიქრმაც იცის შემოპარვა: აქ რო არ ვიყო, ამას რო არ ვშვრებოდე, რამდენ რამეს ვიზამდიო, სხვების დასანახსაც და ჩემი თავისთვის თვალში მოსახვედრსაც, რამდენს მივალწევდი, რამდენს დავწერდი, რამდენს წავიკითხავდიო. დარდის ფიქრია ეგა, მაგრამ ფიქრია და ვერც ცეცხლით ამოძირკვავ კაცი და ვერც ზღვა წყლით დააქრობ.

მე ეგრე მგონია, ყველაზე საშინელი მასწავლებლის პროფესიაში, ყველაზე ძნელად ასატანი, ის მიხვედრათ, სამუდამოდ რო დაეკარგათ ვიღაცებს, ზოგს – ვაჟა, ზოგს – ილია და ზოგსაც – კონსტანტინე; ზოგს – ნიკო, ზოგსაც – ნიკოლოზი და ზოგსაც – დავითი. ძნელია ეს მიხვედრა, ძნელია მიხვედრისას და მით უფრო – შეგუებისას, არადა, თუ არ შეეგუე, ამ მიხვედრით ცხოვრება თუ არ ისწავლე, უნდა დაიხურო ქუდი და ჰაიდა, სკოლიდან და გაკვეთილიდან. არადა, ის დაკარგვა სამუდამოა ლამის, უმრავლეს შემთხვევაში მაინც, და შენი ბრალიცაა. იქნებ იმ ხულიგანი, მხეს, ჰორმონებს და ოცნებებს გამოკიდებული ბარმაცების ბრალიც იყოს, მაგრამ შენი ბრალიცაა. შენი კი არა, ჩემი, ჩემი ბრალიცაა, მე შემეშალა სადღაც, მე ვერ გამოვთვალე კარგად, მე ვერ დავჭირე ის ერთი წამი, შემოსაბრუნებლად უკანასკნელი, ჰოდა, დაეშვა ამბავი თავქვე.

ამას წინათ მკითხა ერთმა, სტუდენტმა ჩემმა, დაახლოებით ასე გამოუვიდა, რა გული გიძლებთო. მე ვუთხარი, „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ ფილმი თუ გინახავს–მეთქი. დამიქნია თავი და აი, როგორც რომ იქ იმოდენა ხალხი გაწყდება ერთი ღვთისგან მივიწყებული ჯარისკაცის გადასარჩენად, რა იმედიც, რა მორალიც იმათ ამოძრავებთ და თავებს ახოცვინებთ, ის იმედი იკვრევიანება ხელს ჩვენს პროფესიაში და გვერეკება–მეთქი წინ.

სულ ვფიქრობ, ვინა ვართ ჩვენ, მასწავლებლები? საკუთარ ოცნებას გამოქცეული, საკუთარ ომებში დამარცხებული ხალხი ხომ არა, რომლებიც რომ სხვებს, ამჯერად უკვე უკიდურესად გულუბრყვილოებს, გამოუცდელებს, ჯერ

წესიერად ფეხაუდგმელებს, ცხოვრების გზაზე ახლად აბანცალებულებს, მიერეკება შორეული და მარად ურწყული ველებისაკენ? თუ დონ კიხოტები? ეგების დონ კიხოტები, წინდაწინ განწირული ომების ჯარისკაცები, შლეგურ ოცნებას ადევნებულები, რომ ოდესმე ვინმეს ფიქრს ვასწავლით, რომ ოდესმე ვინმეს აზრს შევაცვლევივინებთ, რომ ოდესმე ვინმეს გამოვტაცებთ რუტინას და ჩვენები (ჩემები, თუ უფრო ზუსტად ვიტყვი) ოდესმე მაინც დააქუხებენ იმ თავიანთ უცხო და ჯერაც მეტისმეტად ბუნდოვან მომავალში დედობარს.

მასწავლებლობა, არა, ჩემთვის ყველაზე უფრო კეთილშობილური საქმეა. პროფესიაა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მომკალით და არ შემიძლია, არა მჯერა, რო მასწავლებლობა პროფესიაა. სხვები შემომედავონ იქნება, რატო, ჩვენმა საკეთებელმა რა დააშავა ვითომო. არც არაფერი, ძვირფასებო, არც არაფერი! რა უნდა დაეშავებინა. მაგრამ როგორღაც ისე გამოვიდა, მე ეგრე მჯერა, მასწავლებლობა ნიშნავს, სხვისი გამარჯვება საკუთარით გიხაროდეს, დამარცხება კიდე საკუთარზე მეტად გედარდებოდეს. მეტი არაფერი. მეტი გოჯისტოლადაც არაფერი.

სხვები-მეთქი, ვთქვი და გამკენწლა გულმა, ვითომ რაღა სხვები. არადა, გასულა წლები და ქუჩაში შემთხვევით რო გადავყრივარ ნამოწაფარს, ვეღარ მომიფიქრებია, რა მეთქვა ამ ჩემ თვალწინ დაქალებულ-დაკაცებულებისთვის და სულელური საყოველღეო შეკითხვებისთვის თუ მომიყრია თავი მხოლოდ.

P.S. ერთ ძველ ამბავსაც მოვყვები და მოვათავებ. ქართულის მასწავლებელი მყავდა ოდესღაც, ოჯახის მეგობრის მეგობარი იყო და მიეხმარეო, ჩემზე სთხოვეს, ჩაბარების ამბავში ვითომ. ოთხი თვე ვიარე ქალბატონ ლიასთან სულ, იმისი ქება ბევრს ნიშნავდა ჩემთვის და ზოგი ახლაც მახსენდება ღიმილით, გაბრაზებით თუ გამაბრაზებდა კიდე და სახლში გამობრუნებულზე ცოფების ყრა მაშინ გენახათ. აღარ ჩავეძიები წვრილად. ჰოდა, ჩავაბარე თუ არა, როგორც თქვენ არ დაგირეკავთ მასთან, ისე მე არ დამირეკავს. მეჩინებოდნენ ჩემები: სირცხვილია, არიქა, რას იტყვის ის ადამიანი, – როგორც ხშირად ხდება, მოკლედ. ვბიჭობდი და ხელს ავუქნევდი ხოლმე,

რა დროს სენტიმენტებია ვითომ, მოგცლიათ-მეთქი. არადა, გულში სულ იმას გავიძახოდი, კაი, ჯანდაბას, დავურეკავ, მაგრამ „გისმენთს“ რო მეტყვის, მე რა უნდა ვუთხრა, რა უნდა შევაგებო-მეთქი. თან მიკვირდა, როგორ ვერ ხვდებოდა ვერავინ, ტაკიმასხარაობა რო გამოდიოდა ყველა სიტყვა, უგულწრფელოდ წამოსროლილი.

არადა, ეწყინებოდა, ვიცი.

რაც ჩვენ თბილისელი აბოს გულისთვის გვიომია ერთმანეთში, არ გამოდიოდა სხვანაირად.

რა ამის პასუხია და, წელს კიდევ ერთხელ დაამთავრეს ჩემებმა სკოლა.

მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, ანუ სასიკვდილო ჩვენ ვართ მხოლოდ

მეგობარი მყავს ერთი, უნივერსიტეტის, მასწავლებელი თუ ვარ დღეს, მისი დამსახურებაა. კაი ხნის ამბავს ვყვები, იმდენი ხნისას, ჩემმა დირექტორმა გაიცინა ერთი კვირის უკან, მე და შენ მგონი შევაბერდით ერთმანეთსო.

გამეცვა სიტყვა. ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ჩემი ძმაკაცის დამსახურებაა-მეთქი ჩემი მასწავლებლობა, „თხამ შეჭამა ვენახს“ ჰგავს ეგ ამბავი. ჩემი ძმაკაცის ნაცნობს თავისმა ნაცნობმა ჰკითხა, ვინმე ახალგაზრდა ხო არ იცი, სკოლაში რომ გამოდგებოდეს, ისეთიო, ჩემი ძმაკაცის ნაცნობმა ჩემს ძმაკაცს ჰკითხა, – სტუდენტები ვიყავით მაშინ ჯერ კიდევ, – შენიანს მუშაობა ხო არ უნდა ვინმესო, ამ ჩემმა ძმაკაცმა – ჩვენს საერთო ძმაკაცს, რას იტყვიო, იმან – მე არა, მაგრამ ეგ იზამსო, ჩემზე, მერე ჩემმა ძმაკაცმა მითხრა მე, მე ვუთხარი „კი“ ჩემს ძმაკაცს, იმან – თავის ნაცნობს, იმ ნაცნობმა – თავისას და ის ნაცნობის ნაცნობი აგერ ამდენი წელია ჩემი დირექტორია, მოკლედ, უკულმა დატრიალდა ეს კარუსელი.

ამ ოდესღაც მომხდარს იმიტომ არ ვყვები ახლა, რომ სენტიმენტები შემომაწვა და მაისის ხვატში იანვრის გაყინული დილით ჩატარებული პირველი გაკვეთილი გამახსენდა, რომლის, ვალიარებ და, ნახევარი რაა, მეოთხედიც არ ჩამრჩენია გონებაში, ნერვიულობისგან. არა სულ სხვა ისტორია მინდა გიამბოთ, სიტყვა გამეცვა ისევ.

ჩვენ შორის მუშაობა ყველაზე ადრე იმ ჩემმა ძმაკაცმა დაიწყო. ჩვენ სკოლაში წასვლა არ გვიფიქრია თავიდან, გოგოების არ ვიცი და ფილოლოგი ბიჭები ცოტა სხვას ფიქრობდნენ ხოლმე გუნებაში, როცა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში პირველ სექტემბერს 103-ე აუდიტორაში მოხვედრაზე ოცნებობდნენ. ჰოდა, ჩვენც მივედ-მოვედებოდით ათას საქმეს, მასწავლებლობას შორის ვიჭერდით, სკოლაში მაინც, – უიღბლოთა საქმედ ჩანდა 19 წლის პოეტებისა და მთარგმნელებისთვის ორმოცწუთიანი ლაყაფი, „წესიერად მოიქეცი, გაკვეთილი რატომ არ იცი“ მონოლოგები, ჟურნალის წარმოება და წლის ბოლოს გამოყვანილი ნიშნები. ახალი გამოქვეყნებები ვიყავით ბავშვობიდან და არავითარი სურვილი უკან დაბრუნების არ გვქონდა.

ამ ჩემმა ძმაკაცმა კიდევ დაადო თავი და პირველმა დაიწყო მუშაობა, შეჰყვა და შეჰყვა, ახლა ვიცი, როგორც არი, მაშინ გვეუცხოებოდა; ჩვენ რომ მომავლის გეგმებზე დავიწყებდით ხოლმე ლაპარაკს, ის თავის ბავშვებზე გვიყვებოდა – როგორ გაჰყავდა თითისტოლა პირველკლასელები ტუალეტში მოსაფსმელად და როგორ წითლდებოდა თვითონ ყურებამდე.

ჰოდა, იმან თქვა ერთხელ, უკეთესი სამსახური შემომთავაზებს და არ ვიცი, რა ვქნაო, მეთქი, როგორ რა უნდა ქნა, დათანხმდი. მოვიდა ერთ კვირაში, უარი ვთქვიო. დავცინეთ, მახსოვს, მართო მაშინ კი არა, მთელი სტუდენტობა ვეშაყრებოდით, ის კიდევ ჩვენთან ერთად იცინოდა და თავის მართლებასავით გაიძახოდა, რა ვქნა, არი რაღაცაო, ვერ დავტოვებო. იმის მერე წლები გავიდა, უკვე ვიცი, რო მართალი იყო ის ჩემი ძმაკაცი, მართლა არი ის რაღაც და ბავშვმა ერთხელ თუ გკითხა, „მომავალ წელსაც ხო თქვენ გვასწავლით, მასწავლებლო“, მერე მოკვდები და მთლად ოქროს საბადო თუ არ შემოგაძლიეს, იმ ბავშვს იმედს ვერ გაუცრუებ. არადა, მაინც დიდვით ეტყვი, რომ არ იცი, სასექტემბროდ რა და როგორ იქნება.

ერთი კვირის უკან ძალიან გაიქაჩნენ ჩემი მეათეები. ბოროტებით არ მოსდიოდათ – რასაც ისმენდნენ და უყურებდნენ, იმას იმეორებდნენ, მე კიდევ ტვინში სისხლი ჩამექცა კინალამ, მეთქი, „ვეფხისტყაოსანი“, მეთქი, შუშანიკი, მეთქი, ხანძთელი, მეთქი, „აბოს“ პირველი თავი, მეთქი, გვი ვარ და თუ ვინმე გინდათ შეიძულოთ, პირველ რიგში ჩემი შეძულება მოგიწევთ. დაიბაფრნენ, დაიბაფრნენ უბედურად. თან ახლა „დავითიანის“ პირველ ნაწილს გადიან, აი, იმას, „ისწავლე სწავლის მძებნელომდე“ როა, რომელიღაც ჭკუის კოლოფმა სკოლის პროგრამიდან რომ ამოიღო, ჰოდა, მაგრად უჭირთ ეს გურამიშვილისეული სახარება და ქრისტიანობა.

პარასკევს არ ვიცი რომელიმემ მიბედა თუ არა იმ მუშტის ტრიალში, აღარც მიკითხავს მერე, იმედი კი მაქვს, რომ უმრავლესობა შინ დარჩებოდა. არადა რამდენი სკოლისჩანთაგადაკიდებული დაგლიჯინობდა აქეთ-იქით ჩვიდმეტში, იგინებოდა და უხაროდა ბრბოს ნაწილობა. იმის ილუზია არა მაქ, მე დამიჯერეს და იმიტომ დაეტივინენ-მეთქი სახლში – პირიქით, დარწმუნებულიც ვარ, რაღაც სულ ერთი გრამი არ ეყოთ ველურობისა, თორე წამსვლელები იყვნენ. თავის მოტყუება იქნება სხვანაირად ფიქრი, თავის მოტყუება კიდევ რა საკადრისია.

რატო მოვყევი ამ ყველაფერს და ჩემს ებოში ჩემს თაობაში სამი კაცის გარდა ყველა ან ყოფილი ნარკომანია, ან მოქმედი. ჩემი კლასელებიდან ერთი

ჩხუბში დაჭრეს და სისხლი მოეწამლა, ერთი კაიფში ჩარჩა და, რაც თავი მას-სოვს, სულ მკურნალობდნენ, ზოგი დაიჭირეს, გოგოები დათხოვდნენ, ბიჭები კიდე სულ თითზე ჩამოსათვლელები ვართ გადარჩენილები. ჩემი დის კლასი-დანაც ეგრეა. ერთი თვის უკან ჟვანიას მოედანზე თოთხმეტოდე წლის ბიჭი ჩემ წინ აჭერდა ხელს შუქნიშნის ღილაკს და იგინებოდა, კარი რატო არ იღე-ბაო. პარასკევს კიდე ზღვა ხალხი დარბოდა ჩვენი ქვეყნის მთავარ მოედანზე, დაგხოცავთო, ყვიროდნენ.

თევზი თავიდან ყროლდებაო, ნათქვამია. რამდენი თაობა უნდა დავკარ-გოთ ჩვენ, ქართულმა სკოლამ, ქართველმა მასწავლებლებმა, რომ მივხვდეთ – ეტყობა, რაღაცას ისე ვერ ვასწავლით, როგორც საჭიროა. იმ ხუთმა, ათმა თუ თხუთმეტმა ათასმა კაცმა ხო არაფერი არ იცოდა თავისი ქვეყნის, სამ-შობლო რა არი, არ იცოდა, „ვეფხისტყაოსანი“ არ იცოდა, ვაჟა არ იცოდა და გურამიშვილი. სულ იმას ვფიქრობ, ეტყობა, ვერ ვასწავლით კარგად. არადა წლებია, მამაცურად ვდუმვართ, ოო, რა მამაცები ვართ თვალის მოხუჭვაში, ხმის ჩაკმენდაში. თქვენი არ ვიცი და მეხუთე დღეა, ეგ დუმილი კივილად რე-კავს ჩემს გულგვამში, კივილად რეკავს, ხმაჩახლეჩილი.

ეგრე მგონია, ჩვენ, მასწავლებლებს, ყველას, ქართული სახელმწიფოს წინაშე ბოდიში გვაქვს მოსახდელი, პატიება უნდა ვთხოვოთ არა მხოლოდ იმათ, ავტობუსებში მსხდომებს, დაზარელებულებს, ვითომ ბარიკადს იქით გადადენილებს, არამედ პირველ რიგში იმ ბიჭების, იმ გოგოების მშობლებს, შეშლილი სახეებით რომ დარბოდნენ რუსთაველის გამზირზე. პატიება უნდა ვთხოვოთ – ვერ გაგვიზრდია, წაგვიხდენია მშობლებისგან გულმხურვალედ მობარებული შთამომავლობა. თორმეტი წელი გვიწვალა და დავგიმახინ-ჯებია, ნაიარევებით აგვივსია ოდესღაც ტუალეტში მოსაფსმელად გაყვანილი თითისტოლები. არ იფიქროთ, ექვსი წლისანი, როცა პირველად დასხდნენ მერხებთან, ამგვარები იყვნენო; არა, არა და არა – ჩვენ ვაქციეთ ისინი ასეთე-ბად, პოტენციურ კაცის მკვლელებად. ჩვენ ვერ ვასწავლეთ სიყვარული მათ, ვერც ადამიანის, ვერც სამშობლოსი, ვერც ზნეობის და კარგი კაცობის.

პროფესორი იმნაიშვილი

ტოლსტოისეული ბედნიერი და უბედური ოჯახების მსგავსად, ყველა ცუდი ლექტორი ერთმანეთს ჰგავს, ყველა კარგი ლექტორი კი – კარგია თავისებურად.

ვახტანგ იმნაიშვილი სტუდენტობის პირველსავე დღეს დავინახე. ვერ ვიტყვი გავიცანი-მეთქი. ახალბედა სტუდენტი, თავისი ნებით, ერთი შეხედვით, უმკაცრესი იერის მქონე პროფესორის გაცნობას ვერ გაბედავდა. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VI კორპუსის, მძიმე კარი 08:15 საათზე სანახევროდ გამოაღო და ქვის ფილაქნებზე სწრაფი ნაბიჯებით გამოიარა, თუმცა ჩანთა, რომლის სახელურაც მაგრად ჰქონდა მუჭში მოქცეული, არც კი ირხეოდა. იმნაიშვილი, მას შემდეგ, რაც დაცვის სამსახურის თანამშრომელს აუდიტორიის გასაღები გამოართვა, კიბისკენ დაიძრა. მერე კიბის პირველ საფეხურთან მდგომ ბიჭს წარბების ქვემოდან ამოხედა და მის მიერ ნათქვამ გულწრფელ სალამს სალმითვე უპასუხა. ის ბიჭი მე ვიყავი.

ამ დღის შემდეგ ერთი წელი გავიდა. მე ვცდილობდი პირველი, მშობლებისგან დამოუკიდებელი ნაბიჯები გადამედგა ცხოვრებაში. დღეები ერთმანეთს მისდევდნენ, მოუშადადებელი დავალებები უხმოდ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, წასაკითხი თაბახის ფურცლები კი ჩემს საწერ მაგიდაზე კურდღლებივით მრავლდებოდნენ. მე ვცდილობდი მესწავლა ის საგნები, რომლებიც მაინტერესებდა. მეემშაკა იმ საგნების კოლოკვიუმებზე, რომლებიც ინტერესს არ იწვევდნენ ჩემში. ცოდვა გამხელილი ჯობს – ამას იოლად ვახერხებდი. პერიოდულად მახსენდებოდა ის მკაცრი პროფესორი, რომელიც პირველ დღეს დავინახე. „ნეტავ, რას ასწავლის ის კაცი?“ – ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მაგრამ, როგორც ახალგაზრდას გონებას სჩვევია, მალევე მავიწყდებოდა ეს ფიქრი.

მეორე კურსზე საბოლოოდ გადავწყვიტე, ჟურნალისტი გავმხდარიყავი. სკოლის პერიოდში შეთხზული თავისუფალი თემების გამო, მეგონა, რომ წერა კარგად გამომდიოდა. აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი. ამიტომაც ქართული

ენის კურსის არჩევა მომიწია. საქართველოში ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ქართულ ენაზე მომუშავე ჟურნალისტმა ქართული ენაც უნდა იცოდეს. სკოლაში ქართული ენა ნესტან კუბლაშვილმა ძალიან კარგად მასწავლა (ვფიქრობ, რომ ის ერთერთი საუკეთესოა მათ შორის, ვინც კი დღეს ქართულ საჯარო სკოლებში ქართულს ასწავლის), მაგრამ სკოლიდან უნივერსიტეტში გადადგმული ნაბიჯი ადამიანის თავში ყველაფერს თავდაყირა აყენებს. იმხანად სემესტრის დასაწყისში, საგნების არჩევის დროს, თსუ-ის ელექტრონულ ბაზაში ქრისტეს ტირილი ისმოდა. სასურველ საგანზე, სასურველ ლექტორთან მოსახვედრად იუდა კიდევ ერთხელ გაყიდდა მაცხოვარს, ძმა კი ძმას სიამოვნებით გამოუსვამდა ყელში ბლავგ დანას. ამის გამო, გადავწყვიტე, წინასწარ გამეკითხა, ვინ, სად და როგორ ჯობია და კომპიუტერთან მედარაჯა. ალბათ ჩემს ცხოვრებაში ერთით ნაკლები ჭკვიანი ადამიანი იქნებოდა, VI კორპუსის წინ, სტუდენტურ ბირჟაზე ერთი წინადადება რომ არ დამცდენოდა: „ვინ ავირჩიო ქართულ ენაში?“ – ვიკითხე და თითქოს თბილისმა ერთხმად იხუცლა: „იმნაიშვილი, იმნაიშვილი“, ისევე როგორც მაჰმუდის სახელს აგუგუნებენ შორეულ მიწაზე. ეს ხმა ექომ გაიტაცა ჭავჭავაძესა და მელიქიშვილზე.

მერე მოხდა ის, რაც ჰოლივუდურ ფილმებში ხდება ხოლმე. უმკაცრესი პროფესორი, რომლის ვინაობაც სულ მაინტერესებდა, ვახტანგ იმნაიშვილი აღმოჩნდა. კაცი, რომელიც ქართული ენის გარდა, გასწავლიდა იმასაც, თუ როგორ დარჩენილიყავი ადამიანად ისეთ გარემოშიც კი, სადაც ადამიანობას არავინ გთხოვდა. გირჩევდა, ყოფილიყავი შენი პრინციპების ერთგული და თავისუფალი ადამიანი. ღიად შეგეტანა ეჭვი იმაში, რაც ყოველთვის გიღრღნიდა გონებას, მაგრამ, საზოგადოებაში გამეფებული ტაბუს გამო, თქმას ვერ ბედავდი.

მისი ლექციები ყოველთვის 08:30 საათზე იწყებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ ზარმაც ყმაწვილს, რომელიც ვაზისუბანში ცხოვრობდა, ცივი ზამთრის დროს 06:30-ზე უნდა გაეღვიძა, მომზადებულიყო და 07:00-ზე გასულიყო სახლიდან, როცა ჩაბნელებული უბნის კორპუსებში ჯერ არც ერთი ფანჯრიდან არ გამოდიოდა სინათლე. ქუჩის ძაღლთან ერთად მდგარიყო გაჩერებაზე და კანკალით დალოდებოდა N35 სამარშრუტო ტაქსის. გაჰყოლოდა მას ელბაქიდის აღმართამდე და უნივერსიტეტამდე ფეხით გაეგრძელებინა გზა. ამ რთული დავალების შესასრულებლად ენერგიასა და შთაგონებას თავად ვახტანგ იმნაიშვილი მაძლევდა. ის ყოველთვის თხუთმეტი წუთით ადრე მოდიოდა VI კორპუსთან და ლექციის დაწყებამდე ებოში სეირნობდა. „როგორ

ბრძანდებით, ბატონო ვახტანგ“ – ვკითხავდი ჯერ კიდევ ნამძინარევი და უსიცოცხლო ხმით 70 წლის პროფესორს. ის კი ენერგიულად და სხარტად მპასუხობდა: „ყველაზე კარგად“. არც ტყუოდა.

ცხადია, ისეთი ადამიანის ლექციები, როგორც ვახტანგ იმნაიშვილია, სტანდარტული ვერ იქნებოდა. ის გვერდს უვლიდა სწავლების რუტინულ და მოსაბეზრებელ მეთოდს – წესების დაზუთხვას და დაუჯერებელია, მაგრამ გვასწავლიდა ისეთი მეთოდით, რომ 06:30-ზე აწკრიალებული მალვიძარას ხმა თავგარს კი არ გცემდა, სასიამოვნოდ ჩაგესმოდა ყურში. იმნაიშვილის მიერ შექმნილი ტესტები დანაღმულ ველს ჰგავდა, რომელიც ფრთხილად უნდა გაგველო, ნაღმები აღმოგეჩინა, ანუ შეცდომები გეპოვა, გაგენეიტრალე-ბინა, ანუ შეგესწორებინა და გზა გაგეგრძელებინა. პირადად მე, თითო ტესტში, ასე, ხუთჯერ-ექვსჯერ მაინც ვფეთქებოდი ხოლმე. სულ რამდენჯერმე გამიღწევია ჯანმრთელს სამშვიდობომდე.

დღევანდელი გადმოსახედიდან ასე ვხედავ: ვახტანგ იმნაიშვილმა უსისხლო, უმტკივნეულო ოპერაცია ჩამიტარა, რომელიც ორი აკადემიური სემესტრის განმავლობაში გრძელდებოდა. ისევე როგორც ალკოჰოლიკებს უდგამენ ხოლმე კუნთში კაფსულებს, მან ჩამიმონტაჟა მოწყობილობა, რომელიც ჩემს გონებას მუდმივად აიძულებს იმუშაოს ქართულ ენაზე; შეეცადოს სწორად დაალაგოს წინადადებები; აღმოაჩინოს შეცდომები და გაასწოროს ისინი.

იმნაიშვილის კოლოკვიუმები და გამოცდები სხვათა გამოცდებს არ ჰგავდა. აქ ინტელექტუალურ ქურდობას, ანუ სხვისი ნაწერიდან გადაწერის მეთოდს, არ მივდევდით. განა იმიტომ, რომ ჩვენი ჭინკებით სავსე ტვინები რაიმე მანქანას ვერ მოიფიქრებდნენ. უბრალოდ იმიტომ, რომ გადაწერის გვერიდებოდა. ვიცოდით, რომ ამით მასთან ურთიერთობას გავაფერმკრთალებდით, ურთიერთობას, რომელიც ჩემთვის დღემდე ძალიან ძვირფასია.

ქართული ენის კურსის მიწურულს ვახტანგ იმნაიშვილმა საკუთარი წიგნი მაჩუქა იმის ნიშნად, რომ ჩვენი ურთიერთობა არც მისთვის იყო უმნიშვნელო. წიგნში წერილი დამხვდა, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „მიხარია, რომ მშობლიური ენის მასწავლებლად მაინცდამაინც მე ამირჩიე, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია – თუკი შენი მოლოდინი გავამართლე“.

რამდენიმე თვის წინ ვახტანგ იმნაიშვილი ერთერთ (სწორედ მისი კურსის შემდეგ ვწერ ამ სიტყვას ერთად და არა დეფისით) სატელევიზიო გადაცემაში ვნახე, სადაც საკუთარი სიყვარულის ისტორიაზე ლაპარაკობდა. ეს თემა ირიბად, მაგრამ ყოველთვის თან სდევდა იმნაიშვილის ლექციებს. ერთხელ

მელიქიშვილზე შექმნა. გაიცანი, ეს ჩემი შვილიაო – მითხრა. მეორე დღეს, ლექციის წინ მკითხა:

– დათო, გახსოვს გუშინ ჩემი შვილი რომ გაგაცანი?

– რა თქმა უნდა.

– ის სინამდვილეში ჩემი ცოლია – თქვა და გულიანად გაიცინა. ამ ამბავს ხშირად მახსენებს, როდესაც ტელეფონით ვსაუბრობთ.

ასე გავიცანი ქალბატონი ქეთინო, რომელიც, მართალია, ქმრის ლექციებს არ ესწრებოდა, მაგრამ ყოველთვის ვხედავდით მას, როცა კი იმნაიშვილს სიყვარულზე დასცდებოდა რამე.

ჩემი და იმნაიშვილის ურთიერთობა დღემდე გულწრფელი და სიყალბისგან დაცლილია. ხანდახან ის მირეკავს და მთხოვს, რომ Facebook-ზე ბილწ-სიტყვაობის გარეშე გამოვთქვა ჩემი აზრი. მე მას ყოველ ჯერზე ვაძლევ პირობას, მაგრამ ხანდახან მაინც მომდის გადაცდომები, რის გამოც ბოდვის ვუხდი ხოლმე.

... და მაინც, ბატონო ვახტანგ, ნეტავ რამდენჯერ ავფეთქდი ამ წერილის წერისას?

მკვდარი პოეტების საზოგადოება

ჩემო უძვირფასესო მოსწავლეებო,

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმის გამო, რომ არც ერთ-ხელ არ მიგრძნია სკამზე გულაღმა დადებული ჭიკარტი. ხო ვითომ არაფერი, მაგრამ სინამდვილეში, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

საბედნიეროდ, თქვენ არ იცით, თუ რას ნიშნავს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის სრულად წაშლილი სუბორდინაციის ზღვარი – დაუშომინებელი ღრიანცელის გამო კლასიდან გასული, დამცირებული მასწავლებელი, გაკვეთილის მსვლელობისას საკლასო ოთახში შემოგდებული აგური, ბრტყელტუჩათი შემოვარდნილი მოსწავლე და კიდევ ათასი სხვა რამ. გილოცავთ! თქვენ ასეთი რამ არ გინახავთ, მე ნანახი მაქვს.

როცა ვფიქრობ, თუ რამ გამაბედინა 24 წლის ასაკში მასწავლებელი გავმხდარიყავი, ყოველთვის „ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი“ მახსენდება. უფრო ზუსტად კი ის ეპიზოდი, როდესაც ალბუს დამბლდორი ცდილობს, ჰორაცეუს სლაგჰორნი ჰოგვარტსში დაბრუნებაზე დაიყოლიოს. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს დირექტორს, ალბუსის მსგავსად, ჩემი დახმარებით რომელიმე ნიუტონელი ვოლდემორის შავ-ბნელი საქმეების გაშიფვრა სურდა. არა. უბრალოდ, ისე აეწყო, რომ გიორგი მელაძე ჩემი ცხოვრების ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ეტაპების მაპროვოცირებელი აღმოჩნდა და მასწავლებლობაც ასე, თვალსა და ხელს შუა შემომაპარა. თუკი დამბლდორის სატყუარა იყო სახელგანთქმული ბიჭი, რომელიც სასიკვდილო შელოცვის მერე გადარჩა, მელაძის სატყუარა იყავით თქვენ – ბიჭები და გოგონები, რომლებსაც წერა და ინტელექტუალური თამაშები გაინტერესებდათ და მან იცოდა, რომ ერთიც და მეორეც ჩემი სუსტი წერტილები გახლდათ.

ამ შემთავაზების დროს „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ გამახსენდა – ენერგიითა და ოცნებებით თავგამოტენილი ახალგაზრდები და მათი უცნაური მასწავლებელი – მისტერ კიტინგი (ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო), მისი სწავლე-

ბის არატრადიციული მეთოდები, სახელმძღვანელოდან ამოხეული გვერდები, სტროფები, რომლებიც თაფლივით წვეთავდა ამ კლასში გაერთიანებული ადამიანების ენებიდან, ძველი ინდიელების გამოქვაბული... ეს ყველაფერი იმდენად საინტერესო ჩანდა, რომ შეუძლებელი იყო, უარი მეთქვა მასზე და შედეგად ერთი დაუვიწყარი წელი გავატარე თქვენთან ერთად. ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ვიცინეთ, ბევრი ვიკამათეთ, ბევრჯერ არ დავეთანხმეთ ერთმანეთს, ბევრჯერ ვაპატიეთ, ბევრჯერ ვაწყინეთ, ბევრჯერ ვაამეთ, მაგრამ არც ერთხელ არ დავგირღვევია ერთმანეთის მიმართ პატივისცემის ზღვარი – ის, რომელზეც წელან ვამბობდი.

მისტერ კიტინგის და მკვლარი პოეტების საზოგადოების წევრების არ იყოს, ამ სასიამოვნო თავგადასავალსაც ჰქონია თავისი დასასრული, თანაც უცაბედო. არადა, რამდენი დამრჩა თქვენთვის სათქმელი.

ნუცა, შენთვის მინდოდა მეთქვა, რომ უსინდისობაა იყო ასეთი მგრძობიარე, შეგეძლოს ასეთი სიყვარული, ასე განიცდიდე ყველას, ყველას მწუხარებას, ასე გახარებდეს ყველას წარმატება და არ წერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც წერის სურვილი გტანჯავს. მაშინ შევცდი, როცა გითხარი, არ შეიძლება „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ არ მოგწონდეს – მეთქი. დანიელ პენაკი სვამს შეკითხვას: „განა შეიძლება „ანა კარენინა“ არ მოგწონდეს?“ – და თავადვე პასუხობს – „შეიძლება“. გარსია მარკესს უნდოდა, რომ ის უკლებლივ ყველას ჰყვარებოდა თავისი შემოქმედების გამო. ყველა არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ თუკი წერას განაგრძნობ, ისინი აუცილებლად შეგიყვარებენ, ვინც შენ გინდა, რომ შეგიყვარონ – იმ მუსიკალური ბენდის სოლისტს ვგულისხმობ, სახელი რომ ვერა და ვერ დავიმახსოვრე.

ლიზა... სიმართლე გითხრა, როცა მითხარი ნოდარ დუმბაძე ჩემი დიდი ბაბუა იყო, ცოტა შემრცხვა, წერის გაკვეთილები რა ნამუსით ჩავუტარო – მეთქი. გახსოვს? ჰემინგუეის მოკლე მოთხრობები წავიკითხეთ და ვცადეთ, გავვემეორებინა. შენ მაშინაც ცდილობდი, იოლი გზები გეპოვნა, ფიქრი გეზარებოდა. არადა, რა ამბავი დაწერე ოთახში გადმოღვრილ ხუჭუჭა ბავშვის თმაზე?! მთელი დღე თავიდან არ ამომდიოდა. ნუ დაიზარებ, დაიწყე იმ დიდი ამბის მოყოლა, რომელზეც მაშინ მითხარი. შეცდომების დაშვების ნუ შეგეშინდება. ამ დალოცვილ კლავიატურას ერთი საოცარი ღილაკი აქვს Delete აწერია. შეგეშლება? ადგები და წაშლი.

მარიამ, Facebook-ზე შენს მოთხრობას წავაწყდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის ცხონებული კაცი რომელიმე თქვენგანს მაინც მისცემდა შთაგონებას

და არც შევმცდარვარ. ხომ გახსოვს? თუ კარგად დააკვირდები, მშვენიერი მძინარე ქალის თვითმფრინავშიც აღმოჩნდები.

ივა, ჯორბენ, გიორგი, ლუკა – მეტი რა გითხრათ, მუშკეტერები ხართ და ისეთი შეგრძნება მრჩება, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწორი საქმისთვის იბრძოდებთ.

გიორგაძე, გულის სიღრმეში შენს ხუმრობებზე მეცინებოდა.

ნიკუმ – შენსაზვეც.

ლაშა, მაპატიე, რომ ჯორბენას გუნდში გსვამდი ხოლმე.

ლუკა, მოპარსული უღვაში გიხდება.

სექტემბერში, თქვენი დირექტორი ახალ მასწავლებელს მოგიყვანთ. არ შემარცხვინოთ, ნენა. ცრემლი არ დამანახოთ, კარგად მოიქეცით, ყველაფერი ჩაიწერეთ და ბევრი შეკითხვა დაუსვით.

...და, თუკი ყველაფერზე ვერ გიპასუხათ, არა უშავს რა. ბოლო-ბოლო, ყველა ჩემნაირი ხომ ვერ იქნება.

ყველაფერი დედაჩემის მეგობრის შესახებ

დედაჩემმა უარი თქვა ჩემი კლასისთვის რუსული ენა და ლიტერატურა ესწავლებინა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მან თავიდან აიცილა უხერხულობა. მე კი დამრჩა შანსი, რომ რუსულ ენასა და ლიტერატურაში მაღალი ნიშანი მქონოდა. თუმცა, ამ მხრივ, დედამ მაინც დიდი როლი ითამაშა ჩემს განათლებაში, რადგან თაროებზე შემოწყობილ, მის მიერ შეგროვებულ კლასიკურ ლიტერატურას, რომლის დიდი ნაწილი რუსულ ენაზე იყო გამოცემული – მხატვრული ლიტერატურით გატაცებული მოზარდი გვერდს ვერანაირად აგუვლიდი. „საიდუმლო კუნძული“ ჯერ ქართულად წავიკითხე, შემდეგ კი ოკუპანტის ენაზე, რადგანაც რუსულ ვარიანტში, ტექსტს თან ერთვოდა ლინკოლნის კუნძულის რუკა, რაც საშუალებას მაძლევდა ჩემს წარმოსახვაში დახატული მიწები, ქალაქდზე გადმოტანილისთვის შემედარებინა. უნდა ვაღიარო, სხვაობა დიდი იყო.

დედაჩემის ნაცვლად ჩემს კლასში მისი უფროსი მეგობარი – მადლენა შარიქაძე შემოვიდა. მაღალი, არისტოკრატიული შესახედაობის მქონე, მარტოხელა, ხნიერი ქალბატონი, რომელიც დღემუდამ მოწესრიგებულად იყო ჩაცმული, სიარულის მანერაში ძველებური სტილი ეკითხებოდა და არასოდეს ავიწყდებოდა ხან ზურმუხტისფერი, ხანაც ქარვისფერი სამკაულის გულზე გაკეთება.

„ძალიან მკაცრია“ – ამბობდნენ მასზე ვაზისუბანში, სადაც თითო კორპუსში თითო მასწავლებელი მაინც ცხოვრობს. მადლენა შარიქაძე მე-9 კორპუსის მეოთხე სართულის მობინადრეა. იმ კორპუსის, ზედ სკოლის პირისპირ რომ დგას და რომელთანაც დილაობით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი სკოლისკენ მიმავალს. „დილა მშვიდობისა მადლენა მასწ“ – მივესალმებოდი და მისი დინჯი სიარულის ფონზე, შენობაში შესვლას ბარე 40 ნაბიჯით ადრე მოვასწრებდი.

სხვებისგან განსხვავებით, თავდაპირველად, მადლენა შარიქაძის სიმკაცრისა არ მჯეროდა. ვფიქრობდი, რომ მეგობრის შვილის მიმართ დამყვავე-

ბელი და ნიშნების საკითხში გულუხვი იქნებოდა. საით არ წავიყვანს ყმაწვილური ოცნებები. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით მოხდა. დაფასთან ვიდექი ყოველთვის, კარნახებს ვწერდი პირველ მერხზე, საპირფარეოში, მაშინ საჭირო ოთახს რომ ვუწოდებდით, თითქმის არასოდეს მიშვებდა. ასევე, მადლენა შარიქაძე უხეშად არღვევდა ჭემმარიტი მასწავლებლის ტრადიციას – მას ყოველთვის ჰქონდა თავისი ცარცი, რომლის რამდენიმე ნატეხიც წამლის გამჭვირვალე ბოთლში მოეთავსებინა.

„მე რუსების ენას არ ვისწავლი“ – ვუთხარი ერთხელ ფეხზე წამომხტარმა, ყმაწვილური სიამყით, კონტექსტიდან ამოგლეჯილი პატრიოტიზმით და თითქოს, ჩემს წარმოსახვაში მთელმა კლასმა მქუხარე ტაში დამიკრა. აპლოდისმენტები არ წყდებოდა. მე აქოშინებული ვიდექი მერხთან, როგორც დირიჟორი, რომელმაც მუსიკოსების არმიას წარმატებით უხელმძღვანელა და ვილებდი ტაშის ზღვას. კლასელები კი გაჰკიოდნენ – „ბრავო მასეტრო“. უცებ, აპლოდისმენტები მადლენას ერთმა სიტყვამ მოგუდა:

– „ისწავლი“ – თქვა მან და მართალიც აღმოჩნდა.

საბოლოოდ, ჩათრევას ჩაცოლა ვამჯობინე. ვიჯექი და ლიტერატურის გაკვეთილებს ბოლომდე ვუსმენდი. თავიდან უგუნებოდ, მაჯაზე სახის ჩამოყრდნობით. მერე კი... ნელ-ნელა აღმოვაჩინე, რომ ამ მკაცრი, ხნიერი ქალბატონის მიღმა კიდევ ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელიც ცნობილ პერსონაჟებსა და მათ შემქმნელებს შენობით ესაუბრებოდა. განა მხოლოდ გამარჯობა-გაგიმარჯოს?! კარგად იცნობდა, მოკითხვით და ფინჯან ჩაის თანხლებით, ბუხრის პირას მუსაიფით და რახმანინოვის მუსიკის ქვეშ. მოგვიანებით, შარიქაძის მეცადინეობის შემდეგ მომავალმა ფიზკულტურის გაკვეთილმა ფასი დაკარგა. მე თავს დავაჯერე, რომ რუსულის მასწავლებლის სახლში, რომელიც უწინ იუსტინო ბრინიონის ალაგად მესახებოდა, თავს აფარებდნენ პუშკინი და ესენინი, ტოლსტოი და დოსტოევსკი და ხანდახან გოგოლიც შემოეხეტებოდა ხოლმე.

როცა გადავწყვიტე, რომ საიდუმლო საიდუმლოდ დარჩებოდა, იუსტინო ბრინიონის სასახლეში სწორედ მაშინ აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი მისსავე დაბადების დღეზე, რომელზეც დედამ წამიყვანა. ჩემს მასწავლებელს სახლშიც ისევე მოხდენილად ეცვა, როგორც სამსახურში. მის სამ ოთახიან ბინაში მართლაც ცხოვრობდნენ დოსტოევსკი და პუშკინი, ოღონდ წიგნებში გამოძევედულები, უშველებელი ბიბლიოთეკის უსასრულობაში ჩაკარგულები. მათ წინ ფოტოები ეღობებოდათ – რომლებიც ჩემი მასწავლებლის ცხოვრების

ყველა ეტაპს ასახავდნენ. წლიდან წლამდე. ეპოქიდან ეპოქამდე. საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებელ და მაინც დამოკიდებულ საქართველომდე და ერთ მომენტში ჩანდა, რომ მადლენა მასწავლებელს ფოტოების გადაღება შეეწყვიტა. თითქოს მადლენა შარიქაძე სწორედ ამ მისტიკური რიტუალით ცდილობდა მწერლებთან ცხოვრების დაკავშირებას. ფოტოებს კი მკრთალად ანათებდა სქელი ფარდიდან ქსოვილში შემომძვრალი შუქი, რომელიც ჯერ ილფისა და პეტროვის „12 სკამს“ ეცემოდა და შემდეგ ნაწილდებოდა.

მე-11 კლასში ამ მისტიკური სახლის მუდმივი სტუმარი გავხდით. მადლენა შარიქაძეს გამოცდებისთვის უნდა მოვემზადებინე და ბოლომდე დავუმეგობრდი ადამიანს, რომელიც სხვებს ტირანად ესახებოდათ.

აღბათ 5 წელი იქნება, რაც მადლენა შარიქაძე არ მინახავს, მაგრამ თავს ხშირად მახსენებს. ყოველთვის, როცა სამართლიანად ვამბობ, რომ რუსეთი მტერია, ქვეცნობიერად ვფიქრობ, რომ არსებობს მადლენა შარიქაძე, რომელიც აღბათ მეთანხმება და რომლის გამოც, მე უფლება არ მაქვს რუსული ლიტერატურა არ მიყვარდეს.

ჩემი მარინა მასწავლებელი

მე და ჩემს მარინა მასწავლებელს ერთმანეთი გვიყვარდა, ახლაც გვიყვარს. მერე რა, რომ მეოთხე კლასიდან სისხლს ვუშრობდი.

მაშინ დიდი მეგონა, ახლა ვხვდები, ძალიან ახალგაზრდა იყო. უბრალოდ იერი ჰქონდა მკაცრი – ყოველთვის მოწესრიგებული, ჩალისფრად შეღებილი თმა, მოყავისფრო, მკაცრი, ზომიერად მოდური კოსტიუმი და ქვედა ბოლო, თეთრი პერანგი.

სხვა მასწავლებლები გვლანძღავდნენ, ზოგიერთი ფიზიკურადაც გვეხებოდა. ის ხმასაც არ უწევდა, შემოვიდოდა და გასუსული იყო მთელი კლასი.

სწამდა პარტიის, იყო მგზნებარე საბჭოთა მოქალაქე. მე ამ დროისთვის დაწყებით კლასებში ისეთი მწარე გამოცდილება მქონდა აკრეფილი დესპოტი დამრიგებლისგან, ასე მეგონა, ყველაზე მთავარი, რაც სკოლაში მევალებოდა, მასწავლებლებზე შურისძიება ან მათი დაცინვა იყო.

თავში დავწერე, სისხლს ვუშრობდი–მეთქი, არაა სწორი, სისხლს ვერც ვერავინ უშრობდა მარინა მასწავლებელს, მაგრამ მე მისი სიმტკიცის გვარიანად შერყევა შემეძლო.

ვინ ვიყავი და რა უპირატესობა მქონდა სხვა მოსწავლეებთან შედარებით?

ჩემს მარინა მასწავლებელს აუცილებლად სჭირდებოდა ავტორიტეტები, ყოველთვის, ყველგან, ყველა დონეზე.

მოსწავლეებს შორის მე ვიყავი მისი ავტორიტეტი. უპირველესად იმიტომ, რომ მამაჩემი პოეტი იყო. ეს იცით რას ნიშნავდა? ეს პოეტი გინდაც სულ არ ყოფილიყო პარტიისა და საბჭოეთის მეხოტბე, ის მაინც იყო ძლევა მოსილი საბჭოთა სტრუქტურის წევრი.

მარინა მასწავლებელს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ მამაჩემი პარტიული არ იყო. ერთ–ორჯერ დამემუქრა, მამას სამსახურში პარტიულ საყვედურს გავუგზავნითო. მეც არ ამომიღია ხმა, სახლში კი ბევრი იცინეს, რა მოხდებოდა,

რედაქციაში სკოლიდან რომ მსგავსი რამ შესულიყო. თუმცა მამას რომ რომელიმე ქარხანაში ემუშავა, სულაც არ ეს იქნებოდა ასე სასაცილო თემა.

მამის გარდა, მარინა მასწავლებლის თვალში წონას მმატებდა ის, რომ სულ ვიმარჯვებდი ქართულის ტურებში, რომლებშიც რაღაც თავისუფალ თემებს ვწერდი. ეს თავისუფალი თემებიც მამას „დამსახურება“ იყო. ახლა საკუთარი გამოცდილებითაც ვიცი, რა მაგარია, ვინმე ახალგაზრდა ლექსებს რომ მოგიტანს და უეცრად ნიჭიერ პოეტს აღმოაჩინ. ჟურნალი „ცისკარი“ მაშინ ახალგაზრდებისათვის ერთადერთი შესაძლო არენა იყო და ვინც 80-იანებში მოვიდა, მათი დებიუტის სიხარული აუცილებლად მამასთან ერთად უნდა გაგვეზიარებინა. დაბრუნდებოდა გახარებული სამსახურიდან და გვიკითხავდა, როცა რამე ღირებული და განსაკუთრებული შეხვდებოდა. ბავშვობაში ვერლობრიც კი ადვილად მამახსოვრდებოდა. მივდიოდი მერე იმ რაიონულ, საქალაქო თუ რესპუბლიკურ ტურებზე და ვთქვათ, ომარ თურმანაშლის ან ელა გოჩიაშვილის ლექსებს პროზად ვწერდი. ვინ იყო ამომცნობი? მერე და მერე სულ გავთავხედდი და ბესიკ ხარანაშლის „მიკარნახე ანგელინა“, რომელიც მაშინ „ლიტერატურულ საქართველოში“ ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა, სულ თავისუფალ თემებად „ნათარგმანები“ ვაკითხე ჩემთვის უცნობ კომისიებს.

აღბათ ოჯახიც მაქვებდა მსგავსი ოინბაზობებისკენ, რადგან სკოლა მათთვისაც საბჭოთა მიუღებელი სტრუქტურა იყო თავის მასწავლებლებიან-კომისიებიანად და, საერთოდ, მაშინდელი კრიტიკა დიდად არ სწყალობდა ვერლიბრს. სწყალობდა კი არა, მთელი კამპანია იყო გაჩაღებული თეთრი ლექსის წინააღმდეგ. აღბათ გრძნობდნენ, ლექსის მყარი სტრუქტურების ნგრევიდან იმპერიის ნგრევამდე ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი. გრძნობდნენ და ეშინოდათ. ამ შიშსა და მიუღებლობას სახლში დასცინოდნენ და მეც წახალისებული ვიყავი.

მარინა მასწავლებელი კი წლობით ციტირებდა ხოლმე ნაწყვეტებს ჩემი თემებიდან, ვთქვათ, „...და მთვარის შუქი მახიჯებს გულზე“. დიდი იმედი მაქვს, ხარანაშლს მანამ არ წაიკითხავდა, სანამ სახელმძღვანელოებში არ აღმოჩნდა და დავიჯერო 20 წელი ემახსოვრებოდა?!

ასე თუ ისე, მარინა მასწავლებელს ვუყვარდი და სიყვარული მის საყოველთაო სიმკაცრეს ჩემ მიმართ გვარიანად ამცირებდა, თანაც სწორედ ამ სიყვარულის გამო ის უკვე ჩემთვის შიშველი სამიზნე ხდებოდა და მეც შიგადაშიგ ვარტყამდი მის შეურყეველ რწმენას პარტიისა და საბჭოეთის შესახებ. მაგრამ ისე მოხდა, ყველაზე ძლიერი დარტყმა შემთხვევით მივაყენე. უფრო სწორად, ეს ჩემმა დამ ჩაიდინა.

1988 წელი იყო, ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა, რწმენაც მოდაში შემოდოდა. რაც უფრო ახლოს იყო კერპების მსხვერვეა, მით უფრო მძაფრდებოდა მარინა მასწავლებლის რწმენა და მოწიწება პარტიისადმი და აი, ამ დროს თბილისის ძეგლების დასათვალიერებლად წასულებს ანჩისხატის ეზოში თავსაფრითა და ცოცხით ხელში ჩემი და გადაგვეყარა.

მაშინ პირველად ვნახე წონასწორობადაკარგული მარინა მასწავლებელი.

– პოეტის ქალიშვილი! – კიოდა ის. ეს კვილი და გვრგვინვა მერეც დიდხანს გრძელდებოდა, სკოლის კედლებშიც, რადგან ასეთი სამარცხვინო და მიუღებელი, როგორც მაშინ ჩემი და იყო, ალბათ, მარინა მასწავლებელს სხვა არაფერი ენახა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სადღაც წელიწადნახევარში ჩემი დის ადგილი ტაძრის ეზოში მარინა მასწავლებელმა დაიჭირა. მას აუცილებლად სჭირდებოდა ავტორიტეტი და ერთი რომ დაენგრა, სასწრაფოდ მეორეთი ჩაანაცვლა. ჩვენ, მოსწავლეებმა გვარიანად ვიხიერეთ ამ ამბით. ორიანის დაწერას რომ დააპირებდა, მამაოსგან კურთხევა არ გაქვთო, ვაშინებდით. საერთოდაც დასუსტდა. ადრე თუ მხოლოდ მიმიკა ჰყოფნიდა ჩვენს დასაშოშმინებლად ახლა უკვე ჩვეული ტრაფარეტული ფრაზებიც ველარ შველოდა, დაიწყო ყვირილი და მუქარა:

- იცინეთ, იცინეთ და წლის ბოლოს ვინ გაიცინებს, მაგასაც დავინახავთ.
- ზარი ჩემთვისაა და არა თქვენთვის!
- თავი რატომ არ დაგრჩათ?!
- მე ერთი ვარ, თქვენ 22!

მოკლედ, დაემსგავსა იმდროინდელ ჩვეულებრივ მასწავლებელს. მერე ჩვენ სკოლა დავამთავრეთ.

იმის მერეც ბევრჯერ ვნახე ჩემი მარინა მასწავლებელი. ეროვნული მოძრაობითა და რელიგიით გატაცებამ ნელ-ნელა გაუარა. თითქოს ჩაქრა, ძველი რწმენა დაკარგა, ახალმა კარგი არაფერი მოუტანა. გაუჩნდა ყველაფრისადმი უნდობლობა. ამას ისიც დაემატა, მისმა შვილმა, პირიქით, გადამეტებული ოპტიმიზმის წყალობით, ბინა ჩადო ბანკის ვალში. ახლა მარინა მასწავლებელი ძალიან ბევრ მოსწავლეს ამზადებს, შრომობს, წვალობს. ცოტალა დარჩა. მე ძალიან ვგულშემატკივრობ, ასე მგონია, მარინა მასწავლებლის ბრალი არაფერი არაა. ის ასე გაზარდეს, ლოზუნგებად წარმოედგინა ცხოვრება. ახალი მიიღო, იმან უარესი დამართა. როცა ფიქრი უნდა ესწავლა, უკვე პედაგოგის ძალიან მაღალ კვარცხლბეკზე იყო შემდგარი. იქიდან ჩამოსვლა და თავიდან დაწყება არ შეეძლო. ამიტომ ჩამოენარცხა. მერე კი დადგა ფეხზე, მაგრამ ძალიან შეშინებული, დამფრთხალი, ღირსებაშელახული.

ამ ყველაფრის გამო საკუთარი კოლეგების მიმართაც რალაცნაირად ჯიბრინია გამხდარი. ერთადერთი, რამაც მისი დანგრეული თავმოყვარეობა თუ თვითშეფასება ცოტა აღადგინა, ერთიანი სასერთიფიკაციო გამოცდებია – პირველივე ცდაზე წარმატებულად ჩააბარა, მაგრამ ამაზე ისე ჰყვება და იმდენჯერ, შეგეცოდება, დარწმუნებული ვარ, თავის კოლეგებშიც თუ ასე ხშირად ახსენებს ამ სერთიფიკატს, დაცინვისა და შურის სამიზნე იქნება.

სულ ახლახან შემხვდა უბანში.

ჩვენ ორივეს გვინათდება თვალები ერთმანეთის დანახვისას. ის გრძნობს ჩემს უხმო თანაგრძნობას. თუმცა ძველი ინერციითა და კიდევ რალაც-რალაც წვრილმანების გამო, რაც ცხოვრებაში გამიკეთებია, მარინა მასწავლებლისთვის ისევ ერთგვარი ავტორიტეტი ვარ. ისევ არ შეუძლია სხვანაირად. მე უკვე დიდი ვარ, ასეთი დამოკიდებულება აღარც მსიამოვნებს და აღარც ეიფორიაში მაგდებს, თუმცა რალაცნაირად სკოლის წლებში მბრუნებს, თითქოს ონავრობის ხასიათზე ვდგები. და სანამ გამახსენდებოდეს, რომ ახლა ველარ ვიქნები ისე უსინდისო, როგორც მაშინ ვიყავი, დიდხანს, დიდხანს შემიძლია ვიდგე ქუჩაში და ვიქაქანო ჩემს მარინა მასწავლებელთან ერთად.

და აი, სულ რამდენიმე დღის წინ, იმას სკოლაში არ აგვიანდებოდა (არდადეგები იყო და ალბათ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნახევარი საათით ადრე

მივიდოდა თუ გვიან), არც მე მეჩქარებოდა და დიდხანს ვიდევით ერთმანეთთან საუბარში გართულნი. წლებანდელი იანვარი ისეთი მზიანია, მარინა მასწავლებელიც კი მოეყვანა ხასიათზე, თუმცა რაღაცები მაინც იწუწუნა, მათ შორის ისიც, რომ გოგო გოგოს რომ აღარ ჰგავს და ბიჭი – ბიჭს. ამ საუბარში ვიყავით, ჩემმა შვილმა გამოიარა. მოზრდილი თმა კი ხშირად ჰქონია, მაგრამ ჩემი მარინა მასწავლებლის ჯიბრზე ცხოვრებაში პირველად რეზინით ჰქონდა შეკრული.

ჩემმა ბიჭმა რომ დამინახა, რა თქმა უნდა, მოვიდა და გავაცანი. მარინა მასწავლებელი შეცბა, აღარ უკვივლია, როგორც ადრე, მაგრამ მისი თვალები ამბობდნენ: „შენი შვილი, თეონა, შენი შვილი!“

მე აღარ, მაგრამ ცხოვრება ისევ დასცინის ჩემს მარინა მასწავლებელს. არადა, ისევ ძალიან მიყვარს!

მარადისობა და ერთი დღე მასწავლებლის ცხოვრებიდან

ეს ჯადოსნური კარია. სანამ მის მიღმა აღმოჩნდები, ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგალითად, ვინმე დიანა, გიყვარს პორტუგალიური სიმღერები, ფერადი შარფები, შინგამომცხვარი ღვებელები, დავით გურამიშვილი ან ნიკო სამადაშვილი, გაცვია კუბოკრული მოკლე პალტო, მოდიხარ, გაქვს სიარულის დამახასიათებელი მანერა, დაბალი ხმა...

1.

დღეს მეექვსეებთან მესამე გაკვეთილი მაქვს. მანამდე შემძლია, მშვიდად ვიჯდე ჩემს მზით გამთბარ, წიგნებით დატვირთულ მაგიდასთან და მათი გუშინდელი ნაწერები ვიკითხო. ყავის სმასთან ერთად უკეთესი ჩარობი არ არსებობს – მათი გულწრფელი, ღია, გახსნილი, ზოგჯერ ნაღვლიანი, ხან მძივივით აკინძული ხელწერით, ხანაც უსაყვარლესი ბატიფეხურით გამოყვანილი ფიქრები, აზრები, კითხვები, პასუხები....

გუშინდელი საუბრის გამოძახილია – ძალიან კარგად წერენ თავიანთ სურვილებზე, მომავალზე, გეგმებზე, შეხედულებებზე, როგორ და სად ხედავენ ან უნდათ დაინახონ საკუთარი ადგილი სკოლაში, საზოგადოებაში, ქვეყანაში, მსოფლიოში... ვფიქრობ, დღეს შეიძლება დისკუსიის თემა გამოვკვეთო, მასალებიც უფრო კონკრეტული მივაწოდო.

საინტერესო აქტივობა დავგეგმე.

მინდა წლევანდელ ნობელიანტზე, მალალაზე ვუამბო.

მოვუყვები, სხვადასხვა ქვეყნებში როგორ იბრძვიან ბავშვები განათლების უფლებისათვის, სკოლაში სიარულის, კითხვისა და წერის საშუალებისათვის, როგორ სკოლებში დადიან, როგორი რთული გზის თუ მდინარის გადალახვა უწევთ, როგორი ძნელია ფეხშიშველა სიარული აფრიკის გახურებულ მიწაზე, ანდა, მთიან ტიხებში, მოვუყვები ყველაფერზე, არა მხოლოდ წიგნების, არამედ რეალური, ყოველდღიური ყოფის გმირებზე, ნამდვილ ადამიანებზე.

ამოვბეჭდე ბავშვის უფლებათა კონვენცია, დავტერი მუხლებად, დავაკარი სხვადასხვა ფერის ქაღალდებზე.

შარშან, ახალ წელს ზაზამ (ჩემმა ქმარმა) უგემრიელესი შოკოლადი მომიტანა, დიდ, ლამაზ, გამჭვირვალე ყუთში ეყარა ბრჭყვიალა ფანტებში შეხვეული ჩემი ყველაზე საყვარელი ტკბილეული.

შოკოლადი – შარშანდელ ახალ წელს გაჰყვა, ყუთი – შევინახე.

ჰოდა, დღეს სკოლაში წავიღებ, შიგნით ფერად-ფერად ქაღალდიან მუხლებს ჩავყრი კონვენციიდან, მერე ჩემს მეექვსეკლასელებს თვალეებს ავუხვევ (იმისთვის რომ იცოდნენ, ცოდნაა სინათლე, ხოლო უცოდინარობა, თვალეების ახვევას ჰგავს). ვისაც რომელი მუხლი შეხვდება, ის უნდა გააანალიზოს, ამბავიც მოჰყვეს, თავისი თუ სხვისი გამოცდილება ან მოიგონოს, შეთხზას სიტუაცია. მგონი, ძალიან საინტერესო გამოვა.

ილუსტრაციებიც მოვამზადე, პატარა ფილმიც დავამონტაჟე მაღალა იუსუფზაის, ამ გმირი გოგონას შესახებ...

ყავის ბოლო ყლუპიც თავისუფალ დროსთან ერთად გაიპარა...

დროა, გაკვეთილზე შევიდე.

2.

ეს ჯადოსნური კარია.

სანამ მის მიღმა აღმოჩნდები, ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგალითად, ვინმე დიანა, გიყვარს პორტუგალიური სიმღერები, ფერადი შარფები, შინგამომცხვარი ღვებელები, დავით გურამიშვილი ან ნიკო სამადაშვილი, გაცვია კუბოკრული მოკლე პალტო, მოდიხარ, გაქვს სიარულის დამახასიათებელი მანერა, დაბალი ხმა...

ამ კარს მიღმა კი ოცდახუთი, სრულიად განსაკუთრებული ბავშვის ლიტერატურის მასწავლებელი ხარ, ხან ბეწვის ხიდზე გადიხარ, ხან ნაკვერჩხლებზე ფეხშიშველი, ხანაც ვარდის ფურცლებზე, ხანაც დამსხვრეულ მინაზე...

მოკლედ, არ გვინდა ეს პოეტური წიაღსვლები.

კლასში ჩვეული აურზაური მხვდება.

გოგონები ფანჯარასთან მიკუჭულან და გამალებით ჭორაობენ, ლუკა, ლოყებგამოტენილი, სასწრაფოდ ცდილობს ფენოვანი ხატაპური მერხის ქვეშ დამალოს, თაკო – კოკა-კოლას შენახვას ჩქარობს, რაც იატაკზე მუქი და ტკბილი გუბის გაჩენით მთავრდება, ბიჭები დერეფანში სირბილისას აბავუნებული გულების და აჩქარებული სუნთქვის დამშვიდებას ცდილობენ, ძირს წიგნები, რვე-

უღლები და კალმები ყრია. ერთი წუთიც და მთელი ეს ქაოსი ერთიან წესრიგად გარდაიქმნება და მათ ცნობისმოყვარე მშერებს გაკვეთილისკენ მივმართავ.

ერთი წუთიც, ვეუბნები ჩემს თავს, ერთი წუთიც – ეს წუთი, ყოველთვის ერთნაირად მაშინებს, იქნებ არ დამთავრდეს, იქნებ არ მოხერხდეს, იქნებ, იქნებ, იქნებ... მაგრამ, ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე მდინარეში მედგრად შევდივარ, აღმა მივუყვები და წყლიდან მშრალიც ამოვდივარ.

– მას, მე ის ფილმი ვნახე, თქვენ რომ ახსენეთ, მას, თქვენ რომ წიგნი დავგვაბარეთ, ვერ ვიშოვე, მას, ბებიანიმთან დავრჩი და დავალეხე ვერ დავწერე, მას, გუშინ მამაჩემი მივლინებიდან დაბრუნდა, მას, კალამი დავკარგე, მას, ჩემი ნაწერი მოგეწონათ? მას, გამოვალ რა!

ეს ის ხმებია, რომლებიც, ზღაპრის მაგიური შელოცვებივით, გაკვეთილის ჯადოსნურ წრეში მაბრუნებენ.

ჩემი უფლებების გამჭვირვალე ყუთს მაგიდაზე ვდგამ და გაკვეთილს ვიწყებ. ცოტა ხანში, ჩემი უსაყვარლესი მოსწავლეების დაინტერესებული თვალების ბედნიერი მფლობელი ვხდები.

თეორიული ნაწილი, პირადი და საზოგადო ამბები, ფილმი, პრეზენტაცია, მაღალა, საქართველოს ახლო წარსული, გამოცდილებები, ლიტერატურული გმირები – დისკუსია თანდათანობით უფრო საინტერესო ხდება.

პირველი ელენე გამოდის – ძალიან ჭკვიანია, ყველაფერზე თავისი, განსხვავებული აზრი აქვს, ბევრს კითხულობს, ლექსებს წერს.

გამჭვირვალე ყუთში ხელებს აფათურებს, დიდხანს ეძებს, იმდენად დიდხანს, რომ ბავშვები უკმაყოფილოდ ბუზუნებენ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილება მიიღო, მწვანე ფურცელზე მეცამეტე მუხლია დაკრული, ჩემი გამბედავი და ჭკვიანი ელენე ხმამაღლა კითხულობს:

„მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.“

ყველას გულიანად გვეცინება. ელე ყოველთვის საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებისთვის იბრძვის, ცდილობს, აუცილებლად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს.

„მას, ყველაზე ძალიან არ მომწონს, როცა მამა ამბობს – რაც მეტს ილაპარაკებ, მით მეტ სისულელეს იტყვი“ – მე ასე არ ვფიქრობ, მგონია, რომ ნე-

ბისმიერი საკითხი კარგად, დაწვრილებით თუ არ განვიხილეთ, სხვანაირად როგორ გადავწყვეტთ? არადა, ჩემს აზრს არასდროს უსმენენ ოჯახში.

ნიკოს ოცდამერვე მუხლი შეხვდა, განათლების უფლების შესახებ. როგორი ბიჭია ნიკო? ცოტა დაბნეული, თავმოუბმელი, მაგრამ ძალიან ნიჭიერი, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში. ახლა ხელებს ნერვულად ისრესს, ლოყები შეეფაკლა და გვიყვება მეზობლად მცხოვრები ორი და-ძმის შესახებ, სკოლაში იშვიათად დადიან, ჯერ ერთი, ფეხსაცმელები არ აქვთ, მეორე – ბიჭი რკინიგზის სადგურზე მუშაობს გაზეთების გამყიდველად, გოგონა – გზაზე ბუკლეტებს არიგებს, ნიკო ქუჩის ბავშვების შესახებაც გვიამბობს, გულის ტკივილით ყვება მათი დახეული ფეხსაცმელების შესახებ.

მერე ყველანი ძალიან ბევრს ვკამათობთ და ვთანხმდებით იმაზე, რომ მოსწავლემ, მასწავლებელმა, მშობელმა, სახელმწიფომ, ყველამ ერთად უნდა სცადოს, რომ ნიჭიერი ბავშვები ფეხსაცმლის, წიგნების, ჩანთის თუ თბილი ქურთუკის არქონის გამო სკოლის, განათლების გარეშე არ დარჩნენ, მოტივაცია და იმედი არ დაკარგონ, უკეთესი ცხოვრებისთვის იბრძოლონ.

ჰოდა, ერთი ამბავი გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან, ჩემს პატარებს ძალიან უყვართ ნამდვილი ამბები, განსაკუთრებით, მასწავლებლის ცხოვრებიდან.

ბუსტად არ მახსოვს, მგონი, მეექვსე – თუ მეშვიდეკლასელი ვიყავი, როცა ჩვენი რაიონის გამგებელმა საუკეთესო მოსწავლეებისთვის სტიპენდია დანიშნა, კოლოსალური სტიპენდია – თვეში მთელი 10 ლარი.

თითო სკოლიდან თითო ბავშვი უნდა აერჩიათ, ჰოდა, ჩემი სკოლის დირექტორმა მე გამგზავნა – აქტიური და შემოქმედებითი ბავშვი ვიყავი, ოლიმპიადებსა თუ კონფერენციებში ვმონაწილეობდი, ხშირად უგზავნიდნენ სკოლას მადლობებს, გამომხაურებებსა თუ ფარატინა დიპლომებს ჩემი სახელითა და გვარით. სწავლაშიც არა მიშავდა რა, თუმცა იყვნენ ჩვენს სკოლაში უფრო გამართული ხუთოსნებიც, ვინც უფრო ბევრად იზეპირებდა წესებსა თუ თეორიას, მაგრამ სკოლის დირექტორმა სხვა პრინციპით აარჩია – შემოქმედებითი უნარების მიხედვით.

ჰოდა, დილით მითხრეს, რომ სწორედ მე გავხდებოდი სტიპენდიანტი. ძალიან გამიხარდა. გარდა იმისა, რომ როგორც ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, სხვანაირადაც გამიხარდა – ჩვენ, მარჩენალდაკარგულები, პენსიითა და დედას მასწავლებლის მიზერული ხელფასით (ისიც ხან იყო, ხან არა) ვირჩენდით თავს და მაშინ მეგონა, რომ დედას შვილი მოესწრო და ფინანსურად ამოვუდგებოდი მხარში.

სკოლის კიბეზე გახარებული ჩამოვროდი და ერთი მასწავლებელი შემომხვდა, უკვე იცოდა ახალი ამბავი და ალბათ არც ჩემი გაბრდღვიალებული სახე გამოპარვია. – რა კარგად მოიქცა დირექტორი, – დამტკბარი და მოსაწყვლელი სახით მითხრა, – შენ მამა მოგიკვდა და ისედაც, ყველაზე გაჭირვებული ხარ სკოლაში, – მითხრა და გაიარა.

მან გაიარა, მე კი კიბეზე დავრჩი, მართლა ყველაზე საწყალი, დაპატარავებული და გაჭირვებული. ყველაფერმა ფასი დაკარგა.

და მერე რა, რომ ის სტიპენდია აღარც მოუციათ ბავშვებისთვის (უფრო სწორად, სულ ერთხელ მოგვცეს, სურათი გადაგვიღეს და რაიონის გაზეთში გამოაქვეყნეს გამგებლის ქება-დიდებასთან ერთად), – იქნებოდა ის თუ არა, ჩემთვის უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

არ ვიცი, რისი ბრალი იყო, რომ მთელი ბავშვობა მესიზმრებოდა ერთი კადრი: როგორ ვიდექი კლასში, როგორ მეხვეოდნენ მკბენარები და როგორ ითვლიდა ის მასწავლებელი ხმამაღლა მკბენარებს ჩემს თავში – კლასი კი იცინოდა.

ყველაზე, ყველაზე დიდი და საშიში ძალაა სიტყვა, დამანგრეველი და მშენებელი...

ანუკას ოცდამეცხრე მუხლი ხვდება, გაკვეთილის ლოგიკური ჯაჭვიც გრძელდება, ანა მასწავლებლებზე საუბრობს (თვითონაც პედაგოგიური განათლება აინტერესებს), გვიყვება, როგორ აქტივობებს დაგეგმავს, რომ ამ მუხლის, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი განახორციელოს – „თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ“.

ბედნიერებისგან თვალები მიბრწყინავს, როცა მათ ანთებულ, დაინტერესებულ, ვარსკვლავებითა და სხივებით აღსავსე თვალებს ვუყურებ, ჩემი განწყობა მათზე გადადის და კიდევ უფრო მეტს აქტიურობენ, საუბრობენ, კამათობენ... მგონია, ისინი სხვა საზოგადოებას შექმნიან, სხვა, უფრო თანასწორ და ჰუმანურ გარემოში იცხოვრებენ...

ვცდილობ, ყველამ თავისი აზრი გამოთქვას, ლიტერატურულ პარალელებს ვიშველიებთ, მეტისმეტად გულახდილ ამბებს ვყვებით, აქტუალურ პრობლემებს ვეხებით, ახალ მუხლებსაც ვიგონებთ, თან ვსწავლობთ და თან ვმხიარულობთ.

ძალიან მიყვარს ჩვენი ლიტერატურის გაკვეთილები, ძალიან.

ჩემი პირველი მასწავლებელი

მე და ჩემი ძმა ის იშვიათი ბავშვები ვიყავით, ვინც პირველ სექტემბერს – პირველი კლასის პირველ სექტემბერს – უკვე იცნობდა თავის მასწავლებელს. მერი ბულია ჩვენი კარის მეზობელი იყო და მან იმ 90-იანებში, უფრო კონკრეტულად კი 1994 წლიდან, ჩვენთვის არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება ითავა, არამედ სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე მშვიდობიანად მიყვანაც. აოხრებულ, დარბეულ ქალაქს ყოვედღიურად, დილაობით, სკოლისკენ მიმავალი მოსწავლეები აცოცხლებდნენ, რადგან მათ მშობლებს და მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ომი, ბინძური პოლიტიკა და განუკითხაობა ცხოვრების წესად არ უნდა ქცეულიყო.

იმ დილასაც, ჩვეულებრივ, პირველი მე გავვარდი ჭიშკრისკენ, პურისა და ყველის მოზრდილი ლუკმა სულმოუთქმელად გადავყლაპე და სანამ ჩემი ძმა კვალში ჩამიდგებოდა, უკვე ვხედავდი, როგორც ეშვებოდა ჩვენი მასწავლებელი კიბეზე. ის წინ, ჩვენ – უკან. ხმაამოუღებლად მივყვებოდით. სულ მინდოდა მეკითხა (მაგრამ ვერასდროს გავუბედე), იმ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა არღვევდა, რაზე ფიქრობდა, უფრო სწორად, ჩვენზე თუ ფიქრობდა. ვერ ვკითხე, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი და ვხედავდი, რომ ხანდახან, ტროტუარზეც და ქუჩის გადაკვეთისას, თავს შემობრუნებდა, გამოგვხედავდა და როცა დარწმუნდებოდა, რომ საშიში არაფერია, თავის თანამგზავრთან ერთად აგრძელებდა გზას.

თანამგზავრი ნათელა ჯინჯოლია იყო, რუსულის მასწავლებელი, ქუჩის თავში რომ გვიცდიდა და მერი ივანოვნასთან ერთად აპირებდა შემდეგი ოცი წუთი – სკოლამდე მისასვლელი გზა – პოლიტიკაზე, საჭირობოროტო საკითხებზე და სკოლაზე საუბრით გაეღია. ისინი გზადაგზა ჩერდებოდნენ, შეკამათდებოდნენ, საჭირო რეპლიკებს ცვლიდნენ ერთმანეთში. ჩვენც ვჩერდებოდით, დიდად არ გვესმოდა მათი სალაპარაკო თემის შინაარსი, მაგრამ არც გადასწრება გვინდოდა. სულერთია, კლასში მაინც ის მასწავლებელი უნდა დაგვხვედროდა ან თუ არ დაგვხვედროდა, შემოსულიყო მაინც, ვისაც გა-

დავუსწრებდით, მხედველობის არედან დავუსხლტდებოდით. ეს დროებითი ოინები მაინცდამაინც არ გვხიზლავდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს ოინებზე ერთი-ორჯერ მწარედაც მოგვხვდა.

– ბურთი უსულო არსებაა და თავისი ნებით არ მოვა და არ გეტყვით, მორჩით თამაშს, თავი დამანებეთ, საკმარისიაო! – გვითხრა ერთხელ მერი მასწავლებელმა და რომ არ გამცინებოდა, ქვედა ტუჩის ძარღვზე ისე მწარედ ვიკბინე, პირი სისხლით გამევსო. ისე, მართალი იყო, ჩვენზე უფრო ბურთი რომ შეეცოდა – თამაშის აზარტში შესულები დღე-ღამეს ვერ ვარჩევდით და ქუჩაში შუქი თუ ბუბუტავდა, ღამის საათებშიც შეგვეძლო ნამდვილი მუნდი-ალის მოწყობა.

მაგრამ ეს მერე, მოგვიანებით, მაშინ კი, 1994–ში, შუქი ისეთივე იშვიათი მოვლენა იყო, როგორც, ვთქვათ, „კიბიტელნიკი“ ახლა. სამაგიეროდ, უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში სხვა, ფეხბურთზე გაცილებით სახიფათო თამაშები იმართებოდა დღისითაც და ღამითაც.

ჯიხურს რომ გავცდით და ის-ის იყო თეატრისკენ უნდა გაგვეხვია, რომელიღაც მოსახვევიდან ხრიალის, დგანდგარის, გრუხუნის, ხავილის, ყფის ხმა მოგვაწყდა ერთიანად. შემობრუნება ძლივს მოვასწარით და ტანკიც გამოჩნდა. შორიდანაც ჩანდა: შიგ მებღვაურის მაისურგადაცმული ტიპი იჯდა, რომელიც სწრაფად და ნერვიულად მოაგორებდა ტანკს. თავი პირდაპირ ჩვენკენ დაეღერებინა, სიჩქარეს არ უკლებდა და ადგილზე გაქვავებულები, ფეხმოკვეთილები ველოდით, როდის ამოიჭრებოდა ტროტუარზე.

მაგრამ უცებ, თითქოს საჯე გაუსხლტაო, ოდნავ მხარი ექცა და წონასწორობადაკარგული პალმას შეასკდა. პალმა ჯერ დაიზნიქა, შემდეგ წამოიმართა, ისევ დაიზნიქა და გადატყდა. ტანკისტმა ერთი გაცეხებულად მიმოიხედა, შეიგინა, რამდენიმე წამით შეგვატოვა მზერა, ტანკი მოატრიალა და გაგვეცალა.

– წამოდით, რას უყურებთ?! – მერი მასწავლებლის ხმამ გამოგვარკვია. შიშნაჭამები, დაზაფრულები ვიდექით და ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ ის, რაც წუთ-ნახევარში მოხდა, ფილმი ან ფილმიდან ჩარჩენილი სიზმრის ეპიზოდი არ იყო. „წამოდით, ფეხი გამოადგით!“ – ხმამალა გვეძახდა მერი ბულია და თავისკენ გვექაჩებოდა, თითქოს ეშინოდა, რამდენიმე წამის წინ მომხდარ ამბავს არ მოვენუსხეთ და სწავლაზე კი არა, მშვიდი პალმების აყირავებაზე გვეფიქრა, იმ საქციელებზე, რომელიც დედაენაში არ წერია, მაგრამ აი იასავით სწავლობენ ისინი, ვისაც ომი და სისხლი სწყურია.

– ახლავე წამოდით! – მკაცრი და მომთხოვნი იყო ჩვენი პირველი მასწავლებელი, რომელიც მომხდარს არ იმჩნევდა და იმ წუთას ალბათ ყველაზე მეტად ფიქრობდა ჩვენზე, დათრგუნვილ და გადარჩენილ ბავშვებზე.

მეტჯერ არ გაუმეორებია. შებრუნდა და წავიდა. გავყევით.

მასწავლებელი სოფლის სკოლისა

არ მახსოვს, არ მოვსწორებივარ, ის კი არა, მგონი ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. არც მისი ფოტო მინახავს. ახლა მიკვირს, რატომ არ მოვინდომე, მაშინ, როცა ასეთი რამეები – ძველი სურათებისა და ხელნაწერების თვალყურება – მიტაცებს ხოლმე. სურვილიც არ გამჩენია, მის შესახებ იმაზე მეტი გამეგო, ვიდრე ისე, ყურმოკვრით ვიცოდი.

აღიოშა ბოხუა ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა დედაჩემს ურთის სკოლაში. ესეც მაშინ გავიგე, როცა არდადეგებზე დედულეთში ჩასულმა, საოჯახო ბიბლიოთეკის ერთბაშად გადაკითხვის შემდეგ, სხვა, ახალი, წაუკითხავი წიგნები მოვინდომე და ასეთი შინ არ ჰქონდათ. მერე ბაბუაჩემი ადგა, ხელი მომკიდა და უკანა ეზო გადავჭერით. შუკაში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. ერთი პირობა ვიფიქრე, ამათში გავერევი და ბაბუაც მოისვენებს-მეთქი, მაგრამ გულმა არ გამიწია, თან შევატყვე, დიდად არ ეხალისებოდათ უცხო ტიპის შემომატება.

ჭიშკარს მივადექით. დაძახილზე მოხდენილი ორსართულიანი სახლიდან ხანშიშესული ქალი და პატარა ბიჭი გამოვიდნენ. ბაბუა თბილად მიესალმა, მოიკითხა, ჩემი ამბავიც უთხრა. „ათუნია, მოთა ქუმორჭიშაფუ“, მიუგო სახეგაბადრულმა ქალმა, მეც მომესწრო შვილიშვილიო, ესეც დააყოლა, მერე თავზე ხელი გადამისვა და ეზოში შეგვიძღვა.

წიგნებით გადაძეძგილ თაროს რომ გავხედე, გული ჩამითბა – აი, დაახლოებით ის განცდა იყო, შუქის მოსვლისას რომ გვეუფლებიდა, როცა „დენდის“ ჩავრთავდით და მოუწყინრად შეგვეძლო მარიო და ტანკები გვეტარებინა ეკრანზე.

ოთხი წიგნი ამოვარჩიე. ორი ბაბუას მოჰქონდა, ორს მე ვფურცლავდი გზაში. მაშინ პირველად ვნახე ფაქსიმილე-ბეჭედი, რომელიც შიგადაშიგ, რამდენიმე გვერდზე იყო დასმული: „აღუქსანდრე ბოხუას წიგნებიდან“, თუ არ ვცდები, ასე ეწერა. მანამდე სულ ბიბლიოთეკის ბეჭედასმული წიგნები მახსოვდა და ახლა გამიკვირდა, გავბრაზდი კიდეც, როგორ შეეძლო ერთ უბრალო ადამიანს თავისი ბეჭედი ჰქონოდა.

ალიოშა ბოხუა რომ უბრალო კაცი არ იყო, ამას მერე მივხვდები, როცა მის ბიბლიოთეკაში სიარულს მოვუხშირებ, იქიდან წამოღებულ წიგნებს წავიკითხავ და მოგვიანებით, მისი წერილების რვეული ჩამივარდება ხელში.

ჩვენ შეღავათები გვიყვარს ხოლმე – ასაკის, სქესის, წარმომავლობის, გარემო პირობებისა და საერთოდ ბევრი რამის გამო. ამით თითქოს ვიმსუბუქებთ ცხოვრებასაც და სხვასაც ვასწავლით, თუ როგორი ღმობიერი და შემწყნარებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ყველაფერი ერთი საწყაოთი არ უნდა არწა, „მთელი რიგი ნიუანსები უნდა გაითვალისწინო“.

ეს, გამოგიტყდებით, თავის მოტყუებაა, და ამისთვის ალიოშა ბოხუას მაგალითიც კმარა. სოფლის სკოლის მასწავლებლის მდიდრულ და იმ დროისთვის (გასული საუკუნის 80-იანი წლები) უაღრესად თანამედროვე ბიბლიოთეკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მისი წერილები გვიდასტურებს, რატომ არ გვჭირდება შეღავათი, როცა ნამდვილ განათლებაზე და მასწავლებელზე ვსაუბრობთ.

სოფლის სკოლის მასწავლებლობა ადვილი არ არის. რა თქმა უნდა, სოფელსაც გააჩნია, მაგრამ ბოლოს, საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ერთ კაცს შეუძლია შეცვალოს ყველაფერი – ყველა პატივისცემით განაწყოს მისი პიროვნებისა და პროფესიის მიმართ, თაობებიც გაზარდოს და სოფელიც დააწინაუროს.

თითქოს რაღაცით ერთმანეთს გვანან სოფლის მღვდელი და სოფლის მასწავლებელი – თითოეული ოჯახის ლხინი და ჭირი, მწუხარება და სიხარული ახლობელია მათთვის, სახეზე ცნობენ დიდ-პატარას, დაბადების დღეებზეც ხშირად ხვდებიან და ქელების სუფრაზეც. სოფლის ყველა საქმეში თავიანთი წილი უდევთ.

ალიოშა ბოხუას წერილებიდან კარგად ჩანს მისი მრავალმხრივი ინტერესები: მას თანაბარი ექსპრესიით შეუძლია გამოეხმაუროს თავისი სოფლის – ურთა – სახელის გარშემო დაწყებულ დისკუსიას რეგიონულ პრესაში; დაიწუნოს კონსტანტინე გამსახურდიას ახლადდადგმული ძეგლი ფალიაშვილის ქუჩაზე და ამის შესახებ თავისი მოსაზრება ღია წერილით აცნობოს მწერლის ვაჟსაც და იმდროინდელ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ გამოცემებს (ხშირად აღნიშნავს, ამ ბარათებს რედაქტორები არ მიბეჭდავენ, კი ბატონო, შეიძლება მკაცრი და კატეგორიული ვიყო, მაგრამ ჩემისთანა რიგითი მკითხველის აზრიც ხომ გასათვალისწინებელია); მიმართავს სარგის ცაიშვილს, – მამაშენის, სოლომონის დამსახურებაა ჩვენ რომ სკოლა და განათლება გვაქვს სოფელში, შენც მეამაყები, როგორც გამორჩეული რუსთველოლოგი და

თხოვნაც მექნება: იქნებ რომელიმე ცნობილ კინორეჟისორთან ერთად შექმნა სცენარი და უხელმძღვანელო გადაღებას – დიდი ხნის წინ უნდა გვქონოდა ქართველებს ფილმი „ვეფხისტყაოსანზეო“; არც „დროშის“ რედაქტორის შეწუხებას ერიდება, – თქვენს ჟურნალში წავიკითხე, რომ რაღაც პრეპარატი გამოსულა პაპიროსის წინააღმდეგ, მცირე დოზას მიიღებ, შემდეგ ნიკოტინით მოყირჭების გრძნობა გიჩნდება და თავს ანებებ წევასო. ოცდასამ წელზე მეტია ვცდილობ მივატოვო მოწევა, მაგრამ არაფერი გამომდის, იქნებ გვასწავლოთ, სად შეიძლება იმ პრეპარატის შეძენა, ვის უნდა მივმართოთო.

...არ მახსოვს, არ მოვსწრებივარ, არც მისი ფოტო მინახავს, არადა თითქოს ძალზე ახლობელი და მშობლიური სახეა ჩემთვის. ერთადერთი ის მახსენდება, ალიოშა ბოხუას სახლიდან გამოსულებს, ვიღაც შუახნის კაცი რომ შეგვხვდა და როცა ჩვენი ამბავი შეიტყო, გვიჩურჩულა:

– ეტყობა მაგის ცოლმა ზევით არ აგიყვანათ, მთელი სხვენი და მეორე სართული დიდ ყუთებში ჩაყრილი წიგნებით და ჟურნალებითაა სავსე... ვინაა აწი მაგის წამკითხავი!

ჩემი ქართულის მასწავლებლები

ეს ის ხალხია, ხან მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლები რომ ერქვათ, ხან ენისა და ლიტერატურის, ხან ქართული ენისა და ლიტერატურის და ა.შ. ჩვენთვის, ბავშვებისთვის უბრალოდ ქართულის მასწავლებლები რომ იყვნენ, უფრო კი ასე რომ მოვიხსენიებდით: „ქართულის მასწი“. ეს ბლოგიც ჩემს სამ მასწავლებელს ეძღვნება, ჩემს სამ ცხოვრებისეულ ეტაპს, სამ შთაგონებას და სამ სტიმულს: სკოლას, კოლეჯს და უნივერსიტეტს, ანუ:

ნინო

რბილად რომ ვთქვა, რთულად დასამორჩილებელი კლასი ვიყავით, სკოლაში თუ რაიმე ახალი ონავრობა და მაიმუნობა გამოჩნდებოდა, პირველ ეჭვს ჩემ კლასზე იღებდნენ და ასე იწყებოდა ხოლმე გამოძიება. და თუ ნინოს სადამრიგებლო არა, მაშინ რთულად იყო საქმე, მაშინ მთელ სკოლაში უნდა გეძებნათ დამნაშავე, თუმცა პრობლემის ეპიცენტრს, ძირითადად, ჩვენთანვე პოულობდნენ. არაფერი გამანადგურებელი, უბრალო ბავშვური სიცვლქეები, რომლებმაც ერთხელ ნინო მასწვს ათქმევინა, 7 წელი უნდა გავატაროთქვენთან და დარწმუნებული ვარ 5 წელიწადში გავტალარავდებიო. შეცდა, გატალარავებას 4 წელი დასჭირდა, ჩვენც საკმაოდ მოვინდომეთ. ნინო მასწავლებელი დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ ჩემი ცხოვრება და მისწრაფება დიდი აფეთქების თეორიასავითაა, ნინო ტყეშელაშვილისგან მოცემული ბიძგით ჩემი შინაგანი სამყაროც ნელ-ნელა ფართოვდება. არ ვიცი, რატომაა ქართულის მასწავლებელი ასეთი გამორჩეული ყველა ბავშვისთვის. ალბათ იმიტომ, რომ სალაპარაკო ენას გასწავლის, ან იმიტომ რომ ლიტერატურა, რომელზეც ის გესაუბრება, ყველაზე ახლობელია შენთვის, ყველაზე ნაცნობი, იმიტომაც, რომ მეტი სიყვარულია შენი ქვეყნისადმი, შენი ხალხისადმი და ა.შ. თუმცა კიდევ სხვანაირი შეგრძნებები მახსოვს.. განსაკუთრებით ისეთ დღეებში, როცა გაკვეთილების შემდეგ ცოტა ხნით დარჩენას ვთხოვდით ნინო მასწვს

და ისიც კლასგარეშე თემებზე გვესაუბრებოდა ხოლმე, ის, რაც პროგრამით არ იყო გათვალისწინებული, რაც წიგნში არ, თუ ვერ შევიდა და რაც ჩვენ უფრო გვაინტერესებდა, ლეგენდები და სინამდვილე. ნინოც დაუბარლად გვიყვებოდა, როგორ იბრძოდა გრიგოლ ორბელიანი შამილის წინააღმდეგ და როგორ არ მიაქცია ყურადღება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს, როგორ მიიღო ილიამ ვაჟა, როცა ეს უკანასკნელი პირველად ჩამოვიდა მთიდან და როგორი კარგი მოჭიდავე იყო აღნიშნული მთიელი, როგორ გაუძლო გალაკტიონმა 1937 წელს, როგორ ძმაცაცობდნენ გურამ რჩეულიშვილი და გურამ თიკანაძე და ა.შ. ეს უფრო ჯადოსნური ამბები იყო, უფრო განსხვავებული იმ საზეპირო შშრალი ტექსტებისგან, რომლებიც ხშირად ეწერა ხოლმე სახელმძღვანელოებში. არ აქვს მნიშვნელობა რა იყო სიმართლე და რა – დროის ქართველებში გამონაგონი ლეგენდა, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენ ქართული ენა და ლიტერატურა გვიყვარდებოდა, ჩვენ მთელი ეს ლეგენდარული ლაბირინთები მოგვწონდა და თავბრუს გვახვევდა. სკოლა 9 კლასის დასრულების შემდეგ დავტოვე და მას შემდეგ ერთხელა ვნახე ნინო მასწავლებელი, უკვე გაჭაღარავებული, მაგრამ მაინც შეუცვლელი. ყოველთვის ვამსგავსებდი დედაჩემს, ერთხელ შემეშალა კიდეც და „ნინო მასწავლებელი“ ნაცვლად, „დეე“ დავუძახე. მთელმა კლასმა დამცინა, მე ყურებადვე გავწითლდი, თვითონ კი სასიამოვნოდ ჩაეღიმა, ალბათ, იგრძნო ჩემი დამოკიდებულება. სულ ვამბობ, რომ სკოლაში უნდა შევიარო და ვინახულო, მაგრამ წლები გადის და ვერ. იქნებ ამ ბლოგმა მაინც გადამალახვინოს რაღაც უცნაური მორიდება ჩემი წარსულის, ლეგენდების და ნინო მასწავლებლის მიმართ.

ჰემალი

როგორც უკვე ვთქვი 9 კლასის დასრულების შემდეგ კოლეჯს მივაშურე და 14 წლის ღლაპმა უკვე ხელოვნების ქურუმად გამოვაცხადე თავი. პირველივე დღეს აუდიტორიაში ერთი გამხდარი, მკაცრი იერის მქონე კაცი შემოვიდა, ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალებით და რუხი გაცრეცილი პიჯაკით. მოგვესალმა, გადაგვხედა, აიღო ხელში კალამი და გვეკითხება, აბა მითხარით, კალამი პირველად ვინ შექმნაო. აუჰ, ატყდა ამბავი, ზოგი რას ამბობდა, ზოგი – რას. ჩამოითვალა რაც კი მეცნიერები ვიცოდით, გუტენბერგიდან დაწყებული – ედისონით დამთავრებული. მთელი ჩემი ცოდნა მოვიხმე და მაინც ვერაფერს გავხდი. ბოლოს, კარგად რომ მოგვეჩანცა, გაიღიმა და გამარჯვებულის

ტონით გამოგვიცხადა, ეს კალამი პირველად ადამიანმა შექმნაო. დავრჩით პირდაფრენილები. მე გავიბრძოლე, ეგ ხომ ისედაც ვიცოდით-მეთქი, მაგრამ მასაც ეს უნდოდა, როგორც აღმოჩნდა, რადგან სიტყვა გამაწყვეტინა და მომახალა, ჰოდა, მაგაშია საქმე, რალაცების მკითხაობას, ჯობს ფაქტებს დაეყრდნო და იმდენი თქვა, რამდენიც ზუსტად იციო. იმ გაკვეთილზევე მივხვდი რომ ერთ ძალიან თავისებურ, ახირებულ და საინტერესო კაცთან მქონდა საქმე. მკაცრი კაცი იყო ჯემალ ჩომახიძე, ისიც კი არ ვიცი, ახლა ცოცხალია, თუ – აღარ. იმ ხანებში კოლეჯის ბიჭ-ბუჭობაში ხმა დადიოდა, ეგ ისეთი ავი ვინმეა, ნიშნებს არ წერს, ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტები აივნიდან აგდებდნენო. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს უბრალოდ განაწყენებული ბავშვების გამონაგონი ლეგენდა იყო, თორემ აივნიდან იქით გადაყრიდა ბარე ორს. მოკლედ ისე მოხდა, რომ მე და ჯემალი მასწი დავემეგობრდით. რალაც უცნაური მეგობრობა იყო, ინტერესებით თვალეზგაფართოებული ბიჭუნასი და პირქუში მოხუცის, აი, დაახლოებით ისეთი, სტივენ კინგს რომ აქვს აღწერილი მოთხრობაში „Apt Pupil“. მერე აღმოვაჩინეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გვიყვარდა ორივეს, მთხოვა მის წერილებს გავცნობოდი და თემა მომეშადადებინა. ამ წერილებზე მუშაობა ერთ დიდ ატრაქციონად იქცა, რომელშიც ორივე თანაბრად ვიყავით ჩართულები. როცა ატყობდა, რომ ჩვენ შორის რალაც დისტანცია ირღვეოდა და ლამის მისთვისაც, ნინო მასწავლებელივით, „ბაბუ“ ან „მამა“ დამეძახა, უმაღვე იბრუნებდა პირქუშობას და სიმკაცრეს, თითქოს ძალით არ ლახავდა რალაც ზღვარს, თუმცა ეს ზღვარი მისდაუნებურად ილახებოდა, რადგან იმავე კოლეჯში ჯემალის მეუღლეც მუშაობდა მასწავლებლად და მე მისგან უჩუმრად ვაკვირდებოდი ხოლმე როგორ ნელ-ნელა მისეირნობდა მოხუცი წყვილი სახლში გაკვეთილების შემდეგ. კაცი წელში გამართული მიაბიჯებდა, მაგრამ ის მკაცრი იერი დაეკარგა და უფრო ახალგაზრდა, გულგახსნილ ბიჭს გავდა, რომლისთვისაც ხელკავი გვერდით მომავალ მეუღლეს გამოედო და აქედან გამომდინარე, მთელი დანარჩენი დედამიწა ახლა მხოლოდ მათ ორის გარშემო ტრიალებდა. ასეთი იყო ჯემალი, ბევრი ფიქრის მატარებელი, ერთდროულად მკაცრი და მოსიყვარულე, კაცი, რომელმაც კოლეჯის დასრულებისას გვერდით გამიხმო და მითხრა, საკუთარ თავს თუ არ უღალატებ, ყველაფერს მიაღწევ რისკენაც ისწრაფვიო. გხედავ და ვგრძნობ შენს გულისთქმას, ჰოდა მთავარია, საკუთარ თავს არ უღალატო.

იმის შემდეგ, ყოველ ჯერზე, როცა ვფიქრობ, რომ ჩემი ქმედება თუ ფიქრი, შეიძლება ბოლომდე არ ეთანხმებოდეს ჩემ შინაგან ხმას, ჯემალ ჩომახიძის

სიტყვები ჩამესმის და როგორღაც ვახერხებ ბეწვის ხიდზე სიარულს, ბოლოს და ბოლოს, ბეწვის ხიდიც ხომ ადამიანმა შექმნა.

ვატა

ყველა აღმართი საბოლოოდ მწვერვალისკენ მიდის. ჩემი მწვერვალი თეატრალურ უნივერსიტეტში ვიპოვე, მაგისტრატურაში სწავლისას, პირველივე დღეს, როცა აუდიტორიაში ჩვენი ლიტერატურის მასწავლებელი, ერთი ახმა-ხი და ბრვე კაცი შემოვიდა, კაცი, რომლის ღიმილიც და წარბების შეჭმუხვნაც უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ჩვეულებრივ. კაცი, რომელსაც შეეძლო ისე ესაუბრა ლიტერატურულ შედეგებზე, რომ მისი ანალიზი მნიშვნელობით იმ შედეგს გატოლებოდა. კაცი, სახელად ვახტანგ როდონაია, ან უბრალოდ, ვატა, როგორც მას მეგობრები და შემდეგ უკვე ჩვენც ვუწოდებდით, როცა მარტონი დავრჩებოდით ხოლმე. ვატაზე წერა ყველაზე მეტად მიჭირს, რთულია ერთ გვერდში ჩაატო მთელი მოგონება ადამიანზე, რომელსაც ყველაზე მეტად უხდება სიტყვა „ბუმბერაზი“. დაჯდებოდა ხოლმე ჩვენ წინ, ერთ დიდ აბრიან პაუზას აიღებდა, შემდეგ სახე მოეღუშებოდა და გადაეშვებოდა ამა თუ იმ ეპოქის ორომტრიალში. ვატას შეეძლო ერთნაირი ინტერესით ელაპარაკა გურამ რჩეულიშვილსა და ჟან ჟენეზე, მიხაილ ბულგაკოვსა და უილიამ შექსპირზე. შეეძლო ისეთი ქარიზმით წაეკითხა რომელიმე ლექსი, რომ თავად ავტორიც გაოცდებოდა, რომ მოესმინა. უეცრად ჩაურთავდა საუბარს, რომ „ჟამსა ბაფხულისასა ცეცხლებერ შემწუელი და მჭურვალეზა მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვთლებულნი, დაწერტილნი და დამშრშალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი, და მოხუცებულნი არა ვინ არს მათ ქუეყანათა“, იტყოდა და ჩვენი აღტაცება რა მოსატანია, თვითონვე ეძლეოდა ხოლმე აღფრთოვანებას. არ შემიძლია ვატაზე კონკრეტული საუბარი, უცნაურია, მაგრამ მხოლოდ ზოგადად შემიძლია აღწერო ჩემი მისდამი დამოკიდებულება. არ შემიძლია მიწიერ დიალოგებამდე და ადამიანურ მოგონებებამდე დავიყვანო ჩემი ქართულის მესამე მასწავლებელი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ჩემს ცხოვრებაში გასცდა ქართულს, გასცდა ლიტერატურას, გასცდა ხელოვნებას და რაღაც უფრო მნიშვნელოვანი როლი მიიღო, მფარველი ანგელოზივით. მე ვატას ლექსი მივუძღვენი, ალუდა ქეთელაურის ინტერპრეტაცია, თანამედ-

როვე გადმოსახედიდან. მან წაიკითხა და მითხრა, შესანიშნავი მცდელობა ერთ დიდ პოეტურ შედეგზე, მეორე მშვენიერი პოეტური ნაწარმოების შექმნისათვის. იქნებ იცოდა კიდევ ვატამ, რომ ეს ნათქვამი შესანიშნავი მცდელობა იყო ჩემთვის ფრთების შესასხმელად, მცდელობა, რომელიც შედგა. გამოცდის შემდეგ მე და ჩემი მეგობარი, ამირან დოლიძე, დაგვიბარა და გვითხრა თითოეულს, ერთ დიდ და ბევრის შემძლე კაცს უნდა მიგაბაროთო. მე მიგაგზავნით, თქვენ მიდით ჩემი სახელით და ყველაფერი დაუჯერეთო, ყველაფერს სწორად გეტყვით და არ აურიოთო. დავიძაბე, ნეტავ ვისთან მგზავნის-მეთქი ვიფიქრე, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ამირანს ამირან დოლიძესთან გზავნიდა, მე კი, შესაბამისად – ალექსანდრე ლორთქიფანიძესთან. ასე იცოდა ვატამ სტუდენტში თვითრწმენის გაჩენა, ასე შეეძლო ვატას მოეცა ერთდროულად ცოდნაც, აღმაფრენაც, რწმენაც და მოტივაციაც. დღემდე ხშირად ვისხენებ, რა კოსმიური სიმშვიდე ისადგურებდა ხოლმე მის თვალებში, როცა პოეტურად წაუშმღერებდა ანტონიო მახადოს ლექსს დავით წერედიალისეულ თარგმანში:

„მოედანზე თეთრი კოშკი,
 კოშკი, თეთრი აივნითა
 აივანზე თეთრი ქალი,
 ქალი თეთრი ყვავილითა.
 ჩაიარა კაბალიერომ
 გზა იყო და, ჩაივლიდა,
 თან წაიღო თეთრი კოშკი,
 კოშკი, თეთრი აივნითა,
 წაიყვანა თეთრი ქალიც,
 ქალი, თეთრი ყვავილითა...“

ვატა რომ ავად იყო, ვერ მივედი. არა იმიტომ, რომ არ მეცალა. არა, უბრალოდ ვერ მივედი, არ შემეძლო ჩემს მოგონებებში სხვანაირად შემომეშვა ეს კაცი, პანაშვიდებზეც ვიყავი, გასვენებაშიც, მაგრამ ერთხელაც არ შემიხედავს მისთვის. არ შეიძლება მფარველი ანგელოზები ილუპებოდნენ, ჩვენ ყოველთვის უნდა ვგრძნობდეთ მათ სუნთქვას ჩვენი გულის სიღრმეში, ისევე, როგორც მე ვგრძნობ ვატას მხერას ყოველთვის, როცა ცარიელ ფურცელს ვშლი და წერას ვიწყებ.

სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება

ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს: პედაგოგებსა და მოსწავლეებს

მე, ისევე როგორც ყოველი სულიერი, სამყაროს თანდაყოლილი, ვესტიბულარული აპარატის ქვეცნობიერ ტალანებში დალექილი ცოდნით მოვევლინე. მართალია, მაშინ ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ, ჯერ კიდევ უჩინომ და კუნთებმოუმაგრებელმა, ვიცოდი, როგორ მესუნთქა, როგორ დამერეგულირებინა სხეულის ტემპერატურა თუ ნივთიერებათა ცვლა და ბევრი სხვა რამ, რასაც, ცხადია, ჩემდა უნებურად ვაკეთებდი. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო არსებობისთვის. ჰოდა, მეც სწავლა დავიწყე. სიცოცხლისთვის ენერგია მჭირდებოდა, ამიტომ პირველი, რაც დამოუკიდებლად ვისწავლე, იყო გზა დედის მკერდიდან მომდინარე რძის ნაკადულისკენ, რომელსაც ხელის ცეცებითა და ტუჩების ცმაცუნით მივიკვლევდი.

მერე თვალი ამეხილა. პირველი, რაც დავინახე, სადღაც მაღლა და შორს დაკიდებული წითელი ბურთი იყო. ხან ჩანდა, ხან იმალებოდა და ამ დროს მეუფლებოდა განცდა, რომ ისევ იმ წყვილიაღში დავბრუნდი, საიდანაც ცოტა ხნის წინ გამოვედი. მაღე გავიგე, რომ ნათელს დღე ერქვა, ხოლო წყვილიაღს – ღამე, რომ დღე იყო საქმისა, ხოლო ღამე – მოსვენებისა.

და ვიდრე იყო ნათელი, ხარბად ვაკვირდებოდი გარშემო ყოველივეს, ვიმახსოვრებდი ფერებს, მოხაზულობას, ფორმებს... უამრავი დამიგროვდა. მერე მათ ხმებიც დავუკავშირე და პირველი აღმოჩენა გავაკეთე – როცა ნაცნობ ფერს, ფორმასა და მოხაზულობას „იავნანა“ ახლდა, მხოლოდ მაშინ მოდიოდა რძის ნაკადული.

მომდევნო განცვიფრება საგნების ქცევამ განმაცდევინა. ზოგიერთი მათგანი მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე იდგა, ზოგიერთი კი დროდადრო თვალსაწიერიდან გამიქრებოდა: ზოგი – მცირე ხნით, ზოგი – დიდი ხნით, ზოგიც – სამუდამოდ... და მე მივხვდი – ამ გაუჩინარებას მოძრაობა ერქვა, მოძრაობა ოთახის ერთი კუთხიდან, ერთი ოთახიდან, ერთი ქალაქიდან, ერთი სამყაროდან მეორემდე... მეც მოვინდომე და ვისწავლე ბობღვა, მერე – სიარულიც...

უკვე ვიცოდი, რომ ადამიანები ერთმანეთს ამბავს საუბრით აგებინებდნენ, მაგრამ ერთხელაც შევამჩნიე, რომ ახალი ამბის გაგება უთქმელადაც შეიძ-

ლებოდა. ოთხად დაკეცილ ქალაღდს ისეთივე ამბები ჩამოჭქონდა ქალაქი-დან, როგორც ბიძა ლაზარეს. იმასაც მივხვდი, რომ ქალაღდი ვერაფერს ამბობდა, თუ ზედ წვრილი ნახატები და ნაფხატნები არ იყო. მეც დავიწყე ხატვა და ფხატნა...

მერე სკოლაში მიმიყვანეს. აქ სწავლაღმ ორგანიზებული და ინტენსიური სახე მიიღო. ყოველდღე, ყოველ გაკვეთილზე რაღაც ახალს ვიგებდი. ჭირდა ყველაფრის გაცნობიერება, ყველაფრის დამახსოვრება, მაგრამ აუცილებლობა (!) მოითხოვდა ამას.

წელს წელი მიჰყვა... სკოლას ვამთავრებ. ვცდილობ, ქიღიაში, ფიზიკაში, მათემატიკაში გამორჩეული მოსწავლე ვიყო. ქართულში თხზულებებსაც ხუთიანზე ვწერ, ოღონდ – საბჭოთა სოციალისტური რეალიზმის შესაბამისად... ახლაც მახსოვს, გრიგოლ ორბელიანის ლირიკაზე დავწერე რაღაც – როგორც მიღებული იყო, პატრიოტულ-სოციალისტურ-მარქსისტული ტერმინებით გაჯერებულ-შეზავებული. მოკრძალებით ვთხოვე უუჰუნა მასწავლებელს მისი გადახედვა. სახლში დამიბარა – საღამოს, გვიან, ავ თვალს რომ არ დავენახეთ (მაშინ ესეც იკრძალებოდა!). წავუკითხე. მომისმინა. მერე კარადი-დან თავისი რვეული გამოიღო და მსგავსი თხზულება წამიკითხა. თხზულება, რომელიც მრავალწერტილით იწყებოდა. ლალი, თავისუფალი, ზედმეტ პათეტიკასა და ყალბ სიტყვებს მოკლებული. სწორედ მაშინ დაიბადა ჩემთვის ქართული ლიტერატურა ხელახლა. მას შემდეგ წერას თითქმის ყოველთვის საღმ წერტილით ვიწყებ.

სკოლას უნივერსიტეტი მოჰყვა. ბედმა ბევრ კარგ პედაგოგს შემახვედრა, გამორჩეულებსაც და გამორჩეულთა შორის გამორჩეულებსაც. ბატონი გოგი ქიღიასთან ერთად მუსიკას, პოეზიას, ეთიკას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ რამეს გვასწავლიდა. მახსოვს, ერთხელ მის ოთახში ვზივარ და ველოდები. იგი ჩემი კოლეგის ნაშრომს კითხულობს. ასგვერდიან დისერტაციაში ხუთსტრიქონიანი აბზაცი ჩემი ჩამატებულია. ბატონი გოგი უცებ თავს სწევს და მეკითხება: „ეს შენ დაწერე?“ დაბნეულ-შემცბარ-შეშინებულმა, უნებურად თავი დავუკარი. მან თავი დახარა და სანამ კითხვას გააგრძელებდა, ჩაილაპარაკა: „ჩემი სტილია, ჩემი“. ჩვენ მას ვსწავლობდით, ის კი თურმე ჩვენ გვსწავლობდა. როდესაც დისერტაცია ოპონენტს წარვუდგინე, პირველი, რაც მკითხა, ეს იყო – რუსული სკოლა დაამთავრეო? არა, გოგი ჭირაქაძისა-მეთქი.

მერე თავად დავიწყე სწავლება... მახსოვს, პირველი ლექციის წინ მეც ბერძნი „ვიმეცადინე“. ერთ-ერთი ჩემი დოქტორანტის დისერტაციის კითხვისას მეც

ვიპოვე „ჩემი სტილი“... ორი ათეული წლის განმავლობაში, კვლევა-ძიებისას, არაერთი ნაშრომის დაწერა მომიხდა, შეიძლება ითქვას, რომ „ვიცი“, როგორ იწერება სტატია, თეზისი, დისერტაცია... მაგრამ როდესაც ბლოგს შევეჭიდე პირველად, ძალიან გავწვალდი და რომ არა რედაქტორის რჩევა-დარიგება, ბლოგერობა ისეთივე ბურუსით მოცული დარჩებოდა ჩემთვის, როგორიც მანამდე იყო. არადა, სხვების სწავლებით დაკავებულს, ვერ წარმომედგინა, თუ კიდევ რამის სწავლა მომიწევდა თავად.

დღეს ლაბორატორიაში სკოლის მოსწავლეები გვესტუმრნენ. ბევრი ვისაუბრეთ – ფერის ფენომენზე, მოლეკულებზე, მათი მიღების მეთოდებზე... დამშვიდობებისას ერთმა მათგანმა მკითხა, პირველი პიგმენტი როდის მიიღესო. ვერ ვუპასუხე.

ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი...

ასეა, არ მოიძებნება ამქვეყნად სასწავლებელი, სადაც ყველაფერი ისწავლება; ვერსად ვიპოვით მასწავლებელს, რომელიც ყველაფერს გვასწავლის; ვერსად მოვიძიებთ წიგნს, რომელშიც ყველაფერი ეწერება. ასეთი სასწავლებელი, მასწავლებელი და წიგნი თავად უნდა შევაკოწიწოთ ჩვენს შიგნით...

ეჰ, როგორ განზავდა აზრი თანამედროვე ქართულ წინადადებებში... ის, რის სათქმელადაც ამდენის დაწერა მომიხდა და რის კითხვაშიც ამდენი დრო დაგაკარგვინეთ, ძველებს სულ ორი სიტყვით უთქვამთ: „სწავლა სიბერემდეო“...

სკოლის აჩრდილი

ღამდება. მშობლიური სახლის აივანზე შავი კალამი და სუფთა ფურცლები გამოვიტანე – არც ისე დიდი ხნის წინ დავიწყებული მონსტრის გახსენებას ვცდილობ. მონსტრი მემალეხა. ალბათ წყვილიადის ჩამოწოლას ელოდება. მისნაირები მაშინ იღვიძებენ, როცა ირგვლივ ველარაფერს არჩევ, როცა შუალამის გული იწყებს ფეთქვას. წამოიშლებიან და შორიახლო ხმაურობენ.

სიტყვების გარჩევა ყოველთვის შეიძლება. ამ სიტყვებმა იციან, რა უნდა თქვან.

სკოლა ჩემი სახლიდან ხუთი წუთის სავალზეა. სამსართულიანი შენობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ინტერიერით. ცხრის ნახევარზე ვიღვიძებ, ან ცხრას რომ ოცი წუთი აკლია, და ყოველთვის მაგვიანდება. ხან თმადაუვარცხნელი მივდივარ, ხან – ნახევრად ჩაცმული, ხან – საერთოდ მძინარე. დერეფნებში მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებია. ბრძნული გამონათქვამები. დასურათებული ანბანი. აი თოხი. აი თხა. თხამ ვენახი შეჭამა.

არ ვიცი, რა არის დღეს იმ ადგილას, სადაც ადრე პიონერთა ოთახი იყო, ყველა სავალდებულო ნივთით და ნიშნით. ალბათ ერთ დღეს გაქრა წითელი დროშები, დაფდაფები და ვეება საყვირი, რამდენიმეგვერდიანი ბროშურები და სქელ-სქელი ტომები, ყელსახვევები, ნაპერწკლიდან ალის ანთების მოლოდინი, პიონერთახელმძღვანელის სკამი და მაგიდა, ოთხფურცლიანი გაზეთი პიონერთახელმძღვანელის ხელში, იდაყვში მოხრილი ხელი, გვერდზე ოდნავ გადაწეული თავი...

ეს დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო. სკოლა 1990 წელს დავამთავრე და ბოლო ზარზე მხოლოდ გადაღლას ვგრძნობდი – სიცარიელეს, არაფერს, მთელი თავისი სრულყოფილებით. მოწვეული ფოტოგრაფი სურათებს გვიღებდა, პირველკლასელების მერხებთან ვისხედით და კლასის დამრიგებელს ვუსმენდით. ვუსმენდით მასწავლებლებს, რომლებისაც ხან გვესმოდა, ხან – არა, რომლებიც ხან გვიყვარდა, ხან – არა. ვგრძნობდით, რომ ისევ არასწორ ადგილას მოვხვდით – ფეხებს ვერ ვშლიდით, მოხრილები ვისხე-

დით, ისევ მორჩილად სმენა გვევალეობდა და სხვა არაფერი. ვილაც-ვილაცებს გული უჩუყდებოდათ – ცრემლებსაც ვხედავდი. მე მხოლოდ გადაღლას ვგრძნობდი.

სკოლის დამლაგებლებთან – თინასა და ტერეზასთან სურათები გადავიღეთ. არ უნდოდათ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ სჩვეოდათ. უსიტყვოდ დაგვიდგნენ გვერდით.

მომდევნო წლებში ხშირად მესიზმრებოდა, რომ ისევ მოსწავლე ვიყავი. სიზმრის დრო იდგა – ავის მომასწავებელი ბინდბუნდი. სკოლის ეზოში ბავშვებს ველაპარაკებოდი, ვიცნოდი. ცალი თვალით ვილაცას ვუყურებდი – მისი სახის გამომეტყველება, მოულოდნელად, მეტად მნიშვნელოვანი გამხდარიყო. სხვა აღარაფერი მაინტერესებდა. ერთი სიტყვაც აღარ მესმოდა. მერე ქვემოთ ვიხედებოდი და ვხედავდი, რომ ფეხშიშველი ვიდექი გადამხმარ ბალახზე; ან დიდი ხნის წინ დაპატარავებული ტანსაცმელი მეცვა, ან ძველი, უშნოდ დალაქავებული პლედი მქონდა შემოხვეული.

სკოლის კიბე. სამი სართულის კიბეები. ვიწრო საფეხურები და გარდაუვალი შეჯახებები, მოსალოდნელი შედეგებით. ავრბივარ. ჩამოვრბივარ. გრძელი კაბის ბოლოს ვაფრიალებ. ისევ ფეხშიშველი ვდგავარ. ისევ ავის მომასწავებელი ბინდბუნდია.

აი თხა. აი თასი.

გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!

უზარმაზარი საკონფერენციო დარბაზი, სადაც მოხსენებას ვკითხულობ სრულიად უცნობ თემაზე, უცებ იქცევა საკლასო ოთახად. დაფასთან ვდგავარ და შეკითხვებს ვპასუხობ. შეკითხვები არ მთავრდება. დაღლილი ვიღვიძებ.

ისინი, ვისთანაც ამაზე მისაუბრია, აღიარებენ, რომ მსგავსი სიზმრები არაერთხელ უნახავთ. გამოუცდიათ სამარცხვინო სიშიშვლე, უსასრულო სიცილის შიში, უცაბედი მარცხის სიმწარე. სკოლაში სწავლის წლები მართლაც დაუვიწყარია. სკოლის აჩრდილი სიკვდილის წუთამდე თან გვდევს.

კარგის გახსენებაც შეიძლება, არა? მე მყავდა მასწავლებელი, რომელსაც მშვიდად შეეძლო ეთქვა: „არ ვიცი“ და თანამოსაუბრესთან ერთად დაეწყო ფიქრი, გამოსავლის ძებნა; სხვა მასწავლებელი, რომელმაც რუსული ლიტერატურის კითხვა დამაწყებინა და ტურგენევის რომანები სასკოლო ასაკში წამაკითხა; კიდევ ერთი მასწავლებელი, რომელიც მარწმუნებდა, რომ, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისგან განსხვავებით, ისტორიასა და ლიტერატურას მუდმივად ემუქრებოდა თავდაყირა ამობრუნების საფრთხე

– ნებისმიერ წუთს შეეძლოთ ელაღატათ, საკუთარი თავი რაღაც სხვად გაესაღლებინათ და შრომაში გატარებული წლები წყალში ჩაეყარათ.

ღალატი და თვალთმაქცობა აჩრდილებმაც იციან. მონსტრი ხანდახან ისეთ უწყინარ სახეს იღებს, რომ ველარც კი ვცნობ. თითქოს არასდროს დაუშავებია რამე, არც შევეუშინებოვარ და არც შუახნის ცხოვრებამობებრებული, შემზარავი მაკიაჟით მოსიარულე, ბავშვების დასჯით უზომოდ ნასიამოვნები, უმიზნოდ აკივლებული ქალის სახით გამომცხადებია.

მე მას ვიცნობდი. სკოლის დერეფანში მისი გამოჩენა ყოველთვის თავზარს მცემდა.

გარდაცვლილზე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

დაღამდა. ყველა მწერი აივნის ნათურას შემოხვევია. ვცდილობ, უსიამოვნო მოგონებები კუთხეში მივიმწყვდიო და გულისმომკვლელ სიტყვებად ქცევის საშუალება არ მივცე. ხვალ, დღის შუქზე, ყველაფერი სხვანაირად გამოჩნდება.

ჩემი სახლიდან სკოლამდე ისევ ხუთი წუთის გზაა.

მასწავლებლის უპირატესობანი

ჩემი წერილის სათაური სტივენ ჩბოსკის წიგნის, „მარტოსულობის უპირატესობანის“, იმიტაციაა. ეს ერთ-ერთ იმ წიგნთაგანია, ჩემი თინეიჯერი მოსწავლეების ხათრით რომ წავიკითხე. სხვა თუ არაფერი, ორი კარგი საქმე მაინც გააკეთა ჩემთვის ამ ტექსტმა:

პირველი და უმთავრესი – ბავშვებმა კითხვაშიც თავიანთ მეგობრად მიგულეს და მეორე – აი, სათაური გამომადგა შესანიშნავად!

წიგნის სათაური გულისხმობს, რომ მარტოსულობა რთულია და ძნელი, მაგრამ აქვს თავისი უპირატესობანიც, რომელთა მეშვეობით სხვებისაგან გამოირჩევი, რაღაცებს სხვებზე უკეთ ამჩნევ და გრძნობ, რაღაცები სხვებზე უკეთ გამოგდის...

ჰოდა, მასწავლებლობაც ასეა ჩემთვის.

ჩემი ფილოლოგობა და, მით უმეტეს, მასწავლებლობა ბავშვობიდან ამაზე ოცნებითა და პატარაობიდანვე პატარების სიყვარულით არ დაწყებულა. მიუხედავად იმისა (ან იქნებ სწორედ ამის გამო), რომ დედა მასწავლებელი იყო, ეს პროფესია არასოდეს ყოფილა ჩემთვის მიმზიდველი.

სინამდვილეში ყველაფერი დაიწყო ძალიან ბანალურად: კითხვა მიყვარდა, სკოლაში თემების წერაც გამომდიოდა, ქვეყანაში იყო საშინელი კორუფცია, არ მქონდა საკმარისი სითამამე და მაშინ ძალიან პრესტიჟულ უცხო ენებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე ჩაბარებას შედარებით არაპრესტიჟული ქართული ფილოლოგია ვარჩიე.

უნივერსიტეტი ისე დავამთავრე, მასწავლებლობა თავში აზრადაც არ მომსვლია. მერე ისევ დაქცეული ქვეყნისა და უალტერნატივობის გამო მაინც აღმოჩნდი ერთ-ერთ სკოლაში და დაიწყო ძალიან რთული გზა ჩემთვის.

გვიან მივხვდი, რომ ამ გზის სირთულეს ხელს უწყობდა „თავდასაღწევი“ გზების მუდმივი ძიება და ფიქრი იმაზე, რომ აქ დროებით ვარ. 2 წლის მერე, ზუსტად მაშინ, როცა უკვე მივხვდი, რაღაც გამომდიოდა, მივატოვე მასწავლებლობა და სასწავლებლად წავედი.

მაგრამ რამდენიმე წელში ისევ სკოლაში აღმოვჩნდი.

ჩემი ნამდვილი მასწავლებლობა კი მაინც უფრო გვიან დაიწყო:

პირველი დიდი ნაბიჯი იყო იმის გაცნობიერება, რომ თუკი მე არ მეყვარებოდა ჩემი პროფესია, თუ ვიფიქრებდი, რომ ეს მხოლოდ დროებითი თავშესაფარია, თუ ბავშვებთან ჩემი პროფესიის სიყვარულში არ ვიქნებოდი გულწრფელი, მე ვიქნებოდი დამნაშავე, ვერაფერს ღირებულს ვერ გავაკეთებდი და რაც მთავარია, არ ვიქნებოდი ბედნიერი;

ამის გაცნობიერების შემდეგ დანარჩენი თავისთავად მოხდა, ზედმეტად ფიქრის გარეშე – ჩნდებოდა ახალ-ახალი ეტაპები ჩემს მასწავლებლურ ცხოვრებაში და თითოეულ ეტაპთან ერთად თანდათან იკვეთებოდა ჩემი პროფესიის უპირატესობანი.

უპირატესობა N1 – „ასწავლე, რათა ისწავლო“

ამ უპირატესობას აღმოჩენა (სენეკამ შეძლო დიდი ხნის წინ) არ სჭირდება, გათავისება უნდა და ერთი დიდი ნაბიჯია ნამდვილმასწავლებლობისკენ: მივხვდი, რომ მხოლოდ კი არ უნდა გავცე, შემოძლია, მივიღო კიდევ და ვისწავლო სწორედ მათგან, ვისაც რაღაცას მეც ვასწავლი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რადგან სწავლის უნარი, ენთუზიაზმი და შემართება, თავისთავად გულისხმობს ახალგაზრდულ სულს. თუ ამ ენთუზიაზმს ახალგაზრდებთან ურთიერთობა ასაზრდოებს, მით უმეტეს. ამის გაცნობიერებით დაიწყო ძალიან საინტერესო ხანა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც დღესაც მასაზრდოებს და დღემდე ვემადლიერები.

- თუკი ჩემი მოსწავლეები „ციფრული თაობაა“, ჩვენ, უფროსი თაობა, მაინც „ციფრული ემიგრანტები“ ვართ, მათი ძალიან რბილად და კორექტულად ნათქვამი რომ გავიმეორო – „ტექნიკასთან დიდად ვერ ვმეგობრობთ“ და მათი ცოდნის, შრომის, სწავლების, უნგარო თანადგომის გარეშე ვერც ერთ მნიშვნელოვან იდეას ვერ განვახორციელებდი. თან როგორ უყვართ, როცა რაღაცას გასწავლიან, გიხსნიან და რომ გაიგებ და გამოიყენებ, მაშინ ნამდვილ მასწავლებლურ სიხარულს განიცდიან.
- ფილმების ყურება არასდროს არ მიყვარდა, სულ რამდენიმე ფილმი მქონდა ნანახი, ისიც უცხო ენის შესწავლის გამო. მახსოვს, ჯერ კიდევ პატარები მეუბნებოდნენ, მირჩევდნენ ფილმებს, ვუყურებდი ხოლმე, ერთად ვმსჯელობდით მერე. დრო რომ გავიდა, კლუბი დავაარსეთ ერთად, ფილმები

გვჭირდებოდა, „ფილმოლოგები“ ისევ ჩემი მოსწავლეები იყვნენ. საოცარი ფილმები აღმომაჩენინეს. ახლა სხვა მასწავლებლები მეკითხებიან რჩევებს და მერე მადლობებს რომ მეუბნებიან, სულ აღვნიშნავ, რომ ეს ჩემი „ფილმოლოგი“ მოსწავლეების დამსახურებაა.

ამ ყველაფერს თავისთავად მოჰყვა შემდეგი ეტაპი –

უპირატესობა N2 – წარმატებით ვებრძვით რუტინას!

ხელოვანი ადამიანების შემდეგ, ჩემი სუბიექტური აზრით, მასწავლებლობა არის ერთადერთი პროფესია, რომელიც ებრძვის რუტინის სევდას;

„იწყებ კვდომას
 თუ არ მოგბაურობ,
 თუ არ კითხულობ,
 თუ არ უსმენ ცხოვრების ხმებს,
 თუ არ შეიცნობ საკუთარ თავს.
 იწყებ კვდომას,
 როცა ანადგურებ საკუთარ თავმოყვარეობას,
 როცა არ რთავ სხვებს ნებას დახმარების.
 იწყებ კვდომას
 თუ გახდები საკუთარი გარეგნობის ტყვე,
 ყოველდღე ივლი ერთი და იმავე გზით,
 თუ არ შეცვლი საკუთარ რუტინულ ცხოვრებას,
 თუ არ ატარებ განსხვავებულ ფერებს,
 არ გამოელაპარაკები იმათ, ვისაც არ იცნობ.
 იწყებ კვდომას,
 თუ გაურბიხარ ვნებებს
 და მათ მშფოთვარე ემოციებს,
 რაც აელვარებს შენს თვალებს
 და გიჩქარებს გულს.
 იწყებ კვდომას
 თუ არ ცვლი შენს ცხოვრებას, როდესაც ხარ საკუთარი საქმით
 ან სიყვარულით უკმაყოფილო,

თუ არ რისკავ,
თუ არ მოქმედებ ოცნების შემდეგ,
თუ ერთხელ მაინც შენს ცხოვრებაში
არ გაუბრძნობ ხარ ბრძნულ ჭკუის სწავლებას“.

მართა მედერიოს

ამ ლექსს ინტერნეტსივრცეში გადავაწყდი შემთხვევით. გულზე მომხვდა – ეს ყველაფერი რუტინის სევდაა და ძველი და უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ რუტინა კლავს?! მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილი მასწავლებლები კლავენ რუტინას (სამაგიეროდ, არასოდეს ეძლევათ საშუალება, დრო მოკლან).

მასწავლებელი სულ კითხულობს (უნდა კითხულობდეს);

მასწავლებლობა არის მოგზაურობა მოსწავლეებთან ერთად სხვა სამყაროებში;

სწავლება არის პროცესი, როცა საუკეთესოდ შეიცნობ საკუთარ თავს და ეხმარები სხვებს მეს აღმოჩენაში;

თუ მასწავლებელი ხარ, პატარების დახმარება შენი პირდაპირი მოვალეობაა და ამ მოვალეობის შესრულებაში შენც გჭირდება სხვების თანადგომა;

მასწავლებელი ფერებით უნდა იყოს სავსე და სხვების ცხოვრებასაც აფერადებდეს;

მასწავლებლობა ემოციების ზღვა, ელვარე თვალების ყურება და აჩქარებული პატარა გულების მოსმენა...

მასწავლებელი მუდამ მენტორული ტონით მოლაპარაკე ადამიანი არაა, ის თითოეული მოსწავლის მეგობარია, რადგან მათ ეს მეგობრობა ჰაერივით სჭირდებათ.

მაგრამ ამ ყველაფრის მიღწევა ურთულესია – შემოქმედების დიდ უნარს, უდიდეს ძალისხმევასა და ძალიან ბევრ დროს მოითხოვს მასწავლებლებსაგან...

ეს ის ამბავია, ჰერაკლიტეს ცნობილი ფრაზა – ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერასოდეს შეხვალ, ყველაზე მეტად რომ მართლდება. ჯერ არ შემხვედრია თემა, ნაწარმოები, პრობლემა, აქტივობა, თამაში – ორ სხვადასხვა კლასს ერთნაირად ან ოდნავ მსგავსადაც რომ მიეღოს. ამ პროფესიაში მხარეცეპტები ყველაზე უსარგებლო რამაა.

უპირატესობა N3 – არაფერი აკეთო მართო

არასდროს არაფრის კეთება მართო არ გიწევს და არც უნდა აკეთო. თუ მონდომებ, მოსწავლეების ყველაფერში აყოლიება შეიძლება;

ჩემი ნამდვილი მასწავლებლური ბიოგრაფია რომ დაიწყო, ამაში „დამ-ნაშავე“ ბავშვები არიან. თუ რაიმე, ოდნავ მაინც საინტერესო და ღირებული, გამიკეთებია, ისევე მათი წყალობით. ერთად კეთება განაპირობებს ჩემსა და მათ სიახლოვესაც და სხვადასხვა თაობის მოსწავლეთა ან უკვე ყოფილ მოსწავლეთა დაახლოებას.

ჩვენ, მასწავლებლებს, გვაქვს უპირატესობა, გვენდობოდნენ, დაგვიჯერონ, დავაინტერესოთ, ჩავრთოთ, გადავებაროთ პასუხისმგებლობა. მერე ოდნავ გვერდზე მივდგეთ და თვალყური ვადევნოთ, რა ხალისითა და პასუხისმგებლობით აკეთებენ ჩვენგან ნასწავლებ-ნაკარნახევ საქმეს. მთავარია, მართო არ იგრძნონ თავი, თვალი არ მოვაშოროთ, იქვე ვეგულეობდეთ, თუ ოდნავ წაიბორძიკეს, რაღაც არ გამოუვიდათ, რაღაც ვერ გაიგეს, დახმარება დასჭირდათ. ასე თვითონაც იბრდებიან და ჩვენც ვტკბებით მათი დამოუკიდებლობით. კლუბის მართვა გადამიბარებია, გაკვეთილის ჩატარებაც მიმინდია, ბევრი პროექტის დროს წარმოშობილი პრობლემების მოსაგვარებლად თავად ურბენიათ, რაღაცები თავად დაუგეგმავთ, რაღაცები შეუცვლიათ... იციან, რომ ვენდობი, მაგრამ პასუხისმგებლობაც დიდი აქვთ, რაიმე თუ არ გამოვიდა, ორივე მხარეს ერთნაირად მოგვეთხოვება.

ეს საქმის განაწილება აუცილებელია იმისთვის, რომ დაიზოგოს ჩემი, ისედაც უამრავ რამეზე განაწილებული ენერჯია, გამყარდეს მათი პასუხისმგებლობა და რაც მთავარია, შედეგი ამ ფაციფუცად ღირდეს.

უპირატესობა N4 – დავიმსახუროთ ყველაზე უანგარო სიყვარული

მასწავლებლებს გვაქვს უპირატესობა, დავიმსახუროთ ყველაზე მეტი დიდი, უანგარო და წრფელი სიყვარული, რადგან ბავშვებმა ყველაზე კარგად იციან ის. მათ ნამდვილად არ სჭირდებათ ამის სწავლება, იქით ასწავლიან დიდებს, თუ მათ გული, სული და ნიჭი ეყოფათ.

თან ისე ადვილია მათი კეთილგანწყობის მოპოვება!.. ხანდახან გულწრფელად მეცოდებიან კიდევ... ისეთი სათუთია, მოსაფრთხილებელი და ადვილად მოწყვლადი მათი სიყვარული.

ჰოდა, დიდი სიამოვნებით ვსარგებლობთ მასწავლებლები ამ ყველაზე თბილი და მნიშვნელოვანი უპირატესობით – ვაგროვებთ მათ დახატულ საკუთარ სასაცილო და საყვარელ თავებს; მათ აცაბაცა, გულებიან თუ უკვე გაზრდილების მეგობრულ, ემოციურ წერილებს; ნაჩუქარ კანფეტებს, ლამამ-ლამამ კალმებსა თუ ფანქრებს, გამოჭრილ გულებს, ყვავილებს, პეპლებს; მათ ნათქვამ თბილ სიტყვებსა და სახალისო-სასაცილო – გულწრფელ ქათინაურებს.

ვინახავთ, რადგან ყველას გვეშინია და ვიცით, დადგება დრო, სკოლის გარეშე რომ დავრჩებით და მაშინ ლუკმა-ლუკმა უნდა გამოვიზოგოთ წლების განმავლობაში ნაგროვები და ნალოლიავები ეს სიყვარული.

წარმოდგინეთ, რა უნდა ეგრძნო ალბერ კამიუს მასწავლებელს, ამ წერილს რომ მიიღებდა:

„19 ნოემბერი, 1957

ძვირფასო ბატონო ჟერმენ,

ვაცადე, ამ დღეებში ჩემ გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა ცოტა ჩაწყნარებულიყო, რათა გულის სიღრმეში თქვენთვის მოსაწერად საჭირო სიტყვები მომეძებნა. ამ რამდენიმე დღის წინ იმაზე გაცილებით დიდი პატივი მხვდა წილად, ვიდრე ოდესმე ვისურვებდი. როდესაც ეს ამბავი მაცნობეს, პირველი, ვინც გამახსენდა დედაჩემის შემდეგ, თქვენ იყავით. თქვენ გარეშე, იმ მზრუნველი ხელის გარეშე, რომელიც პატარა, საწყალ ბიჭს გამოუწოდეთ, თქვენი სწავლებისა და მაგალითის გარეშე, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა.

ამ ჯილდოს მნიშვნელობას საერთოდ არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ იგი საშუალებას მაძლევს, გითხრათ, რამდენს ნიშნავდით და ახლაც ნიშნავთ ჩემთვის და კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ, რომ თქვენი მცდელობები, თქვენი შრომა და თქვენი გული, უშურველად რომ ჩადეთ ამ ყველაფერში, კვლავაც ცოცხლობს თქვენს ერთ-ერთ პატარა მოსწავლეში, რომელიც განვლილი წლების მიუხედავად, დღესაც თქვენი მადლიერი შეგირდია.

გეხვევით მთელი გულით.

ალბერ კამიუ.“

უპირტიმლობა N5 – არ ჩამოვრჩეთ დროს

ბავშვებთან ურთიერთობა ჩვენდა უნებურად გვაახალგაზრდავებს; როცა მათთან მეგობრობ, მეტი შანსი გაქვს, გვიან დაბერდე.

თუ მათი ინტერესები მნიშვნელოვანია შენთვის, იცი ახლა მოდური კორეელ მომღერალთა ჯგუფი; სერიალები, ახლახან რომ გამოვიდა და მთელი მსოფლიო ელოდა ახალი სემონის პრემიერას; ახალი ოსკაროსანი ანიმაციები; ახალგამოსული, მათ შორის, ლიბერთინისის წიგნებიც; ტექნიკისა და ციფრული სამყაროს უახლესი მიღწევები; ახალი ჟარგონები და ურთიერთობის ფორმებიც ნაცნობია, ახალი ხუმრობები და ცხელ-ცხელი სახალისო ვიდეოებიც...

მაგიას ჰგავს – ისე ნაწილდება მათი ამოუწურავი ენერჯია, დადებითი განწყობა, ხალასი ინტერესი, თანამედროვეობის ყველა გამოწვევა ჩვენზეც, რომ მათ არაფერი აკლდებათ. ჩვენ ვივსებით. ვაბავებთ ამ ყველაფერს ცხოვრებისეული გამოცდილებით, ნაწრობი ფიქრითა და სასარგებლო ცოდნით და ვაბრუნებთ უკან.

წმინდა წყლის ზიარტურჯლის ამბავია.

უპირატესობა N6 – ადამიანური დასვენება

არა მგონია, 21-ე, მარათონულ და ლამის რობოტულ საუკუნეში ვინმემ იფიქროს, რომ ეს უმნიშვნელო უპირატესობაა.

მასწავლებლობა იმიტომაც არის რთული პროფესია, რომ უამრავ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, არ არის განსაზღვრული სამუშაო საათები. იქ, სადაც მთავრდება გაკვეთილები, იწყება ფიქრი – რეფლექსია უკვე ჩატარებულ გაკვეთილებზე, უამრავ დამატებით არაფორმალურ აქტივობაზე, პროექტზე, ბავშვებისა თუ საკუთარ განვითარებაზე, გვიან ღამით ან დილაადრიანად დაგეგმილ ჩასატარებელ გაკვეთილებზე. ეს 24 საათიანი ფიქრისა და საქმიანობის რეჟიმია, რომელიც ცხოვრების წესად გაქვს უკვე ქვეული, რადგან იცი, ისე სასურველ შედეგს ვერ მიღწევ. თუ მთელი სული და გული არ ჩადე, ყალბი ან ზედაპირული გამოვა შენი სწავლება და მზრუნველობა.

ჰოდა, ამ ყველაფრის ფონზე, გამთარსა თუ ზაფხულში დამსახურებული, სასიცოცხლოდ და სამასწავლებლოდ აუცილებელი დასვენება რომ გვაქვს; ამ არდადეგების მშვიდი, აუჩქარებელი დილები რომ თენდება, დასვენებული თვალებით ვუყურებ აივნიდან, როგორ გარბიან სამსახურში ბანკირები, იურისტები, ბიზნესმენები, ექიმები, მალაზიების გამყიდველები, მეეზოვეები... სულ მინდა, მადლობები ვწირო ამ პროფესიაში ჩემს აღმომჩენელს.

მასწავლებლის კიდევ ერთი და უმნიშვნელოვანესი უპირატესობით მინდა დავასრულო – მას შეუძლია შეცვალოს სამყარო!

თუ სამყარო ვერა, მიკროსამყარო მაინც!

არც გადაჭარბებულია ეს ამბავი, არც პათეტიკური, პირადი გამოცდილების რა მოგახსენოთ (ჯერ მხოლოდ საკუთარ თუ თითო-ოროლა მონდობილ მოსწავლეთა მიკროსამყაროებს ვეპოტინები) მაგრამ მსოფლიომ, ისტორიამ და გუგლმა კია არა, აგერ, ჩიბათმაც კარგად იცის ამის მაგალითები.

როგორ შევცვლით უკვე არსებულს, როგორ შევქმნით ახალ სამყაროს, ამას განსაზღვრავს ის, თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენს უპირატესობებს.

თუმცა ჩვენს ეპოქაში, როცა დაკავებულობამ შეიწირა ადამიანური ურთიერთობები, როცა ლამის დაიკარგა თავისუფალი დროის ცნება, როცა ძალიან რეალური გახდა შიში, რომ შეიძლება ერთ დღესაც ჩვენმა შექმნილმა რობოტებმა გვმართონ, როცა ლამის წაიშალა ზღვარი ვირტუალურ თუ რეალურ სამყაროს შორის, როცა ყოველი დღე აღმოჩენებისაა, როცა ცოდნის მიღების უამრავი ალტერნატივაა გარშემო... ბავშვებისთვის უფრო აუტანელი და მოსაწყენი გახდა სკოლა, ვიდრე ოდესმე ყოფილა და შესაბამისად, მასწავლებლობა – ყველაზე ძნელი მისი ძალიან გრძელი ისტორიის მანძილზე.

დანიელ პენაკისა არ იყოს, სკოლას სევდა ყოველთვის ახლდა. მაგრამ სევდასაც ხომ გააჩნია:

„... ჩვენ არასოდეს გვისწავლია სკოლაში, სადაც ერთმანეთი მხოლოდ უყვართ. სადაც თვალების სწორად გახელას და ერთმანეთის სწორად დანახვას ასწავლიან, სადაც მხოლოდ ერთმანეთისთვის შესრულებული მოქმედებების ზმნებს აუღლებენ, სადაც არ ეძებენ ერთმანეთთან ყოფნის მიზეზებს და მხოლოდ სიყვარულის ლექსიკონებს ადგენენ...“

ნათია ნაცვლიშვილი „ცოლებს საკითხავი“

ეს მხოლოდ უბრალო სევდა არაა, ეს საყვედურიცაა. თანაც ძალიან გულწრფელი, სამართლიანი და შიშველი საყვედური. ძალიან რთულია, ამ საყვედურნარევ სევდას გაუმკლავდეს ადამიანი. მით უმეტეს, თუ მასწავლებლებ-

ლი ხარ,დამნაშავედ იგრძნობ თავს და აუცილებლად მოგიწდება, გამოიყენო ყველა შენი ნამდვილი თუ მოგონილი უპირატესობა და შენს მოსწავლეებს თვალების სწორად გახელა და ერთმანეთის სწორად დანახვა ასწავლო.

აი, ამას თუ შევძლებთ, გამართლებული იქნება ნებისმიერი უპირატესობა, მასწავლებლობა რომ გვანიჭებს!

WWW.TPDC.GE